644/
1970/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარი

1-2
(8)

1

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი. 1887 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

152

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

1

იანვარი

1970

თბილისი

11598

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ლენინიანა

3. ვახტანგ ქარუმიძე. ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობი შესახებ

პოეზია

12. მურმან ლეგანიძე. ახალი წიგნიდან. ლექსები
67. ვახტანგ ჯაფარიძე. ლექსები
76. ტარიელ ჭანტურია. ლექსები

პროზა

21. რეზო ჭეიშვილი. დალი. რომანი. დასაწყისი
70. გივი გოგიჩაიშვილი. მოთხრობები

ჭაშნიკი

81. სოსო პაიჭაძე. მეთევზე. მოთხრობა
96. ნანა ჯანელიძე. შვიდფერი ცისარტყელა. მოთხრობა
99. ლადო კოკაია. რგოლები აკაციის გადანაჭერზე. მოთხრობა
100. ნაილი ნეკერიშვილი. ლექსები
102. ზურაბ ხასაია. ლექსები
103. ალუდა არაგული. ლექსები

წერილები

106. ელიზბარ ჯაველიძე. გურჯი ხათუნის (დედოფალი თამარის) და ჯელალედ-დინ რუფის ურთიერთობის ისტორიიდან
118. კლარა ტულუში. გრიგოლ ედლოვის კომედიის ქართული თარგმანების ისტორიისათვის
127. ანზორ ასათიანი. საყურადღებო გაკვეთილი „სპანეთი"

იუმორი

132. გოგი ჩარკვიანი, რევაზ გაბრიაძე. ფეოლა. იუმორისტული მოთხრობა. დასაწყისი

სპორტი

150. რევაზ გვრიტიშვილი. სტუმრად მიხეილ მესხთან
157. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი გაჩეჩილაძე,
ია გამყრელიძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე.
კონსტანტინე ლორთქიფანიძე,
ოტია კაპანაძე,
(პასუხისმგებელი მდივანი).
ნოდარ ფულეისური,
ტარიელ ჭანტურია,
სერგი ჭილაია,
თამაზ ჭილაძე.
ლაშა ჯანიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ქარუმიძე

ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმს მიაჩნია, რომ კაცობრიობის მომავალი, რევოლუციურ გარდაქმნათა განვითარება, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ბრძოლის საბოლოო შედეგი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის გაყვება ახალგაზრდობა. კომუნისტური პარტია ყოველთვის განუხრელად ასრულებდა კ. მარქსის ანდერძს იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის უფრო შეგნებულ ნაწილს კარგად ესმის, რომ მთელი კაცობრიობის და, მაშასადამე, მუშათა კლასის მომავალი დამოკიდებულია მომავალი თაობის აღზრდაზე[1].

ახალგაზრდობის ასაკობრივი თავისებურების სწორი გაგება — ახალგაზრდ თაობასთან დამოკიდებულებაში პარტიის პოლიტიკის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი სავალდებულო პირობაა. ახალგაზრდობისადმი ასეთ დამოკიდებულებას იჩენენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები.

ჯერ კიდევ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მიუთითეს ახალგაზრდობის ასაკის „ძლიერ და სუსტ ნიშნებზე", გამოიკვლიეს მოზარდი თაობის ფსიქოლოგია. მათ არ დაივიწყეს ამ თაობის ფიზიოლოგიური თავისებურებანიც. ასე მაგალითად, კარლ მარქსი აუცილებლად თვლიდა ორივე სქესის ბავშვთა და მოზარდთა დაწყნარებას სამ ჯგუფად ასაკის მიხედვით — 9-12, 13-15 და 16-17 წლები. ამასთან კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ თითოეული ჯგუფი მოითხოვს მისადმი სხვადასხვა დამოკიდებულებას. გამოდიოდა რა ამ მითითებიდან, კ. მარქსმა აღზრდის ამოცანები და ახალგაზრდა თაობის სწავლებანი დაუკავშირა მოზარდი თაობის თავისებურებებს.

ფ. ენგელსმა ახალგაზრდობა მოიხსენია იმით შორის, ვინც შედგებენ „პროლეტარული არმიის გადამწყვეტ, დამკვრელ რაზმს". მან ახალგაზრდობისათვის გამოიყენა გამოთქმა — „რეზერვი", რითაც ხაზი გაუსვა მოზარდი თაობის დიდ მნიშვნელობას მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობისათვის.

ბუნებრივია, როცა ვეხებით ახალგაზრდობას, პირველ რიგში თვალში ვვეც�ა წმინდა ასაკობრივი ნიშანი. ადამიანის ორგანიზმის ევოლუცია მოზრდილის მდგომარეობამდე ძირითადად მთავრდება 20 წლის ასაკში. ახალგაზრდობა — ეს საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც ბავშვებისაგან განსხვავებით უკვე ადგება დამოუკიდებელი განვითარების გზას, მაგრამ მოზრდილებთან შედარებით ჯერ მოპოვებული არა აქვს სრული დამოუკიდებლობა და სოციალურად საბოლოოდ არაა ფორმირებული. ახალგაზრდა ადამიანი — ეს არის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პიროვნება, ახალგაზრდობის ასაკში ადამიანს აქვს რეალური შესაძლებლობა მიიღოს განათლება, შეიძინოს ცხოვრების გამოცდილება, თავისი შრომით მიაღწიოს განსაზღვრულ მატერიალურ კეთილდღეობას, რაც აუცილებელია ოჯახის შექმნისათვის.

ამგვარად, მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით ახალგაზრდობა საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც ფორმირდება, სწავლობს, იზრდება, ემზადება იმისათვის, რომ შეეცალოს წინამორბედი თაობა.

ახალგაზრდა თაობის თავისებურებებს განსაზღვრავენ რიგი სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ახალგაზრდობა უფრო მეტად მოძრაავია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით; მას შეუძლია უფრო იოლად, ვიდრე მოზრდილებსა და მოხუცებს, შეეცვა-

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 16, მეორე გამოცემა, 1960, გვ. 198. (რუსულად).

ლოს თავისი ადგილსამყოფელი, ახალგაზრდობას „ყოველთვის, — როგორც ამბობდა მ. ი. კალინინი — აქვს სურვილი ფეხით შემოიაროს მთელი მსოფლიო“. მას ახასიათებს ყოველი ახლის განსაკუთრებული, ზედმიწევნით ამოვსებულობა, ამავე დროს ის არაჩვეულებრივად გულწრფელი და პირდაპირია, მისწრაფება აქვს იდეალურისაკენ და გაანრნი თავგანწირვის დიდი სურვილი.

მ. ი. კალინინი აღნშნავდა: — „ეფიქრობთ, რომ საჭირო არ არის ჩაჯაზშოთ ეს ახალგაზრდული განსაკუთრებული თვისებები. პირიქით, მათ უნდა გავეფრთხილოდეთ, უნდა განვავითართო, მათს ნიადაგზე უნდა აღეზარდოთ ახალი, უფრო სრულყოფილი ადამიანი“2.

კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით ახალგაზრდებისადმი დამოკიდებულებაში ყოველთვის ითვალისწინებდა მოზარდი თაობის აღნშნული თავისებურებებს. ვ. ი. ლენინი 1916 წელს წერდა: „ზშირად ხდება, რომ ხნიერი და მოხუცი თაობის წარმომადგენლებმა არ იციან მიდგომა, როგორც საჭირო, ახალგაზრდობისადმი, რომელიც აუცილებლობით იძულებულია სოციალიზმს **სხვანაირად** მიეახლოდეს, არა იმ გზით, არა იმ ფორმით, არა იმ ვითარებაში, როგორც მისი მამები“3.

ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან ერთად ამ მიმართულებით მას გაანრნა თავისებურებანი. ჯერ ერთი, ახალგაზრდობა როგორც მოსახლეობის ყველაზე მძარავი ნაწილი ყოველთვის იცწრაფვის საზოგადოებრივი განვითარების მოწინავე ზღუდეებისაკენ. ის მებრძოლთა პირველ რიგებში დგას. საბჭოთა ქვეყნის ისტორიული გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდობა ყოველთვის იყო ბრძოლისა და შრომის მოწინავე ხაზზე. მეორეც, ახალგაზრდობის საქმიანობას წარმართავენ მომწიფებული, დამოკიდებული სოციალური ძალები. ეს გასაგებიცაა. ახალგაზრდობა ჯერ კიდევ ყალიბდება და აღიზრდება. ამიტომ მის განვითარებას განსაზღვრავენ უფრო მეტად მომწიფებული თაობები.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობას და აღიარებდა მის დიდ როლს რევოლუციურ მოძრაობაში.

მეფეშვეიკები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ ახალგაზრდობა პარტიისაგან. ბოლშევიკებს უსაყვედურებდნენ პარტიაში ბევრი მუშა-ახალგაზრდობა�ა. ვ. ი. ლენინი, აღნშნავდა რა ახალგაზრდობას შორის რევოლუციური მუშობის უდიდეს მნიშვნელობას, წერდა: „ვინა ბუნებრივი არ არის, რომ ჩვენს პარტიაში, რევოლუციის პარტიაში, ახალგაზრდობა სჭარბობს? ჩვენ მომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ხოლო ნოვატორებს ყოველთვის მეტი ხალისით მისდევს ახალგაზრდობა. ჩვენ ვართ პარტია ძველი სიდამპლის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა, ხოლო თავგანწირულ ბრძოლაში ყოველთვის პირველი წავა ახალგაზრდობაო... ჩვენ მუდამ ვიქნებით მოწინავე კლასის ახალგაზრდობის პარტია“4. 1905 წელს რევოლუციის დღეებში ვ. ი. ლენინი შეშფოთებული აღნშნავდა, რომ ჩვენში არის ახალგაზრდობის რაღაც იდეოტური, ფილისტერული, ობლომოვური შიში, ამასთან დაკავშირებით იგი ს. ი. გუსევს სწერდა: „გემფდარებით მთელი ძალლენინ ებრძოლეთ ამ შიშსო“.

ვ. ი. ლენინი 1905 წლის თებერვალში რჩევას იძლევდა პირდაპირ ადგილზეეე დაბეგრატთ ის, ვინც თავს ნებას აძლევდა და ამბობდა, ადამიანები არ გვყავსო. რუსეთში ადამიანები უამრავია, საჭიროა მხოლოდ... „მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, არ გვეშინოდეს მისი. ოფიციალის დროა. ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს, სტუდენტი ახალგაზრდობაც და კიდეე უფრო მეტად მუშა ახალგაზრდობაც“6.

პროლეტარული ახალგაზრდობის მოძრაობა განუყოფლად იყო დაკავშირებული მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან. ცხოვრების პირობები, ბოლშევიკური პარტიის მუშობა ახალგაზრდობასთან, მთელი რევოლუციური ვითარება რუსეთში მოუწოდებდა მზზარდ თაობას მიეხაძა თავისი უფროსი ამხანაგების მაგალითისათვის და დამდგარიყო რევოლუციური ბრძოლის ბაზზე. რუსეთის **ახალგაზრდა** მუშები, გლეხები და მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თავისი კლასის რევოლუციურ ბრძოლებში.

900-იანი წლების დამდეგს ფართოდ გაჩაღდა სტუდენტთა და მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობა. სასტიკი პოლიტიკური ძალადობის პასუხად სტუდენტები 1901-1902 წლის ზამთარში გაიფიცნენ მთელ რიგ ქალაქებში. გაფიცვაში მონაწილეობდა 30 ათასი სტუდენტი.

ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა მოსწავლე ახალგაზრდობას მუშათა კლასთან ერთად ებრძოლა მეფის თვითმპყრობელობისაგან ხალხის განთა-

2 მ. ი. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, თბ., 1953, გვ. 7.

3 ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდობის შესახებ, თბ., 1956, გვ. 230.

4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 11, გვ. 422.

5 ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდობის შესახებ, გვ. 181.

6 ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდობის შესახებ, გვ. 177-178.

ვისუფლებისთვის, მეორე მხრივ, ურჩევდა მუშათა კლასს მხარი დაეჭირა და ყოველნაირად დახმარებოდა მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკურ სპრობტესტო მოძრაობის. ის წერდა: „...სოციალისტის სახელწოდების ღირსი არ არის ის მუშა, რომელსაც გულგრილად შეუძლია უყურიოს იმას, თუ როგორ ბაზეინის მთავრობა ჯარს მოსწავლე ახალგაზრდობის წინააღმდეგ. სტუდენტი ეხმარებოდა მუშას, — მუშა უნდა დაეხმაროს სტუდენტს“7. მუშებმა მხარი დაუჭირეს სტუდენტთა გამოსვლებს. ამან დიდი ძალა მისცა მოძრაობის. ერთობლივი დემონსტრაციები ჩატარდა ხარკოვში, მოსკოვში, კიევსა და სხვა ქალაქებში.

სოციალ-დემოკრატიული იდეების დაუფლებისადმი დიდ ინტერესს იჩენდა რუსეთის მუშა-ახალგაზრდობა. ვ. ი. ლენინი 1899 წელს წერდა: „მუშათა ახალგაზრდობაში ჩვენ ეხედავთ გატაცებულულ, შეუქცევებელ მისწრაფებას დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეებისაკენ8.

დღითიდღე ძლიერდებოდა ახალგაზრდობის აქტივობა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სპრობტესტო დემონსტრაციებში. მოსწავლე ახალგაზრდობის ოპოზიციური მოძრაობა თანდათან უერთდებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ საერთო დემოკრატიულ მოძრაობას. ამასთან დაკავშირებით რსდმპ II ყრილობამ (1903 წ.) მიზანშეწონილად მიიჩნია განეხილა მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების საკითხი. ვ. ი. ლენინმა დაწერა და წარუდგინა რსდმპ II ყრილობას „პროექტი რსდმპ II ყრილობის რეზოლუციისა მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ“.

ვ. ი. ლენინი აფრთხილებდა ახალგაზრდობას მორიდებოდნენ „ყალბ მეგობრებს“ ესერების, ანარქისტებისა და მათ მსგავსთა სახით, რომლებიც ფუჭი რევოლუციური თუ იდეალისტური ფრაზეოლოგიით, ფილისტერული გოდებით იმის შესახებ, თითქოს მავნებელია და საჭირო არ არის მკვეთრი პოლემიკა რევოლუციურ და ოპოზიციურ მიმართულებათა შორის, აშორებდნენ მას სერიოზულ რევოლუციურ აღზრდას. ამასთან, ეს „ყალბ მეგობრები“ ნამდვილად ავრცელებდნენ მხოლოდ უმრწესპობას და ფუქსავატურ დამოკიდებულებას რევოლუციური მუშაობისადმი9.

რსდმპ II ყრილობის რეზოლუციამ მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ უდიდესი როლი შეასრულა ახალგაზრდობის მოძრაობის გაფართოებისა და რევოლუციურ მოძრაობაში მისი ფართოდ ჩაბმის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსმა რევოლუციონერმა — მარქსისტებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით ახალგაზრდობა გამოიყვანეს რევოლუციური ბრძოლის გზაზე, ჩაუნერგეს მაღალი იდეები, კომუნიზმის გამარჯვების დიადი რწმენა, ბოლშევიკების პარტიამ სწორი მიმართულება მისცა ახალგაზრდობის მოძრაობას, დაეხმარა მას დაეკვეანინა სწორი პოლიტიკური პოზიცია და გაერთიანებულიყო დამოუკიდებელ, კლასობრივ რევოლუციურ ორგანიზაციად.

ვ. ი. ლენინს ღრმად სწამდა ახალგაზრდობისა; ის 1905 წლის 16 ოქტომბერს — პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ მებრძოლ კომიტეტს სწერდა: „...მიმართეთ ახალგაზრდობას, ბატონებო! აი, ერთადერთი, ყოველსმხსნელი საშუალება. თორემ, ღმერთმანი, დაიკარგებით (მე ამას ყველაფრით ვხედავ) და ხელში შეგრჩებათ „მეცნიერული“ ბარათები, ბეგმები, ნახაზები, სქემები, სანაქებო რეცეპტები, მაგრამ ორგანიზაცია, ცოცხალი საქმე კი არ გექნებათ. მიმართეთ ახალგაზრდობას. ახლავე მოაწყეთ მებრძოლი რაზმები ყველგან და ყოველ ადგილას სტუდენტებშიც, განსაკუთრებით მუშებშიც და სხვადასხვა“10.

ვ. ი. ლენინი ასწავლიდა ბოლშევიკებს შეუსუსტებელი ზრუნვა გამოეჩინათ პროლეტარული ახალგაზრდობის განათლებისა და რევოლუციური აღზრდისთვის.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევდა ახალგაზრდობის აღზრდას რევოლუციურ ტრადიციებზე. დღესაც არ დაკარგავს აქტუალური მნიშვნელობა მის სტატეებს: „ახალგაზრდა მუშებს ესაჭიროებათ ძველ **მებრძოლთა** გამოცდილება ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, — იმ მებრძოლთა, რომლებსაც მრავალი გაფიცვა ჩაუტარებიათ, მონაწილეობა მიუღიათ მთელ რიგ რევოლუციებში და რომელნიც გამობრძმედილნ რევოლუციური ტრადიციებით და ფართო პოლიტიკური თვალსახედვით“.11

ვ. ი. ლენინი წერილში ივანე ვასილის ძე ბაბუშკინის შესახებ (1910 წლის 18 დეკემბერი) ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობა

7 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გამოც. გვ. 515.
8 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 256.
9 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 584.

10 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 423-424.
11 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 11, გვ. 497.

ვასტანგ ქარუშიძე

უნდა გაზიაროთ რევოლუციურ ტრადიციებს. ის ამბობდა, რომ საჭიროა გამოვცეთ ბროშურა, რომელიც მოგვითხრობს რევოლუციონერი მუშების ცხოვრებაზე და დასძენდა: „ამგვარი ბროშურა საუკეთესო საკითხავი იქნება ახალგაზრდა მუშებისათვის, რომლებიც მით შეისწავლიან, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს და მოქმედებდეს ყოველი შეგნებული მუშა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინმა ერთერთ მთავარ ამოცანად მიიჩნია ახალგაზრდობის მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის შრომითსა და საბრძოლო ტრადიციებზე აღზრდა. ამასთან ერთად მან ხაზი გაუსვა ამ ამოცანის სირთულეს. ის ამბობდა, რომ ჩვენს შეალშეიელებს უცნაურ რამედ მოეჩვენება კაპიტალისტური წყობილების ეპოქის დოკუმენტები და ფეგლები. ისინი ძლივს წარმოიდგენნენ, თუ როგორ შეიძლებოდა კერძო პირის ხელში ყოფილიყო პრივილეი საჭიროების საგნების ვაჭრობა, როგორ შეიძლებოდა ფაბრიკები და ქარხნები ცალკეულ პირებს ჰქონოდათ საკუთრებად, როგორ შეეძლო ერთ კაცს მეორის ექსპლოატირება, როგორ შეიძლებოდა არსებულიყენენ ადამიანები, რომლებიც არ შრომობდნენ. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ფეოდალ, ბურჟუა ზღაპარზე ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რასაც ჩვენი ბაბუები იხილავენ, მაგრამ ახლა, ამხანაგებო, თქვენ ნათლად ხედავთ, რომ სოციალისტური საზოგადოების შენობა, რომელსაც ჩვენ ჩაეუყარეთ საძირკველი — უტოპია როდია. კიდევ, უფრო გულმოდგინეთ შეუდგებიან ამ შენობის აგებას ჩვენი შვილები“.

კომკავშირი ასრულებდა რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, ყოველივეს დიდ ყურადღებას უთმობდა კომკავშირელთა, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას. ლენინური კომკავშირი ფართო და აქტიურ მუშაობას ეწევა კომუნიზმის მშენებლობის პროიოქში დასახული დიდი ამოცანების განხორციელების, საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის შრომით, საბრძოლო და რევოლუციურ ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

●

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პარტიისა და მუშათა კლასის პირველი რიგის საქმე იყო ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა და ახალი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის შექმნა. ძნელი იყო ახალი სახელმწიფოს შენება. მუშებსა და გლეხებს არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ.

საბჭოთა სახელმწიფოს მმართველობაში მუშათა და გლეხთა ჩაბმა ვ. ი. ლენინს მიიჩნდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმედ. ამიტომ მოითხოვდა იგი ფართო მასიდან შემოდათ ახალი ძალები და დაუფლაცადა ჩაებათ ჯერ „კიდევ გამოუცდელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში“.

ვ. ი. ლენინმა თავის სიტყვაში მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს სხდომაზე 1920 წლის 6 მარტს აღნიშნა:

„მუშათა და გლეხთა მასებმა, რომლებმაც უნდა შექმნან მთელი ჩვენი სახელმწიფო, ახლა უნდა შექმნან სახელმწიფო კონტროლი. თქვენ მიიღეთ ამ აპარატს მუშათა და გლეხთა მასების საშუალებით, მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის საშუალებით, რომელშიც არნახული სიძლიერით გაიღვიძა დამოუკიდებელმა სურვილმა, მზადყოფნამ და გადაწყვეტილებამ თვითონ მოჰკიდოს ხელი სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეს“[12].

ვ. ი. ლენინი უადრესად მაღალ შეფასებას აძლევდა ახალგაზრდობის მზარდ ძალებს, რომლებიც მთელს გატაცებით ჩაებნენ ახალი ცხოვრების — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიდ ფერხულში. ღრმა რწმენით აღსავსეა ვ. ი. ლენინის სიტყვები: „სწრაფად იზრდება მუშათა ახალი ძალები სახელმწიფოს სამართავად, პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების განსაზორციელებლად იმ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის სახით, რომელიც ყველაზე უფრო გულწრფელად, მხურვალედ, თავდადებით სწავლობს, ითვისებს ახალი წყობილებიდან მიღებულ ახალ შთაბეჭდილებებს, თავიდან იშორებს ძველი კაპიტალისტური და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცრურწმენის ნაშუქს, იბრძმედება უფრო მტკიცე კომუნისტებად, ვიდრე მათი ძველი თაობა იყო“[13].

როგორც უკვე აღნიშნეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დღის წესრიგში დადგა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ამოცანები, რომლის განხორციელება პარტიაში ახალი ძალის მოზიდვის აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული.

ვ. ი. ლენინი 1918 წლის 16 აგვისტოს თავის სიტყვაში პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ ამბობდა; იგრძნობა ძალების დიდი ნაკლებობა, მასაში კი არის ასეთი ძალები, ისეთი ძალები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება. მეტი ნდობით უნდა მოვეპყრათ მუშათა მასას და შეეძლოთ იქიდან ძალების მოყრება. ამისათვის ერთ-ერთ ღონისძიებად მან მიიჩნია თა-

---

12 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 501.

13 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 519.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამგრძნობთა ჩაბმა პარტიაში ახალგაზრდობიდან: „ახალგაზრდობა უნდა აეიყვანოთ მუშათა წრიდან... ძველების ნაცვლად უნდა შეეგმატოთ ახალი ძალები — ახალგაზრდები“.[14] — ამბობდა ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინი საჭიროდ თვლიდა გაგეეუმჯობესებინა პპარატი. შეგვეცალა ბევი და მოგვეზიდა ახალი ძალები. კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესზე თავის მოხსენებაში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ამას ვაკეთებთ საკმაოდ სწრაფი ტემპით, რამდენიმე ასი ათასი ახალგაზრდა სწავლობს, — სწავლობს, შეიძლება მტანსმეტი სიჩქარითაც... და ვფიქრობ, რომ ეს მუშაობა თავის ნაყოფს გამოიღებს“[15]. ვ. ი. ლენინი რწმენას გამოთქვამდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გვეყოლებოდა მრავალი ახალგაზრდა, რომელნიც სრულიად შეეცლიდნენ სახელმწიფო აპარატს.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ისეთი მუშები, რომლებიც გამოწრთობილი არიან ბრძოლებში, მიიებული აქვთ გამოცდილება და შეუძლიათ ხელმძღვანელობა, ჩვენ უფრო ნაკლები გვყავს, ვიდრე სხვა ქვეყნებს. ამიტომ ვ. ი. ლენინმ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთ ამოცანად მიიჩნია მუშა ახალგაზრდობის მოსამზადებლად ყოველგვარი ზომების მიღება[16].

ვ. ი. ლენინი სტატიაში „საბჭოთა ხელისუფლების ორი წელი“ — აღნიშნავდა, რომ არსებობს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ათეული და ასეული ათასობით რეზერვები, რომელთაც უნახავთ და იციან მემამულეური და ბურჟუეზიული საზოგადოების მთელი ძველი ჩაგვრა, რომელთაც უნახავთ მშენებლობის გაფგონარი სიძნელეები, რომელთაც უხილავთ, როგორი გმირები მოგვცა მუშაკთა პირველმა გაწვევამ 1917 და 1918 წლებში, მუშაკებისა, რომლებიც ჩვენთან მოდიან მით უფრო ფართოდ, მით უფრო თავდადებით, რაც უფრო მეტად გვემარს. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ეს რეზერვები სრულ რწმენას გვინერგავენ, რომ ჩვენ ორი წლის მანძილზე მივაღწიეთ მტკიცე ადმოეუფხვრელ სამაგრეს და შეეძინეთ წყარო, რომლიდანაც კიდევ დიდხანს შეგვიძლია მიეღოთ ახალი ძალები კიდევ უფრო ფართო მასშტაბით, რათა მშრომელთა წარმომადგენლებმა თვითონ მოპკიდონ ხელი სახელმწიფო მშენებლობის საქმეს“[17].

[14] ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდობის შესახებ, გვ. 281.

[15] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 507.

[16] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 276.

[17] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 141.

ჩვენ უკვე აღნიშნეთ რომ კომუნისტურ პარტიას, ვ. ი. ლენინს ახალგაზრდობა მიიჩნევა ერთ-ერთ „ტტერო რევოლუციურ ძალად. ამიტომ ვ. ი. ლენინმა თავიდანვე მხარი დაუჭირა ახალგაზრდობის ორგანიზაციულ დამოკიდებულებას.

ვ. ი. ლენინი 1916 წელს წერდა: „ახალგაზრდობის კავშირის **ორგანიზაციულ** დამოუკიდებლობას ჩვენ უსათუოდ უნდა დავუჭიროთ მხარი და **არა მარტო იმიტომ,** რომ ოპორტუნისტებს ეშინიათ ამ დამოუკიდებლობისა, არამედ არსებითადაც. ვინაიდან სრული დამოუკიდებლობის გარეშე ახალგაზრდობა ვერ შეძლებს ვერც კარგი სოციალისტების გამოშეშავების თავისთავისაგან, ვერც იმისათვის მომზადებას რომ სოციალიზმი წინ წარმართოს“[18].

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ახალგაზრდობის გაერთიანებას ისეთი კავშირში, რომელსაც ჯერ ერთი, საფუძვლად ედებოდა მოწინავე კლასის იდეები, მარქსიზმის იდეები; მხოლოდ მაშინ გამამრთლებდა ახალგაზრდობის კავშირის შექმნა, თუ თავისი საქმიანობის ხასიათით იქნებოდა კომუნისტური; მეორეც, ახალგაზრდობის კავშირი არ უნდა ყოფილიყო სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის ნარევი, არამედ მას უნდა გაეერთიანებინა რევოლუციური ახალგაზრდობა, რომელიც ზზად იყო პროლეტარიატთან ერთად წასულიყო თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. დასასრულ, ახალგაზრდობის იდეიერ გაერთიანებას თავის დამოკიდებელ კავშირში ვ. ი. ლენინი განიხილავდა განუყოფელ კავშირში პროლეტარიატის რევოლუციურ პარტიასთან. ის ახალგაზრდობის ჯგუფებისა და წრეების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად თვლიდა „გვანსაზღვრული იდეების გავრცელებას, კლასობრივი შეღლის გამოკვეევას, იდეურ გამოჯანსაღ“. მისი აზრით, იდეური გაერთიანება ნიშნავდა „წინ წაყვანის უნარის მქონე იდეებს, მოწინავე კლასის იდეების გავრცელებას“[19].

პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით თავიდანვე დაუჭირა მხარი ახალგაზრდობის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას. მაგრამ არ შეიძლებოდა იმის დაეიწყება, რომ ახალგაზრდობა ნაკლებად გამოცდილი და პოლიტიკურად გამოუწრთობი იყო. მას არ ჰქონდა ნათელი თეორიული შეხედულებანი და სწავლობდა მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაში. ამი-

[18] ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდობის შესახებ, გვ. 230.

[19] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 34.

ვახტანგ ქარუშიძე

ტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიულ ხელმძღვანელობას.

ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობაზე ამბობდა, რომ ეს არის საზოგადოების „დაუდგრომელი, აბობოქრებული, მაძიებელი“[20] — ნაწილი. ის თვლიდა, რომ ახალგაზრდობა, ერთი მხრივ, საზოგადოების ყველაზე ენერგიული და მოქმედი ნაწილია, მეორე მხრივ, ნაკლებად გამოცდილი და პოლიტიკურად გამოუწრთობელი. ამიტომ მოსალოდნელია ახალგაზრდობამ დაუშვას შეცდომები. ამ შეცდომებს სხვაგვარად უნდა მიეუდგეთ. ვ. ი. ლენინი წერდა „მაგრამ ასეთი ადამიანების არასაქმისა თეორიულ გარკვეულობას საჭიროა მოვეპყრათ სრულიად სხვაგვარად... ერთია — პროლეტარიატის გზის ამბრეები მოზრდილი ადამიანები, რომელნიც იმის პრეტენზიის აცხადებენ, რომ გაეძღვენ ნ ასწავლონ სხვებს: მათ წინააღმდეგ საჭიროა ულმობელი ბრძოლა. სხვა საქმეა — ახალგაზრდობის ორგანიზაციები, რომელნიც აშკარად აცხადებენ, რომ ისინი ჯერ კიდევ სწავლობენ, რომ მათი ძირითადი საქმეა — მოამზადონ მუშაკები სოციალისტური პარტიებისათვის“.[21]

ვ. ი. ლენინი იმ აზრს იკიდებ, რომ კომუნისტური პარტიები უნდა დახმარებოდნენ ახალგაზრდობის კავშირებს, ეჩვენებინათ ბრძოლა და სწავლის სწორი გზები, აეცდინათ მოსალოდნელი შეცდომები.

ჯერ კიდევ რსდმპ II ყრილობამ ვ. ი. ლენინის წინადადებით მოსწავლთა ჯგუფებსა და წრეებს რჩევა მისცა პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლისას წინასწარ დამეკარებინათ კავშირი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რათა ესარგებლათ მათი მითითებებით და, შეძლებისამებრ, თავიდან აეცილებინათ დიდი შეცდომები მუშაობის დასაწყისშივე.

დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინურ მითითებას ახალგაზრდობასთან დაახლოების, მისთვის ყოველგვარი დახმარების გაწევის, შეცდომებისაგან მოთმინებით დამოკიდებულების და აღმზრდელობით მუშაობაში დაჯერების მეთოდით ხელმძღვანელობის აუცილებლობის შესახებ. ვ. ი. ლენინი წერდა: ახალგაზრდებს უნდა დავეხმაროთ შეცდომების გამოსწორებაში. „ასეთ ადამიანებს საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ, რაც შეიძლება მეტი მოთმინებით მოვეპყრათ მათ შეცდომებს, ვეცადოთ ეს შეცდომები გავუსწოროთ თანდათანობით და უმოკრესად დაჯერების საშუალებთ, და არა ბრძოლით“.[22]

ვ. ი. ლენინმა თავის ერთ-ერთ სტატიაში 1916 წელს ამბილო ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის ორგანოს „ახალგაზრდობის ინტერნაციონალის“ შეცდომები და მტკიცედ მოითხოვა კავშირი გაეპათ ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან და დახმარებოდნენ მათ.

ის წერდა: „ეს შეცდომები უნდა უარვყოთ და განვმარტოთ, ამავე დროს მთელი ძალღონით უნდა ვეცადოთ კავშირი გავაპათ და დავუპყოლოდეთ ახალგაზრდობის ორგანიზაციებს, ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ, მაგრამ მათ მოხერხებულად უნდა მიეუდგეთ“.

ვ. ი. ლენინი შემდგომ წლებშიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობას საჭიროა გავუსწოროთ შეცდომები, აღზრდოთ რევოლუციურ ტრადიციებზე. 1919 წელს ვ. ი. ლენინი მოუთითებდა, რომ საუკეთესო ძალები ამოიწურა, წელმი გაწყდა და მოიქანცა. ისინი უნდა შეეცვალოთ, უნდა ავამოძრაოთ საუალო ჯგუფობა, ახალგაზრდობა.

„შესაძლოა — ამბობდა ვლადიმერ ილიას ძე, — მათ შეცდომები დაუშვან, — არა უშავს რა; ოღონდ ეროვნული იყვნენ მუშათა საქმისა, აღზრდილნი იყვნენ პროლეტარულ ბრძოლის ვითარებაში“.[23]

და ვ. ი. ლენინი ეხმარებოდა ახალგაზრდობას, აძლევდა რჩევა-დარიგებებს, მითითებებს. მის წინაშე სვამდა ახალ-ახალ ამოცანებს. ახალგაზრდობის აქტივიტას წარმართავდა ამ თუ ამ საპასუხისმგებლო ამოცანის შესასრულებლად.

ვ. ი. ლენინი შეიარაღებული აჯანყების გეგმის შემუშავებისას ანგარიშს უწევდა ახალგაზრდობას და დიდმნიშვნელობას ანიჭებდა მას. სტატიაში „გარეშეს რჩევანი“ ვ. ი. ლენინი წერდა: „გამოიყოს ყველაზე გაბედული ელემენტები (ჩვენი „დამკვრელები“ და **მუშათა ახალგაზრდობა**, აგრეთვე სუეკეთესო ბატრასები) პატარ-პატარა რაზმებად, რათა მათ დაიკავონ ყველა უმნიშვნელოვანესი პუნქტი და მონაწილეობა მიიღონ ყველგან, ყველა მნიშვნელოვან ოპერაციაში“.[24]

ეს იყო ახალგაზრდობის რევოლუციურ დირსებათა უმაღლესი შეფასება და რუსეთის ახალგაზრდობამ პარტიის დიდი ნდობა სავსებით გაამართლა ოქტომბრის დღეებში.

1918 წლის 29 ოქტომბერს გახსნილმა I ყრილობამ, ხორცი შეისხა ვ. ი. **ლენინის იდეას** — ახალგაზრდობის დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნის შესახებ. კომკავშირის I ყრილო-

---

20 ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდობის შესახებ, გვ. 229.

21 **იქვე.**

22 იქვე, გვ. 229-230.

23 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 81.

24 ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. 11. თბილისი, 1966, გვ. 525.

ბამ აღიარა სამი ძირითადი პრინციპი: 1. კავშირი სოლიდარულია რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკების), კავშირი მიზნად ისახავს კომუნიზმის იდეების გავრცელებას და მუშათა და გლეხი ახალგაზრდობის ჩაბმას საბჭოთა რუსეთის აქტიურ მშენებლობაში, 2. კავშირი წყობილებისადმი დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, 3. კავშირს ეწოდება რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.

ვ. ი. ლენინმა მიიღო პირველი ყრილობის დელეგაცია და საუბარი ჰქონდა მასთან. ალექსანდრე ბეზიმენსკი თავის მოგონებაში აღნიშნავს: „იწონებდა რა ჩვენი ქმედების პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის ყოველგვარ გამოვლინებებს, ვლადიმერ ილიას ძე ამავე დროს დაინებით ამახვილებდა ყურადღებას იმ გზებზე, რომლითაც რაკკს უნდა ევლო, რათა ჩვენი ახალგაზრდობა ყოფილიყო არა მარტო პოლიტიკურად ვამეოფლნობიერებული და განათლებული, არამედ მზნე, ხალისიანი და ყოველთვის ინიციატიანი. საბჭოთა ქვეყნის ჯაბუკები და გოგონები, როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირად ცხოვრებაში უნდა ცხოვრობდნენ ლამაზად და ხალისიანად. ბრძოლა, შრომა, სწავლა, სპორტი, მხიარულება, სიმღერა, ოცნება — აი, დარგები, რომელშიც ახალგაზრდობამ მთელი გაქანებით უნდა გამოამჟღავნოს თავისი თავი“25.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე კომკავშირი გამოვიდა როგორც საბჭოთა საზოგადოების აქტიური რევოლუციური, შემოქმედი ძალა, კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე მებრძოლთა მომზადების სკოლა, დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის მთელ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა კომკავშირის მუშაობის ძირითადი პრინციპები, რაც საფუძვლად უდევს ლენინური კომკავშირის მთელ საქმიანობას.

1920 წლის ოქტომბერში მოსკოვში შედგა კომკავშირის III ყრილობა. ყრილობის გახსნის დღეს — 2 ოქტომბერს სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა. თავისი სიტყვა ვ. ი. ლენინმა მიუძღვნა ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანებს.

ვ. ი. ლენინის სიტყვა წარმოადგენს კოჟენსტური საზოგადოების მშენებელთა აღზრდის საბრძოლო პროგრამას. მასში ღრმადაა დამუშავებული ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის ყველა ძირითადი საკითხი, განსაზღვრულია კომკავშირის მთავარი ამოცანები.

ა. ლ. ბეზიმენსკი წერს:

„ლენინის სიტყვები უბრალო და დამაჯერებელი იყო. მის მიერ თქმული სამართლე ათაკეცებდა მტკიცებათა ძალას. ლენინის სიტყვაში ისმოდა ყოველშემძლე ადამიანის მგზნებარება, უზარმაზარი გამოცდილების ძალა, წრფელი სიყვარული იმისადმი, რითაც იგი ცხოვრობს, რითაც ცხოვრობენ სხვები, ვენის მოთხოვნილება და სიმკაცრე, მამობრივი უბრალოება და ალერსი ადამიანისა, რომელიც მტკიცებისა და დარწმუნებისაკენ მიდის“.26

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კომკავშირი ახალგაზრდობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც იდეურად და ორგანიზაციულად აკავშირებს ახალგაზრდობის უფაროოوو

ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის შესახებ

ბამ ალიარა სამი ძირითადი პრინციპი: 1. კავშირი სოლიდარულია რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკების), კავშირი მიზნად ისახავს კომუნიზმის იდეების გავრცელებას და მუშათა და გლეხი ახალგაზრდობის ჩაბმას საბჭოთა რუსეთის აქტიურ მშენებლობაში, 2. კავშირი წყობილებისადმი დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, 3. კავშირს ეწოდება რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.

ვ. ი. ლენინმა მიიღო პირველი ყრილობის დელეგაცია და საუბარი ჰქონდა მასთან. ალექსანდრე ბეზიმენსკი თავის მოგონებაში აღნიშნავს: „იწონებდა რა ჩვენი ქმედების პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის ყოველგვარ გამოვლინებებს, ვლადიმერ ილიას ძე ამავე დროს დაინებით ამახვილებდა ყურადღებას იმ გზებზე, რომლითაც რაკკს უნდა ევლო, რათა ჩვენი ახალგაზრდობა ყოფილიყო არა მარტო პოლიტიკურად ვამეოფლნობიერებული და განათლებული, არამედ მზნე, ხალისიანი და ყოველთვის ინიციატიანი. საბჭოთა ქვეყნის ჯაბუკები და გოგონები, როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირად ცხოვრებაში უნდა ცხოვრობდნენ ლამაზად და ხალისიანად. ბრძოლა, შრომა, სწავლა, სპორტი, მხიარულება, სიმღერა, ოცნება — აი, დარგები, რომელშიც ახალგაზრდობამ მთელი გაქანებით უნდა გამოამჟღავნოს თავისი თავი“25.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე კომკავშირი გამოვიდა როგორც საბჭოთა საზოგადოების აქტიური რევოლუციური, შემოქმედი ძალა, კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე მებრძოლთა მომზადების სკოლა, დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის მთელ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა კომკავშირის მუშაობის ძირითადი პრინციპები, რაც საფუძვლად უდევს ლენინური კომკავშირის მთელ საქმიანობას.

1920 წლის ოქტომბერში მოსკოვში შედგა კომკავშირის III ყრილობა. ყრილობის გახსნის დღეს — 2 ოქტომბერს სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა. თავისი სიტყვა ვ. ი. ლენინმა მიუძღვნა ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანებს.

ვ. ი. ლენინის სიტყვა წარმოადგენს კოჟენსტური საზოგადოების მშენებელთა აღზრდის საბრძოლო პროგრამას. მასში ღრმადაა

---

25 ალექსანდრე ბეზიმენსკი, კომკავშირის პირველ ყრილობებზე, თბ., 1958, გვ. 11.

26 ალექსანდრე ბეზიმენსკი, კომკავშირის პირველ ყრილობებზე, 1958 გვ. 50.

27 ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტომი 3, თბილისი 1967, გვ. 576-577.

ვახტანგ ქარუშიძე

მის ამ მშენებლობაში არ იქნა ჩაბმული მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მთელი მასა, ისე თქვენ კომენისტურ საზოგადოებას ვერ ააშენებთ“![28]

ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის კავშირის წევრის ამოცანად თვლიდა იმას, რომ ის დახმარებოდა პარტიას და მთელ ახალგაზრდა თაობას კომენისტური საზოგადოების შექმნაში. კომკავშირი კომენისტური პარტიის აქტიური თანაშემწე და რეზერვია, ის მთელი თავისი საქმიანობით ეხმარება პარტიას ახალგაზრდობის კომენისტურად აღზრდაში, აბამს მას ახალი საზოგადოების პრაქტიკულ მშენებლობაში.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობამ უნდა ააშენოს კომენისტური საზოგადოება. ამისათვის ნიადაგი გაწმენდილია. იგი ასე მიმართავდა ახალგაზრდობას: „თქვენს წინაშე მშენებლობის ამოცანაა, და თქვენ მის გადაწყვეტას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, თუ დაეუფლებით მთელ თანამედროვეობას, თუ უნარი გექნებათ — კომენიზმი მზამზარეული დასწავლილი ფორმულებიდან, რჩევა-დარიგებებიდან, რეცეპტებიდან, ბრძანებებიდან, პროგრამებიდან გადააქციოთ ის ცოცხალ რამედ, რაც აერთიანებს თქვენს უშუალო მუშაობას, გადააქციოთ კომენიზმი თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ“29.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა იმასაც, რომ ახალგაზრდობას მხოლოდ იმით შეეძლო შეესწავლა კომენიზმი, თუ თავისი სწავლის, აღზრდისა და განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებდა პროლეტართა და მშრომელთა განუწყვეტელ ბრძოლას ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინს კომკავშირის მუშაობას მნიშვნელოვან პრინციპად მიაჩნდა მისი ყველა წევრისა და ორგანიზაციის ინიციატივა და თვითმოქმედება. ლენინური კომკავშირი ყოველთვის განუხრელად ატარებდა და ატარებს ცხოვრებაში ვ. ი. ლენინის ანდერძს იმის შესახებ, რომ „კომენისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას“.30

ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა ახალგაზრდობის ინიციატივას ცხოვრების ყველა დარგში. როდესაც 1919 წელს პეტროგრადის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ჩაატარა „ახალგაზრდობის კონფერენციები“, ვ. ი. ლენინმა მხარი დაუჭირა ამ თაოსნობას. მან 1919 წლის 18 დეკემბერს მისალმება გაუგზავნა პეტროგრადის გუბერნიის ახალგაზრდობას. იგი წერდა: „გაამეორეთო, ახალგაზრდა ამხანაგებო, თქვენი მუშაობა ამ მიმართულებით, რათა მჩქეფდეს ახალგაზრდული ძალღონით მოკაკილი ხელი ახალი, ნათელი ცხოვრების მოწყობას“.

ვ. ი. ლენინს შრომაში აღზრდა მიაჩნდა კომენისტური აღზრდის მთავარ საშუალებად. ლენინური კომკავშირის საქმიანობას საფუძვლად უდეს ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „...ყოველდღე, ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას“.31 ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის კომენისტური კავშირის ამოცანად თვლიდა ახალგაზრდობა აღეზარდა შეგნებულ და დისციპლინირებულ შრომაში.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობის კომენისტურმა კავშირმა აუცილებელია თავისი განათლება, სწავლა და აღზრდა შეაერთოს მუშათა და გლეხთა შრომასთან, მისი ამოცანაა არ ჩაიკეტოს თავის სკოლებში და არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ კომენისტური წიგნებისა და ბროშურების კითხვით. ვ. ი. ლენინი წერდა: „მხოლოდ მუშებსა და გლეხებთან საერთო შრომაში შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომენისტები“.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კომენისტურ აღზრდას წარმატება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი ეყრდნობა ღრმა და ყოველმხრივ ცოდნას, ადამიანთა მაღალ კულტურას.

ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები, —ამბობდა ვ. ი. ლენინი, — შეიძლება გამოთქვათ ერთი სიტყვით — „ამოცანა იმაში მდგომარეობს რომ ისწავლონ“.

ვ. ი. ლენინმა თავის სიტყვაში კომკავშირის III ყრილობაზე პასუხი გასცა მთავარ და არსებით კითხვებზე — რა ისწავლონ და როგორ ისწავლონ ახალგაზრდებმა.

ვ. ი. ლენინს აუცილებლად მიაჩნდა იმ ახალ თაობათა სწავლის, აღზრდისა და განათლების გარდაქმნა, რომლებიც კომენისტურ საზოგადოებას შექმნიდნენ. ამასთან ვ. ი. ლენინს კარგად ესმოდა, რომ ახალგაზრდობის სწავლა, აღზრდა და განათლება უნდა გამომდინარეობდეს იმ მასალიდან, რომელიც ძველმა საზოგადოებამ დაგვიტოვა. ის აღნიშნავდა, რომ „ულტრულ მემკვიდრეობაში ის, რაც მომა-

---

28 ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტომი 3, გვ. 571.

29 ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, თხზ., ტ. 3, გვ. 571.

30 ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. 3, გვ. 579.

31 ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. 3, გვ. 581.

ვალს მეუფეს უნდა გამოვყოთ იმისაგან, რაც წარსულს ჰაბარდა და საფუძვლად დაედო ახალ კულტურას. საჭიროა ლამაზი შენინარჩუნოთ, ის ნიშუნად ვაქციოთ, მას უნდა დაეუფლონთ. ზერგი კი უნდა შევაქციოთ მას ამ სამაბით, რომ იგი ძველია[32].

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სოციალიზმის შენებლობის პროცესში მუშათა კლასმა კრიტიკულად უნდა ითვისოს მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების ყველა მონაპოვარი, რაც შეიქმნა კაპიტალიზმის დროს. „ჩვენ შეგვეძლია ვაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და ფუფსებულებათა მხოლოდ იმ ჯამით, ადამიანთა ძალებისა და საშუალებების იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩა“.[33]

იმისათვის, რომ წარმატებით აშენოს კომუნისტური საზოგადოება, ახალგაზრდობამ პირველყოვლისა უნდა ისწავლოს კომუნიზმი.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ ისწავლოს კომუნიზმი? ამისათვის საჭიროა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — უნარი კაცობრიობის ცოდნის მთელი ჯამის შეთვისებისა, ისე შეთვისებისა, რომ კომუნიზმი რაღაც დაზეპირებული რამ კი არ გამოვიდეს, არამედ ისეთი რამ იყოს, რაც თვითონ ახალგაზრდობის მიერაა გააზრებული, ის დასკვნები იყოს, რომლებიც ეუცოდველია თავნამდეროვე განათლების თვალსაზრისით.

ჩვენ — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ძველი სკოლიდან უნდა ავიღოთ ის, რაც მასში, კარგი იყო. ძველი სკოლიდან არ უნდა ავიღოთ ის, რაც ახალგაზრდა ადამიანის მეხსიერებას ტვირთავდა უამრავი ცოდნით, რომლის ცხრა მეათედი უსარგებლო იყო, ხოლო ერთი მეათედი დამახინჯებული. ვ. ი. ლენინი წერდა: „კომუნისტმა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია“.[34]

საბჭოთა სკოლა თავისი განვითარების ყველა ეტაპზე განუხრელად ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მითითებებით, რომ ახალგაზრდობამ სწავლა დაუკავშიროს შრომას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის, ბრძოლას ხალხის კულტურისა და განათლებისათვის. კომკავშირი, რომელიც ვ. ი. ლენინის ანდერძს, ეხმარება ახალგაზრდობას ცოდნის, კულტურის, ტექნიკის, მეცნიერების დაუფლებაში.

ვ. ი. ლენინის აზრით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა — ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია კომკავშირის მთელ მუშაობაში, მისი ძალისა და ძლიერების წყარო. პარტიის პოლიტიკა, მისი გადაწყვეტილებანი და მითითებანი კომკავშირის საპრაქტიკო პროგრამაა. კომკავშირი კომუნისტური პარტიისაგან სწავლობს ლენინურად ცხოვრებას, მუშაობას, ბრძოლასა და გამარჯვებას.

ვ. ი. ლენინმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა კომკავშირის V ყრილობას, რომელიც წაკითხული იქნა პირველ სხდომაზე 1922 წლის 11 ოქტომბერს. დეპეშაში აღნიშნულია: „ძვირფასო მეგობრებო! ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია პირადად მოგესალმოთ. ყოველგვარ წარმატებას ვუსურვებ V ყრილობის მუშაობას. დარწმენებული კარ, ახალგაზრდობა შეძლებს ისეთი წარმატებით განვითარდეს, რომ მსოფლიო რევოლუციის შემდგომი მომენტის მომწიფების დროისთვის სავსებით აღმოჩნდეს ამოცანის სიმაღლეზე“.[35]

ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა საოციალისტური შენებლობის ყველა ეტაპზე მუდამ იდგა კომუნისტური საზოგადოების შენებელთა მოწინავე რიგებში, მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ამბარდა ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას. აგრძელებს რა თავის სახელოვან ტრადიციებს, იგი დღეს აქტიურად იბრძვის სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

ახლა, როცა კომუნისტური საზოგადოების აშენება პარტიისა და საბჭოთა ხალხის უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა, კიდევ უფრო მაღლდება ლენინური კომკავშირის როლი ჩვენი ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით, კომკავშირი მოწოდებულია უფრო მეტად იჩენდეს ინიციატივას და თოსსნობას ცხოვრების ყველა დარგში, აეითარებდეს ახალგაზრდობის აქტივობასა და შრომით გმირობას, განუხრელად ახორციელებდეს იმ ამოცანებს, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა.

---

32 ვ. ი. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1957, გვ. 609.

33 ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. 3, გვ. 564.

34 იქვე, გვ. 568.

35 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 440.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წიგნიდან

მკვდრები

არდავიწყების
მწვანე კონცხთან ამოდის გემი
ზღვის უფსკრულიდან:
მისცემიან გემბანზე ფიქრებს.
მიცვალებულებს
ალამაზებს ოცნება ჩემი —
ბევრი მათგანი
ქუდს მიხდის და
ცხვირსახოცს მიქნევს.

აკაკი მოკვდა,
მოკვდა ვაჟაც, ილია მოჰკლეს,
გალაკტიონმა,
ვიცით, თვითონ გაშალა ფრთები.
ფასმეუვალი
და მწუხარე ხომალდი მოჰქრის,
მოჰქრის ხომალდი
დახუნძლული
ძვირფასი მკვდრებით.

ხოლო ცოცხლები
ჩემს ნაპირზე ჩემს გვერდით დგანან —
მგონია, ვდგავარ
ერთდროულად ძმებთან და მტრებთან —
ხელს ვართმევ ცოცხლებს,
მაგრამ მკვდრები სხვა ნისლში ჩანან
და კარგად ვიცი,
რომ საერთო
ბევრი მაქვს მკვდრებთან.

— წინ! ასწი თასი!
მოაშურე ჩვენს მსუბუქ ხომალდს! —
ვიღაც დიდი და
იდუმალი გაფრენას მირჩევს
და გალურსული
ჩემი სული სიფრთხილით ზომავს
გასაფრენ მანძილს
და საფრენად
უძნელეს სივრცეს.

ხომ არ დაბერდა,
ხომ არ გაცვდა ჭურჭელი ხორცის,
რომ, რაც დრო გადის,
უხორცობის წყურვილით ვთვრები,
რომ მპირდებიან
სამუდამო ტაძარში ქორწილს
და მეძახიან,
მეძახიან
მე ჩემი მკვდრები?!

რა არის წლები,
ეპოქები რა არის ხშირად,
მოწამებრივი,
ხორციელი ცხოვრების შემდეგ
უსაზღვროების
თუ იქცევი წილად და შვილად
და წარიმლება
შენთვის მზღვარი
და სიტყვა „შესდექ!"

ჩუ, ეს ვინ გალობს?
მწვანე კონცხთან ფრიალებს აფრა —
კრთის და ფრთხიალებს
უთეთრესი ყვავილი ხსოვნის.
იქ არა ერთის
შარავანდი ბრიალებს ლამპრად,
იქ რუსთველია
წინმდგომად და
მეუფედ ყოვლის.

იქ, წინაპრებთან,
ჩემი დროის შვილებიც ჩანან.
მკერდბუმბერაზი
ეს ვინ დადგა მამების გვერდით?
ოჰ, რა ღირსებით,
რა ლომური ჭაღარით დგანან
და რა ურყევნი
ერთი მრწამსით
და ერთი ხვედრით!

აკაკი მოკვდა,
მოკვდა ვაჟაც, ილია მოჰკლეს
გალაკტიონმა —
ცაში თვითონ გაშალა ფრთები.
ფასშეუვალი
და მწუხარე ხომალდი მოჰქრის,
მოჰქრის ხომალდი
დახუნძლული
ძვირფასი მკვდრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ, ასწი თასი!
მოაშურე ჩვენს მსუბუქ ხომალდს! —
ვიღაც, დიდი და
იდუმალი, გაფრენას მირჩევს...
და გალურსული
ჩემი სული სიფრთხილით ზომავს
გასაფრენ მანძილს
და საფრენად
უძნელეს სივრცეს.

●

ათი წლის შემდეგ, თამუნია ქავთარაძეს

მე ჩემს წიგნს
„მახსოვს!" დავაწერე,
რადგან ყველაფერი მახსოვს,
ხსოვნა
ღვინოსავით დავაძველე
და მოგონებები მახრჩობს.

ზოგი მოგონება
ფრთხიალებს,
ზოგი — დაჭრილივით ბღავის.
ვიხსენებ
მაგ თვალებს წყლიანებს,
გიგონებ — უმწეო ყვავილს.

წლები გადის და,
ხმაურია —
ჩქარია ცხოვრება ჩვენი.
სადა ხარ,
სადა ხარ, თამუნია,
სად, რომელ ხეობას შვენი?!

ქმარ-შვილი
ხომ არ დაგეხვია,
ცხოვრების თონე და ალმური?
ერთხელ
დუმილი დაგერღვია,
მახსოვრობის ხე — დაგერხია,
შენც,
შენც დაგერხია,
თამუნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტუნა
    გამოფრინდა წალმიდან,
        დასკუპდა შტოზე და გალობს.

მე შენგან
        არაფერი არ მინდა,
            იხარე, პაწია ქალო!

უხვად
    საქმეები გაიჩინე,
        გაჯერდი ქმარ-შვილის მოვლით.

წარსულით
        გულს ნუ დაიმძიმებ,
            მით უფრო — წყეული ხსოვნით.

მე კი — მიტკალივით თეთრია
            ჩემი ღამეების ჯარი —

მე სხვა ვარ,
        პოეტების ხვედრია,
            გვახსოვდეს ცოცხალი და მკვდარი...

ასი მოგონება
        ფრთხიალებს,
            ასი — დაჭრილივით ბღავის,

ასიც —
    ყვავილივით იალებს
        და კუბოს ფიცრამდე ჰყვავის.

მატარებლიდან

მატარებელმა
            მიაკივლა პატარა სადგურს
და მოსახვევში,
            კალმით ნახატს, წყლისპირად ჩადგმულს,
ზედ გადააწყდა,
            გადათქერავს საცაა ჯიქურ
სადგურს კი არა,
            სადგურს კი არა, მეისრის ჯიხურს...
და უცბად, წყევლა:
            — შენ დაგმარხე! ე გოგო, დასვი! —
მატარებლისკენ
            ბავშვიანი გამორბის ბავშვი.
მოასხაპუნებს
            კანგა გოგო ეზოში ბალახს,
მოაჭყაპუნებს
            ჭრელი ყურშა დურბელს და ტალახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალ ხელში ჩვილით
მიწაყრილზე გოგონა შედგა,
მეორე ხელში
ბიისფერი ალამი ფეთქავს.
ბატონკაცურად
საწოვარას ბიჭუნა ღეჭავს
და თვალს ადევნებს
ქალაქიდან მოვარდნილ ვეშაპს.
გაშვერილია
ბავშვიანი ბავშვისკენ თითი
ყველა სარკმლიდან,
და დგას იგი მკაცრი და მშვიდი...
რას შეიძლება
აკეთებდეს ამჟამად დედა?
სარეცხს თუ რეცხავს,
ოწინართან დამკლაულს ვხედავ.
ხოლო მეისრე
ორთქლმავლისკენ იბრუნებს კისერს,
ვენახში დგას და
ცოლიკაურს ასხურებს ცისფერს.
ოჰ, ეს სურათი!
ყვირილაზე, დარკვეთის ახლოს,
მინახავს ხშირად,
მკლავს სურვილი, ხელახლა ვნახო!
იმედად ქოხის,
ლხინად ქვეყნის, მომხმარედ მშობლის —
დგას ქანდაკებად
მშვენიერი მადონა სოფლის.

●

უპირველესად
ვაღმერთებ ქართველს,
მას მერე —
ვისიც რამდენად მმართებს:
ქურთსა და სომეხს,
რუსსა და თათარს —
ამის უფლებას
მე ვინ წამართმევს!

სად ყოვლიარი
გადატრუსულა
და რუხი სჩაგრავს
მხიარულ ფერებს,
— გურუზინ? —
თათარი მკითხავს რუსულად
და მიმასწავლის
საკურდღლე სერებს.

წყვილ ვაზნას მივცემ
ჩემს ახალ ყონაღს —
„ფეშქეშ!“ —
და თვალებს მიშტერებს ნდობით.
დასტოვებს ცხვარს და
გადვივლით გორმახს.
ავუხმაურებ
სამშობლოს თოფით...

მინდა, ეს ლელი
ლერწმად გავთალო,
სალამურსავით
ჩავბერო ყელში...
„ხომ გელდი!“
ძმა ხარ, ჩემო თათარო!
ერთ ბედქვეშა ვართ
აზიის ტყეში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ ე ლ ა ვ!

ელენე — ლენა იყო,
მაგრამ უბღვერდი ყველას
და დიდი პაპა-ნიკოც
ჯიუტად
გეძახდა
ლელას.

— ლელავ,
ცხვარ-ძროხა მოვიდა!
— ლელავ,
ხბორს უნდა შველა!
— ლელავ,
ეგ დოქი მომიტა! —
ლელავ,
ლელავ და ლელავ!

ლელათი გაგახარებდა,
ლელას პოემით გწვავდა,
ბიჭსავით
დაგატარებდა,
ბიჭსავით
ცხენზე გსვამდა.

შევბერებულვართ, ერიკა!
სიმამწვილისა გვერდით,
იგონებ ლომებრ ბერიკაცს
ჩუმი წყენით და სევდით.

იგონებ, რამაც შეგვყარა,
რაც დროსთან ერთად გარბის;
ქალაბიჭობის ქვეყანას,
იმ შენს ატოცს და აბისს...

ხელთ ერბო-კვერცხი მოგვიწვი,
სათვალით ჰკერავ გობანს.
მე შენი სიმხნე რომ ვიცი,
იქმოდი
ლელაობას.

მაგრამ
ვერა ჰქმენ, ცხადია,
ქმარ-შვილსღა შეგვრჩი, ლელავ —
შენ, ჩემო: ცოლო, გადიავ,
დაო,
ძმაო და
ყველავ!

●

მე გამიწვდია
განსაცდელში კაცისთვის ხელი,
ყოფილა, ჩემთვის
ორი ხელი გამოუწვდიათ.
ველოდი გუშინ,
დღესაც, ხვალაც განსაცდელს ველი,
კაციც ის არის,
ვისაც იგი გამოუცდია.

უბრალო არის
და მარტივი ეს სიბრძნე ძველი,
მარტივი არის
და უბრალო, მაგრამ ზუსტია:
სანდოა კაცი
ჭირნახული და მაინც წრფელი,
ხოლო
ერთთავად ლხინში მყოფი კაცი
სუსტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერჩევი ხალხში,
ვერიდები იმ მაცდურ კიბეს,
სადაც მზაკვარნი
შეკლიმიან ერთმანეთს ტკბილად;
განსაკუთრებით,
დალხინებულს ვერ ვიტან ტიპებს
და გაცნობამდე
ვკითხულობ ფრთხილად:

— ხომ არ ქებულა
ეს კაცი ჩვენში?
— ხომ არ გდებულა
იმ ტიალ ტყეში?
— ხომ არ ჰქონია
ჩვენი მტრის ჟინი?
— ხომ არ ყოფილა
და, თუ იყო,
რისთვის იყო
სიკვდილმისჯილი?!

●

ეს ნანგრევები
მეც მომბერენ
ათასგვარ ქარებს:
შავით მოსილებს,
მსასოვრებს,
ჩუმებს და წყნარებს,
მოაქვთ წყალი
კუნეთიდან
მოწყენილ ქალებს...

მოაქვთ იმედიც —
მოკავშირე ჩემი
და მომმე:
აქ ხალხმრავლობის
და მძლავრობის
ვყოფილვარ მოწმე
და ვიმედოვნებ,
რომ ხელახლა
ვიქნები როსმე!

ყაყაჩოს...

ყაყაჩოვ, შლილს და ტკბილს,
ჩემზე იმდენი გითქვამს
მგოსნის და კაი ყმის
ქებად სათქმელი სიტყვა,

რომ, თუმცა სუნთქვაც ჭირს
ამა მზაკვართა სოფლად,
მარტო შენ გამო ღირს
ჩემი ამ ქვეყნად ყოფნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩქარობო, მითხრეს,
ცხარობო, მკადრეს,
სული წინ გისწრებს,
ბერდები, წახდი;
ხავერდოვანი
იყავი ადრე —
პირშიმთქმელი და
პირქუში გახდი...

გახედე — ნამყოს,
გახედე — აწმყოს!
გახედე — მყობადს!
ჩასწვდი — საწადელს!
მე მინდა თქვენთვის!
მე მინდა თქვენთვის!
ეს მდელოები
მალე ამწვანდეს!

და თქვენთვის ჩქარობს
ოცნება წმინდა,
ვჩქარობ, არ დამრჩეს
მართლა ოცნებად.
მოუსწრებელის
მოსწრება მინდა
და მელანდება
სხვა საოცრება.

ვრჩები ერთგული
მე ჩემი ღმერთის —
ასე გამზარდეს!
ასე გამწალდეს!
მე მინდა თქვენთვის!
მე მინდა თქვენთვის!
ეს მდელოები
მალე ამწვანდეს!

ჰო, თორემ ჩემთვის
რა მეჩქარება,
რა თავში ვიხლი
მოგებას რამეს, —
უკვე დამქროლეს
ზამთრის ქარებმა, —
რა გაანათებს
ამხელა ღამეს!

თქვენი დღეები
ქვეყნისას ერთვის!
ჩემი დღეები —
დაე, გამწარდეს!
მე მინდა თქვენთვის!
მე მინდა თქვენთვის!
ეს მდელოები
მალე ამწვანდეს!

რეზო ჭეიშვილი

ღ ა ლ ი

თავი პირველი

დაბა მანდიკორი, რომელსაც ჩვენ აწი სოფელს დაეუძახებთ, ერთი უნაგირა მთის ფერდობზეა შეფენილი. სიტყვა „მანდიკორს“ თუ დავუკავშირებთ ძველ ქართულ „მანდიკურს“, რაიც დაახლოებით, „ხურჯინიივითს“ ნიშნავს (მანდიკი— დღევანდელი გაგებით — ხურჯინი), შეიძლება საინტერესო ტოპონიმიკურ აღმოჩენას მივადგეთ.

მართალია, „უ“ მყარი ბგერაა და, როგორც წესი, რედუქციას არ განიცდის, მაგრამ ბგერათა შენაცვლებას ანდა შერწყმას თავისუფლად ემორჩილება. მაგალითისათვის: იყო სიტყვა „დედა-უფალი“, აქედან მივიღეთ „დედუფალი“ და ამჟამად გვაქვს — დედოფალი. შეიძლება ეს მაგალითი არც ისე ზუსტია, მაგრამ თვითონ მანდიკორელები ისე უწესოდ და უმაგალითოდ ამახინჯებენ არსებით სახელებს, ჩემს კადნიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო მათი ჩამოთვლა წაგვიყვანდა შორს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სოფელი მართლაც მანდიკურადაა გადაკიდებული მთაზე. აქვე უნდა ითქვას, დასავლეთით, მთის ძირას, სადაც თხმელის ხე-ბუჩქებში ჩაკარგული პატარა მდინარე და რკინიგზის ლიანდაგია, საკმაოდ დიდი ჭალა და მინდვრებია გადაშლილი.

არა მგონია, რომელიმე მანდიკორელს თავისი სოფლის სახელის წარმოშობა სწორად ესმოდეს. აღარაფერს ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ეს ფილოლოგიური კვლევა-ძიება მაინცადამაინც არავის აინტერესებს. გარდა ამისა, ზედმეტი ფიცისა და მტკიცების გარეშე დამოჯერებთ, რომ ბევრმა არც სიტყვა „მანდიკური“ იცის რას ნიშნავს, თუმცა ხურჯინს დღესაც წარმატებით იყენებენ იქაურები. ზოგიერთი განათლებული მანდიკორელის მტკიცებით „მანდიკორი“ ნიშნავს გორას და მეტს არაფერს, ესე იგი, კორი=გორი, ხოლო მანდი სულ ზედმეტად მიაჩნიათ. უარეს შემთხვევაში, ეს სიტყვა ასე შეიძლება გაიშიფროს: მანდიკორი — მანდ იყო გორი. გორა მართლაც იქ ყოფილა და ახლაც იქ არის, ხოლო მანდიკორი ნიშნავს ხურჯინს და მეტს არაფერს, რასაც ამ სოფლის მდებარეობაც მშვენივრად ადასტურებს. ამ დებულების სიმწორეში ღრმად ვართ დარწმუნებული და თუ ამ წიგნში მოთხრობილი ნამდვილი ამბავი არავის დააინტერესებს, სიტყვა „მანდიკორის“ წარმოშობის საკითხი მაინც გადაწყდება ერთხელ და სამუდამოდ.

მანდიკორი დიდი ისტორიული წარსულითაც ვერ დაიტრაბახებს. სოფლის განაპირას, ზედ მდინარეზე დღემდე შემორჩენილია ნანგრევები, რომელიც წისქვილის სათავე ანდა ქვიტკირის ხიდის ნარჩენებიც თავისუფლად შეიძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა ყოფილიყო, მაგრამ იქაურები დაბეჯითებით ამტკიცებენ, სწორედ აქ იყო მანდიკორის ქებული ციხე, სადაც ალი-ფაშა დაბანაკებული, რომელიც მერე კვირიკეთში გადავიდაო. ცოტა ქვევით მდინარის ხეობის ვიწროებში, სადაც ახლა ჩაის მიმღები ფარდულია, ერთ დროს იმერეთის მეფეს, დიდ სოლომონს მტრისთვის ომი უქნია და თათართა ჯარი წაუხდენია. სხვათაშორის, ამის შესახებ ისტორია დუმს და მანდიკორელებს ამ ფაქტის იურიდიული დამტკიცება შეიძლება გაჭირვებოდათ კიდეც, ეს ამბავი ვინმეს რომ სადავოდ გაეხადა.

ელგუჯა ვაშაძეს ძალიან უყვარდა თავისი სოფელი. მანდიკორის წარსული და მომავალი შეიძლება ამ ახალგაზრდას უფრო აინტერესებდა, ვიდრე სხვა ვინმეს. გული სიამაყით ევსებოდა, როცა უყურებდა, რომ საქართველოს ზოგიერთ რუკაზე მისი სოფელიც იყო აღნიშნული. სათუთად ინახავდა ვახუშტი ბატონიშვილის წიგნს, სადაც მანდიკორი მოხსენებული იყო, როგორც ერთი ნაკლებადცნობილი ფეოდალის სამფლობელო.

ვაშაძეები ზედ გორის ძირას, მდინარესთან და რკინიგზასთან ახლო ცხოვრობდნენ. აქ იყო სოფლის გული, ყველაზე კარგი სამოსახლო და სავენახე.

ელგუჯას მამა თომა სოფლის მასწავლებელი იყო. თომამ თავის დროზე ხარკოვში დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და მას მერე სოფელს შერჩა. ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე, სწავლა და ცოდნა ვერ გამოიყენაო. თომასაც ბევრჯერ, შეიძლება სხვების ჩაგონებით, მოჩვენებია, რომ თავს იღუპავდა, მაგრამ თუ სადმე სამართალია, ბედს არ უნდა დამდურებოდა. თომა არ იყო ის კაცი, ვინც დიდი ენერგიით და მონდომებით იკაფავს გზას. ჩუმი, უთქმელი ადამიანი ერთგულად ასწავლიდა სოფლის ბავშვებს; სკოლიდან დაბრუნებული ეზოში ფუსფუსებდა ან დაღამებამდე კითხულობდა წიგნს. სოფელში აფასებდნენ, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ იგი უფრო პატიოსანი და მორიდებული იყო, ვიდრე ამ საუკუნეს შეეფერებოდა.

ხანშიესულმა თომამ, წესის მიხედვით, საკმაოდ გვიან ახალგაზრდა ქალი მოიყვანა. ქალი იყო თეთრი, თითქოს მზეს არ ენახა. მანდიკორელებს სილამაზეზე სულ სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდათ. მაგრამ უცხო სტუმარი მაინც პირველ ქალად ჩათვალეს. რატომ? რისთვის? ამაზე ბევრი აღარ უფიქრიათ. თომას ცოლი, სამწუხაროდ ახალგაზრდობაშივე გარდაიცვალა. იმსხვერპლი იმ მოურჩენელმა სენმა, რომლის სახელი ქალს არასოდეს სმენია. დამარხეს მანდიკორის სასაფლაოზე, ბებერი ცაცხვის გვერდით. ცაცხვი, როგორც მოხუცები ამბობენ, ადრე უფრო ზევით, ფერდობზე მდგარა. მიწა დაცოცებული და ხე, ახლა ეს ძნელი დასაჯერებელია, ქვევით ჩამოსული. დასაფლავების მერე გამართული ჩვეულებრივი ქელეხი, სადაც ღირსახსოვარი აღარაფერი მომხდარა.

ცოლის სიკვდილის შემდეგ თომა კიდევ უფრო გულჩათხრობილი და სიტყვაძვირი გახდა. ელგუჯა მაშინ მეცხრე კლასში იყო, მაგრამ დედის სიკვდილმა უფრო ცუდად იმოქმედა, ვიდრე ამ ხნის ბავშვისაგან იყო მოსალოდნელი. ცუდად გახდა და მოულოდნელად დაავიწყდა, როდის, რით მოკვდა, სად და როგორ დაასაფლავეს დედა. ვიღაცამ თქვა: ამას მეხსიერების გამოთიშვა ჰქვიაო. ელგუჯა მალევე მორჩა და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. დედამაკი სიმარტოვე დატოვა. სახლში მოწყენილობამ დაიბუდა. მამა და შვილი ხშირად დაღამებამდე ერთ ზედმეტ სიტყვას არ წაუგდებდნენ ერთმანეთს.

ვაშაძეების ეზოში ოციოდე ძირი სკა იდგა. ადრე მეტიც ყოფილიყო. ფუტკრის მოვლა-პატრონობა და სიყვარული ამ ოჯახს გვარად მოყვებოდა. მათი მამა-პაპა ცნობილი მეფუტკრეები იყვნენ. თომასაც არ აკლდა გამოცდილება და თვით ელგუჯა უპირბადოდ ხსნიდა სკას. ბიჭს უყვარდა ფუტკარი. მთელი დღე დაღამებამდე შეეძლო ეცქირა ამ უცნაური მწერებისათვის. ხანდახან შუად-

ღით, როცა ყველა სულიერს რული ედებოდა, ბომბორა ნაგაზი რომ ენაგადმოგდებული თვლემდა საჩეხში, ელგუჯა ჩრდილში, ხმელ ჯირკზე იჯდა და ფუტკრებს აყოლებდა თვალს.

... ცხელოდა. ნიავი ოდნვ არხევდა სიმინდის შემშეკნარ ფოთლებს და შაბიამნით დაფორაჯებულ ვაზის ფურცლებს. ფერდობზე სკა და სარაჯი იყო შეფენილი; ირგვლივ ჩაგუდული ზუზუნი ისმოდა. ეს იყო ფუტკართა სახელმწიფო, სადაც ყველაფერი წესსა და რიგს ემორჩილებოდა.

მანდიკორს ხშირი, თითქმის გაუვალი ტყე ეკარა. ტყე სიგრძე-სიგანით მაინცადამაინც ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ შიგ შესულ კაცს არაფრით არ სჯეროდა, თუ ამ უღრანს თავი და ბოლო ჰქონდა. ტყეში მთიდან ღელე ჩამოდიოდა და ქვეთაძველ ქვის ხიდთან მდინარეს ერთვოდა. სველ ფლატებზე სურო, ლიანა და გოგრის ფოთლებივით დაბარდნილი და დახორკლილი მეენარეები იყო აყოლილი. ჩამონამზვლარი მიწიდან ხის დაგრეხილი ფესვები ჩანდა. ელგუჯა ხშირად საათობით მიყვებოდა ამ ხეობას, უნდოდა ენახა ისეთი ადგილი, სადაც ჯერ ადამიანს არ დაედგა ფეხი. მანდიკორელებს მარტო თვალისსასეიროდ ტყეში სიარული არ უყვარდათ და ეგრრიგად თვალში მართლაც არავინ შეგეჩხირებოდათ. თუმცა გზადაკარგული მწყემსი, თხას რომ ეძებს ხოლმე, ყველგან შეიძლებოდა გადაგყროდა. კლდის წვეროები დიდი ხეების ტოტებით იყო დაბურული. მზოლოდ ალაგ-ალაგ მოჩანდა ცა. ფეხქვეშ ხმელი როკი თუ გატყდებოდა, ანდა ზევით, ერთმანეთის მიყოლებით, წყნარად და გაბმულად ფოთლები აშრიალდებოდა, თორემ მყუდროებას არაფერი არღვევდა.

მონდიერე სპირიდონმა ფრიალო კლდეს ააყოო თვალი და სუნთქვა გაუკავდა. თეთრი კლდის კბოდეზე, მღვიმის პირას მზეთუნახავი იდგა და ოქროს თმას ივარცხნიდა. თმის შუქი, რომელიც სპირიდონს ჯერ მზის სხივი და მერე ცეცხლის ალი ეგონა, გარდიგარდმო გადადიოდა ხეობაზე. ოხრაშუყერელი მოჯადოებული ნადირე გაოცებული მიჩერებოდა ამ უცნაურ სანახაობას. უცბად ქალმა მოიხედა და მონადირეს დააკვირდა.

— დიდება შენდა, დიდებულო, ვინც არ უნდა იყო, მითხარი ვინა ხარ?! — დაიძახა სპირიდონმა.

დღეიდან სიკვდილამდე, უთხრა ქალმა, ტყეში ხიფათს აგაცილებ, წელიწადში ცხრა ჯიხვს მოგაკვლევინებ, ოღონდ წადი და არ თქვა, რომ დამინახე.

არ მინდაო ცხრა ჯიხვი, შეღალდა სპირიდოსმა, მაგრამ ქალი მოჩვენებასავით გაქრა.

სპირიდონმა იცნო ნადირობის ქალღმერთი დალი. მთვარეულივით დაბრუნდა ოხრაშუყერში. დაწვა და ერთი კვირა ხმა არ გაუღია. გათვალული არისო, ასე თქვეს; შავტარიანი დანით შეულოცეს და შუბლზე კანფა ფხალის ფოთოლი დააფარეს. მეშვიდე დღეს სპირიდონი ადგა და ნათლია იბრუხის მიაკითხა. დიდხუთშაბათი იყო. მჭედელმა იბრუხიმ გრდემლს კვერი დაჰკრა, რათა ამირანს არ აეწყვიტა და მჭედლების სახსენებელი არ ამოეგდო; მერე სპირიდონს ერთი ბუდა სატეხი და რკინის ხვედა გაუჭედა. სანადირდ მივდივარო, დაიბარა სპირიდონმა და ღილაბნელში გავიდა სახლიდან. თეთრ კლდეს მიადგა, სანთელი ანთო, ილოცა და იალა კიდეც.

... ნადირთა თავმდგომი და ამ ტყის ბრძანებელი შენა ხარ... შენ ადგილში მოვედი. თუ რამე გამაჩნია მიილოცე და მიპატრონე. უფროსი ნუ გედიდება, უმცროსი ნუ გეპატარავება. შენი ყმა მოვსულვარ, ნუ მემდური; შენი შესაბრალისი და შესაწყალისი ვარ. კარგი სვე მომე, სიკეთეზე სიკეთე მომომატე. შინ და გარეთ, აქაც და იქაც, ყველგან და ყოველთვის შენ მიშველე. ნუ დამკარგავ და ნუ შემიძულებ, ისევმც მადლი გექნება; დამლოცე და მშვიდობით ამომიშვი!

რეზო ჭეიშვილი

ᲓᲐᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირიდონმა პირჯვარი გადაიწერა და კლდეზე რკინის პალოების მიჭედება დაიწყო. ერთ სატეზზე ფეხს რომ შედგამდა, მეორეს თავს ზევით ასობდა. ასე მიცოცავდა ფრიალოზე მამაცი სპირიდონი. როცა გუდა დაიფუშა და ხვედაც გაცვდა, გამოქვაბულს მიაღწია. გამოქვაბულში დალი იწვა. ოქროსფერი თმა კლდეზე აბრეშუმივით იყო გაფენილი. მონადირემ მუხლი მოიყარა და თაყვანი სცა. დალიმ თქვა, ყველაფერი ღვთის განგებით ხდებაო; გარდაუვალს ვერავინ შეაბრუნებს, მოსახდენს ვერავინ გარდაუვა; აიღე მაკრატელი, შემაჭერი თმა და შენი გავხდებიო. სპირიდონმა ოქროს მაკრატელით შეაკვეცა დალის თმა. დალი მისი გახდა. წსსვლისას დალიმ დაარიგა, რაც არ უნდა მოხდეს, არაფრის დიდებით არ თქვა, რაც მოხდაო.

სად ათიეო სმა ღამე, ეკითხებოდნენ სპირიდონს. სად დადიხარო, სად იკარგები, სპირიდონ? როგორ კლავ ამდენ ჯიხვს, რომელი ადგილის დედა გწყალობსო, კვირობდა ჯამაათი. სპირიდონი არაფერს ამბობდა.

გავიდა ხანი, სპირიდონს მოწყინდა კლდეში და ტყეში ხეტიალი. შეირთო სეფთხერელი კოჭლი ქალი და დაიწყო ცხოვრება. შეუჩნდა ცოლი, რატომ დადიოდი მთაში, ღამე სად რჩებოდიო? შეუჩნდა, შეუჩნდა, საშველი არ მისცა და ყველაფერი ათქმევინა.

ერთ ზამთარს ოხრაშუყერელი ვაყაცები თოვლის კოშკზე მაღრიბულ ჭიშხაშს ბუქნავდნენ. მეფერხულეებს თეთრი ჯიხვი გამოუხტათ. ჯიხვმა ცვითა თავი წრეში, გაკრა ფეხი, გაფხაკურდა და თეთრ მინდორში გავარდა.

— ვინ დაიჭერს, ვინ მოკლავს თეთრ ჯიხვს? ვერავინ ვერ მოკლავს, ვერავინ ვერ დაიჭერს თეთრ ჯიხვს, სპირიდონის გარდა!

სპირიდონი აღიკაზმა, იარაღი აისხა, დაედევნა ჯიხვს. გადაიარა დაჭლიკული მინდორი. ორწოხებში გავიდა. ჯიხვის კვალი თვალშეუდგამ კლდეზე ადიოდა. სპირიდონი მიჰყვებოდა კვალს და მიიწევდა ზევით და ზევით. მარჯვნივ და მარცხნივ მზით განათებული მწვერვალები ელვარებდა. შეისვენა, ერთი ფეხის დასადგმელი და ერთი ხელის მოსაკიდებელი ადგილი დარჩენოდა. ძირს ჩასვლა დააპირა, მაგრამ მზეს თოვლი და ყინვა დაედნო და ფეხის მოსაჭიდებელი არსად იყო. წახდა სპირიდონი. ისეთი საშინელი ყვირილი ატეხა, რომ ხევში სუროს ფოთოლი გაცვიდა. მისმა ხმამ რაშა-ლეჩხუმი გადაიარა და გოდოგნამდე გააღწია. სპირიდონი შველას თხოვდა მოგზაურთა და მონადირეთ. მოცვიდნენ ოხრაშუყერლები, მოიტანეს კიბეები, ოოკები და ნაბდები. კიბე კიბეს გადაბაბეს და კლდეს მიაყუდეს. თავი ფალანგა სპირიდონის ფეხს მიწვდა, მაგრამ კლდე აიწია და მონადირე აიყოლა. დაუარეს მთას მაშველებმა, ავიდნენ სულ წვერში და ჩამოუშვეს წყრთაჩაგდებით განსაკეული თოკები. კლდემ დაბლა დაიწია, მონადირეც დაიყოლა. ვერავინ გაიგო, რა ხდებოდა.

— აღარაფერი არ მიშველის, ტყუილად ნუ ცოდვილობთ!... — დაიძახა სპირიდონმა. — დედოფალი გამრისხებია და სამაგიეროს მიხდის. დედაჩემს უთხარით, თავსაფარი მარჯვნივ შეატრიალოს, ჩემი ქამარ-ხანჯალი, თუ ბიჭი მეყოლა, იმას დაურჩინეთ... ჩემი ცოლი, ჩემი შემცდენელი, ფეხში ქვააგორებული ატაროს გამჩენმა...

ხალხი მიხვდა, რომ მონადირე დალის ჰყავდა გაწირული.

რა გინდოდა დალისთან, საბრალო სპირიდონ, საცოდავო სპირიდონ — მოთქვამდა ხალხი. დღე და ღამე იყრება, სპირიდონ, შენ ქოჩორს ორბები ეთამაშებიან, სად მიხვალ, სად რჩები, უბედურო სპირიდონა...

თავი მეოთხე

სულისშემხუთველი თბილისური დილა თენდებოდა. ასფალტს, სახლებს, ვიტრინებს და მანქანებს უღიმღამო, ტყვიისფერი დაჭკრავდა. საიდანღაც თითქოს ნიავმაც დაუბერა, მაგრამ ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანის სხეული უკვე გრძნობდა, რა საშინლად დაცხებოდა შუადღით.

სადგურის ბაქანზე სხვა დამხვდურებთან ერთად განცალკევებით იდგნენ ფარალოდ ჩაცმული ქალი და კაცი. სათვალიან ქალს ხელში დაკეცილი ქოლგა ეჭირა. კაცი იყო გამხდარი, დალეული, მაგრამ სულ არ ტოვებდა სუსტი და უძლური ადამიანის შთაბეჭდილებას.

ცოლ-ქმარი ელგუჯას ელოდებოდა.

ვერ იტყოდით, კაცს ძალიან უხარია ცოლის დისშვილის ჩამოსვლაო. იგი გრძნობდა, რომ უცხო ადამიანი ძალაუნებურად დაარღვევდა ოჯახის მყუდროებას, მაგრამ მაინც გულით უნდოდა ბედნიერი ყოფილიყო, უხასიათობას მალავდა და ყოველნაირად იზიარებდა ცოლის სიხარულს.

მატარებელი თავის დროზე შემოვიდა სადგურში. გამოუძინებელი მგზავრები, რომლებიც გამცილებელმა დროზე ადრე წამოყარა, უკვე კიბეებს მოდგომოდნენ.

დეიდამ და ბიძამ იცოდნენ, რომელი ვაგონით მოემგზავრებოდა ელგუჯა და მოგვიანებით ფანჯარაში დისშვილიც დაინახეს. ვაგონმა წყნარად ჩაიარა და უფრო შორს გაჩერდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. დეიდამ და ბიძამ ფეხს აუჩქარეს და წავიდნენ ფარდულისაკენ, სადაც ორცხობილებს და თბილ ლიმონათს ყიდდნენ.

მგზავრები ვაგონის ვიწრო დერეფანში გაბმულარულიყვნენ. ელგუჯა ნელა მიჩოჩავდა თითქმის ყველაზე ბოლოს და რაღაც უნდო მზერით იხედებოდა ღია ფანჯრიდან. სახელოაკაბიწებული, თეთრი ნეილონის პერანგი ეცვა, ხელში დიდი ჩემოდანი ეჭირა. მოყვრები შორიდანვე შეამჩნია, თუმცა სახეზე არაფერი დასტყობია. როგორც მერე გამოირკვა, მატარებლის გაჩერებამდე დაენახა ორივე. მხოლოდ ბიძა სადგურის თანამშრომელი, ყოველ შემთხვევაში უცხო კაცი ჰგონებოდა.

„ღმერთო, რამხელაა!“ — ფიქრობდა ქალი.

ელგუჯა ვაგონიდან ჩამოვიდა და დიდი ჩემოდანი ზედ ლიანდაგის პირას დაეშვა.

— გამარჯობათ! — თქვა მერე.

დეიდამ ელგუჯას აკოცა. ამის შემდეგ კაცმაც წამოიწია საკოცნელად.

— უყურებ შენ ამას, რამხელა გაზრდილა?! უთხრა ქმარმა ცოლს, როცა წელში მოხრილ ბიჭს ყურებამდე ძლივს მიწვდა.

— პატარა კი აღარაა... — გაიღიმა ქალმა. — როგორ ხარ, ბიჭო, შენ?

— კარგად. — თქვა ელგუჯამ და კაცს და ქალს, დაუფარავი ცნობისმოყვარეობით რომ მისჩერებოდნენ, თვალი მოარდა.

დეიდას და ბიძას უბრალოდ ეცვათ... ეტყობოდათ, სულ არ აქცევდნენ ყურადღებას მოდას და სეზონს. დეიდას შავი ქოლგაც ჰქონდა წამოღებული, თუმცა ცაზე ღრუბლის ერთი ნაფლეთიც არ ეგდო. ელგუჯას უნდოდა ეკითხა: ამ სიცხეში ეს ქოლგა რად გინდოდაო, მაგრამ ვერ გაბედა; იფიქრა, შეიძლება აქ ასე იციანო.

— წავიდეთ ახლა, რაღას ვუდგევართ! — გაახსენდა კაცს და ელგუჯას დიდ ჩემოდანს წაუწია ხელი. ელგუჯამ დაასწრო, ჩემოდანი მსუბუქად ასწია და ზურგსუკან დამალა.

მგზავრები ტროლეიბუსში ჩასხდნენ.

დიდი მოედანი მსუბუქი მანქანებით და ჩემოდნიანი მგზავრებით იყო გაჭედილი. ტროლეიბუსიც ხალხით გაივსო. მგბილეთე ქალმა მძღოლს უთხრა, წავიდეთო. მძღოლს ქალისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ფანჯრიდან პაპიროსის ნამწვი გადაგდო, მექანიკურად აატკაცუნა რაღაც ხელსაწყოები და ვაგონი დაძრა.

ელგუჯა მხოლოდ ერთხელ, ისიც ბავშვობაში იყო თბილისში ნამყოფი. ფიქრობდა, მთავარია არაფერი გამიკვირდეს, თუ არა, ყურადღებას მომაქცევენო. ისე იჯდა, თითქოს ყოველ დილით ამ გზით დადიოდა. მხოლოდ ხანდახან

თუ გაიხედავდა ფანჯრიდან და მაშინაც დეიდას მზერას გრძნობდა. ქალს აინტერესებდა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა თბილისი დისშვილზე. კაცი თავდახრილი იჯდა, ხელში საბილეთოდ გამზადებული ხურდა ფული ეჭირა და დაფიქრებული იხედებოდა.

ტროლეიბუსიდან ჩამოსულებს გვარიანი აღმართი დარჩათ ასავლელი. მოკირწყლულ ქუჩას აყვნენ. ელგუჯამ ერთხელ შეისვენა. ხელის შენაცვლება დაპირი თუ არა, გამხდარი კაცი იმწამსვე ჩემოდნის სახელურს წაეპოტინა. ელგუჯამ თავი მოიკლა, ტანმორჩილ კაცს ტვირთი არ დაანება; სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, ბიძა ამოდენა ჩემოდანს რომ ეპორწიალებოდა.

— მამაშენს ქალი ხომ არ შეურთავს? — ჰკითხა დეიდამ ელგუჯას სრულიად უადგილოდ.

— ქალი კი არა ის... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ.

— რა ვიცი, ჩემი და კი წევს შავ მიწაში და... — ამოიოხრა ქალმა.

ელგუჯას არ ესიამოვნა მიცვალებული დედის ხსენება. არც ეს ლაპარაკი ეპიტნავა. კარგად იცოდა, დეიდას სიძე არ უყვარდა. ის კი არა, ქალი დის სიკვდილსაც, ცხადია უსაფუძვლოდ, სადღაც ელგუჯას მამას აბრალებდა. ბიჭს ხასიათი გაუფუჭდა, მოეჩვენა, რომ ამ უცხო ქალაქში ძალიან გაუჭირდებოდა ცხოვრება. ამასობაში შინაც მივიდნენ.

— გახსოვს აქ რომ იყავი? — ჰკითხა ელგუჯას დეიდამ და ფანჯრები დააღო. ოთახში მასტიკის სუნი იდგა.

— როგორ არ მახსოვს...

ელგუჯას მართლა ეცნაურა იქაურობა.

— მაშინ ძალიან პატარა იყავი... თავისთვის თქვა ქალმა.

ელგუჯამ ჩემოდანი ხლურბლთან დატოვა და შუა ოთახში ბოძიებით გაჩერდა. დეიდამ ურჩია, ტანსაცმელი გამოიცვალე, დაიბანე და დაისვენეო. ამ ლაპარაკში კაცმა დრო იხელთა, ჩემოდანს დაწვდა და მსუბუქად, მაგრამ საკმაოდ უცნაურად მიარბენინა ოთახის კუთხეში. ხმელი ფოთოლივით გაფარფატებულ კაცს ელგუჯამ უიმედოდ გააყოლა თვალი და მაგიდასთან დაჯდა. ძველი გაზეთი გაშალა. გაზეთიდან პურის ნაფხვენები გადმოიბნა. ელგუჯამ ნაფხვენები შეაგროვა და საფერფლეზე დაყარა. გაზეთი ისევ დაკეცა და გვერდზე დადო. კაცმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა ჩემოდანი. როცა დარწმუნდა, საიმედო ადგილზე დევსო, ოთახიდან გავიდა. სტუმარმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— მოიწი, ბიჭო, აქეთ, — ხმადაბლა უთხრა დეიდამ. ელგუჯა სკამიანად გაჩოჩდა გვერდზე. — ბიძაშენი ხომ იცი, სხვა სამსახურში გადავიდა, ვერ ჩერდება ერთ ადგილზე... თავისი თავის უბედურია. მეც გამაწამა და სხვებიც. ისე, შენ ძალიან უყვარხარ!

ბიჭმა ვეღარ გადაწყვიტა, რა ეთქვა, თუმცა ქალს პასუხისათვის აღარც დაუცდია, მოულოდნელად იგიც გაუჩარნდა.

ელგუჯამ წვრილმანი, უსარგებლო ნივთებით გადატვირთული ოთახი შეათვალიერა. იატაკი პრიალებდა და საერთოდ, ყველაფერი ბზინავდა. კედლები მიცვალებულების სურათებით იყო აჭრელებული. უფრო გამოსაჩენ ადგილას ელგუჯას დედის სურათები ეკიდა. დედა სულ არ იყო ისეთი, როგორიც ელგუჯას ახსოვდა. აქვე ნახავდით ომში დაღუპული ბიძების ფოტოებსაც. ამ გამოფენიდან მიხვდებოდით, რომ დიასახლისს მანცადამანც დაღხინებული ცხოვრება არ უნდა ჰქონოდა გამოვლილი. მართლაცდა ექვსი და-ძმიდან მხოლოდ ელგუჯას დეიდაღა დარჩენილიყო. საძინებელი ოთახის კუთხეში ქალს პატარა ხატი ჰქონდა ჩამოკიდებული. მწუხრისჟამს ლოცულობდა გარდაცვლილ და-ძმებზე და მშობლებზე. ქმარი ამ სცენებს ყოველთვის გულგრილად ადევნებდა თვალს. მოწონდა, არ მოწონდა, უკვირდა თუ არ უკვირდა ეს საქციელი, ვერ გაიგებდი.

ელგუჯა მარტო იჯდა ფანჯრებდაღებულ, გრილ ოთახში. დიდი, ნათელი ფანჯრები დასავლეთის მხარეს მოქცეული-

ყო და მზე მხოლოდ ხუთი საათისათვის აბრწყვიალებდა მინებს. მყუდრო, აღმართ ქუჩაში ხანდახან თუ გაიხრიგინებდა ტრანსპორტი. ქვევიდან ნაბიჯების ხმა ისმოდა. შორს ვიღაცა ცივი ხმით გაკკიოდა, ასკილი, მატყლის ჯოხებიო.

ელგუჯა მშვიდად იჯდა და ძველ გაზეთებს ათვალიერებდა. რაღაც სასიამოვნო გრძნობა დაუფლებოდა. იცოდა, რომ დღეიდან დიდი ქალაქის მკვიდრი უნდა გამხდარიყო. ის იყო ერთი იმკაცთაგანი, რომლისნაირებიც ყოველდღიურად ჩამოდიან თბილისში სახელისა და ბედის საშოვნელად. მოდიან, მიჰყვებიან ცხოვრების მდინარებას, მერე ვისი კეხი სათ შებრუნდება, ვინ რა გზას ეწევა, არავინ არ იცის.

— მაინცადამაინც უნივერსიტეტში უნდა ისწავლო, დეიდა? — იკითხა ქალმა, როცა ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ და მურაბაიანი ჩაის სმა დაიწყეს.

— აუცილებლად...

— საინჟინროზე რომ მოწყობილიყავი, არ აჯობებდა?

— ასე მაქვს გადაწყვეტილი.

— აჯობებდა კაია, საითაც კაცს მიდრეკილება აქვს, საითაც გული მიუწევს, რასაკვირველია, იქით წავა... ეს ჯობია, თუ ის ჯობია, რა შუაშია?! — ჩაიცინა თავისი ლოგიკის უპირატესობაში დარწმუნებულმა კაცმა და ცარიელი ჭიქა გვერდზე გასწია.

— როგორც შენ გაგეხარდება, დეიდა... — ჩაილაპარაკა ქალმა, ქმრის სიტყვისათვის კი ყურიც არ უგდია.

— ახლა ჩვენ ღვინოს დავლევდით, მაგრამ მე მივდივარ და ელგუჯაც უნივერსიტეტში მისასვლელი, სადილობამდე უნდა მოვითმინოთ...

— ღვინოს მე არ ვსვამ. — მშვიდად განაცხადა სტუმარმა.

— რატომ, ბიჭო? — გაეხარდა ქალს.

— არ მიყვარს...

— თქვენი ვენახი ისხამს კიდევ?

— კი, კარგად, დაბლა გვერდზე გახმა ცოტა...

— კარგი ღვინო იცის თომამ... — თქვა კაცმა.

— ღვინოს აბა არ სვამ? — ღიმილით ჰკითხა ისევ ქალმა.

— ერთხელ დავთვერი და მომეჩვენა, რომ ყველაფერი ტრიალებდა, თანაც თავდაყირა იდგა, საერთოდ, ყველაფერი ტრიალებდა და თავდაყირა იდგა... მე მეგონა, დედამიწა ტრიალებდა და ყვირილი დავიწყე, თუმცა სულ არ შემშინებია...

— აბა რა გაყვირებდა?

— რა ვიცი.

— თქვენ სხვანაირი ჯიში გაქვთ, დეინოს უნდა უფრთხილდეთ... ბაბუაშენი უცნაური კაცი იყო, ცხონებული! — რაღაც სასოწარკვეთილი ხმით თქვა ქალმა.

— კაი კაცი იყო, კაი... — უყურადღებოდ ჩაილაპარაკა ბიძამ.

— თაფლი უფრო მიყვარს, მაგრამ ხანდახან ისიც მათრობს... თუ ფუტკარი იელის ნაჭამია, თაფლი მათრობელია... როცა იელი ყვავის, საშიშია... ფუტკარი იელს ეტანება.

— ღვინო ხანდახან მაინც უნდა დალიო! — დაარიგა კაცმა.

— რატომ უნდა დალიოს, თუ არ უნდა? — მწყრალად გადახედა ცოლმა.

— ჩავარდება და დალევს, ქართველი კაცი აბა პირს ზომ ვერ შეიკრავს, არ უნდა დათვრე და გატიალდე, თუ არა, ისე რა უჭირს... აბა ესაა სქემა, გახვალ ქუჩაში, ხედავ, მშვენიერი, კაი ჩაცმული კაცი ფეხზე ვეღარ დგას... გვერდით ვერ ჩაუარ, იფურთხება, იგინება. ახალგაზრდა კაცს ასე რატომ უნდა დაგემართოს. თუ ჭკუა ასწავლე, თუ კაის გაკეთება მოუნდომე, გაგლახავს... ერთს და ორს კი მოუვლი, მაგრამ ყველა რომ დაგესვა, რას იზამ?... უთანასწორო ბრძოლაში რას გახდები?.. სად იყო ჩვენ დროს ასე?... ქართველი ადამიანის ღირსება როგორ უნდა დაეცეს, წახდეს, რა ერი წახდესო, ნათქვამია... ქართველები ოდითვე განთქმული ვიყავით ზრდილობით, პატივისცემით, კდემამოსილებით...

— დედაშენის დანატოვარი ნივთები, ან ტანსაცმელი ხომ არ გაგიყიდიათ, ანდა ხომ არავისთვის მიგიცია? — ჰკითხა ქალმა ელგუჯას.

— როგორ გაგიყიდია, ანდა ვისთვის უნდა მიგეცეს? — ეწყინა ელგუჯას.

— მე წავედი... — თქვა კაცმა.

— საწყენად კი არ მითქვამს, ისე ვიკითხე, ჩემი უბედური და რატომ უნდა იწვეს შავ ბიწაში... შენ ვერ უნდა გიყურებდეს!

ელგუჯამ ჭამა შეწყვიტა და დედას ხვეწნა-მუდარის მიუხედავად ლუკმა ვეღარ გადაყლაპა. შალვა სამსახურში წავიდა. ქალმა სუფრა აალაგა.

ელგუჯა მეორე ოთახში გავიდა, მაგიდიდან დაქექილი რომანი აიღო და ფანჯარასთან დაჯდა. წიგნში სათვალე იდო. ალბათ დედას გვერდი ჰქონდა ჩანიშნული. ელგუჯა წიგნს ფურცლავდა, ალაგ-ალაგ კითხულობდა, თუმცა ვერაფერს იმახსოვრებდა. აფორიაქებული იყო, თითქოს სადღაც ეჩქარებოდა, მაგრამ სად მიდიოდა, თვითონაც არ იცოდა. საბუთების დროზე ჩაბარება იყო საჭირო. დედა კი არაფრით არ ჩქარობდა. სამსახურიდან გვიის დავურეკავ, ის წაგყვება და დაგეხმარებაო, დაიჟინა.. ელგუჯას სულ არ უნდოდა გვიის შეწუხება. სხვა რომ არაფერი, მწერალ კაცს მისთვის სად ეცალა. დიდი ხნის უნახავ ნათესავთან შეყრა ისედაც რცხვენოდა; ფიქრობდა, საერთო ენას ვერ ვნახავ, ჯირის ოფლში გავიწუოებიო.

შუადღით დედა სამსახურში წავიდა, საბედნიეროდ, იმ დღეს გვიი აღარ გამორენილა. ელგუჯას გარეთაც არ გაუხედია. გვიანობამდე ტელევიზორს უყურებდა და ის დღე როდის ჩამოთავდა, ვერ გიგრძ.

თავი მესამე

მშვიდად და უსიზმროდ ეძინა იმ ღამეს ელგუჯას. როცა გაიღვიძა, იგრძნო, რომ კარგახნის გათენებული იყო. მაღალი ფანჯრის წირთხლს და აგურის კარნიზს თვალი ააყოლა და გაოცდა. ვერ გაგებულა, რატომ ვერ ხედავდა ცისფერ შალერს, ნაცნობ, მუდამ მოღიავებულ, მოჩუქურთმებულ კარს, საიდანაც აივნის რიკულები ჩანდა ხოლმე. მალე მიხედა, რომ ქალაქში იყო და აფორიაქდა. ღია ფანჯრიდან გრილი ნიავი და ჩიტების ხმა შემოდიოდა. ჩიტებიც რაღაც სხვანაირად ყივყივებდნენ. დეიდა და ბიძა უკვე ამდგარიყვნენ და მეორე ოთახში თუ სამზარეულოში საქმიანობდნენ. პატარა რეპროდუქტორი ხმადაბლა ლაპარაკობდა.

აივანზე ეიღაც კაცი, ეტყობოდა მერძევე, ამოვიდა. კაცი ბრტყელი ხმით, სვენებ-სვენებით და ხვნეშით ლაპარაკობდა. დეიდა საყვედურობდა: რძეს ბევრ წყალს ურევთ, თანდათან წაგდით, ალარაფრის გერიდებათო. მერძევე პატიოსნებას ამტკიცებდა, დედ-მამის სულს და შვილებს იფიცებდა.

— სად გყავს შენ შვილები? — კითხულობდა დეიდა და რძეს ალუმინის ჭურჭელში ასხამდა.

— მყავს, მაშ არა მყავს... სიძე არ მყავს, რო?.. — პასუხობდა მერძევე.

მერძევეს ეტყობოდა მძიმე ჩექმები ეცვა, რადგან უკან დაბრუნებისას ბრახა-ბრუხით ჩავიდა ხის კიბეზე.

ელგუჯას მოეჩვენა, რომ ქალაქში უზრუნველად და იოლად ცხოვრობდნენ; ძროხას სხვა წველიდა, პურს სხვა აცხობდა. ქალაქელები არც ბარავდნენ, არც ხნავდნენ, საჭონელს არ უვლიდნენ; მიდიოდნენ სამსახურში, მერე ბრუნდებოდნენ შინ და დადამებამდე ან გაზეთებს კითხულობდნენ, ან ტელევიზორს უყურებდნენ.

გარედან ზარის რეკვის ხმა შემოვიდა. ზარი ეღარუნებდა გაბმულად და უსიამოდ. ელგუჯას მანდიკორის სკოლა და წაბლის ხის სვეტზე ჩამოკიდებული ლილისფერგადაკრული ბრინჯაოს ზარი გახსენდა. „ახლა სწავლა არაა, შეიძლება საყდარში რეკავენ.“ — გაიფიქრა. წამოდგა, შარვალი ჩაიცვა და ფანჯარასთან გაჩერდა. ქვევით, ტროტუართან უცნაური მანქანა იდგა. მეზობელი სახ-

ლებიდან ნაგვით დატვირთული ქალები გამორბოდნენ და ნაგვის ვედროებს მანქანის ხვიმირაში ცლიდნენ. ელგუჯამ დეიდაც დაინახა. დეიდას ცარიელი ვედრო ეჭირა და ვიღაცას ელაპარაკებოდა. მენაგვე მძღოლი, რომელსაც საკმაოდ მოდური, ჯინეებიანი ფრენჩი ეცვა, გვერდზე გამდგარიყო და მდუმარედ, მაგრამ ღირსეული იერით უყურებდა ამ სურათს.

— ადექი, დეიდა? — იკითხა ქალმა, როცა ახალშირდაბანილი ელგუჯა აივანზე დაინახა.

— ავდექი, კი... — უპასუხა ბიჭმა და თმაზე სავარცხელი გადაისვა.

— პირი დაიბანე?

— კი.

— სავარცხელი სარკის წინ იდო, ნახე?

— კი, აქა მაქვს...

ამ დაწყობილი კითხვა-პასუხის მერე ელგუჯა სასაუზმოდ დაჯდა. სულ არ უნდოდა ჭამა. უგულოდ ურევდა კოვზს ჭიქაში. აგონდებოდა ჭრელი ძროხა და ხბო, ბებერი თხა და ორი ურქო თიკანი. „ვინ გადვნიდა ამ დილით საქონელს?“— ფიქრობდა იგი და წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ წავიდოდა უმისოდ საქმე მანდიკორში.

შუადღით, როცა დიასახლისმა სამსახურში წასვლა დაუპირა, მოვიდა გივი ბურდაძე.

— სად ხარ, ბიჭო, აქამდე? — ჰკითხა დეიდა ელენემ.

— გამარჯობათ თქვენ! — თქვა გივიმ. იგი ცალი ბეჭით მიწოლოდა კარის კარბას და შინაურულად იხედებოდა ოთახში.

— შემოდი! — უთხრა ქალმა.

გივიმ ელგუჯას ჩამოართვა ხელი.

— როგორ ხარ?

— კარგად... — უხერხულად გაიღიმა ელგუჯამ.

— სადაა ბიძაჩემი? — მიუბრუნდა გივი უცბად ელენეს.

— შალვა, ბიჭო, ალიონზე მიდის სამსახურში და დაღამებულს ბრუნდება... სახლში არაფერი მოაქვს და რას მუშაობს ამდენს, ვერ გავიგე. თქვენ როგორ ხართ?

— არა გვიშავს.

ელენე საქმით გაერთო და ოთახში სიჩუმე დადგა. გივი მიხვდა, რომ რაღაც უნდა ეთქვა.

— გუშინ ჩამოდი, არა? — მიუბრუნდა ელგუჯას.

— კი გუშინ! — მოკლედ უპასუხა ელგუჯამ.

— მატარებლით? — უადგილოდ იკითხა გივიმ და გაიფიქრა, მანდიკორიდან ამა კიდევ რითი შეიძლებოდა ჩამოსულიყოო. ელგუჯამ დაუდასტურა, რომ ნამდვილად მატარებლით იმგზავრა. გივიმ უცბათ სიგარეტი ამოიღო და ელგუჯას მიაწოდა. ელგუჯამ უთხრა, არ ვეწევიო. გივიმ ასანთი აანთო, დინჯად გაამბალა, საფერფლე შეათვალიერა, ახლო მოიწია და იქვე მიხვდა, რომ ამასობაში დიდი-დიდი ნახევარი წუთი დრო გავიდა და მეტი არაფერი.

გივი არ იყო მორიდებული და ხათრიანი, მაგრამ ნათესავებთან საერთო ენის გამონახვა ყოველთვის უჭირდა. ამის გამო საყვედურობდნენ და ზურგსუკან ხშირად უცხვირპიროს ეძახოდნენ. ზოგი ფიქრობდა, გადიდკაცდა და არ გვკადრულობსო. გივი ელგუჯაზე ბევრად უფროსი იყო, მაგრამ ზაფხულობით, როცა სოფლად ჩადიოდა, ნათესავთან თამაშს სულ არ უკადრისობდა. ახლა ელგუჯა გივის უცხოსავით მიჩერებოდა და ფიქრობდა, თქვენობით ხომ არ უნდა ველაპარაკოო. ეს ფიქრი სერიოზულად აწუხებდა და ცდილობდა, პირველხანს მაინც, არც „თქვენ“ ეთქვა და არც „შენ“.

ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯა და გივი უნივერსიტეტში წავიდნენ. მზე უკვე ისე აცხუნებდა, რომ ქალაქს ალმური ასდიოდა. ელგუჯას არ ცხელოდა. გივი კი სულს ძლივს ითქვამდა და წუწუნებდა, ეს რა ღვთის წყრომააო.

უნივერსიტეტის ბაღი მომავალი აბითურიენტებით, თბილისში დარჩენილი

 სტუდენტებით და შემთხვევით შემოხვეული მოქალაქეებით იყო სავსე. ელგუჯამ პირველად დადგა ფეხი დაბალი ხეების ჩრდილებით აჭრელებულ, დანაყული აგურით მოწნილებულ ეზოში.

— ეს გოგო, — გივიმ უკან მოიხედა და ერთ ქალიშვილს თვალი გააყოლა.— დღეში ორჯერ მესალმება... ვეღარ გავიგე, ჩვეულება აქვს ასეთი თუ და ჰყავს ტყუპის ცალი... ორნი არიან, თუ ერთია, ვერ გავარკვიე...

ელგუჯამ მოიხედა, რაღაც სერიოზული შენიშვნის გაკეთებაც დაეპირა, მაგრამ გივის აღარ დაუცდია. თავჩაღუნული მიიჩქაროდა უნივერსიტეტის შენობის ჩრდილისაკენ.

უნივერსიტეტის ვესტიბული მოუზუნენ სკას ჰგავდა. შესასვლელშივე ორი ჯრიელი მაგიდა დაედგათ. აბითურიენტება მაგიდებს შემოსხდომოდნენ. ზოგი განცხადებას წერდა, ზოგი კედლიდან გამოცდების ცხრილს იწერდა, ზოგიც კიდევ უსაქმოდ იჯდა და ამთქნარებდა. — კანცელარიაში საბუთებს იბარებდნენ. სარკმელებთან რიგი იდგა. ხელში ყველას დაგრაგნილი ქაღალდები ეჭირა. კედლებთან და სვეტებთან, ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად გოგონები და ბიჭები იდგნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, მაგრამ ყველას მაინც შეწუხებული სახე ჰქონდა.

— შენ აქ დამელოდე! — უთხრა ელგუჯას გივიმ. თვითონ ვვერდზე გაუხვია და ჯრიელ დერეფანს გაუყვა. ელგუჯამ საბუთები და ხელები წელზე დაიწყო და იქაურობა უფრო დაკვირვებულად მიითვალ-მოათვალიერა.

შენობის სქელი, მძიმე კედლები, ფართო და მაღალი ფანჯრები, ნათელი დერეფნები და ქვის განიერი კიბეები ელგუჯას სასახლეს აგონებდა, აშინებდა და აფრთხობდა, მაგრამ რაღაც დიდისა და კარგის მოლოდინის გუნებაზე აყენებდა.

— ელგუჯას სალამი! — დაიძახა ვიღაცამ.

ელგუჯას ეგონა, სხვას ეძახიანო, რადგან არც უფიქრია აქ, ამ შენობაში ნაცნობს შეხვდებოდა; გვერდზე გაიხედა და მისი თანასოფლელი კიმოთე დანახა. კიმოთე კოჭლობით, მაგრამ საკმაოდ მოდიოდა მისკენ. ელგუჯას გაეხარდა კიმოთეს დანახვა. ეს კაცი მშველელივით მოეელინა და სიმარტოვის და უცხოობის გრძნობა, რომელიც იმ წუთას ისე ძალიან აწუხებდა, მოლიანად განუქარვა.

კიმოთე ორი წლის წინ წამოვიდა მანდიკორიდან. უკან მხოლოდ დასასვენებლად ბრუნდებოდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ზედმეტი მეცადინეობისაგან იყო გატანჯული. მშობლები თავს ეკლებოდნენ. ხელს არ ანძრევინებდნენ. არადა ზაფხულში გლეხიკაცის სახლში საქმეს რა გამოლევს. კიმოთე შუადღით ჩრდილში ჭილოფზე იყო წამოწოლილი, სასთუმალთან სიგარეტი და ასანთი ედო და წიგნს კითხულობდა. სოფელში ვიღაცამ ამბავი ამოიტანა, ვარლამის ბიჭი არსად არ სწავლობს, ქალაქში ტყულა დაეხეტებაო.

— როგორა ხარ, ბიჭო, როდის ჩამოდი? — იღიმებოდა კიმოთე და ელგუჯას ათვალიერებდა.

— გუშინ ჩამოვედი, შენ როგორა ხარ?

— კარგად, მე რა მიჭირს...

კიმოთე ელგუჯას მხრებამდე ძლივს წვდებოდა, მაგრამ თანასოფლელს ბავშვივით უყურებდა და სახიდან ირონიული მზერა არ შორდებოდა.

კიმოთე კოჭლი იყო. ოდნავ ურტყამდა ცალ თეძოს. ცდილობდა, კოჭლობა არ დატყობოდა და ეს სურვილი აუტანელ, ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას აყენებდა. შეიძლება ამ ფიზიკურმა ნაკლმა, რომელსაც არავინ იმდენ ყურადღებას არ აქცევდა, როგორც თვითონ ფიქრობდა, ჩამოაყალიბა მისი ხასიათი.

ელგუჯაზე მაინცადამაინც დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა ამხანაგის ამპარტავნობა, მაგრამ კიმოთე იმქამად, რაც მართალია, პატივისცემას უფრო იმსახურებდა, ვიდრე სხვა რამეს. ქალაქელ ბიჭს ჰგავდა აშკარად; ეცვა მოდაზე, ყოველ შემთხვევაში, ელგუჯას ასე

ეგონა, და ისე ლაპარაკობდა, როგორც თბილისში გაზრდილ კაცს შეეფერებოდა.

— რას შვები, კიმოთე, აქ რას აკეთებ? — იკითხა ელგუჯამ. არც იცოდა, რომ ამ კაცს, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, თბილისში უკვე კიმი ერქვა და არა კიმოთე.

— ვაბარებ, შარშან და შარშანწინ ერთი ქული დამაკლდა, გადავყევი ამ ქალებს, ლოთობას... ჩემი ბრალი კია... რა გექალება და გელოთება, როცა შენი საქმისთვის ვერ მიგიხვდია...

ელგუჯას გაეცინა. კიმოთეს ეს სიცილი არ მოეწონა, მაგრამ ნირი არ უცვლია.

— ...ასეა ძმაო, აქ სულ სხვა ამბებია... ისე, წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავრიცხები უეჭველად... ეს გადაწყვეტილია. საქმეც ჩაწყობილი მაქვს. შენ სად აპირებ?

— მეც ჟურნალისტობა მინდა...

— ძნელია, თუმცა ოქროს მედალი გაქვს, ხომ?

— კი.

— მაშინ სხვა საქმეა.

— გასაუბრება იქნებაო...

— მაგ არაფერი, გამოიარე ჩემთან, ვადაჭკორიას სამი. პატარა კონსულტაციას ჩაგიტარებ. გამოცდილება, ხომ იცი, რამდენს ნიშნავს? გივი ბუდაძე რა არის შენი?

— ბიძაშვილი.

— ერთად დაგინახეთ და მიტომ გკითხე... მაგის პრემიერა ნახე რუსთაველში?

— სად?

— რუსთაველში...

— არა. უპასუხა დაბნეულმა ელგუჯამ.

— უნდა ნახო აუცილებლად! — უსაყვედურა კიმოთემ.

— რუსთაველში — გაუბედავად იკითხა ელგუჯამ.

— რა რუსთაველში? — ვერ გაიგო კიმოთემ.

— აბა, რა ვიცი მე... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ და უცბად გაჩუმდა, შეეშინდა, კიდევ არაფერი წამომცდესო, მაგრამ კიმოთე მოულოდნელად სადღაც გაუჩინარდა. ელგუჯა მარტო დარჩა და მალე გივიც დაბრუნდა.

— ახლა ჩვენ ასე მოვიქცეთ, — თქვა გივიმ. — საბუთები შევიტანოთ ფილოლოგიურზე, ამ ფაკულტეტზე მეტ ხალვათობაა და იოლად ჩაირიცხები.

ელგუჯა შეყოყმანდა, შეწუხდა, თუმცა არაფერი უთქვამს.

— ერთი და იგივეა, — დაამშვიდა გივიმ. — ფილოლოგიურზე ქართულ გრამატიკას მაინც გასწავლიან, თუ ისწავლი, რასაკვირველია. მერე გინდა ჟურნალ-გაზეთში იმუშავებ, გინდაც—სხვაგან... თბილისში ახლა იმდენი მწერალი და ჟურნალისტია, რამდენიც მკითხველი.

ელგუჯა თავს იფხანდა და ვერ გადაეწყვიტა, რა პასუხი ეთქვა; ბოლოს მაინც გივის დაუჯერა, თუმცა გული ეთანხმებოდა. გივი ამასობაში უკვე განცხადებას წერდა.

— სპორტთან ხომ არაფერი საერთო გაქვს შემთხვევით? — წერის დროს იკითხა გივიმ.

—ქართულს ვჭიდაობდი, შარშან რაიონის ჩემპიონი გავხდი ჭაბუკებში... ამოღერღა ელგუჯამ.

— ესეც უნდა ჩავწეროთ, ამათთვის ყველაფერს მნიშვნელობა აქვს...

საბუთები ჩააბარეს და გარეთ გამოვიდნენ.

ქვის კიბეს მზე აჭერდა. ბაზალტის ლოდები მზეზე იხრუკებოდა. გივიმ სახე მოიჩრდილა და ეზო შეათვალიერა.

— წამოდი, დიმიტრის გაგაცნობ! — უთხრა ელგუჯას, თუმცა იმწუთას გადაწყვეტილი ჰქონდა, აღარსად შეჩერებულიყო და საქმეს წეოდა.

„ვინ არის ნეტავი დიმიტრი?“—გაიფიქრა ელგუჯამ.

ხის ჩრდილში მარტოდმარტო იჯდა ვიღაც გამხდარი კაცი, რომელიც ელგუჯას პირველად სკოლის მოწაფე ეგონა.

რეჯო ჭეიშვილი
ᲓᲐᲚᲘ

კაცს დიდ ხნოვანებას და სიდარბაისლეს მართლა ვერ მიაწერდით, მაგრამ ახალგაზრდაო, *მითუმეტეს ბავშვიო*, ვერაფერით ვერ იტყოდით, თუმცა ყმაწვილურად შეკრეჭილი თმა და მოკლე ქოჩორი იოლად შეგიყვანდათ შეცდომაში.

გივიმ დიმიტრის ცალი თითი ჩამოართვა და გვერდით მიუჯდა.

— რავა ხარ?

— ვარ, რა... — უხალისოდ ჩაილაპარაკა დამხვდურმა.

— გაიცანი, ეს ჩემი ნათესავია!

— ოჰ! — თქვა დიმიტრიმ. ელგუჯა დაკვირვებულად აათვალიერა და ხელი ჩამოართვა. — გამოცდებს აბარებ?

— დიახ... — მორიდებულად უპასუხა ელგუჯამ.

— კარგია! — მოეწონა დიმიტრის.

ელგუჯამ იფიქრა, ალბათ ლექტორი ან ამ შენობის კომენდანტიაო.

— ახლა შევიტანეთ საბუთები, თეო ვნახე და ველაპარაკე. — თქვა გივიმ.

— აწყობ არა?! — უცბად გაეცინა დიმიტრის.

— რა მოწყობა უნდა, ოქროს მედალი აქვს...

— ეს კარგია, მაგრამ მოწყობა მაინც უნდა, სხვათაშორის... — გვერდულად გაიღიმა დიმიტრიმ. — რაზე გინდა მოხვდე?

— ფილოლოგიურზე... — უპასუხა ელგუჯამ და ეს სიტყვა თვითონვე ეუცხოვა.

— მოგიძებნიათ თქვენც საქმე!—გაეხარდა დიმიტრის და გივის ღიმილით მიაშტერდა. — ღუბავ, ბიჭო, კაცს?!

— შენ გვაკლდი ახლა!.. — გული მოუვიდა გივის.

— აბა რატომ აფუჭებინებ ოქროს მედალს?

გივიმ ხელი აიქნია და გვერდზე გაიხედა. დიმიტრის აღარ გაცინებია, რატომღაც დაიღრიჯა, სიგარეტის ნამწვი მოისროლა, თითებზე დაიხედა და ელგუჯას უთხრა:

— შენ, მართლა არ შეგეშინდეს, ვსუმრობ!

ელგუჯამ ფეხი მოინაცვლა; შეეცადა, რაც შეიძლებოდა, უდარდელი სახე მიეღო და თავისუფლად გაჩერებულიყო.

კარგახანი უბერა დიმიტრიმ გადაყვითლებულ თითებს სული. რას იზორავდა, ელგუჯამ ვერაფრით ვერ გაიგო.

— ეს ბიჭი ლექსებს წერს? — მოულოდნელად იკითხა დიმიტრიმ..

— რაზე ატყობ? — გაეცინა გივის.

— ესლი მაკლია, ვერ შევატყო... — დიმიტრიმ შარვალზე გადაისვა ხელი, გულდაგულ გადაიფერთხა რაღაც ნამცეცები და ისევ ელგუჯას ახედა.—ვერ ვატყობ, საწყალი... ნახე, როგორ გაწითლდა?.. ეს რა იქნება, არავინ არ იცის... უკვდავების მოიპოვებს, როგორც არაფერი!

ელგუჯა სულ აილეწა. სად გადავარდნილიყო, აღარ იცოდა. იგი ხანდახან მარილა წერდა ლექსებს და საიდუმლოდ ინახავდა. ლექსები მანდიკორში ჰქონდა დამალული და გულზე მოეშვა, როცა მიხვდა, რომ მისი პოეტობის ამბავს თბილისში კაცისშვილი ვერ გაიგებდა.

დიმიტრიმ ამოიოხრა და მიწას დააშტერდა.

— რატომ ხარ, დიმიტრი, ცუდ ხასიათზე? — ჰკითხა გივიმ.

— რა ვიცი... — უიმედოდ უპასუხა დიმიტრიმ და დაფიქრდა, თუმცა ახალი გაცნობილი ადამიანი სულ არ დავიწყებია. — ახლა შენ ნათესავს გეგმები აქვს დაწყობილი, უკეთესი არ გინდა. ამას გონია, აქ მწერლობას ასწავლიან და ბოლოს პოეტის დიპლომს მისცემენ... არადა, რა ინჟინერი, ან რა საქმიანი კაცი დადგებოდა ამისაგან, პატრონი რომ ყავდეს! შეხედე, მაღალი, ცისფერი თვალები... რომაელ ლეგიონერს არ გავს? ამის წინაპარი, ალბათ, ლაზი იქნებოდა. მოდი, დაჯექი, ფეხზე რატომ დგეხარ?

ელგუჯა მექანიკურად დაჯდა, ძირს დაიხედა და მერე წარბებს ქვემოდან დიმიტრის ამოხედა. დიმიტრი გივის ელაპარაკებოდა და ეტყობოდა, ელგუჯა აღარც ახსოვდა. ელგუჯა მაინც იბ-

ლვირებოდა და იმ კაცის ხმის გაგონებაც არ უნდოდა.

უნივერსიტეტის ღია კარში კიმოთე გაეხდა, ბოლოს კიბეზე გაჩერდა. მარჯვენა ხელით სახე მოიჩრდილა, იქაურობა მთავარსარდალივით დაზვერა და უცნაურად დაეშვა ძირს.

— ეს ოხერი კიმი ისე დადის, გეგონება, ყველა ისე უნდა დავდიოდეთ!— ჩაიცინა დიმიტრიმ.

— ვინაა კიმი? — იკითხა გივიმ.

—აგერ, ის უკვდავი, კიბეზე რომ ჩამოდის.

— მაგას კიმი კი არა, კიმოთე ქვია!— თქვა უცბად ელგუჯამ. გარკვევით მხოლოდ მაშინ დაილაპარაკა და უცხო კილომ დიმიტრის ყური მოსჭრა.

— რა ქვიაო, რა თქვი?

— კიმოთე.

— რა კარგია, კაცო, — დიმიტრიმ ძირს დაიხედა და სახეზე ხელები აიფარა. —ნაღდი კიმოთეა, ამას წყალი არ გაუვა!

— შენ გაქვს უკეთესი სახელი!.. — ჩაილაპარაკა გივიმ. იგი ეტყობოდა, წასასვლელად ემზადებოდა, რადგან უკვე რამდენჯერმე დაიხედა საათზე.

— ჩემს სახელს რა უჭირს, შე კაი კაცო! — —თქვა დიმიტრიმ და ისევ მოიწყინა.

— წავიდეთ ჩვენ! — უთხრა გივიმ ელგუჯას.

— მიდიხართ? — იკითხა დიმიტრიმ.

— მივდივართ, კარგად იყავი, გამოიარე ჩვენსკენ!

— გამოვიარ, კარგად იყავით... — უხალისოდ დაეშვიდობათ დიმიტრი.

— ვინ იყო ის ბიჭი? — ჰკითხა ელგუჯამ გივის გზაში.

— მეგობარი კაცია...

— მთვრალი იყო?

— არა, საიდან მოიგონე... ისე მთვრალსაც ბევრჯერ ნახავ, ნუ გეშინია!

გივი სამსახურში წავიდა. ელგუჯა ისევ იქ დარჩა, შემოსასვლელთან გაჩერდა და გამვლელ-გამომვლელს დაუწყო ყურება. საიდანღაც კიმოთე მოვიდა. ადრე კიბეზე იდგა, რამდენიმე კაცს ერთდროულად, დაცხარებული ... ტკიცებდა რაღაცას და ელგუჯას გაუკვირდა, ასე უცბად საიდან წამომეპარაო. „ალბათ დილიდან დაღამებამდე აქ ტრიალებს, მეტი რა საქმე აქვს!“

— რას აკეთებ აქ — ჰკითხა კიმოთემ.

— ვდგევარ ისე...

— გივი წავიდა?

— კი.

ვიღაც ქერათმიანმა ქალმა ტროტუარი გადმოიარა და უნივერსიტეტისაკენ წამოვიდა. საკმაოდ სწრაფად მოდიოდა, მაგრამ ზედ ნაჭიშკრალთან ნაცნობს შეეფეთა და შეჩერდა. ეტყობოდა დაფიქრებული იყო, რადგან შეკრთა და გულზე ხელიც დაიდო; შემდეგ გაიცინა და მეგობარი ქალი გადაკოცნა. ქალები ერთად წამოვიდნენ და ზედ ცხვირწინ ჩაუარეს ელგუჯას და კიმოთეს. ელგუჯა მობრუნდა, ხელები წელზე დაიწყო და ქერათმიანს ისე მიაშტერდა, ლამის თან გაპყვა კიდეც. თხელი ტანის, მაღალი ქალი, ჩალისფერი, წმინდად დავარცხნილი თმა რომ მხრებამდე ჩამოუდიოდა, ახლა ნელა, თითქოს უდარდელად მიდიოდა, ამხანაგს ყურს უგდებდა და დროდადრო თავშეკავებულად მაგრამ გულიანად იცინოდა.

—იცი, ვინ არის? — ჰკითხა კიმოთემ.

— ვინ არის?

— დალი შელია.

— აპა... — ისე თქვა ელგუჯამ, თითქოს ეს სახელი და გვარი პირველად არ ესმოდა.

ქალები ამ დროს უნივერსიტეტისაკენ შეიმართებულ გზაწვრილს მიყვებოდნენ.

—ეს ქალი, — დინჯად განაგრძო კიმოთემ. — უცხო ენას ასწავლის, თუ ასპირანტურაში სწავლობს, ამდენი აღარ ვიცი... ისე გათხოვილია, ქმარი დაჭერილი უნდა იყოს. თუ გინდა, გაგაცნობ.

— მე? — გაუკვირდა ელგუჯას.

კიმოთე ვიღაცას მიესალმა. ელგუჯამ

რეჯო ჰეიშვილი
დ ა ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვნივ გაიხედა, მაგრამ დალი არსად ჩანდა.

„ქალმა ზედ არ შეხედა, ისე ჩაიარა და მე როგორ გამაცნობს?“ — გაიფიქრა ელგუჯამ და გულზე მოეშვა. წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა გაეცნო; რა უნდა ეთქვა იმ ადამიანისათვის, რომლის შეხედვამაც შეაშინა. კიმოთე აშკარად ცრუობდა და ელგუჯა დამშვიდდა. ამასობაში დიმიტრიმ ჩამოიარა და ბიჭები ლუდზე დაპატიჟა.

ელგუჯას ლუდი სულ ორ-სამჯერ ჰქონდა დალეული. ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რატომ სვამდნენ ამ საძაგელ სითხეს ადამიანები. ლუდი რომ არ უყვარდა ვერ გაამხილა და ტანჯვით გამოცალა ორი კათხა.

— დალევ კიდევ? — ჰკითხა დიმიტრიმ.

— არა, გმადლობთ! — მოიღუშა ელგუჯა. წამოწოთლდა კიდეც. ეგონა, დამცინიან. დარწმუნებული იყო, რომ დიმიტრი ყველაფერს ხვდებოდა და ლუდს ძალისძალით ასმევდა. „მერე წავა და ყველაფერს მოყვება“. — ფიქრობდა იგი.

— სად ცხოვრობ შენ?

— დეიდასთან, ჯერჯერობით...

— და. — —თქვა დიმიტრიმ და გაჩუმდა.

— გადმოდი, ჩემთან იცხოვრე, თუ გინდა, — უთხრა კიმოთემ.

— არა,არ მინდა...

არ გამომიშვებენო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ დიმიტრის შერცხვა და დროზე გაჩუმდა.

— მარტო ცხოვრობ, შე უკვდავო, ხომ? — დაინტერესდა დიმიტრი.

—კი, მარტო... — ამაყად უთხრა კიმოთემ.

— შენია არა, ეს თბილისი?

— რატომ არა!

დიმიტრის გაეცინა და კიმოთეს უთხრა, შენ რა ხარ, ჩემს მეტმა არ იცის არავინო. შემდეგ თქვა, კარგად იყავითო და მოულოდნელად წავიდა, თუმცა იმწამსვე მობრუნდა და მოიბოდიშა, საქმეზე მივდივარ, არ გეწყინოთო.

— კარგი ბიჭია დიმიტრი, — თქვა ელგუჯამ.

— მეც წავალ ბარემ! — თქვა ელგუჯამ.

— საღამოს სად იქნები?

— საღამოს არ ვიცი...

— გამოდი რუსთაველზე კინო „სპარტაკთან“.

— რა დროს?

— საღამოს.

ნასადილევს ელგუჯამ დეიდას უთხრა, რუსთაველზე უნდა გავიაროო.

— რა გინდა, ბიჭო, რუსთაველზე, ჯერ არ ჩამოსულხარ და ახლავე რუსთაველი დამიწყე?..

— ამხანაგს დავპირდი, გამოვალ-თქვა. კიმოთე ქვია, ჩვენებურია...

— რა გვარია ის შენი კიმოთე?

— ჯეთილაძე.

— კაცია? — ყოველშემთხვევისთვის იკითხა დეიდამ.

— კაცია. — სწრაფად უპასუხა ელგუჯამ, თუმცა ამ საკითხზე სხვა დროსაც არ დაფიქრებულა.

დეიდას არც გვარი მოეწონა, არც სახელი და ელგუჯას უთხრა, ბიძაშენი წაიყვანეო. კიდევ კარგი, შალვას სასეირნოდ არ ეცალა, ელგუჯამ, როგორც იქნა, თავი აიშვა და რუსთაველის პროსპექტზე გაიღწია. რამდენჯერმე აიარ-ჩამოიარა თეატრებისა და კინოების წინ, მაგრამ კიმოთე ვერსად ნახა. ვეღარ გაიგო, დათქმულ ადგილს ვერ მიაგნო თუ ამხანაგმა დაალალტინანა. ცოტა ხანი კიდევ იხეტიალა და ბოლოს ჭავჭავაძის ქუჩის ასახვევში გაჩერდა. ჯიბეში სოფლიდან ჩამოყოლილი ფული ჰქონდა. ფული რაღაც თავისუფლებას ანიჭებდა და საშუალება რომ ჰქონოდა, ცოტას დახარჯავდა. მაგრამ საღამოს გაზეთებისა და ერთი ძველი ჟურნალის ყიდვა მოახერხა მხოლოდ.

ქუჩაში ათასნაირი ხალხი დასეირნობდა. ელგუჯას ყურადღებას არავინ აქცევდა და ბიჭს უკვირდა. უხაროდა კიდეც, ვერავინ ვერ ხვდება, ჩამოსული რომ ვარო.

რუსთაველის ქუჩიდან ქერათმიანმა

ქალმა გადმოუხვია და ზვინთ წამოვიდა. ელგუჯას ქალი ძალიან ეცნაურა და იქვე გაახსენდა, უნივერსიტეტის ეზოში რომ დაინახა. ქალი ახლა უფრო სხვანაირი ჩანდა. თმასაც კვამლისფერი დაჭკრავდა. „ეტყობა აქეთ ცხოვრობს!“— მიხვდა ელგუჯა და ამ აღმოჩენამ, რატომღაც, ძალიან გაახარა. ქერათმიანს თვალი გააყოლა, მაგრამ მალევე მოტრიალდა, რადგან ჩათვალა, რომ ასეთ ქალებს ამ ადგილებში კიდევ ბევრს აღმოაჩენდა, თუ გამეცადინებდაო.

ვიღაც დაბალი, დიდთავა ბიჭი, რომელსაც კისერი ჰქონდა თუ არა ძნელი გასაგები იყო, კედელთან შეჩერდა, რამდენჯერმე უკან მიიხედა და ელგუჯას ქაღალდში გახვეული ნივთი მიაწოდა. ელგუჯას საჩუქარი ემძიმა და კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

— ერთი წუთით დამიჭირე, მომდევენ! — თქვა ბიჭმა და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

გაზეთში გახვეული რაღაც უცნაურობა ელგუჯამ ზურგსუკან დამალა და შიშისაგან ენა ჩაუვარდა.

დაბალი ბიჭი ქუჩაში გადავიდა. ბიჭს ორი მისი თანატოლი აედევნა. ერთი მაღალი იყო, მეორე ასე, საშუალო ტანის. სამთავეგ უხმაუროდ, ჩქარი ნაბიჯებით გადაჭრეს ქუჩა და უამრავ მანქანებში ოსტატურად გაიკლიეს გზა; ქუჩის საათს შემოუარეს და ოპერისკენ წავიდნენ. ელგუჯამ იფიქრა, რომელიმე მაინც შემობრუნდებო, მაგრამ შეჩერებასაც არც ერთი არ აპირებდა. მდევარი ერთი მეტრის დაშორებით მიყვებოდა გაქცეულს. მალე სამივე თვალს მიეფარა.

ელგუჯას ხელები გაუფოფლიანდა, ვერაფრით ვერ ივარაუდა რაში უნდა ყოფილიყო საქმე. კარგახანს ელოდა გაქცეულს, მაგრამ აღარავის მოუკითხავს. ნივთის გადაგდება, ან სადმე დატოვებაც ვერ გაბედა. მიბარებული მგელმა შეინახაო, ფიქრობდა, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ საჭირო გახდებოდა, ეთქვა, ამანათი ძალით მომაჩეჩესო და უკისრო ბიჭს პორტრეტიც დაეხატა პირველსავე მოსახერხებელ შემთხვევაში.

ამასობაში კარგა ხანი გავიდა. შინ წასვლის დროც მოსულიყო. ელგუჯამ არ იცოდა, რა ნომერ ტროლეიბუსზე უნდა დამჯდარიყო. კითხვა რცხვენოდა და, საუბედუროდ, არც ცარიელმა ტაქსმა ჩამოიარა. რუსთაველის პროსპექტზე ხალხი და ტრანსპორტი თითქმის ისედაც მილია. აქა-იქ გზაჯვარედინებზე დაგვიანებული მგზავრები იდგნენ და ცარიელ მანქანებს უსისინებდნენ.

ელგუჯამ საჩუქარი ამოიღლიავა და ფეხით წავიდა; სულ მალე იმ ასახვევში აუხვია, რომელიც, მისი ფიქრით, უეჭველად შინ მიიყვანდა.. ცოტა აიაღმართა თუ არა, უკან მოიხედა; როცა დარწმუნდა არავინ მომყვებაო, დამშვიდდა და ნივთს რამდენიმე ფენად შემოხვეული გაზეთები შემოაცალა. ფრთხილად აიფცქვნა უკანასკნელი ქაღალდი და ხელში კარგად გამომწვარი აგური შერჩა. პირველად ვერ გაიგო, რატომ იყო ასე გულდაგულ გაზეთებში აგური შეხვეული. აგური ხელში ატრიალა, უყურა, მერე გაეღიმა და ქუჩაში გადაადგა. აგური მძიმედ დაეცა, მაგრამ არ გატყდა.

ელგუჯა მიხვდა, რომ ძალიან შეაგვიანდა. შეეშინდა; ჩქარა წავიდა, მაგრამ სულ მალე ქუჩა ჩაიკეტა. იგრძნო, მხარი ეცვალა. დაფეთებული მობრუნდა უკან. მართალია, ქუჩაში თითო-ოროლა გამვლელი კიდევ ილანდებოდა, მაგრამ არავისთვის არაფერი უკითხავს, ისე მივიდა სახლამდე.

რა უნდა ეთქვა, თავი რით ემართლებინა? რომ გაეგოთ, რა სირცხვილიც დაემართა, სად მიდიოდა? თვითონ არაფერს იტყოდა, მაგრამ დეიდა თუ ჩააცივდებოდა, ნამდვილად გატყდებოდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. არავის უკითხავს, ქუჩაში აგური ხომ არავის მოუციამ და ელგუჯასაც არაფერი უთქვამს. რაღაი მშვიდობია-

---

რეჯო ჭეიშვილი
ფალი

ნად გადარჩა, კარგ ხასიათზე დადგა და დაძინება დაუპირა, თუმცა, თვალი კარგა ხანს ვერ დახუჭა.

თავი მეოთხე

ელგუჯა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩარიცხეს. გასაუბრებამ მშვიდობიანად ჩაიარა. კიმოთე ვერ მოეწყო. კიდევ ერთი ქუდა დაკარდა. პატრონი რომ არა მყავს მჩაგრავენო, თქვა; გაბოროტდა და დროებით საღღაც გადაიკარგა.

პირველ სექტემბერს, ლექციების დაწყებამდე უნივერსიტეტის დერეფნები და ვესტიბიულები სტუდენტებით გაივსო. ყველა საგანგებოდ იყო ჩაცმული და დავარცხნილი. ამ რიარიაში ელგუჯამ ერთი „ნაცნობი“ ძლივს აღმოაჩინა. იგი ნაცნობს მიჩერებოდა და არკვევდა, სად მინახავსო. შეიძლება ჩემს დაბადებამდე ათასი, ათასხუთასი წლის წინ შევხვედრივარ, ფიქრობდა იგი. მერე მიხვდა, რომ ეს ქალი სულ რამდენიმე დღის წინ კიმოთემ წარუდგინა აქეე, ეზოში. დალი შელიას (ეს გვარი და სახელი ელგუჯამ იმ დღეს ვერაფრით ვერ მოიგონა) თმა უკან გაეკრა, სულ სხვანაირად ეცვა, ვიდრე იმ დღეს და მართლაც ძნელი საცნობი უნდა ყოფილიყო. იგი მხიარულად ესალმებოდა ნაცნობმეგობრებს; განურჩევლად ერთნაირად კოცნიდა ქალს და კაცს და ეტყობოდა, თითქმის ყველას იცნობდა ელგუჯას გარდა. დალი არაფრით არ ჰგავდა ასპირანტს, მითუმეტეს, მასწავლებელს. თუმცა ელგუჯასათვის ამას მნიშვნელობა არა ჰქონია. სკოლის მოწაფეც რომ ყოფილიყო, მისთვის მაინც ურგი იყო. ელგუჯა მოურიდებლად, ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე მისჩერებოდა უცხო ქალს. კიდევ კარგი ვერავინ ამჩნევდა, თორემ დიდად დაძრახავდნენ; თავხედობას ვინ დაეებდა, რაღაც სხვას, უფრო საშინელს დააბრალებდნენ.

დალი ხმამაღლა იცინოდა და სწრაფად, მაგრამ უცხო ყურისათვის საკმაოდ გაურკვევლად ლაპარაკობდა. ელგუჯა მაინც მიხვდა, რომ ეს ქალი ამ დილით შავი ზღვის სანაპიროდან ჩამოსულიყო. მზეს მართლაც დაეკრა, მხოლოდ არც ისე, როგორც ზოგიერთებს მოეჩვენათ. სად იყავი და სად გაშავდიო, ეკითხებოდნენ ერთსა და იგივეს. დალი ამბობდა, მხოლოდ ეს ათი დღე დავისვენე, მანამდე თბილისში ვიყავი და არც ისეთი გაშავებული ვარო.

— ვინ არის ეს ბოგო? — იკითხა ერთმა კაცმა ელგუჯას გვერდით.

— რა ვიცი მე, ვინ არის?! — უპასუხა ვიღაცამ გულგრილად.

— აბა რა იცი, აქ რას მიკეთებ? — გაიცინა პირველმა.

სქელ კაცს, დალის რომ ქურდულად უყურებდა, გაზეთები ეჭირა ხელში. ელგუჯას იგი ლექტორი ეგონა, მაგრამ რომელიღაც პირველკურსელის მამა ყოფილიყო.

მალე ზარი დაირეკა. ზარის ხმამ ელგუჯა ააფორიაქა და დანარჩენი ყველაფერი გადავიწყა.

პირველსავე ლექცია-სემინარზე ელგუჯამ თანაჯგუფელები შეათვალიერა. სულ სამი ბიჭი აღმოაჩინა. დანარჩენი ადგილები ქალებს შეეკავნო. ელგუჯამ ჩათვალა, რომ ასეთი თანაფარდობა გაცილებით უკეთესი იყო. იგი ბიჭებს დააკვირდა; თავი უნებურად შეადარა სამთავეს და გუნებაში განსაზღვრა, რა უპირატესობას მოიპოვებდა ამ ქალთა ლეგიონის წინაშე. მოეჩვენა, რომ შესახედავად ყველას ჯობდა, მაგრამ არც ისე მოდაზე ეცვა, როგორც ადრე ფიქრობდა. პირიქით, შეიძლება სასაცილოდაც კი გამოიყურებოდა.

ელგუჯამ სწავლის დასაწყისშივე დაუშვა შეცდომა, რომლის გამოსწორება მერე აღარც უფიქრია, თუმცა მოგვიანებით ყველაფერს მიხვდა. თავისი ჭკუით, ჯგუფის და ნაწილობრივ კურსის გოგონებიც, ორ ნაწილად — ულამაზოებად და ლამაზებად — დაჰყო. თითქმის დამთავრებამდე „ლამაზებთან“ სიახლოვეს ცდილობდა. ამით დანარჩენები გაამწყრალა და „ლამაზების“, რომელთაც პირველ ხანს ელგუჯა არაფრად ჩაუგდიათ, გულიც გვიანობამდე ვერ მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გო. მიუხედავად ამ ტაქტიკური კრახისა, ელგუჯას არ ყვარებია არც ერთი მათგანი და გარდა იმ ზერელე, მოჩვენებითი მეგობრობისა, თანაკურსელებთან რომ არც თუ იშვიათია, არავისთან არაფერი არ აკავშირებდა.

ელგუჯა მუყაითად შეუდგა სწავლას. ერთ ლექციას და სემინარს არ აცდენდა. წუთი წუთით ჰქონდა გაზომილი და, როგორც მერე გაიგო, ამის გამო ზოგიერთები თურმე დასცინოდნენ კიდეც. დრო სწრაფად მიდიოდა. ელგუჯა თანდათან უახლოვდებოდა თბილისელ თანაკურსელებს. თავის გამოდება და მეტჩრობა არ უყვარდა, მაგრამ თვით მისი არსებობაც კი ზოგჯერ ამხანაგებში ირონიულ ღიმილს იმსახურებდა.

ელგუჯა მაინც აღრე გათამამდა. შესვენებაზე ამხანაგებს ჭიდაობის ილეთებს ასწავლიდა. ბიჭები გაურბოდნენ, არაფერი მოგვტეხოსო. ელგუჯა გულიანად იცინოდა და, მისი ჯაჭვით ქალიშვილებთან იწოლებდა თავს. ქალებს სულ არ აინტერესებდათ, ვინ ვისზე ღონიერი იყო და ელგუჯას ფანდებს წარმატება არ ჰქონია.

ერთ დილით, ლექციების დაწყების წინ, თანაჯგუფელები მხიარულ ხასიათზე შეიყარნენ. რაღაცაზე იცინოდნენ და ერთსაღამიავე ამბებს იხსენებდნენ. ელგუჯამ ვერ გაიგო რა ხდებოდა. მხიარულებაში გარეკვა დააპირა, ხან ერთ ჯგუფს მიაღწია, ხან მეორეს, მაგრამ ყურიც არავინ ათხოვა.

თურმე კურსის ყველაზე ლამაზ გოგოს ბელას, *რომელიც ელგუჯას ჯგუფში* სწავლობდა და ელგუჯას ამით რატომღაც თავიც კი მოსწონდა, წუხელ დაბიღების დღე გადაუხდია და თითქმის ყველანი იქ ყოფილიყვნენ. ელგუჯას მერე გაახსენდა წონა დღით, ლექციების დამთავრებისას, ბელა რომ ამხანაგებს რაღაცას აფრთხილებდა და ბოლოს რომ ყველანი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, მგონი, ფულსაც აგროვებდნენ. ელგუჯა მიხვდა, რატომ არიღებდა გუშინ ბელა თვალს. როგორც ჩანს, არც დანარჩენებს ვეპატნავებიო, ფიქრობდა იგი; გარდა იმისა, რომ დღეობაზე არ დამპატიჟებიან, *ტიფეს*, დამცინიან კიდეცო.

ელგუჯამ მოიწყინა, განმარტოდა, ფანჯრის რაფას ნიდაყვებით დაეყრდნო და ეზოში დაიწყო ცქერა.

ჯგუფში ლექტორი შემოვიდა. ნაქეიფარი ბიჭები მერხებს მიუსხდნენ. ელგუჯა განცალკევებით დაჯდა. მაღალი, მელოტი ლექტორი საქმიანად დადგა კათედრასთან. ეს კაცი საზღვარგარეთის, კერძოდ, ფრანგული ლიტერატურის ისტორიას კითხულობდა. კეთილი ადამიანი იყო, თუმცა ბევრი უცნაური ზნეც სჭირდა. როცა მოლიერზე ლაპარაკობდა, საჭიროდ თვლიდა სტუდენტები გაეფრთხილებინა: გვარი მოლიერი მორიელში არ აგვრიოთო. მხიარულ სტუდენტს ვერ იტანდა. მე მადროვეთ და როცა საჭირო იქნება, უკეთესად გაგაცინებთო. დროდადრო მართლაც ცდილობდა დანაპირების ასრულებას, მაგრამ სამწუხაროდ, სტუდენტები მაშინ უფრო გულიანდნ იცინოდნენ, როცა ლექტორი ძალიან დაბრძენდებოდა. იმ დღეს ბალზაკის შემოქმედებას უნდა გაცნობოდნენ. სტუდენტები გაფრთხილებულნი იყვნენ და ზოგიერთი დიდი ამბით ელოდა ამ ლექციას. ლექტორმა დასაწყისშივე კატეგორიულად განაცხადა: დღეს ჩვენ გადავდივართ დიდი ფრანგი მწერლის ბალზაკის შემოქმედებაზე და შინაურულად გეუბნებით, წინასწარ ერთ რამეში შევთანხმდეთ, ბალზაკი უდაოდ ნიჭიერი კაცი იყოო.

ელგუჯას დანა პირს არ უხსნიდა, *ისიც იცოდა, ბალზაკი რომ ნიჭიერი იყო*, მაგრამ ლექციამ მაინც დაინტერესა და ბევრი ახალი რამეც გაიგო. ზარი დაირეკა თუ არა, პირველი გავიდა გარეთ და უკანმოუხედავად წავიდა. არც ერთი ამხანაგის დანახვა არ უნდოდა. ქვის შადრევანთან წყალი მოსვა და კედლის იუმორისტულ გაზეთთან გაჩერდა. გაზეთს ხშირად ცვლიდნენ, მაგრამ, როგორც წესი, ყველა ნომერში პარიკმახე-

რი არსენა იყო გამოხატული. ეტყობოდა, თვითონ არსენა არაფერს ამბობდა და სხვას ეს ამბავი სულ არ აწუხებდა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ახლა არსენა ვიღაც სტუდენტს თმას კრეჭდა. სურათი რატომღაც მწვანე ფერში იყო გადაწყვეტილი. პარიკმახერს და კლიენტს შორის ასეთი მახვილგონივრული დიალოგი გამართულიყო:

ს ტ უ დ ენ ტ ი — ახლა ირგვლივ შემომიარე, ვაქკაცურად!

ა რ ს ე ნ ა — შემოგიარო, რა, მაგელანი ვარ?!

ელგუჯა კარგახანს უყურებდა გაზეთს. ერთხელაც არ გაცინებია, თუმცა ვაღიმება მაინც შეიძლებოდა, ყოველშემთხვევისათვის, სატირალი შიგ არაფერი ეწერა. ამასობაში თენგიზი მოვიდა და მკლავში ხელი გამოდო. ელგუჯა მოიღუშა, მაგრამ თენგიზს არაფერი გაუგია. ისინი ერთად წამოვიდნენ.

— რატომ არ იყავი ბელას დღეობაზე? — თითქოს ჯინზე იკითხა ამხანაგმა.

„ვინ დამპატიჟა, რომ ვყოფილიყავი?“ — ფიქრობდა ელგუჯა. ის კი არ იცოდა, ნახევარი იმ დღეობაზე დაუპატიჟებლად რომ მისულა და ერთი ბიჭის ვინაობა ვერც გაუგიათ.

— დღეს რა დღეა ხომ არ იცი შემთხვევით? — დაინტერესდა თენგიზი. პირველი კითხვა რომ უპასუხოდ დარჩა, არც გახსენებია.

— ხუთშაბათია, რად გინდა?

— არაფრად...

თენგიზი, ისე როგორც ფილოლოგიის ფაკულტეტის თითქმის ყველა სტუდენტი, ლექსებს წერდა და არც მალავდა. ელგუჯა ჯერჯერობით, ვერ ხვდებოდა, ვინ ვისზე უკეთესი იყო, მაგრამ თენგიზი სხვაზე უფრო ჰგავდა პოეტს და დაბნეული ადამიანის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა.

ერთ დღეს, ფიზკულტურის გაკვეთილზე, სპორტდარბაზში ვიღაც პატარა, ყურებდასიებული კაცი შემოვიდა, ფიზკულტურის მასწავლებელს ხელი ჩამოართვა და პირდაპირ იკითხა: ელგუჯა ვაშაძე რომელია აქო.

— მე ვარ! — რატომღაც შეკრთა ელგუჯა.

— შენ ხარ? — იკითხა პატარამ, თუმცა მაინცადამაინც არაფერი გაკვირვებია.

— დიახ.

პატარა კაცმა ერთხელ კიდევ აათვალიერა გრძელტრუსიანი სტუდენტი და ახლა უკვე შინაურულად ჰკითხა:

— ქართულს ჭიდაობდი შენ?

— დიახ.

— ვისთან?

— ჩაჩხიანთან... — წყნარად თქვა ელგუჯამ. დარწმუნებული იყო, ეს გვარი არაფერს ახალს არ იტყოდა.

— შალიკოსთან?

— დიახ, შალიკოსთან.

— მერე მარტო ქართულს ჭიდაობდი?

— თავისუფალსაც, მაგრამ ფაქტიურად, მარტო ქართულს...

— გასაგებია...

ელგუჯას ახლაღა გაახსენდა, საბუთების შეტანისას განცხადებაში რომ სპორტული ტიტულებიც ჩაწერა. არც უფიქრია, ამ ამბავს თუ ვინმე ყურადღებას მიაქცევდა.

— მაშინ ასე შევთანხმდეთ, — თქვა პატარა კაცმა. — დღეს საღამოს შვიდ საათზე მოხვალ საჭიდაო დარბაზში, გაკვეთილებიდან განთავისუფლდები და სექციაზე ივლი... მოხვალ თუ არა?!

— მოვალ, თუ...

— რა თუ?!

ელგუჯამ გვერდზე გაიხედა, იფიქრა, ფიზკულტურის მასწავლებელს არ ეწყინოს, უსინდისობა არ დამწამოსო. რა იცოდა, რომ მასწავლებელს თავისუფლება ერჩია და ელგუჯას ერთ-ორ სტუდენტს კიდევ დაუსართებდა, თუ საქმე საქმეზე წავიდოდა.

— დეკანატში შეთანხმებულია, ჩვენ შენს მოწყობაზეც გავისარჯეთ, თუ გინდა იცოდე! — მუქარით თქვა პატარა კაცმა, თაბახის ფურცელზე, რომელზეც ალბათ სია იყო ჩამოწერილი, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაც აღნიშნა და ისევე მოულოდნელად და შეუმჩნეველად გავიდა, როგორც გამოცხადდა.

„ეს რა ღვთის წყრომა ყოფილა?“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

სადილობისას შინ ელგუჯამ ყველაფერი მოპაყვა და იქვე დაუმატა. სპორტდარბაზში უნდა წავიდეო.

— ახლა? — ჰკითხა ბიძამ.

— დიახ. შვიდ საათზე დამიბარეს...

— რა ეჯიდავება, ბიჭო, სწავლას მიხედე შენ... — გულგრილად უთხრა დეიდამ.

— რატომ რა ეჯიდავება, სპორტი ძალიან კარგია, თუ მარჯვედ იქნება, არაფერს არ წააგებს. მხოლოდ წონა არ დაიკლო. — ურჩია ბიძამ.

— წონა რატომ უნდა დავიკლო? — იკითხა ელგუჯამ.

— ჩენი ბიძაშვილის შვილი კარლო, შენ ხომ იცი? — მიუხედა ცოლს — კალათბურთელი იყო და აღარაფერს ჭამდა, წონას ვიკლებო, ამბობდა.

— ის, კაცო, ავად იყო. — აუხსნა ცოლმა.

— ვინ მოგახსენა?! — ეწყინა კაცს.

— თე არ დაიჯერებ, იყავი მასე...

— ახლა მე ეს მასწავლის, რა იყო და რა არა... წონას იკლებდა-თქვა. გეუბნები!..

— ჰო, კარგი, მასე იყოს...

ელგუჯამ ვერაფრით ვერ გაიგო, კალათბურთელი რაღა წონას იკლებდა, მაგრამ ხმა არ გაუღია, უგულოდ ისადილა და წასასვლელად გაემზადა.

საჭიდაო დარბაზში სიჩუმე იყო. ყურებდაკეცილი პატარა კაცი, რომელიც ელგუჯას იმ დილით თავს დაესხა, და ერთი სქელი ადამიანი, კუთხეში ისხდნენ და ძალიან სერიოზულად უყურებდნენ ერთმანეთს. ლეიბის კუთხეში ორი საცოდავი მოჭიდავე ძიძგილაობდა. ღია ჯარიდან ჩანდა, როგორ ისდიდა რამდენიმე ბიჭი მეორე ოთახში.

ელგუჯამ ფრთხილად შეათვალიერა იქაურობა და შემოსასვლელშივე გაჩერდა. პატარა კაცმა მოგვიანებით შეამჩნია, ცოტა ხანი უაზროდ უყურა მერე ჰკითხა:

—რა გვარი ხარ შენ?

— ვაშაძე.

— აი ეს არის... — უთხრა პატარამ მეორეს და სიაში ჩაიხედა.

მეორე კაცი პირველზე მაღალი და სქელი იყო. ყურები იმასაც დასიებოდა, მაგრამ მეტი სიდარბაისლე ეტყობოდა. სქელმა ელგუჯა მოურიდებლად შეათვალიერა და ხმამაღლა ჰკითხა:

— გინდა, ბიჭო, ჭიდაობა?!

„რა აყვირებს თუ იცის!“—გაიფიქრა ელგუჯამ და დასტურის თუ ყოყმანის ნიშნად მხრები აიჩჩა. სქელს ეგონა, შეეშინდაო.

— რაიონის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში, შალიკოსთან ჭიდაობდა თურმე... — აუხსნა პატარამ.

—შალიკოსთან... — ჩაიცინა სქელმა და გვერდზე გაიხედა.

— ჩვენთან თუ დარჩები, თავისუფალში უნდა ივარჯიშო, მარტო ქართულით შორს ვერ წახვალ! — უთხრა პატარამ.

— ცოტა აქ, — სქელმა მკლავი მოხარა და მთასავით ამოზურცულ კუნთზე დაიხედა. — ლაყედ რომ იქნები, არ ვარგა... კაცს თავი რატომ უნდა დააჩაგრინონ?.. რომელ ფაკულტეტზე ხარ?

— ფილოლოგიურზე.

— მით უმეტეს...

ელგუჯამ გაიღიმა და ძირს დაიხედა.

— ახლა, ბიძია, მე იმას კი არ გასწავლი, ინჩუბე და გალახე ვინმე-თქვა, ისე გითხარი, სიტყვას მოჰყვა...

ელგუჯას გაუკვირდა, სქელმა რომ ჭაუის დარიგება დაუწყო და აღრე ნათქვამი გადათქვა. იფიქრა, სწორედ აქ ჩხუბს და ყალთაბანდობას ასწავლიანო და სქელი კაციც არ ეგონა წმინდა სული.

— კვირაში სამჯერ უნდა მოხვიდე, დღეს თავისუფალი ხარ და სამშაბათს სამ საათზე საჭიდაო ტანსაცმელი მო-

---

რევაზ ბეიშვილი
ფალი

ტანე თუ გაქვს, თუ არა და იყიდე, ან ჩვენ გიშოვნით. ბატონი პავლე გავარჯიშებს... — დააყოო ბოლოს პატარამ და სქელ კაცს გადახედა.

— ჰო! — თავი დაუქნია ბატონმა პავლემ.

ელგუჯამ, ვითომ ძალიან გახარებული დარჩა, უხეიროდ გაიკრიჭა და წასვლა დააპირა. მწვრთნელები ისევ ერთმანეთს მიჩურჩულნენ. პატარამ ხმადაბლა თქვა რაღაც და სიმწრით ჩაიცინა. სქელმა მაგიდაზე ხელები დაალაგა, ტუჩები მოკუმა, გაიღიმა, მაგრამ სინანულით გაანქანა თავი და კბილებში გამოსცარა:

— მე მაგის ყოფა ვატირე!

ელგუჯა კუთხეში მიწყობილ ორფუთიან გირებს დაწვდა, რამდენჯერმე ადგილზე მოსინჯა და შეათამაშა.

— ჰე, მძიმეა?! — უყვირა სქელმა, რომელიც თურმე ელგუჯას უყურებდა. ელგუჯას გული კინადამ გაუსკდა, ერთი გირი ხელიდან გაუვარდა და ლამის ფეხზე დაეცა.

— ფრთხილად, ბიჭო! — წყნარად თქვა პატარამ.

ელგუჯას უკან არ მოუხედავს, გრძნობდა, როგორ წითლდებოდა სახეზე თანდათან. წელში მოიხარა, გირები მოიმარჯვა, ასწია და თავისუფლად გამართა ორივე მკლავი.

— ესე! — დაიძახა სქელმა კაცმა და გუნებაში გაიფიქრა:

„ეს ივარგებს, თუ ნამეტანი ჭკვიანი არაა!“.

თავი მეხუთე

ელგუჯა მუყაითად შეუდგა ვარჯიშს. არც ერთ მეცადინეობას არ აკლდნდა; ყველაფერს ერთგულად და დაჟინებით აკეთებდა. მოუიდავეებს და მწვრთნელებსაც უფრო იოლად შეეჩვია, ვიდრე თანაკურსელებს. საჭიდაო დარბაზში შინაურულად იქცეოდა. ერთხელ თენგიზიც კი მიიყვანა სექციაზე. თენგიზის დამყოლი ხასიათი ჰქონდა და უარი არ უთქვამს, მაგრამ დიდი ვერაფერი შვილი მოჭიდავე აღმოჩნდა. ერთ-ერთ წვრთნაზე კისერი იღრძო და მთელი ერთი თვეც ყელგაშეშებული დადიოდა. მშობლები შეშფოთდნენ. თენგიზის მამიდამ (თენგიზი სანახევროდ ამ ქალის გაზრდილი იყო) ელგუჯას რატომღაც რუსულად აუხსნა, მაგის ჩხუბი და ჭიდაობა ვის უნახავს, ისედაც სუსტი და რევმატიზმებიანიაო.

თენგიზის მამიდა ორმოცდაათ წელს უნდა ყოფილიყო გადაცილებული, მაგრამ ხანი არც ისე ეტყობოდა. თმას ძალიან შავად იღებავდა და დღენიადაგ პაპიროსი ჰქონდა პირში გაჩრილი. ვამხდარი, მაგრამ ცოცხალი და ენერგიული ქალი მთელი თბილისის ლიტერატურულ საზოგადოებას იცნობდა. გამომცემლობაში მუშაობდა, თვითონაც წერდა; ძირითადად თარგმნიდა და კარგი სახელითაც სარგებლობდა. ამ ოჯახში ელგუჯამ რამდენიმე ნამდვილი პოეტი გაიცნო. ამ ხალხს, რომელთა არსებობა ადრე ვერც წარმოედგინა, ელგუჯა სასოებით უყურებდა, მაგრამ რედაქციებსა და გამომცემლობებში გაწამებულ მეოსნებს არაადამიანობა სულ არ ეტყობოდათ და ელგუჯას გასაცებლად, ღრუბლებშიც არც ერთი არ დაფრინავდა.

ამ ოჯახის მასპინძელი ელგუჯას არასოდეს შუბლშეკრული არ უნახავს. პირიქით, ელგუჯას დანახვაზე ქალს სულ ეღიმებოდა, მაგრამ ბიჭი მაინც მოხათრებული დადიოდა. თენგიზი მოურიდებლად ართმევდა მამიდას კინოს და თეატრის ფულს და თავის მოხერხებით ტკბებოდა. ქალი სხაპა-სხაპით არიგებდა ორთავეს ჭკუას, მაგრამ თენგიზს არაფერი ესმოდა და თვალი სულ კარისაკენ ეჭირა.

ერთ დღეს ოთახში დალი შელია შემოვიდა. დალიმ პირდაპირ შემოაღო კარი და მერეღა მოიხათრა. ეტყობოდა, ბიჭებს არ ელოდა. შეჩერდა, გაიღიმა და ყველას მიესალმა. თენგიზმა თავი დახარა, სტუმარს ხელი ჩამოართვა და როგორ ბრძანდებითო, ჰკითხა.

— გმადლობთ... — უთხრა დალიმ და კაბის ზედა ღილი შეიკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მოდი, ჩემო ლამაზო! — წყნარად დაუძახა თენგიზის მამიდამ. იგი მაგიდასთან იჯდა და რაღაც ხელნაწერს ასწორებდა. დალი გვერდში მიუჯდა, ხელი გადახვია და კარგახანი უჩურჩულა რაღაც ყურში.

— კარგი, კარგი! — უთხრა მასპინძელმა.

დალიმ გაიცინა, ცოტა ხნის მერე ისევ გადაიხარა და ეტყობოდა, ადრინდელი ნთქვამი გაიმეორა, რადგან დიასახლისმა ხმამაღლა წამოიძახა:

— გავიგე, ბოშო, რა დაგემართა!

დალი უცბად დადინჯდა და კართან ატუზულ ბიჭებს მიაჩერდა. ელგუჯამ გვერდზე გაიხედა. დალიმ ახლა სულ უმიზეზოდ გაიღიმა. შემდეგ ქალები ადგნენ და მეორე ოთახში გავიდნენ.

— წავედით ჩვენ, რუსიკო! — დაუძახა თენგიზმა მამიდას.

— რა გეჩქარება, ბიჭო?! — მოისმა მეორე ოთახიდან ქალის ხმა.

„მართლა რა ეჩქარება?“ — გაიფიქრა ელგუჯამ. ფეხი აიოხია, მაგრამ თენგიზს ვერაფრით ვერ მიახვედრა, რომ აქ დარჩენა ჯობდა.

მეორე დღეს, ზუსტად იმავე დროს უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზის კარებთან, უფრო სწორედ შიგ კარებში, შეეფეთა დალი ელგუჯას. ელგუჯამ იფიქრა, მიეცესლებიო, მაგრამ ქალს თავი არ აუწევია. იგი კართან შეჩერდა და ვიღაც მაღალ სტუდენტს გზა დაუთმო. ელგუჯა დაიბნა და ჯიქურ გაიარა; ცალი გვერდი კარის ძგიდეს გაჰკრა და კინადამ ყველაფერი გაიტანა. უზარმაზარმა კარმა ზანზარი დაიწყო. დალიმ უნებურად ახედა კარს და დაფიქრებული შევიდა დარბაზში.

— კიდევ კარგი, ვერ მიცნო! — ფიქრობდა ელგუჯა და დაბლა ჩადიოდა. თუ არცნობას სანატრელად მივიჩნევდით, ელგუჯას ბედთან დასაყვედრებელი არა უნდა ჰქონებოდა რა, რადგან დალიმ იგი საერთოდ ვეღარ იცნო, თუმცა მარტო იმ დღეს მესამედ შეხვდა. არც სხვა დროს მოუნატრებია თავი, მაგრამ ბიჭს ამით არაფერი შემატებია. პირიქით, რაც დრო გადიოდა, უიმედობის ვრძნობა ეუფლებოდა თანდათან. ახლა ქალს ისე უყურებდა, როგორც ზეგნში—სურათს.

ზამთარი მომდგარიყო კარს. თბილისში ციოდა და ძალიან ადრე ღამდებოდა.

იმ საღამოს, როცა დარბაზში მბეჟუტავი ნათურები აინთო, ელგუჯამ ჩარკინულ ფანჯრებს გახედა და ნესტიანი, ცივი ღამე იგრძნო. ძალიან გვიანი ეგონა. იფიქრა, ალბათ ხალხს ძინავს, ქუჩაში კაცი აღარ დადისო. ამ მტვერში და ოფლის სუნში ყოფნას რა გინდ რა უამინდობა არ ყოფილიყო, მაინც რუსთაველზე სიარული ჯობდა; ვიღაცას ნახავდა, ლაპარაკს გულს გააყოლებდა. კარგ ქალს შეხედავდა თვალს წყალს დაალევინებდა და სულ რომ არაფერი, კინოში მაინც შეავიდოდა. ის დღე ელგუჯამ დაკარგულად ჩათვალა. ხალიჩაზე წამოწოლა და მწვრთნელს ჰკითხა, რა დროაო.

— რა იყო ბიჭო, დაიღალე?.. ბევრი იმუშავე ხომ?! — წამოიძახა პავლემ.

— ისე ვიკითხე...

— პაემანი თუ გაქვს, ქალი თუ გყავს დაბარებული, თქვი!

— ქალი კი არა, ის... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ და გაიფიქრა

„ამხელა კაცისათვის საათი არ უნდა მეკითხა, უხერხულია ნამეტანი!“

— შვიდი არ არის ჯერ.

— ადრე ყოფილა! — გაიკვირვა ბიჭმა.

მწვრთნელმა ფეხები დაიწმინდა და ლეიბზე შევიდა.

— დადექი ძირს!

— მე? — იკითხა ელგუჯამ, თუმცა კარგად მიხვდა, ვისაც ელაპარაკებოდნენ.

— დიახ, თქვენ!

ელგუჯამ გაიღიმა და ჩოქბჯენში დადგა. არ უყვარდა, როცა ამხელა კაცი ეშიდავებოდა. უხერხულობისაგან სად წასულიყო, არ იცოდა. ეაი, თუ ვერ

რეჯო ჰეიშვილი
ᲓᲐᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამაქციოსო, ეშინოდა. მწვრთნელმა ხენეშთან ჩაიმუხლა და ელგუჯას ზურგზე ხელები დაადო; მარცხენა კეფაზე დაეჭირა, მარჯვენა იღლიაში ამოუდო.

— არ უნდა მომიშვა აქამდე!

— მე მეგონა, წელში შემოდიოდით.

— გეგონა კარგია, გაამაგრე კისერი!

ელგუჯამ გაიჭირვა, მაგრამ თავი მაინც ვერ წამოწია და უშბლით ხალიჩას მიეკრო. მეტი ვერაფერი მოახერხა და მარჯვენა ხელი მწვრთნელს მაჯაზე მოუჭირა. პავლეს ეგონა, ძვალი გადამემტვრაო, მაგრამ ბევრიც ადარ უფიქრია, ფეხი შეგირდის ფეხში ჩაახვია, გასაღებით მხარი ამოუღო და წინ გადააგორა. ელგუჯა ჯერ კისრით, მერე ბეჭებით დასვა. ელგუჯა გრძნობდა, რომ წაქცეული იყო და მაინც იქაჩბოდა. თუმცა ბოლოს სულ დაწყნარდა, სანამ გონზე მოვიდოდა, მწვრთნელმა ბეჭზე მოუთათუნა და თავაზიანად სთხოვა, ხელი გამიშვიო. ელგუჯამ ხელი უშვა და გვერდზე გადაგორდა. პავლე წამოდგა, გაწითლებულ მაჯაზე დაიხედა.

— ქვა გაქვს ხელში? — გაუკვირდა მას.

ელგუჯა უაზროდ იღიმებოდა, ასე იოლად როგორ ვიქცევიო, ფიქრობდა და რა ქვაზე იყო ლაპარაკი არ იცოდა.

— ასეთი ხელი ჯერ არ მინახავს! — უთხრა პავლემ ერთ სქელ, დაბალ ბიჭს, რომელიც მწვრთნელთან ძალიან შეთამამებული იყო. სქელმა ბიჭმა საკუთარ ხელს დახედა, მაჯა შეაბრუნეშემოაბრუნა და დაასკვნა, რომ ეს ამბავი სულ არ იყო მთავარი.

ღია კარში თენგიზმა შემოიხედა, ქუდი მოიძრო და იქვე გაჩერდა.

— მოვიდა ჩუჩელა! — თქვა პავლემ.

თენგიზმა უხეიროდ გაიკრიჭა და კვერდულად წამოვიდა. პავლეს გაეცინა.

— სალამი, ბატონო პავლე! — თქვა თენგიზმა.

— გაგმარჯოს, თუ გინდა. — თქვა კაცმა და სტუმარს ხელი ჩამოართვა.

— როგორ ბრძანდებით? — დაინტერესდა მოსული.

— მოგწყინდა ჯიდაობა? — ჰკითხა მწვრთნელმა.

— არ ყოფილა ჩემი საქმე...

— აბა რა არის შენი საქმე, ჩათვლაზე რომ მომადგები, მერე რა ვქნა?

— ცოტა დამსახურება მეცა მაქვს, ეს სემესტრი გამიტანეთ და მერე ისევ ჯგუფში გადავალ, თქვენც დაისვენებთ და მეც...

— ახლა რა გინდა, ამ კაცს რატომ მიცდენ?

— პირიქით, ვამხნევებ.

— მამაშენი რას შვება?

— კარგად არის, მოგიკითხათ...

მწვრთნელმა მაჯაზე ბრტყელი ოქროს საათი გაიკეთა და ელგუჯას უთხრა, თავისუფალი ხარო. ელგუჯა სწრაფად გავიდა გასახდელში.

უნივერსიტეტის ვესტიბიულში სტუდენტები და ლექტორები დადიოდნენ. სინათლეში და სითბოში სულ არ იგრძნობოდა, რომ გარეთ ღამე და სიცივე იყო.

— წამოდი, დიმიტრისთან გავიაროთ... — უთხრა თენგიზმა ელგუჯას, როცა ისინი დარბაზიდან ზევით ამოვიდნენ.

„რა მინდა დიმიტრისთან?“ — გაიფიქრა ელგუჯამ და იქაურობა მიათვალიერა. გარეთ გასვლამდე ფეხი აითრია. იფიქრა, იქნებ დალი დავინახო საღმეო. ქალი ხშირად ნანატრივით გაელანდებოდა, მაგრამ იმჯერად არსად ჩანდა.

— წავიდეთ? — ხელმეორედ იკითხა თენგიზმა.

— უხერხული არ იქნება?

— რას ლაპარაკობ, პირიქით... მივიდეთ, მუსიკას მოვუსმინოთ...

ელგუჯამ დალის დანახვის იმედი დაჰკარგა და აღარაფერი უთქვამს, თუმცა ქუჩაში ერთხელ მაინც იკითხა, დიმიტრი მარტო ცხოვრობს თუ არაო.

დიმიტრი მართლა მარტო ცხოვრობდა და იმჟამად სტუმარიც არ ჰყავდა. თენგიზი, ამას იგი იოლად ახერხებდა,

დიმიტრისთანაც გამნაურებული იყო. დიმიტრიც არ ყოფილა უცხვირპირო და უკარება, თუმცა ერთი შეხედვით, უარესიც გეგონებოდათ. ყველაზე რთული მაინც დიმიტრის ხნოვანების დაზუსტება იყო. ვერაფრით ვერ იტყოდით, რამდენი წლის იყო ეს ხმელი, პირმრგვალი, თითქმის უწვერ-ულვაშო კაცი.

დიმიტრის ერთადერთ ოთახში, რომელსაც პატრონი კაბინეტს ეძახდა, სითბო და სიმყუდროვე იყო. ელგუჯას ყურები გაუთბა და შესვლისთანავე გაიფიქრა, რა მინდოდა, აქ რამ მომიყვანა. დიმიტრიმ სტუმრებს ღიმილით ჩამოართვა ხელი.

— უდროო დროს ხომ არ მოვედით? — იკითხა თენგიზმა.

— არა, შე უკვდავო, შემოდი.

— ამას ხომ იცნობ?

— როგორ არა, გაიხადეთ პალტოები.

მასპინძელი და სტუმრები მალე მილაგ-მოლაგდნენ და ოთახში სიჩუმე დადგა, თუმცა არც ერთს უხერხულობა არ უგრძნია.

— დიმიტრი, როგორა ხარ, შე ძველო! — მკლავში ხელი მოჰკიდა თენგიზმა მასპინძელს.

— კარგად, უკვდავო, სად დაიკარგე?

— რა ვიცი? — ჩაილაპარაკა თენგიზმა და მაგიდაზე მიგდებული წიგნი გადაშალა.

— პაპიროსს არ ეწევით ხომ არც ერთი? — დაინტერესდა რატომღაც დიმიტრი, თუმცა პასუხისათვის აღარც დაუცდია. მაგიდაზე მიმოფანტული თამბაქოს ფურცლები და ფანქრები მოაქუჩა და ფრთხილად ჩაალაგა უჯრაში.

დიმიტრი ფიზტეს ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ შრომას თარგმნიდა, კომენტარებს უკეთებდა და იმყამად იმ საქმით იყო დაკავებული.

ელგუჯამ პატარა, ძველებური ყაიდის ოთახი მითვალიერა. მაღალი კედლების ზევით კარნიზის შვერილები ჩანდა. ჭერზე ჭაღის ორნამენტიც იყო დარჩენილი. მაგიდაზე რამდენიმე წიგნი, საფერფლე და საფანქრე იდო. კედელზე ფერადი ფანქრით დახატული დიმიტრის პორტრეტი და დიურერის გრავიურა ეკიდა. კუთხეში, დაბალ მაგიდაზე რადიომიმღები და ორი დიდი მაგნეტოფონი იდო. იქაურობა კი ფირფიტებით და დახვეული ფირებით იყო გავსებული. დიმიტრის უმდიდრესი მუსიკალური ჩანაწერები ჰქონდა. თავისი ხელფასის ნახევარს ამ საქმეს ახმარდა და არც ნანობდა. კლასიკური და ულტრათანამედროვე მუსიკით იყო გატაცებული. ახოლოდ რჩეული მუსიკოსები ახერხებდნენ ამ ოთახში მოხვედრას. ბევრი აღიარებული ავტორიტეტი, განსაკუთრებით ქართველი კომპოზიტორები და აქვე შეიძლება ითქვას — მწერლებიც, დიმიტრის სიცილის ფუნებაზე აყენებდნენ. ქართული ხალხური სიმღერების გარდა არაფერი მშობლიური არ სწამდა. სამაგიეროდ ძველ, რთულ სიმღერებს აღტაცებაში მოჰყავდა. ქართულ ხალხურ სიმღერებს ახარისხებდა, ადარებდა ერთმანეთს; რაღაც ნიშნის მიხედვით ჰყოფდა და ამრავლებდა. სამაგიეროდ, თვითონ ბედისაგან იყო დაჩაგრული. სმენა ჰქონდა თუ არა ძნელი დასადგენი იყო. ფაქტიურად, სიმღერაც არ იცოდა. სიმთვრალეში წამოიწყებდა:

ოდელია, ზღვა დამშრალა,
ალარ მიდის პარახოდი....
აწი მაინც ხშირად გნახავ.
რაღაი დაგიახლოვდიო, — და ეს იყო სულ.

— კიმოთე სად არის? — ღიმილით ჰკითხა დიმიტრიმ ელგუჯას.

— ერთი თვეა არ გამოჩენილა, შეიძლება სოფელში წავიდა...

— ეს კიმოთე რა არის, რა ტიპია უკვდავია რომ იცოდე... ნათესავი ხომ არ არის შენი?

— არა.

— მთავარია, მაგ კაცს უფლება არ ჩაუგდოთ... თანამდებობა არ მისცეთ, თვარა ცუდად წავა საქმე!

რეჯო ჯეიფვილი
ᲓᲐᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიმოთე რისი გამკეთებელია, ნეტავი ვიცოდე! — გაეცინა ელგუჯას.

— მაგას სუ იტყვი, გენაცვალე, აქ სულ სხვა ამბავია... საიდანაა კიმოთე, მარაბდიდან?

— მანდიკორიდან.

— ისე მარაბდიდან ჯობდა. კიმოთე მარაბდელი... შენც იქიდან არა ხარ?

— კი.

— მაშინ უკაცრავად. — გაეცინა დიმიტრის. — ნახე, როგორ მიყურებს?.. რა ხართ ეს მანდიკორელები... უნდა დაგვიაყოროთ ხომ?... რა კარგები ხართ!.. შენ პირველი კაცი ვახდები ხუთ წელიწადში, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა!

ელგუჯამ ნაძალადევად გაიცინა და გვერდზე გაიხედა; იფიქრა, მასპინძელი დამცინისო, მაგრამ სადღაც ამ სიტყვებმაც ასიამოვნა.

— დიმიტრი, ელგუჯას ხათრით მოგვასმენინე რამე! — მოითხოვა თენგიზმა.

— კი, უკვდავო, მაგრამ ჯერ მაცალე, საფერფლეს გავიტან...

დიმიტრიმ სიგარეტების ნამწვავებით სავსე საფერფლე გარეთ გაიტანა და იმწამსვე უკან შემობრუნდა; ცარიელი საფერფლე მაგიდაზე დადო და მაგნიტოფონს მიადგა. ელგუჯამ მაინც ვერ გაიგო, რა საერთო ჰქონდათ მაგნიტოფონს და საფერფლეს ერთმანეთთან.

— დებიუსი გინდათ, ახალია სულ...

— კი გვინდა.

— იცი ვინაა დებიუსი?

— ყველაფერი ვიცით, ჩემო დიმიტრი! — უპასუხა თენგიზმა.

— უკვდავი ხარ და არ გჯერავს...

დიმიტრიმ მაგნიტოფონი ააშრიალაიხხაკუნა. ოთახში წყნარი, ტკბილი სიმღერა მოისმა. ელგუჯას ეგონა, მანდიკორის სერზე მთვარიაწში მაყრები თუ მღერიანო.

— დებიუსი არ გეგონოთ, ქართული სიმღერაა, ხულოს რაიონშია ჩაწერილი.. რადიოკომიტეტში მომცეს... ძველთაძველი, ოთხმიანი სიმღერაა. დააკვირდით კარგათ... პირველი, მეორე, მოძახილი, ბანი სულ სხვაგან მიდის... გაბმული ბანი კი არაა, ნახე როგორ ... ლება. ბანი ქართულ სიმღერაში, განსაკუთრებით დასავლურ ქართულში ღიდი რამეა...

ძველებური ხელხვავი ელგუჯას გაუთავებელ, უთავო და უბოლო რაღაცად მოეჩვენა, მაგრამ დიმიტრის და თენგიზის აღტაცება გაიზიარა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს გოცებულიც კი დარჩა. ამის შემდეგ კლასიკური მუსიკა დაუკრეს. ელგუჯა არც ამაზე გადარეულა და არც არაფერი უთქვამს, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ყველაფერი გასაგები და ნაცნობი იყო. დიმიტრი კი წყნარად და მოურიდებლად უხსნიდა ორთავეს მუსიკის შინაარსს, კომპოზიტორის წარმოშობა-სადაურობას და დამსახურებას. ბოლოსდაბოლოს სტუმარი მიხვდა, რომ არცოდნა სულ არ იყო სირცხვილი. თვით თენგიზისათვის ნახეკარი გაუგებარი აღმოჩნდა და დიმიტრის შეკითხვებითაც კი მოაბეზრა თავი.

თავი მეექვსე

ელგუჯას დეიდა და ბიძა უშვილოდ ბერდებოდნენ. ერთფეროვან, მოსაწყენ ცხოვრებას მათ ხასიათებზეც დაესვა ღაღი.

ელგუჯას ბიძა უსამართლობის წინააღმდეგ იყო ამხედრებული. ბუნებით პატიოსან კაცს ყველაფერზე გული მოსდიოდა და ზშირად სულ ტყუილუბრალოდ ნერვები ეშლებოდა. ვერაფერით ვერ ეგზსნა, დღისით, მზისთან რატომ გვიდნენ ქუჩებს; რატომ დადიოდა გზაში ამდენი მსუბუქი ავტომანქანა და ახალგაზრდა, ქართველი ბიჭები რატომ ჰყიდდნენ მწვანილს ბაზარში.

— ... როგორ არ უნდა გადაირიო, დგახარ ქუჩაში გადასასვლელთან, ყველგან ხომ არ არის ეს შუქნიშანი... ისე, უნდა იყოს წესით. დგახარ, ელოდები, იცდი, ელოდები. მერე, როდის ჩამოთავდება თუ იცი ეს მანქანები?... მანქანები მოდიან მდინარესავით... შენ მოქალაქე რომ ხარ, დგახარ და ქუჩის მეორე მხარეს ვერ გადასულხარ... აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადებული კაცი, საკუთარ ქალაქში ქუჩიდან ქუჩაში ვერ უნდა გადახვიდე?! ეს არის საქმე, მითხარი ახლა შენ?! — შალვა თანდათან უმატებდა ხმას და ბოლოს ენაც ებმოდა.

„ეს კაცი ასე დიდხანს ვერ იცოცხლებს". — ფიქრობდა ელგუჯა.

შალვას საერთოდ ეშინოდა ქუჩის ირონიისა. დარწმუნებული არ იყო, რომ ვიღაც გიჟი საგანგებოდ არ დაიარახებდა მანქანას. მაშინაც კი, როცა შუქნიშანი გზას ჩაკეტავდა და მოძრაობა შეწყდებოდა, შალვა შიშით კვდებოდა. ვინ დაარწმუნებდა, რომ თეთრ ხაზს მომდგარი მანქანის მძღოლები შუქს და ნიშანს დაგდიევდნენ; ერთხელაც იქნებოდა და რომელიმე პირდაპირ ფეხოსან მოქალაქეებში გარგავდა ცხვირს. გადასასვლელთან მდგარ შალვას თავგზა ებნეოდა. თუ ბევრი ხალხი იყო კიდევ ჰო, თუ არადა დაფეთებული გარბოდა მეორე მხარეს. საკვირველი ის იყო, რომ არაფერი ამის მსგავსი ადრე არ დამართნია. თვითონვე გრძნობდა, როგორ თანდათან, ხანთან ერთად უცხოველდებოდა ქუჩის შიში. მოდნების დანახვაზე ხომ სულ კანკალებდა. თავბრუ ესხმოდა, როცა წრეზე მანქანების ჯარა ტრიალებდა. განაკიდეს დადგებოდა ხოლმე და შიშით შეჰყურებდა თავზარდამცემ სივრცეს. მოედანი მისთვის უკანონობისა და უთმედობის ბაზარი იყო, სადაც არ არსებობდა არავითარი გაგება. გული რომ წაგსვლოდა, კაცი არ აგაყენებდა; წაქცეულს მანქანები გადაგჯეგავდა. შალვა გაჰყურებდა მოედანს და სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა. საოცარი იყო, როგორ თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ ზოგიერთები მანქანებს შორის.

ელგუჯას დეიდაც ნერვიული ქალი იყო. ხშირად, ელგუჯას დაკვირვებით, სამართლიანადაც, მაგრამ უშედეგოდ და უმიზნოდ ეჩხუბებოდა მეზობლებს. ქმარი თითქოს დაჯაბნილი ჰყავდა, მაგრამ მაინც მეუღლის ხასიათისა და ხშირად ახირებული წეს-ჩვეულის გავლენის ქვეშ იყო.

ელგუჯას უჭირდა სადილზე დაგვიანება, ან გვიან ღამით შინ მოსვლა. შუაღამემდეც რომ შეყოვნებულიყო, ოჯახში მაინც ელოდნენ, არ იძინებდნენ. ბიძა არაფერს ამბობდა, მაგრამ ელგუჯა ერთ საკვდილს ათავებდა და მერე დაწვრილებით, დაუფარავად ჰყვებოდა ყველაფერს. დეიდა კი სულ ჩურჩულით აფრთხილებდა: ბიძაშენს ნუ გააჯავრებ, ხომ იცი, როგორი კაცია, წესი და რიგი უყვარს... გაიშმა სხვაც და თავისი თავიც... ვეღარ ხვდება, ახლა რომ სხვა დროაო.

ელგუჯას უყვარდა დეიდა, ალბათ — ბიძაც, მაგრამ იმ სახლში გაჩერებაც აღარ შეეძლო და ცალკე ოთახის ქირაობა გადაწყვიტა. მართალია, თომა სოფლიდან სურსათ-სანოვაგეს და ფულსაც აგზავნიდა, მაგრამ ელგუჯას ყველაფერთან ერთად ეგონა, ამ ხელმოკლე ოჯახს ზედმეტ ტვირთად ვაწევარ თავზეო.

დეიდას სულ არ უნდოდა დისშვილის მოშორება, მაგრამ თვითონვე ხვდებოდა, რომ ასე უკეთესი იყო. სტუმარი, თუნდაც ძალიან შინაური, მეუღლისათვის მაინც უცხო იყო და კაცი ძალაუნებურად, თავისუფლებას კარგავდა. ხანდახან უცხოსავით შემოდიოდა შინ. ქალი ამას გრძნობდა და ელგუჯასათვის მაინცდამაინც ძალა აღარ დაუტანებია. თავს იმით იიმედებდა, სადაც არ უნდა დადგეს, ხშირად მივაკითხავ და თვითონაც ყოველდღე სადილად აქ ამოვაო.

— კი მაგრამ რას იტყვის, ბიჭო, მამაშენი? — კითხულობდა გაკვირვებული დეიდა.

— მამაჩემი არაფერს არ იტყვის... — ამშვიდებდა ელგუჯა.

ელგუჯამ გაჭირვებით იშოვნა პატარა ოთახი ვაკეში, პარკთან ახლო. სახლის პატრონს იმ ადგილას ადრე საკუთარი ეზო და ქოხი ჰქონოდა. ამხანაგობას ოთხსართულიანი სახლი აეგო და დანგრეული ქოხის საზღაურად კერძო მობი-

რეზო ჭეიშვილი
ფალი

ნადრისათვის მშვენიერი ბინა მიეცათ.

ოჯახის უფროსი სესე მაინც თავის გატიალებულ ადგილ-მამულს მისტიროდა. ეზოში მაღლარი ვენახი და ხეხილი მქონდაო. დაკარგულ მიწას დარდობდა. რა მოეთხნა, რა მოებარა არ იცოდა. ერთადერთი ობოლი ვაზი ქუჩაში, ტროტუართან დაერგო, ვაზის ძირი შემოერაგა და ქვევიდან მესამე სართულამდე მავთული გაეჭიმა, იმ ვარაუდით, რომ ორ-სამ წელიწადში ვენახი აივანზე ამოვა და გაიხარებსო. სესე დილა-საღამოს რწყავდა ვენახს. ვაზი მართლა სწრაფად იზრდებოდა და სუროსავით მიჰყვებოდა მავთულს.

ელგუჯას ოთახში თაგვი კუდს თუ მოიქნევდა. სამაგიეროდ, მზიანი იყო და ფანჯარაც სუფთა, მყუდრო ქუჩას დაჰყურებდა. მაღალი, ფართო სარკმელი იატაკთან იყო გასწორებული. ეტყობოდა, კარბა, აივნის კარისათვის იყო განკუთვნილი და რაკი აივანი არ გაკეთდა, ფანჯარა ჩასვეს.

თვითონ ოთახიც უცნაურად იყო გამოყვანილი. ალბათ თავდაპირველად სახლზე სხვა რამის, შეიძლება საკუჭნაოს მიშენებაც უნდოდათ. წყლამდე და საპირფარეშამდე რომ მიგველწია, მასპინძლის ერთი ოთახი და შუშაბანდი უნდა გაგეარა, თუ არადა, ქუჩიდანაც მშვენივრად შეიძლებოდა შემოვლა.

ასე იყო თუ ისე, მერცხლის ბუდე ელგუჯას ძალიან მოეწონა. ოთახში იდგა მხოლოდ საწოლი, წიგნების თარო, დაბალი, ფართო კარადა სურსათ-სანოვაგისათვის. კარადა მაგიდადაც თავისუფლად შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო და ბოლოს ასეც მოხდა. მასპინძლებს მაგიდა აღარ უძებნიათ, მდგმური შემდეგისთვის შეიპირეს და იმედად ერთი სკამიც შემოუგზავნეს.

ოჯახის პატრონებს საკმაოდ შეუხედავი ქალიშვილი ჰყავდათ, რომელიც სადღაც ტექნიკუმში სწავლობდა. ვაჟი ჯარში ყოფილიყო გაწვეული და მემკვიდრის ნახვა ელგუჯამ მხოლოდ ფოტოსურათებით მოახერხა. დედა, მამა და ქალიშვილი ძალიან დაბლები იყვნენ და თუ ოჯახური გენეტიკითა და ფოტოსურათებით ვიმსჯელებდით, ჯარში გაწვეული ბიჭი უნდა ყოფილიყო დიდი ახოვანი.

დედა და ქალიშვილი ცნობისმოყვარე ადამიანები აღმოჩნდნენ. როგორც კი ელგუჯა კარს გამოიხურავდა და სადმე წავიდოდა, ქალები იმწამსვე ოთახში შეცვივდებოდნენ. მართალია, ოთახსაც აღაგებდნენ, მაგრამ სიამოვნებით ამოქექავდნენ ხოლმე ჩემოდანს, წიგნებს, სურათების ალბომს, რომელიც ელგუჯამ სოფლიდან ჩამოიტანა და სხვა უფრო უსარგებლო ნივთებსაც.

ელგუჯამ რამდენჯერმე შეამჩნია, რომ მანდიკორიდან მიღებული წერილი ვიღაცას გაეხსნა და შემდეგ საგულდაგულოდ დაეწუპებინა. სამაგიეროდ, დაკარგვით არაფერი იკარგებოდა. ელგუჯას არ ახსოვდა, რომ რომელიმე წიგნი, თუნდაც დროებით, ოთახიდან ვინმეს გაეტანა. ესეცაა, დედა და შვილი წიგნებთან ცოტა მწყრალად იყვნენ. სამაგიეროდ, ქალიშვილი ხატავდა. უფრო ფერადი ფანქრებით მუშაობდა და ზეთის საღებავებსაც ხმარობდა. დედა შვილის ოსტატობით ტკბებოდა და გოცებას ვერ მალავდა. თვითონ გოგო მალავდა, რცხვენოდა, მხატვარი რომ იყო. დედა კი საჯაროდ აცხადებდა: მშვენივრად ხატავს, მაგრამ რად გინდა, არ ამხელს, შტერიაო. გოგო ამ დროს მორცხვად იჭყანებოდა და თითებს იგრეხდა.

ოჯახის მამას, სესეს, რომელსაც აბსოლუტურად არ აინტერესებდა, რას აკეთებდა ელგუჯა, სად სწავლობდა, ვისთან მეგობრობდა, ერთი უცნაური ზნე სჭირდა. მდგმურის შინ არყოფნის დროს რატომღაც გაქირავებულ ოთახში შედიოდა და ელგუჯას საწოლზე კოტრიალობდა. სანამ ელგუჯა მძინარე სესეს თავს არ წაადგა, მანამ ვერაფერით ვერიავარაუდა, რა სულიერი გორავდა მის ქვეშაგებში. ამის შემდეგ გასაღები თან დაჰქონდა, თუმცა ერთი-ორჯერ შეამჩნია, რომ ოთახის კარი მისი კლიტის გარეშეც გაღებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში აცოცდა. ინპრის სესიები მოახლოვდა. სტუდენტებმა ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს მეცადინეობა. ელგუჯას ამხანაგი ბიჭები ქალიშვილებთან ერთად ამზადებდნენ საგნებს. უფრო ხშირად ბელასთან იყრიდნენ თავს. ელგუჯასაც უნდოდა მათთან ყოფნა, მაგრამ ვერ ბედავდა, მასპინძელს თვალში ეკლად შევესებიო. შეიძლება სწორადაც მსჯელობდა, თუმცა ბელა ახლა სულ არ გაურბოდა და უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ სხვაზე კარგი თვალით უყურებდა. ასე იყო თუ ისე, ელგუჯას არც უცდია ბელას „სალონში“ მოხვედრა. თვით თენგიზიც, რომელსაც ელგუჯა ძალიან უყვარდა, ბელას ამაოლას მიეკედლა. ელგუჯა დარჩა კენტად. იგი მარტოდმარტო მეცადინეობდა. ჭიდობას დროებით თავი მიანება, თუმცა სწავლას ვარჯიში ერჩია. სპორტდარბაზში ყოველთვის ხალხიანად ხვდებოდნენ და სქელი მწვრთნელი, რომელიც ელგუჯას მოფერებით „ჩუჩელას“ ეძახოდა, სულ უფრიდაუფრო მეტი ყურადღებით ეპყრობოდა. ბიჭს მწვრთნელი შეუყვარდა, მაგრამ სიტყვა „ჩუჩელას“ ვერ შეეჩვია. ამ სიტყვაზე თვით გატეხილი სავარჯიშო ტომარი ახსენდებოდა და გული უკვდებოდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, დაუზოგავად ევარჯიშა და ეს სამარცხვინო სახელი როგორმე მოეშორებინა. მონდომება წყალში არ იყრებოდა. პავლე აქეზებდა, ყოველნაირად ხელს უწყობდა, ხშირად საათობით იტოვებდა მარტოდმარტოს და „ტყავს აძრობდა“. რაღაცის იმედი რომ არ ჰქონოდა, თავს არ აიტკივებდა; არც თვითონ გაწვალდებოდა, არც სხვას გაწვალებდა.

ელგუჯას პატარა ოთახში ხშირად ციოდა. ხანდახან რადიატორი გაიყინებოდა და საწოლში მოკუნტული, სპანწამოხურული მობინადრე აკანკალებული მეცადინეობდა.

ელგუჯამ წინადღით უკანასკნელი მანეთი დახარჯა და იმ დღეს დილიდან მშიერი იჯდა. სოფლიდან ჩამოტანილი თაფლი, რაც ფაქტიურად მის ძირითად საკვებს შეადგენდა, მთლიანად გაუთავარ. ხახეი რაა, ხახვის ერთი ბოლქვიც კი არ ეგდო სადმე. დეიდასთან ასვლაც ეზარებოდა. თუმცა არასვლით უფრო დაშავდებოდა, რადგან ერთი კვირა იყო იქით არ ყოფნილა. სესეს ხანდახან ცხელი, თავისი ხელით გაკეთებული ხარჩოს შემოგზავნა უყვარდა. ელგუჯა ფიქრობდა, იქნებ დღესაც გაკახსენდეო, მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ იიმედებდა თავს.

ელგუჯამ შუადღემდე ითმინა. მერე ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. დეკემბრის ცივი ქარი უბერავდა, მაგრამ სიარულში გახურდა და ქუჩაში მეტი სითბო მოეჩვენა, ვიდრე საკუთარ ოთახში. პირველად ფოსტაში შეიარა. სოფლიდან ფულს ელოდა, მაგრამ არაფერი დახვდა. მოწყენილი გამოვიდა გარეთ და ერთხანს იმ ახლო-მახლო იწრიალა. ჯიბეში გახვრეტილი შაურიანი ვერ იპოვნა, რომ ტრამვაიში ჩამჯდარიყო. დედამდე ფეხით ვერ მივაღწევ, გიგასთან ავალ ისევ ჯობიაო, გაიფიქრა მან, თუმცა ადგილიდან არ დაძრულა.

გიგის საკმაოდ გულკეთილი და მხიარული ცოლი ჰყავდა, მაგრამ ელგუჯა ხვდებოდა, რომ ქალი ყველას ერთნაირად როდი უყურებდა. უბრალო და არაფრისმქონებელ ხალხს ეგრერიგად არ წყალობდა. ადამიანის ღირსებას ქონებით, თანამდებობით და უცარეს შემთხვევაში, შესახედაობით განსაზღვრავდა. გიგი ოჯახში ბატონობდა, მაგრამ ცოლის ჭირვეულობას დიდ ანგარიშს უწევედა. ერთხელ ბავშვის დაბადების დღეზე, თანაც მეორე დღეს, ნასუფრალზე რამდენიმე მივიწყებული მეგობარი, მათ შორის დიმიტრიც დაპატიჟა. ცოლმა ტუჩი იიბზუა, თუმცა სტუმრებს არაფერი გაუგიათ. მეორე დღეს კი ქალმა ელგუჯას თანდასწრებით ქმარს უსაყვედურა: ეს ხალხი საიდან გამოძეგნე, ყველა ღვთის გლახას შენ საიდან უნდა გადაეკიდოო. გიგი დაიღ-

რევაზ ჭეიშვილი
ბალი

რიჯა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ამის შემდეგ ელგუჯამ იმ სახლიდან თითქმის ამოიკვეთა ფეხი და ეს ამბავი ახლოდ გაახსენდა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ისევ კიმოთეს მიაკითხა.

კიმოთეს საკუთარი, მშობლების მიერ ოდესღაც შეძენილი, პატარა, ბნელი ოთახი ჰქონდა.

ელგუჯას გასაოცებლად, მასპინძელი შინ აღმოჩნდა. სიბნელეში და თამბაქოს ბოლში ძლივს გაარჩია ელექტრონის ღუმელზე გადამჯდარი ადამიანი. ნაკვერჩხალივით გაღვივებული სპირალი პაპიროსის ფერფლით იყო შელამაზებული. კიმოთემ წიგნი გვერდზე გადადო და სტუმარს შეეგება. ელგუჯამ ელექტრონის ღუმელს ხელები მიაფიცხა, შემდეგ პალტო გაიხადა და ტახტზე დაჯდა.

ოთახში მუხის მძიმე მაგიდა, ძველებური, დაბალი ტახტი და უზარმაზარი გარდერობი იდგა. ელგუჯას და, როგორც მერე გამოირკვა, სხვებსაც სულ უკვირდათ, როგორ შემოტანეს ამ სოროში ამოდენა კარადაო. კიმოთე ამტკიცებდა, გადმოცემით ვიცი, გარდერობი აქ მდგარა, როცა ოთახი გაუტიხრიათო. შეიძლება მართლაც ასე იყო. კიმოთეს მშობლებს კი ოთახი ჭეშმარიტად გარდერობიანად ჰქონდათ შეძენილი.

— საჭმელი არაფერი გაქვს? — ცოტა ხნის შემდეგ იკითხა ელგუჯამ.

— გშია? — გაუკვირდა კიმოთეს.

— ერთი კვირეა მამაჩემს ფული გადმოგზავნილი აქვს და ჯერაც არ მიმიღია.

— მიიღებ ნუ გეშინია, იცის ასე შეგვიანება. — ანუგეშა კიმოთემ.

ელგუჯა კედელს ზურგით მიაწვა და უიმედოდ შეათვალიერა ნახევრადბნელი ოთახი.

— კარაქი, პური და შაქარი მაქვს... თუ გინდა ჩაი ავადუღოთ! — ამოშაქრა ბოლოს კიმოთემ.

— ჩაი არ მინდა. — უპასუხა ელგუჯამ.

კიმოთემ გარდერობის კარი გამოაღო და საშაქრე და საკარაქე გამოიტანა. მერე ისევ უკან მიბრუნდა, ტანსაცმელები მიწი-მოწია, გარდერობში შეძვრა და თავფეხიანად შეიმალა შიგ.

— სამი ცალი კვერცხი! — მოისმა საიდანღაც ჩაგუდული ხმა.

— მოიტანე, თუ რამეა.

კიმოთე გარდერობიდან გამოვიდა, შარვალზე მიკრული ბამბები მოიშორა და კვერცხები მაგიდაზე დაალაგა.

— სამი ცალი შენ არ გეყოფა და მართალი თუ გინდა, მეც უშენოდ ვარ... თანაც ნახე, რა პატარეაა?

— საუდარია შიგ? — იკითხა ელგუჯამ.

— საუდარი კარგი გამახსენე, რომ იცოდე... ამ სახლის პატრონს სარდაფში ქათმები ჰყავს, ჩავალ და კვერცხი თუ ვნახე. მოვიპარავ! — თქვა კიმოთემ.

— არ გინდა, თავი დანებე! — შეეშინდა ელგუჯას.

— ჯავრი ნუ გაქვს შენ, შემჭამა მაინც მაგათმა ქათმებმა, მოსვენება აღარა მაქვს...

კიმოთემ დიდი, ნაბდის ქეჩები გაიძრო, ძველ ფეხსაცმელებში ფეხი გარგო და ხელების ფშვნეტით და კოჭლობით ჩავიდა ქვევით. ცოტა ხნის მერე ღიღინით ამობრუნდა; ოთახის კარი მოიხურა და ჯიბიდან ორი კვერცხი ამოაგორა.

— მეტი არ იყო!

— მეტი არც გვინდა.

— მოიცა!... — დაიჩურჩულა კიმოთემ. საერთო დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მოისმა. ელგუჯამ სუნთქვა შეიკავა, მაგრამ კიმოთემ ცოტა ხნის შემდეგ საკმაოდ ხმამაღლა განაცხადა: ერთი დედალი საუდარში ზის და უნდა დავუცადოთო.

სანამ ელგუჯა ოთახში საქმიანობდა, კიმოთე ერთი სამჯერ მაინც ჩარახუნდა ქვევით და ყოველთვის ხელცარიელი ამობრუნდა. ბოლოს ფეხსაცმელები წაიძოო, ისევ ნაბდის ქეჩები მოიცვა და თქვა: უკვე ეშვი აიღეს და დაბლა ჩასვლა საშიშიაო.

— ... ესეც არ იყოს, ის ვირის ნაშობი დედალი მგონია მოკრუხებულია და კვერცხის დადებას სულ არ აპირებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა ჭამის დროს მასპინძელმა მოულოდნელად სტუმარს ჰკითხა:

— შენ, ბიჭო, მართლა მოგწონს ის ქალი?

— ვინ ქალი?

— დალი შელია

— ვინ გითხრა, რომ მომწონს?

— შენ.

ელგუჯა დაფიქრდა, ვერაფრით ვერ გაიხსენა, როდის უთხრა აღსარება კიმოთეს.

— ისე რომ იცოდე, დიდი ვერაფერი შვილი!

ელგუჯას გულზე ლუკმა დაადგა და ხველება აუტყდა.

— წყალი მოსვი! — ურჩია კიმოთემ.

ელგუჯამ წყალი მოსვა. კიმოთემ ლუკმა გადაყლაპა და განაგრძო:

— ისე ახლა ქალად ქალი კარგია, რაც მართალია. მართალია ქვეყანას მოსწონს, მაგრამ მე რომ ეაკვირდები, ისეთი არაფერი არ არის, თუმცა რას გაიგებ .ისე, შენ რომ იცოდე, ჩემ აზრს დიდი ფასი აქვს. დალი შელიაზე ნაკლები ქალები მინახავს, თუ რა?! რომ მომწონდეს. ხელიდან არ გავუშვებ... ბიბლიოთ კი არა, რომ დიდი ყარამან ჯანთელი ვარ. ქალისათვის სილამაზეს არა აქვს მნიშვნელობა.

— აბა რასა აქვს მნიშვნელობა? — დაინტერესდა ელგუჯა.

— მთავარია, ჩემო კარგო, ქალი გინდოდეს, ცოტა შნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხედი

ელგუჯა სოფელში დავაჟკაცდა. პირველი სატრფიალო ფათერაკებიც, წესით, იქ უნდა გადახდენოდა, მაგრამ ბიჭს ერთი მასწავლებელი ქალის გარდა ფაქტიურად არავინ ყვარებია, თუმცა მოსწონდა რამდენიმე უფროსი კლასელი გოგონა და ერთთან, რომელსაც ციალა ერქვა, რომანის მსგავსი ისტორიაც ჰქონდა.

სოფლის კლუბში ღამღამობით კინოს უჩვენებდნენ. ახალგაზრდობა უკლებლივ იქ იყრიდა თავს. ელგუჯა მუდამ ციალასთან ჯდებოდა და არც ეგონა თუ ამ ამბავს ვინმე უურადღებას აქცევდა. რამდენჯერმე ციალა ღამით სახლამდეც მიაცილა. ამის გამო სოფელში ისეთი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი დაიწყეს, რომ უკეთესს ვერ ინატრებდი. თომამაც ყველაფერი შეიტყო. ელგუჯას ამ ჭორის, უფრო კი მამის შერცხვა, თუმცა თომას აღშფოთება არაფრით არ გამოუხატავს; ის კი არა, ულვაშებშიც ეღიმებოდა, როცა ვინმე ციალას სახელს ახსენებდა. თომას ასეთი რაღაცეები არ უყვარდა და ეს არასერიოზულობა შვილმა ვერაფრით ვერ ახსნა. სამაგიეროდ, მოეჩვენა, საცაა ამ ქალს ცოლად შემრთავენო და ციალას თანდათანობით ჩამოეხსნა.

შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს მანდიკორში ახალი გერმანულის მასწავლებელი ჩამოვიდა. ქალს ეცვა ყელამდე შეკრული, შავი, ვიწრო საწვიმარი, რომელიც ტანს კარგად მორგებოდა და მაღალ მკერდსა და სავსე თეძოებსაც არაფერი უნდა ჰქონოდათ სასაყვედურო. მასწავლებელს ხელში ქოლგაც ეჭირა, თუმცა წაბლისფერი თმა მაინც დასველებოდა. ქალი სკოლის ეივანზე იდგა. შუაკაბი გლუხი წითელ ხარებს მიუძღოდა. ჩოჩიალა ურემი აყალო მიწას ალიანდაგებდა.

ახალმა მასწავლებელმა ყველა იქაური ქალი დაჩრდილა. სოფლის ღონეტანები, განსაკუთრებით ერთი, რომელსაც მახლობელ ქალაქში „ერმილე მანდიკორსკის“ ეძახოდნენ, იერ-ფერ გადაეიწყნენ. ქალი ძალიან თავდაჭერილად, თავმისუფლად იცავდა თავს და თვით „ერმილე მანდიკორსკიც“ კი ვერაფერს გახდა.

ელგუჯა სხვებთან, მით უმეტეს ერმილესთან, ქალაქში რომ მაღაზიის გამგედ მუშაობდა, რა გამოსაჩენი იყო, მაგრამ მასწავლებელი შეიძლება სხვაზე ღირსეულად სწორედ მას მოეწონა. ამ ქალის დანახვაზე ბიჭი ჭკუას კარგავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მასწავლებელი ვერაფერს ხვდებოდა.

მასწავლებელი ელგუჯას ეზოს მოზიარე მეზობელთან იდგა მდგმურად. ახალი სტუმრის ხათრით ელგუჯამ მეზობელთან სიარულს მოუხშირა, თუმცა საქმე ამით წინ არ წაწეულა.

ერთხელ თომამ ბიჭი მეზობელთან ნაჯახზე გადაგზავნა. ელგუჯას მასპინძლისათვის არც არაფერი უკითხავს, ისე დაუწყო ნაჯახს ძებნა. შუადღე იქნებოდა და ალბათ შინაც არავინ იყო. მართლაც, ოდიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. პალატის წინ ბებერი ძაღლი კოტრიალობდა, კალოზე ინდაურები დაჩერჩეტოდნენ. სამზადის სახლთან ჯირკზე დასობილი ნაჯახი მზეზე ელავდა. ელგუჯა გახურებული ნაჯახის ტარს აწვებოდა და ჯირკიდან ამოძრობას უპირებდა, როცა სამზადის სახლიდან წყლის შხაპუნი შემოესმა. ელგუჯამ დაუფიქრებლად შეიხედა ბუჭრუტანაში.

გერმანულის მასწავლებელს უზურგო სკამზე სპილენძის დიდი ტაშტი დაედგა და თავს იბანდა. თავდახრილი გადამბობოდა ტაშტს, ჩამოშლილი თმა წყალში ჰქონდა ჩაყრილი. ელგუჯა ქალის ბაძმასავით თეთრ ზურგს და მხრებს მიაჩერდა. ქალმა რაღაც ივარძნო, ყური ცქვიტა, წელში გაიმართა და იმწამსვე მკერდზე ორი თეთრი მთა აიბურცა. ქალმა თმა უკან გადიქარა და მუჭში გაწურა, თან კედელს მიაჩერდა. ფერდაკარგული ელგუჯა ფეხაკრეფით გაეცალა იქაურობას, თუმცა ნაჯახის წაღება სულ არ დავიწყებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყოლებული იმ დღიდან, ელგუჯა სულ გერმანულის მასწავლებელზე ფიქრობდა და საწოლში გვიანობამდე არ ეძინებოდა.

ერთხელ, ზუსტად წლისთავზე ქალი ნოემბრის არდადეგებზე შინ წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. თქვეს, გათხოვდა, მოიტაცესო. ვის წაყვა, არავინ იცოდა. „ერმილუ მანდიკორსკი“ იმ დღეებში თავგატეხილი ამოვიდა ქალაქიდან. რა მონაწილეობა მიიღო ამ ისტორიაში, კაცმა ვერ გიგრძ. გერმანულის საათები კი კვლავ ქიმიის მასწავლებელს გადააბარეს და ყველაფერი ძველებურად კალაპოტში ჩადგა.

გერმანულის მასწავლებელი ელგუჯას კიდევ დიდხანს არ დავიწყებია. დარწმუნებული იყო, როცა იქნება თბილისში სადმე გადავეყრებით და ამ შეხვედრისათვის გეგმებიც წინასწარ ჰქონდა დაწყობილი. დრო მიდიოდა, გერმანულის მასწავლებელი სადღაც დავიწყებაში იკარგებოდა, ბიჭს კი ახალი საფიქრელი ეგზენოდა, ახალი მასწავლებელი ჩავარდნოდა გულში. ჰქონდა აზრი კი ამ ყოფას? უნაყოფო სურვილები შაბიათ იმსხვრეოდა, ყველაფერი წყალში იყრებოდა, მაგრამ ბიჭი მაინც ქმაყოფილი იყო.

დალი კვირაში სამჯერ, ხან კი ყოველდღე მოდიოდა უნივერსიტეტში. ელგუჯამ ზუსტად იცოდა ქალის მისვლა-მოსვლის განრიგი და დროს უქმად არ კარგავდა. დერეფანში, კიბეზე. შენობის გასასვლელ-გამოსასვლელში იკავებდა ხელსაყრელ ადგილს, ხშირად თავაზიანად უთმობდა დალის გზას, მაგრამ ამ მონდომებას შედეგი არ მოჰქონდა. დალი უბრალოდ ელგუჯას ვერც ამჩნევდა. ხანდახან შეავლებდა თვალს, მაგრამ იმ მრავალრიცხოვანი სტუდენტებისაგან. სულ იმ ადგილებში რომ ტრიალებენ, არაფრით არ ანსხვავებდა.

დალის პატარა ბიჭი ჰყავდა. ბიჭი დღისით ბაღში დადიოდა. ბავშვი სათვალეს ატარებდა. გამხდარი იყო და ფერმკრთალი. ბავშვის აღზრდაში დალის უფროსი, გაუთხოვარი და ჟუჟუნა შველოდა. ჟუჟუნა დროებით დალისთან ცხოვრობდა. დედისეული ბინა სანახევროდ გამოკეტილი ჰქონდათ.

ელგუჯას შეტყობით, ჟუჟუნა არც ისეთი ხნიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქალი, ჩანდა, გარეგნობაზე ნაკლებად ზრუნავდა. შეშალაძრავებულ თმას აღარ იღებავდა და არც წარბ-წამწამები ჰქონდა შეფერადებული. ალბათ გათხოვების იმედი დაკარგა და კოსმეტიკას მოეშვა.

ჟუჟუნა ჭირვეული, ნერვიული ქალი იყო. ხშირად სულ ტუტილებრალოდ რაღაცაზე ახირდებოდა და დები წყიკიდებოდნენ. დალი ყოველთვის უთმობდა, როცა ცამდე მართალი იყო, მაშინაც ჩუმდებოდა.

ჟუჟუნას სიძე არ უყვარდა. ძალიან უხარობა, დალის მეუღლე რომ ცხეში იჯდა. მის დას თუ უქმრობა ან უკაცობა აწუხებდა, ამაზე არც ფიქრობდა.

დები იმ დილითაც წკაინკლავდნენ. მხოლოდ შენზე ფიქრობ, საკუთარი თავის მეტი არაფერი გახსოვსო, უთხრა ჟუჟუნამ. დალიმ რვეულებს ხელი დახვია, ჩანთაში ჩაალაგა, პალტო ჩაიცვა და წავიდა. ჟუჟუნას ეგონა, ძალიან გავახელეო და უფრო ანერვიულდა. დალი კი დაზე სულ არ ბრაზობდა. მჩატედ მიაბიჯებდა ქუჩაში, მაგრამ გაბრუებულივით იყო და გამგლელებსაც ვერ ცნობდა. „მართლა ჩემი თავის ვარდა, არავინ მახსოვს?“ — ფიქრობდა იგი. უცბად მოეჩვენა, რომ არავინ არ უყვარდა. შვილი? შვილი, ცხადია, — კი, მაგრამ ეს სხვა იყო.

„შეიძლება მე არავინ არ მიყვარდეს? ეს ხომ საშინელებაა, რა აზრი აქვს ასეთ ცხოვრებას?.. თუმცა ვინ იცის, იქნება ეს უკეთესიცაა... არავინ არაფერი არ იცის... მერე ვინ თქვა, რომ ქმარი არ მიყვარს? ვის შეუძლია ამის დამტკიცება?“

დალი ვიღაცას მიესალმა და უცბად სულ სხვა რაღაც გაახსენდა. ამასობაში

უნივერსიტეტშიც შევიდა. ელგუჯა იქვე, სვეტთან იდგა უსაქმოდ. დალი გვერდში დადგომოდა და კედელზე გაკრულ ცხრილს უყურებდა. ბიჭს სულ ახლოდან ესმოდა ქალის სუნთქვა. იგი აილეწა. ხელს ხომ არ ეუშლიო, იფიქრა და გვერდზე გაიწია. დალიმ მოუხედა. ელგუჯას ეგონა, რაღაცას მკითხავსო, მაგრამ ქალი უცბად შეტრიალდა და წავიდა. ელგუჯამ თვალი გააყოლა და როცა ნახა, რომ დალი სამკითხველოში შევიდა. საიდანაც იგი საათობით არ გამოდიოდა ხოლმე, მეორე სართულისკენ გასწია. თანაც ზარიც დაირეკა.

ნაშუადღევს დეკანატში კათედრის სხდომა იკიმართა. პატარა ოთახი ხალხით გაიესო. დეკანატმა გამოცდებისა და ჩათვლების ცხრილი დააზუსტა და მომავალი წლის სალექციო-სასემინარო საათები გაანაწილა. ხანშიშესული ქალი, რომელიც ძალაუნებურად ნახევარ შტატზე დარჩა, გაცხარდა და უსიამოვნო ლაპარაკი დაიწყო. ცნობილი პროფესორის ცოლი, კათედრაზე რომ ქმრის პატივისცემით აჩერებდნენ, მატერიალურად ბევრს არაფერს კარგავდა, მაგრამ მაინც ყველა შეწუხდა. კათედრის გამგე თავდახრილი იჯდა და მაგიდაზე ფრთხილად აკაკუნებდა ფანქარს.

— ქალბატონო ჩუტა, ამ პირობებზე, მე ვგონი, ჩვენ ადრეევე შევთანხმდით. მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ესეც არ იყოს, როგორც ვთქვეთ, გაზაფხულზე შტატს ისევ გაგიმრთელებთ და სამი-ოთხი თვე, თუ არ ვცდები, შეგიძლიათ მოთმენა... რატომ ცხარობთ, მე არ მესმის! — მორიდებით უსაყვედურა დეკანმა.

ქალი ამაზე უფრო გაწიწმატდა. მე აქ ოცი წელია ვმუშაობ და სამ-ოთხ თვეზე კი არ არის საქმე, პრინციპი და თავმოყვარეობა არის მთავარიო.

დალი შელია წყნარად იჯდა კუთხეში. თეთრი, ფაფუკდანღლილი, საყელოგადმოყეული სვიტერი, გრანიტისფერი, ვიწრო ქვედაწელი, თეთრი წინდები და ჩექმები ეცვა. თმა ისე წმინდად გადაეკრცხნა და გაეკრა უკან, რომ სულ ... ბავშვს ჰგავდა. მაღალი, თხელტანადი ქალი ნებივრად გაზრდილი მეორე, მესამე კურსის სტუდენტი გეგონებოდა. უცხო ადამიანი ვერაფრით ვერ იფიქრებდა, ისიც მასწავლებელ-ლექტორთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც ასე საქმიანად ლაპარაკობდნენ იმ წუთას.

დალი ცოდნითია და გამოცდილებით ბევრს ჩამოუკარდებოდა, მაგრამ თითქმის არც ერთმა ისეთი სუფთა ინგლისური არ იცოდა. ასპირანტურის პირველი კურსის სტუდენტი უკვე პრაქტიკულებს ატარებდა და საბალწლოდ საათებიც გაუდიდეს. ბეჯითი მოსწავლეები დალი შელიას ჯგუფში მოხვედრისათვის იკლავდნენ თავს.

დალი დაფიქრებული იჯდა და ისე უმისამართოდ იყურებოდა, კაცი იფიქრებდა, არაფერი ესმისო, სინამდვილეში ძალიან კარგად იცოდა, რაზე იყო ლაპარაკი და გუნებაში ხნიერი ქალის გულისწყრომასაც იზიარებდა; თვლიდა, რომ მომჩიენანი სადღაც მართალი იყო და თავის საათებსაც კი დათმობდა ბოლოსდაბოლოს.

ხნიერმა ქალმა მოულოდნელად განაცხადა: თქვენ გუშინდელ ბავშვებს ჩემზე წინ აყენებთ და ეს თუ სამართლიანია, მაგასაც ვიკითხავო.

დალი მიხვდა, ვიზეც იყო ლაპარაკი და აღელდა; გადაწყვეტა, ხმა არ ამოეღო და ამ სიტყვებისათვის ყურიც არ ეთხოვებია, მაგრამ საქმე მარტო ამით არ დამთავრებულა. ხნიერმა ქალმა თანდათან აუწია ხმას:

— ... დალი შელია, ბატონო, აქ სილამაზისათვის გყავთ და სილამაზეს და ცოდნას ერთმანეთთან არაფერი საერთო არა აქვს... ლამაზი ქალი საწოლშია კარგი!

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ჩუტა! — თქვა ბოგენბოლმა იოანმა.

— ძალიან კარგად მეკადრება! — ჩაილაპარაკა ქალმა.

დალი გაშრა, გახეიდა, თითქოს უდარდელად გაიღიმა და ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ მისკენ ახლა აღარავინ

იყურებოდა. ოთახში უხერხული სიჩუმე იდგა.

— ამით დავამთავროთ დღეკანდელი თათბირი. — მშვიდად განაცხადა კათედრის გამგემ.

სწრაფად და უხმაუროდ წამოიშალნენ.

— თქვენ დარჩით! — უთხრა მომჩიენს კათედრის გამგემ.

გარეთ გასვლისას დერეფანში ყველამ სათითაოდ გაუღიმა დალის. აგრძნობინეს, რაც მოხდა, სალაპარაკოდაც არ ღირსო. დალი თვითონაც იღიმებოდა, მაგრამ თვალები სად წაეღო არ იცოდა. აღშფოთებულმა ამხანაგმა ქალმა, სიბრაზისაგან ერთ ადგილას რომ ვერ დგებოდა, დალი გვერდით ოთახში შეიყვანა. ოთახში სამი მაგიდა იდგა. ერთ მაგიდას გამხდარი ქალი მიჯდომოდა და წერდა. მეტი იქ არავინ იყო.

— წარმოგიდგენია, როგორ არ რცხვენონ?! — ხმადაბლა თქვა დალის მეგობარმა და სიტყვა „რცხვენიას“ ბოლო მარცვალი რაღაც არაბუნებრივად დაიგრძელა.

— რა მოხდა? — გულგრილად იკითხა დამხვდურმა.

— დამაცადე, ერთი წუთით, ნეტავი რას ეტყვის ბატონი გოგი? — თქვა დალის ამხანაგმა და განის კარს მიაყურადა.

დალი ცარიელ მაგიდას მიუჯდა, კალმისტარი აიღო და იისფერი მელნით სუფთა ქაღალდზე ქალის პროფილების ხატვა დაიწყო.

— კი მაგრამ რა მოხდა? — ხელმეორედ იკითხა გამხდარმა ქალმა და წერა განაგრძო.

— მოიცა, გეტყვი! — დაიჩურჩულა ქალმა.

— ოხ! — უკმაყოფილოდ წამოიძახა დალიმ.

ამხანაგმა ტუჩზე თითი მიიდო, გაჩუმდითო, თუმცა მის მეტი არავინ ლაპარაკობდა და მეზობელი ოთახიდან ისედაც გარკვევით ისმოდა ყველაფერი. კათედრის გამგე ქალბატონ ჩუტაძეს ტუქსავდა:

— ... როგორ გეკადრებათ, სად გგონიათ თავი?! პატიოსანს, უდედმამო და უქმრო ქალზე ენა როგორ მოგიბრუნდათ!

ამ სიტყვების გაგონებაზე დალის თვალები ცრემლით აევსო. თავი ძლივს შეიკავა. ცხვირსახოცი არ ამოუღია, თუმცა წინ უკვე ვეღარაფერს ხედავდა. დალის მოეჩვენა, რომ უპატრონოდ იყო ქვეყანაზე. ყველა, ვისაც მოეხასიათებოდა, ჩაგრავდა და უმოწყალოდ ამცირებდა.

დალი მარტო ბრუნდებოდა შინ, მოწყენილი იჯდა ტროლეიბუსის ფანჯარასთან. ვიღაც სქელი კაცი, რომელსაც ხელში ხუთთუმნიანი ეჭირა, მებილეთე ქალს ედავებოდა. ქალი ამტკიცებდა, ხუთთუმნიანი ჯერ თვალით არ მინახავს და მაგის ხურდა საიდან მექნებაო. ტროლეიბუსში რომ ამოდიხართ, ხურდაც თან უნდა გქონდეთო. კაცმა უთხრა, ახლა ეს მაკლია, შენ მასწავლო, რა უნდა მქონდეს და რა არ უნდა მქონდესო.

— მაშინ გაიარეთ, ამხანაგო, ხალხს ხელს ნუ უშლით!

— ჯერ ბილეთი მომეცი!

— არა მაქვს ხურდა... თქვენ მეორედ აკეთებთ ასეთ რამეს, გინდათ რომ ბილეთის ფული არ გადაიხადოთ...

კაცი ამაზე საშინლად გაბრაზდა და მებილეთეს უბრდღეი და სალახანა უწოდა. ქალმა მძღოლს დაუძახა, ტროლეიბუსი გააჩერეო. დალი, რომელიც კარგახანი უაზროდ უყურებდა ამ სცენას, გაბრაზდა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გაახსენდა, რომ მისი ჩასვლის დროც მოსულიყო და თუ დროზე წინ არ გავიღიდა, ამ ხალხის მაყურებელი აქვე დარჩებოდა.

ყუჩუნამ ისე უხასიათოდ გააღო სახლის კარი, რომ დალიმ იფიქრა, ალბათ ყველაფერი გაიგოო.

რეჯო ჯეიშვილი
დალი

— შენ რა იყო, რა დაგემართა?

— ბავშვი არის ავად.

დალის კინაღამ მუხლთ მოეკეცა. ამ სიტყვის გაგონებაზე ყოველთვის ცუდად ხდებოდა. სათვალიანი ბიჭი საწოლში წევს. დაბალ კარადაზე წამლები და სიცხის საზომი იდო.

— რა დაგემართა, დედა?

— ავადა ვარ. — სუსტი ხმით უთხრა ბიჭმა.

— რატომ? — სასოწარკვეთილი ხმით იკითხა დალიმ.

— ხომ გითხარი, ამ დღითან ბავშვი არ მომწონს-თქვა... — ჩაილაპარაკა ეუეეუნამ.

— სიცხე რამდენი აქვს?

— ოცდაცხრამეტი, ბაღში გული არევია და მასწავლებელმა მოიყვანა.

„ღმერთო!“ — გაიფიქრა დალიმ და სკამზე დაჯდა.

— ექიმი იყო, საშიში არაფერიაო, ეს წამლები ნიკუშამ ამოიტანა.

— ნიკუშა კარგი ბიჭია? — იკითხა ბავშვმა.

— კარგი, ძალიან.

დედამ ბავშვს შუბლზე ხელი დააწო, მერე დაიხარა და აკოცა. სიცხიანი შვილის ნაცნობი სუნი ეცა. ამ სუნს ყველგან გრძნობდა და არასოდეს არ იშორებდა. ბავშვი ხურდა, მაგრამ დედამ იგრძნო, რომ არც ისეთი მაღალი სიცხე უნდა ჰქონებოდა. დედის დანახვაზე ბიჭი გამოცოცხლდა კიდეც.

— ავდგები, შეიძლება?

— არა, დედა, ექიმმა ხომ გითხრა, არ ადგეო.

— ექიმს არაფერი არ უთქვამს...

— ნახე, შენ მე რა მოგიტანე.

დალიმ ჩანთა გახსნა და ფერადი სურათებით აჭრელებული, სბავშვო წიგნები ამოალაგა.

— ასეთი წიგნები ჩვენ გვაქვს ბაღში... — თავი წამოსწია ბავშვმა. წიგნები აიღო. ერთი გაშალა, დანარჩენი სბანზე დაილაგა.

— დედა, ბორიამ ცხენი მოიყვანა, შენ მე მანქანას მიყიდი?

— გიყიდი, როგორ არ გიყიდი.

— ეს რა არის?

— ეს სათამაშო ცხენია, ბორიასსარაფანი აქვს ისეთი...

დალი ისევ დაიხარა და შვილს შუბლზე ტუჩები დაადო.

— ამ ბავშვს დიდი სიცხე არ უნდა ჰქონდეს!

— მგონი, დაუკლო. — თქვა ეუეეუნამ.

დალი მეორე ოთახში გავიდა. კაბა და სვიტერი გაიხადა. მაღალქუსლებზე შემდგარი, მოკლეპერანგგისამარა, დიდხანს იდგა სარკის წინ და უაზროდ მისჩერებოდა საკუთარ სხეულს. ბოლოს ფეხსაცმელები გაიძრო, ხალათი და ქოშები ჩაიცვა.

თავი მერვე

ასე უინტერესოდ და უშედეგოდ ჩაიარა თითქმის ერთმა წელმა. არაფერი ღირსსახსოვარი არ ხდებოდა; არაფერი თვალშისაცემად არ იცვლებოდა. დღე დღეს მიყვებოდა, თენდებოდა და ღამდებოდა. დრო, როგორც ყოველთვის, სწრაფად მიდიოდა. დრო არაფერს ანგარიშს არ უწევდა, ყველაფერს ასწორებდა და ათანაბრებდა. ზაფხულს გამოცდები ისე მოახლოვდა, ელგუჯამ უკან მოხედვა ვერ მოასწრო. ლექციები შეწყდა. უნივერსიტეტის დერეფნები კინაღამ დაცარიელდა. ელგუჯას კურსს პირველი გამოცდა მთავარი კორპუსის მესამე სართულზე დაუნიშნეს. აუდიტორიის კართან აცრემლებული გოგონები იდგნენ. მაღალი ნიშანი ბევრმა ვერ მიიღო და ზოგიერთები ჩაიჭრა კიდეც. სკოლაში განებივრებულ, ზამთრის სესიებზე იოლად ფონს გასულ ქალებს ოთხიანი შეურაცყოფა ეგონთ. ყველა ამტკიცებდა, ვიცოდი, მაგრამ ლექტორმა ნიშანი დამაკლო. ვამომცდელს ისე ავინებდნენ, თითქოს აუდიტორიაში ურჩხული იჯდა და საკითხვაზე ვინც პასუხს ვერ გასცემდა, შავი დღე ელოდა.

ელგუჯა ფრთხილად შევიდა ოთახში. სიცხისაგან გათანგული ლექტორი ხალისიანად შეეგება. დიდი ცხვირსახო-

ცი, რომლითაც სახეს ინიავებდა, ჯიბეში შეინახა და სტუდენტი მერხზე დასვა.

— რა გვარი ხართ თქვენ?

— ვაშაძე.

— ბატონო მე მოგცემ, თუ მენდობი...

ელგუჯა დათანხმდა, მაგრამ მერე თვითონ ლექტორმა გადაიფიქრა: ცუდი ბილეთი შეგხვდება და მე დამაბარალებს ყველაფერსო. ელგუჯა დაიბნა და ძლივს მოახერხა ერთი ქაღალდის აღება.

— თუ არ მოგწონს, გამოცვალე! — უჩრია გამომცდელმა.

ელგუჯას თვალები აუჭრელდა. დაწერილი ვერ წაიკითხა და არა უშავს იყოს, მადლობთო, თქვა. მერე გამოიარკვა, კარგი ბილეთი შეხვედროდა და ინანა, რის მადლობას ვეუბნებოდიო. სკამზე დაჯდა თუ არა, მოეჩვენა, რომ არც ერთი საკითხი არ იცოდა. სახეზე ოფლმა დაასხა, ზევით აიხედა და ჭერს მიაჩერდა, თითქოს რაღაცას იხსენებდა, მაგრამ სინამდვილეში უმისამართოდ აზროვნებდა.

წინ, ერთი მერხის ჩაგდებით, ორი გასაცოდავებული ქალიშვილი იჯდა. ლექტორი ხუმრობდა და ქალებს ისეთ უბრალო შეკითხვებს აძლევდა, ელგუჯა ფიქრობდა, საბავშვო ბაღში ხომ არა ვართო. ქალების პასუხზე ლექტორი ოხრავდა და მატრიკულში ნიშნებს აფორმებდა. ერთი გოგო შეშინებული მისჩერებოდა ხელებში და თან ლაპარაკობდა, თუმცა კარგად იცოდა, მის პასუხს აწი აზრი აღარ ჰქონდა.

— განაგრძე, გენაცვალე, მე რას მიყურებ! — ალერსიანად უთხრა ლექტორმა.

— რას მიწერთ, პატივცემულო? — მიკნავლებული ხმით იკითხა ქალმა.

— რაც გეკუთვნის იმას! — ჩაილაპარაკა ლექტორმა და ქალიშვილს მატრიკული გადმოუგდო. მეორესაც ასე მოექცა.

ქალებმა მატრიკულები აკრიფეს, ძლივს გაარკვიეს, რა ეწერა შიგ და გახარებული გავიდნენ. ელგუჯას მიხვეულ-მოხვეული, ოთხები მიიღეს. ამის მაყურებელი ელგუჯა დამშვიდდა, თუმცა როცა მისი დრო მოვიდა, მაინც აღელვებულ-ბოლოდ და პირველად ისე არეულ-დარეულად დაიწყო ლაპარაკი, რომ ეგონა, ჩავფლავდიო. ლექტორი, პირიქით, კმაყოფილი დარჩა. სტუდენტი შეაქო, ხუთი დაუწერა და უთხრა: აწი ყურადღება უნდა მოგაქციოო. იმ დღის მერე ლექტორს ელგუჯა არ გახსენებია და არც სტუდენტს დატყობია ულექტორობა.

დერეფანში შეჯგუფულმა ამხანაგებმა ელგუჯას ხუთი მოულოცეს. ელგუჯამ მოიხსნა. ზოგიერთები წიგნს თავს აკლავდნენ და მოეჩვენა, რომ ამ ნიშანს სხვები უფრო იმსახურებდნენ. ცოტა ხანი აუდიტორიის კართან იდგა, მერე მარტო გავიდა ეზოში.

უბედურად ცხელოდა. ქვა და მიწას ბუღი ასდიოდა. კიბის პირდაპირ, ხის ქვეშ, ჩრდილში დიმიტრი და ვიღაც მაღალი ბიჭი ისხდნენ. ელგუჯა კიბეზე დაეშვა; ბიჭებთან მივიდა და დიმიტრის გვერდით დაჯდა.

— გაიცანი! — უთხრა ამხანაგს დიმიტრიმ.

მაღალმა ბიჭმა ელგუჯას ხელი ჩამოართვა.

მაღალს რაღაც თავხედური გამოხედვა ჰქონდა და დაუდევრად ეცვა. უცნაური ჩაცმული კი არ იყო, მაგრამ ეტყობოდა ტანსაცმელს არაფრად აგდებდა. ხაკის პერანგი კინაღამ ბოლომდე ჭკონდა ჩახსნილი და გაუთო

ნიშნ და დაბნეულებას მიაწერა. მაღალი ბიჭი, რომელსაც გიგუშა ერქვა, სიამდვილეში ტელევიზიაში მუშაობდა ერთ-ერთი გადაცემის რედაქტორად. დიმიტრიზე უმცროსი ჩანდა, თუმცა იქვე ეტყობოდა, რომ უმცროს-უფროსობას არად დაგიდევდა. დიმიტრი დაჯაბნილიც კი უნდა ჰყოლოდა.

— აღარ მორჩი სწავლას? — ჰკითხა დიმიტრიმ ელგუჯას.

— ერთი გამოცდა ჩავაბარე ჯერ.

ელგუჯას შეეშინდა, არ მკითხოს, რა მქიდეო. ვინ იცის, ხუთი ამათთვის შეიძლება სირცხვილადაც ითვლებოდა. საბედნიეროდ, ნიშნით არავინ დაინტერესებულა, დიმიტრის სხვა რამე უფრო აწუხებდა და ელგუჯას პირდაპირ უთხრა: წაგვიყვანე ახლა და ლუდი დაგვალევინე, ამ ამბის ასე დატოვება უხერხულიაო.

— წავიდეთ მერე! — თქვა ელგუჯამ. ჯიბეში ახალი აღებული სტიპენდია ედო და ფულმა ბარძაყი გაწვა.

დიმიტრი არ აჩქარებულა. არც მეორე ბიჭი წამომხტარა, თუმცა, ეტყობოდა, ყველაფერზე თანახმა იყო და არაფერზე უარს არ იტყოდა.

— რა უნდა ჭამო და დალიო, ბიჭო შენ, სული ძლივს გიდგია! — უთხრა დიმიტრის.

— რაშია იცი საქმე, — თქვა დიმიტრიმ. — ადამიანი შეუცნობელი არსებაა. ადამიანს ყველაფრის შეცნობა შეუძლია საკუთარი თავის გარდა. ისე რომ, სული ძლივს გიდგიაო რომ მეუბნები, ჯერ ერთი სული სხვა რაღაცაა, შენთვის ძნელი ასახსნელი, მეორეც, ვინ რისი შემძლეა არავინ არ იცის ქვეყანაზე...

ლაპარაკის დროს დიმიტრი გადაყვითლებულ თითებს დასცქეროდა და თუთუნის ნაბუკვენებს იშორებდა. გიგუშა დიმიტრის მსჯელობაზე იჭყანებოდა.

— რა იყო, ბიჭო? — დაეჭვებით იკითხა დიმიტრიმ.

— წამოდი, რაღას უყურებ?! — უთხრა გიგუშამ და საყელოში მოქაჩა.

— გადი, ხელი გამიშვი!

— წამოდი, დემეტრე, წამოდი... თავისკენტერით უთხრა გიგუშამ. წამოდგა. იგი ამხანაგს შეგნებულად ეძახოდა დემეტრეს, მაგრამ დიმიტრისათვის ეტყობოდა, სულ ერთი იყო, რას დაუძახებდი.

სამთავენი ერთი მივარდნილი ქუჩის სახინკლეში ჩავიდნენ. სარდაფი თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ კუთხის მაგიდასთან იდგა ორი კაცი. მოწყენილი დახლიდარი რეპროდუქტორს უსმენდა და სიცხისაგან შეწუხებული თუ ახალი ამბისაგან გაოცებული დროდადრო ამოოიხრებდა ხოლმე.

— გამარჯვება, ლავრენტი! — დაიძახა გიგუშამ და დახლიდარს ხელი გაუწოდა.

— გაუმარჯოს! — იყვირა დამხვდურმა და მოსულს ხელი ჩამოართვა, თუმცა სტუმარი ვერ იცნო და რადგანაც ლავრენტიც არ ერქვა, იფიქრა, ან მაბითურებს, ან ვიღაცაში ვეშლებიო.

— ხომ ხარ მაგრად? — იკითხა გიგუშამ.

— საშუალოდ. — მოკლედ მოუჭრა დახლიდარმა.

— ჩამოგვისხი აბა.

— კი ბატონო, მაგაზე გაწყენინებთ, რამდენი ხართ?

— სამი.

დახლიდარმა თავიდაღმა დამხობილი მძიმე კათხები გადმოალაგა და ლუდი ჩამოაჩრიალა.

— გაიცანი, ესენი ჩემი მეგობრებია! — უთხრა გიგუშამ.

— ვიცნობ, კაცო! — უპასუხა „ლავრენტიმ“.

— რა კაცი ხარ! — გაეცინა გიგუშას. — ვენაცვალე ლავრენტი, მიხვედრაში და ვაქაცობაში!

— აბა რა ვქნა, ძმაო, ფული მე არა მაქვს და თანამდებობა! — დაფიქრებლივ უპასუხა დახლიდარმა, რომელიც იმწუთას ახალ კლიენტს ელაპარაკებოდა.

ლუდი და საუზმე ბიჭებმა მაღალ, მარმარილოსქუდიან მაგიდაზე დალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეს. ელგუჯა მომსახურეობას ცდილობდა, მაგრამ გიგუშას სულ არ ეზარებოდა ჭიქა-საინების, ჩანგლების მოძებნა და მოტანა.

სალუდეში ხმაურით და ლაპარაკით ხუთი კაცი შემოვიდა. ლუდი, საუზმე და ასი ხინკალი მოითხოვეს. ერთმა ბიჭმა ხინკლით გავსებულ სინს ხელი დაატანა და ცალკე მაგიდაზე დადო.

— რამდენია? — იკითხა მორჩილი ტანის, ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის კაცმა.

— ასია. — უთხრა ერთმა.

— რა იცი შენ?

— არა შენმა მზემ, მეტს დაგიწყობდნენ!

— ასია, ბატონო, თუ გინდათ დათვალეთ!

— ყოველშემთხვევაში, მეტი არ იქნება. — თქვა მსუქანმა კაცმა.

— კარგი, კარგი იყოს რაც არის... — ჩაილაპარაკა მორჩილი ტანის ბიჭმა. ამ ბიჭს წვრილი წელი და ფეხები ჰქონდა. ფართო გულმკერდი სულ არ ესადგებოდა ქვედატანს. დიდი პირი კი რაღაც უზარმაზარი თევზის ლაყუჩებს მიუგავდა.

ლაყუჩებიანი ამხანაგებს მოშორდა და რამდენიმე ხინკალი ზედიზედ გადაუძახა. დანარჩენები ლუდს წრუპავდნენ და მჭამელსაც არ აშორებდნენ თვალს. ბიჭი არავის ყურადღებას არ აქცევდა.

— იმ კაცებს, — თქვა გიგუშამ. — ეტყობა ნიძლავი აქვთ და ის ასი ხინკალი იმ ბიჭმა უნდა შეჭამოს.

— მარტო? — იკითხა ელგუჯამ.

— რასაკვირველია... — თავაზიანად უპასუხა გიგუშამ.

— რა იცი შენ? — გაუკვირდა დიმიტრის.

— შეხედე და მიხვდები, რა ცოდნა უნდა.

ამ ლაპარაკს თმაშეევრცხლილმა, სიმპათიურმა კაცმა მოჰკრა ყური. წინ წამოვიდა და გიგუშას ვარაუდი სიტყვიერადაც დაადასტურა.

— ... დრო არ დაგვითქვამს, მაგრამ გაუჩერებლივ უნდა ჭამოს, და ერთი ლუდის დალევაა შეუძლია, როცა მოეხასიათება მაშინ!

— ეს უკვდავი ყოფილა! — თქვა დიმიტრიმ.

— მუცლის ნასახი არ ამჩნევია. — ჩაილაპარაკა ელგუჯამ, რომელიც კარგახანი აპირებდა რადაცის თქმას.

— ამაშია საქმე! — ამაყად თქვა სანდომიანი სახის კაცმა.

— ჩემ ცხოვრებაში ათ ხინკალზე მეტი არ შემიჭამია! — ხმამაღლა განაცხადა გიგუშამ.

თმაშეევრცხლილი სიამოვნებისაგან გაიბადრა, მაგრამ დანარჩენებს სწორედ ამ ნათქვამის სისწორეში შეეპარათ ეჭვი.

— ათი რაა, შე კაი კაცო, — უსაყვედურა მჭამელმა. — ათი კი არა, ოცდაათი ცალი ხინკალი ორი საათის წინ შეჭამე სულ ტყუელა, რომ იცოდე შენ!

— ეს ვინ ყოფილა, სად იყავი აქამდე, თუ ძმა ხარ?!

— რა ვიცი მე სად ვიყავი, — დიმორცხვა გიგუშას ქებით შეწუხებულმა დიდპირიმ და თხელი ქაღალდით ტუჩები მოიწმინდა.

— დიდი მაგარი მჭამელია, — დინჯად დაიწყო თმაშეევრცხლილმა. — ოცდაათი არა, მაგრამ ცხრა ხინკალი მართლა შეჭამა ერთი საათის წინ.

— ოერთეტი. — ღეჭვით დაეზუსტა დიდპირიმ.

გიგუშას სიცილი წასკდა და ხელიდან ჩანგალი გაუვარდა. ბიჭს ეგონა, ნათქვამი არ ჯერაო და სანამ გიგუშა ახალ ჩანგალს მოიტანდა, მანამდე შეიცადა და მერე დინჯად თქვა:

— ეს რაა, ერთხელ ცხრა საინი ლობიო შეეჭამე... სასადილოს გამგემ მითხრა, ვისი ხარ, მითხარიო... ის კი არ იცოდა, ახალი ნასადილევი რომ ვიყავი. ყველაფერს იღბალი უნდა ცხოვრებაში. ჭამაში არაა საქმე, საერთოდ...

— შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ, დრო

რუ გაგყავს! — უსაყვედურა მსუქანმა კაცმა. მსუქანი დახლს მიყრდნობოდა და ხელში ლუდით ნახევრად სავსე ჭიქა ეჭირა.

— ახლა ამოიღე, კონსტანტინოვიჩ, პირველად ხმა!

— პირველად ამოიღე, თუ მეორედ, არ მაინტერესებს, წყნარად იყავი და ჭამე... თუ საჭირო იქნა, ჩვენ ვილაპარაკებთ.

დიდპირა გაჩუმდა, უაზრო თვალებით დახედა სინს. ერთი ხინკალი აირჩია და უხალისოდ ჩაიდო პირში. ფეხი კიბის საფეხურს ჩამოადო, ზურგით კედელს მიეყრდნო და ნელა, უგემურად დაიწყო ღეჭვა.

სარდაფში სიჩუმე ჩამოვარდა და ღია კარიდან, ოთხკუთხედი სინათლე რომ ჩანჩქერივით ჩამოდიოდა, ქალაქის ყრუ, შორეული ხმაური შემოვიდა. სახინკლეში ვენტილიატორიც ზუზუნებდა.

— ნახე რამდენს ტოვებს! — წამოიძახა უცბად ერთმა კაცმა და მწვანე პლასტმასის თეფშზე დაყრილ ჩიპებს დახედა.

— რას ვტოვებ, სად ვტოვებ, ამაზე ამბობ?! — ბიჭმა ყველაზე პატარა ჩიპი აიღო და ზევით ასწია. — ამის უფლება აღარ მაქვს?!

— აქვს, აქვს, კი აქვს! — გული აუჩიენდა თმაშეკერცხლილ კაცს.

— შენ გაჩერდი! — ჩაილაპარაკა გაბრაზებულმა მსუქანმა.

სარდაფი მალე ხალხით გაიესო. თმაშეკერცხლილი კაცი სათითაოდ უხსნიდა ყველას, რაც ხდებოდა. დიდპირას ირგვლივ წრე შეიკრა. მსუქანმა რამდენჯერმე გაიმეორა: ლაპარაკი არ დაუწყოთ, ძალიან გთხოვთ, არ მოაცდინოთო.

ჭაბელი არ ჩქარობდა. დინჯად იღებებოდა და მერე საგულდაგულოდ იწმენდდა ტუჩებს. ლუდი მოითხოვა, მისცეს. ბიჭმა გაკვირვებული თვალებით მიათვალიერა ხალხი და კათხა ერთი მოსმით გაანახევრა.

გიგუშა, დიმიტრი და ელგუჯა ახლა უქმად იდგნენ და ამ სანახაობას უყურებდნენ. არც დანარჩენები აპირებდნენ ფეხის მოცვლას.

— რამდენი დარჩა? — იკითხა ვიღაცამ.

ბიჭმა ჭამა შეწყვიტა და ხინკლის დათვლა დაიწყო.

— მოიცა, კაცო, მოიცა, მე დავთვლი! — გაბრაზდა მსუქანი. ბიჭმა ხელი ჩაიქნია და დარჩენილი ლუდი გამოწრუპა.

გამოირკვა, რომ ორმოცდახუთი ხინკალი ხელუხლებლად იდო სინზე.

— ამას ეს დღეს ვერ გაათავებს! — უიმედოდ თქვა ვიღაცამ.

მაყურებლები მიიფანტ-მოიფანტნენ. ზოგი სულ წავიდა, ზოგმა ჭამა დაიწყო.

— დრო უნდა დაგეთქვათ, ასე რა გამოვიდა! — უთხრა გიგუშამ მსუქანს.

— არ უნდა გაჩერებულიყო, ასე მოვილაპარაკეთ.

— ვინ ჩერდება მერე? — ღოღნით იკითხა ბიჭმა.

— მაინც დრო იყო საჭირო! — დაიჭექა გიგუშამ.

— გამოცდილება უნდა ყველაფერს. — თქვა მსუქანმა. — არადი შესვენებაც გათავდა, ამოდენა მშენებლობა უპატრონოდ მიეატოვე!

— წადი მერე, ვინ გაკაეებს! — უთხრა ბიჭმა.

მსუქანმა გაიღიმა და საათზე დაიხედა.

— არ მომშვალა ნერვებზე!.. — ჩაილაპარაკა მჭაბელმა.

ეს სიტყვები მსუქანს უკვე აღარ გაუგონია. იგი ამ დროს ბოლთას სცემდა.

ბიჭი იცოხნებოდა და ლუკმის გადაყლაპვა უჭირდა. ელგუჯამ იფიქრა: გულს ეყრებაო და კინაღამ თვითონ გახდა ცუდად. დიმიტრიც შეწუხდა, მხოლოდ გიგუშა არ აპირებდა ფეხის მოცვლას. რამდენიმე კაცი გიგუშაზე არანაკლები ცნობისმოყვარე აღმოჩნდა. დიდპირას სულ არ აწუხებდა ხალხის მზერა, შეიძლება, სიამოვნებდა კიდეც.

— შეჭამს, ვერ შეჭამს! — ისმოდა აქეთ-იქიდან. უმრავლესობა სკეპტიკურად იყო განწყობილი. ბიჭი დროდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერო ხელს ასწევდა ხოლმე და ურწმუნოებს ამშვიდებდა, ჩაშოშმინდოთ, ყველაფერი კარგად იქნებაო.

ოკდაორი ხინკალი რომ დარჩა, ბიჭმა ლუდის ცარიელი კათხა აიღო და დიდი ინტერესით ჩაიხედა შიგ. დარბაზში კვლავ სიჩუმე დადგა.

— ხმ! — ხმამაღლა ჩაახველა ვილაკამ.

ბიჭი ამ ხმაზე გამოერკვა და უიმედო თვალებით გადახედა დახლს. მერე ერთი ხინკალიც შეუმა და კაცს, რომელსაც ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ რკინიგზაში მუშაობდა, თხოვა, ზურგზე ხელი დამარტყიო. რკინიგზელმა სულელურად გაიღიმა და ადგილიდან არ დაძრა. თმაშევერცხლილმა კაცმა მჭაველს ზურგზე ხელი მოუთათუნა. აღელვესით გათამამებულმა ბიჭმა ერთი ჭიქა წყალი მოითხოვა. წყალი დეპულებით გათვალისწინებული არ ყოფილა და არ მისცეს.

დიმიტრი და ელგუჯა ზევით ავიდნენ.

— არ მოდის? — იკითხა დიმიტრიმ.

ელგუჯამ უკან მიიხედა და ამასობაში გიგუშაც ამოვიდა.

— როგორაა საქმე? — ცალი ყბით იკითხა დიმიტრიმ.

— კარგად... იმ გაჯირვებულს ვონია, წყალი უშველის, ოთხი ცალი ხინკალი რომ დარჩება, მაშინ გაგორდება ძირს! — ანუგეშა გიგუშამ ამხანაგები.

— ყველაფერი სისულელეა, ყველაფერი სულელური ხუმრობაა და მეტი არაფერი!.. — თქვა დიმიტრიმ და უცბად მოიწყინა.

— მე სახლში წავალ, მადლობთ! — თქვა ელგუჯამ.

— კარგად იყავი! — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

— როგორ ცხელა, რა ამბავია! — სახე მოიჩრდილა გიგუშამ.

„ყველაფერი სულელური ხუმრობა როგორ შეიძლება იყოს?“ — ფიქრობდა ელგუჯა, როცა შინისაკენ მიდიოდა. გამოცდები მიილია. ელგუჯა დღე-დღეზე აპირებდა მანდიკორში გამგზავრებას. მწერთნელმა სხვისი პირით შემოუთვალა, უჩემოდ არ წახვიდეო და იმ დღეს ელგუჯა საგანგებოდ მოვიდა უნივერსიტეტში.

ცარიელ საუბდაო დარბაზში, პატარა მაგიდასთან პავლე იჯდა და გაზეთს კითხულობდა. დარბაზში საოცარი სიჩუმე და სიგრილე იყო.

— გამარჯობათ. — თქვა ელგუჯამ.

— გაუმარჯოს ჩემპიონს! — თავი ასწია პავლემ.

კაცი უკვე ჩემპიონს ეძახოდა ჩუჩელას მაგივრად. ელგუჯა ახლოს მივიდა და სასწორთან გაჩერდა. თეთრი, სახელოებაკეცილი პერანგი ეცვა. პერანგი მჭიდროდ ჰქონდა ჩატნეული ახალ შარავალში. შარვალიც კარგად იყო შეკერილი და მაღალ, სწორ ფეხებს ზომიერად მორგებოდა. ეშინოდა, პერანგი არ ამომეჩაჩოსო და გამართული იდგა, ზედმეტ მოხვრა-მოხვრას ერიდებოდა.

— რას შვები, ბიჭო? — იკითხა პავლემ და ისევ გაზეთს ჩაჰერდა.

— კარგად ვარ.

— ჩაააბარე?

ჩავაბარე კი.

— ხუთები ხომ მიიღე?

— კი.

— ასე უნდა, ბიძია, ვინც არ სწავლობს, ის არც სხვა საქმეში ვარგა, გლახა ყველგან გლახაა! — გულმოსულად ჩაილაპარაკა მოწაფის წარმატებით გახარებულმა პავლემ. ელგუჯამ ხელი სასწორზე ჩამოადო და თითები აათამაშა.

— აღარ დადის არავინ? — იკითხა მან და დარბაზი მოათვალიერა.

— ორშაბათიდან დაიწყება, გამიშვი და გაგიშვებ... აგვისტოსათვის გუნდი მზად უნდა მყავდეს, ხომ იცი, სად მივ-

დივართ? — პავლემ თავი ასწია და გაზეთს იდაყვი დაუფარა.

— ვიცი, კი. — უთხრა ელგუჯამ.

— კაია თუ იცი, ახლა ამიტომ დაგიძახე, ორშაბათიდან ვარჯიში არ გამიცდინო და ჰე ვიცი... რაც არ უნდა მოხდეს, წაგიყვან... ძირითად გუნდში ვერ დაგპირდები, მაგრამ მაინც გამოგტანიებ, მერე ვნახოთ... გასაგებია?

— კი... — აღელდა ელგუჯა.

აგვისტოში ხარკოვში ბურევესტნიკის პირველობა იწყებოდა და პავლე საქართველოს სტუდენტთა ნაკრებ გუნდს ავარჯიშებდა. ან ნაკრებში მოხვედრა დიდი პატივი იყო, რადგან თითქმის ყველა ცნობილი მოჭიდავე უმაღლესში სწავლობდა. ის კი არა, ზოგიერთი მეორე ფაკულტეტსაც ამთავრებდა. მწვრთნელს არ უნდოდა ელგუჯას სოფელში გაშვება. ტყე-ტყე სიარულში რაც ისწავლა ისიც დაავიწყდებაო, ფიქრობდა. ტყუილად წამოვიდეს ჯობია, ნახოს ნამდვილი შეჯიბრი, ხალჩას შეეჩვიოს უკეთესიაო, ანგარიშობდა იგი.

ელგუჯას სიხარულისაგან, როგორც ხშირად ემართებოდა ხოლმე, კინაღამ გული აუჩვიდეს. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ პავლე ისევ გაზეთს დაყურებდა და ხმა ვერ ამოიღო.

— იცი, ბიჭო, როგორ დაღუპულა ტრეშერი? — იკითხა პავლემ.

— რით დაღუპულა საწყალი? — შეიცხადა ელგუჯამ. „ტრეშერი“ რომელიღაც ბალტიისპირელი მოჭიდავე ეგონა.

— „ტრეშერი“ იცი რა არის?

— არ ვიცი.

— თუ არ იცი, რას ლაპარაკობ!

... 10 აპრილს ჯერ კიდევ ღილაბნელში სამხედრო-საზღვაო ბაზა პორტსმუნდიდან ოკეანეში გავიდა ამერიკის სამხედრო ფლოტის სიამაყე, ატომური წყალქვეშა ნავი „ტრეშერი“.

მეზღვაურები ეთხოვებოდნენ ოჯახებს. 16 ოფიცერი და 96 მეზღვაური გულმოკლული ტოვებდა ნაპირს. ყველას რაღაც უცნაური წინაგრძნობა აწუხებდა.

მემანქანე ჯორჯ კისეკერმა ცოლს უთხრა:

— ... ეშმაზმ, ძვირფასო, მგონი ეს ჩემი უკანასკნელი მოგზაურობაა, გული მეუბნება, რომ შენ ერთი კვირის მერე ქვრივი იქნები...

ვერც ერთი მეზღვაური შიშს ვერ მალავდა.

მაინც ბედი არ წყალობდა „მცურავ კუბოს“ (მეზღვაურები ამ სახელს თავიანთ ნავს ეძახდნენ). იგი რამდენჯერმე დაზიანდა და სასწაულით გადარჩა. ახლა, უკანასკნელი, საფუძვლიანი შეკეთების შემდეგ, ისევ ღია ოკეანეში ტაღიოდა მშრალი დოკიდან.

ოკეანე სამინელი ღელვით შეეგება ნავს. ფოლადის კედლებს, მზის პირველ სხივებში რომ ელვადა, უზარმაზარი ტალღები ეხლებოდა.

დილის 7 საათზე და 47 წუთზე კომანდირმა ჯონ ჰერვეიმ ოკეანის სიღრმეში ჩაშვება ბრძანა. „ტრეშერი“ ნელა წავიდა ქვეყით.

მაშველი გემის „სკაილარკის“ შტურმანი აღელვებული უსმენდა რაციას. 10 წუთის შემდეგ გაიგონა ჰერვეის ხმა: ყველაფერი წესრიგშია, განვაგრძობთ ჩაშვებას!

„ტრეშერი“ ყოველი თხუთმეტი წუთის შემდეგ ახსტატებდა თავის ადგილსამყოფელს, მაგრამ ნავთან კავშირი თანდათან უარესდებოდა. „ტრეშერი“ კი ქვეყით და ქვეყით ეშვებოდა.

9 საათზე და 10 წუთზე „ტრეშერმა“ ხმა არ გასცა „სკაილარკის“ ხელმეორედ გამოძახებას. ფერდაკარგული ლეიტენანტი უოტსონი მთელი ხმით გაჰყვიროდა:

— არის თუ არა თქვენთან წესრიგი, გვიპასუხეთ, გვიპასუხეთ, გვიპასუხეთ თუ ღმერთი გწამთ!

არავითარი ნიშანი. სასოწარკვეთილმა უოტსონმა მიატოვა ყურმილი და თმაში იტაცა ხელი. ახალგაზრდა რადისტმა, რომელიც იმწუთას ყურმილს მივარდა, ძლივძლიერობით გაიგონა ოკეანიდან სუსტი, უდღეური ხმა: გვეჭირს, გვეჭირს.. ვცდილობთ... კუთხე, ზევით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ უოტსონმა და რადისტმა უკვე ერთდროულად, გარკვევით გიგორნეს რაღაც საშინელი, ყრუ გუგუნი ოკეანის ფსკერიდან, რომლის მსგავსი ადამიანის ყურს ჯერ რაციიდან არ მოესმინა.

ეს მოხდა 9 საათზე და 17 წუთზე. ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი სიწყნარემ მოიცვა და ოკეანეც დამშვიდდა.

15 საათზე სარდლობამ განგაშნი გამოაცხადა. „ტრეშერისაკენ“ გაემართა სამხედრო გემები და თვითმფრინავები.

16 საათზე ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწემ სამხედრო-საზღვაო საქმეში კაპიტანმა შებერდმა კენედის მოახსენა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამერიკის ფლოტის დიდება, ატომური წყალქვეშა ნავი „ტრეშერი“ 112 საუკეთესო მეზღვაური და 18 სამოქალაქო ინჟინერი ატლანტიკის ოკეანის ფსკერზე განისვენებსო.

ღამით ნაღმოსან „ჰაზელვუდის“ ეკიპაჟმა პროექტორების შუქზე შეამჩნია ზეთის დიდი ლაქა; ხოლო განთიადისას „სკაილარკის“ მეზღვაურებმა წყალში იპოვნეს ორი ხელთათანები. ეს იყო და ეს, რაც ოკეანემ „ტრეშერის“ ეკიპაჟის მოსაგონებლად გაიმეტა.

ატლანტიკის ოკეანეზე საშინელი წვიმები დაიწყო. ტყეიისფერი ღრუბლები დაყურებდა „ტრეშერის“ დაღუპვის ალაგს. სადაც „სკაილარკის“ მიერ ფატოვებულ შუქნიშანზე მტრედისფერი და წითელი ღროშა იყო დამაგრებული. წითელი შუქი ანათებდა წყლის ზედაპირს, რომლის ძირში, სამოთას მეტრზე ქვეეთი სამუდამოდ განისვენებდა უაზროდ დაღუპული 130 დარჩენილი მამაკაცი.

წვრთნა დამთავრდა. მოჭიდავეთა გუნდი საპოლოდ დაკომპლექტდა და წასასვლელად გაემზადა.

ელგუჯამ მამის უნახავად ხარკოვში წასვლა ვერ გაბედა. მწვრთნელს დაეთხოვა და მანდიკორში გაემგზავრა. ამ ორეულიანი ვიზიტის გამო იგი მარტოდმარტო. ოკეანეებით უნდა გაყოლოდა გუნდს. ბიჭი სოფელში გახალისდა. მეზობლები და ნათესავები მიეკითხ-მოეკითხა და უკანვე დაბრუნდა.

თბილისში კარგი ამინდები იდგა. ცოტა აგრილებულიყო კიდეც.

საღგურში დეიდამ და ბიძამ გამოაცილეს.

პირველ ლიანდაგზე თბილის-მოსკოვის გრძელი მატარებელი იდგა. ბაქანზე ხალხი ირეოდა. ელგუჯა ვაგონში შეეიდა, სპორტული ჩანთა კუპეში დატოვა, ისევ უკან გამობრუნდა და შესასვლელში გაჩერდა. დეიდა და ბიძა კიბესთან იდგნენ.

— წადით ახლა, რაღას უყურებთ. — თქვა ელგუჯამ. დერეფნის კედელს ზურგით აეკრა და ვიღაც მგზავრს გზა გაუთავისუფლა.

— რა გვეჩქარება — უთხრა დეიდამ.

— ჯერ ადრეა! — საათზე დაიხედა კაცმა და აშკარად შეეტყო, როგორ ეწყინა მართლა ადრე რომ იყო.

ელგუჯა ანერვიულდა. ნათესავების ჩაცმულობა ისედაც არ მოსდიოდა თვალში და ახლა ბიძამისი, რომელიც საღგურიდან აბანოში გაელას აპირებდა, ხელში ძველთაძველი ჩანთა რომ ეჭირა და დეიდა მთელი ვაგონის გასაგონად რომ ეძახოდა, ფული არაკინ მოგვაროსო, სადაც იყო გადარევდნენ ისედაც დამორცხვებულ ბიჭს. ელგუჯას ეკრინა, ყველა მე მომჩერებიაო და ნუგეშად ისღა რჩებოდა, რომ ახლომახლო ერთი ნაცნობიც არ ჩანდა. მისდა იღბლად, დეიდა და ბიძა მალე წავიდნენ. ბიჭმა შეეძინა ამოისუნთქა და კუპეში შეეიდა. კუპე ცარიელი იყო. ელგუჯა ფანჯარასთან დაჯდა.

საღგურის იქითა მხარეს სიწყნარე იყო. ცარიელი ლიანდაგის მერე უთავო და უბოლო სამაგრო მატარებელი იდგა. ორი გამურული რკინიგზელი გზაწერილს მიყვებოდა. ერთი ვაგონის ბორბალთან რაღაც სარკმელს აღებდა და იმწამსვე ტკაცუნით კეტავდა: გრძელტარიან ჩაქუჩს პრიალა ღერძს

უკაკუნებდა და მიდიოდა. მეორე კაცი რაღას აკეთებდა, ელგუჯას ვერ გაიგო. რკინიგზელები თვალს მიეფარნენ.

ელგუჯამ თავის ადგილსამყოფელი მოათვალიერა. სარკმელი ღია იყო, მაგრამ კუპეში მაინც ცხელოდა და ჩახუთული ჰაერი იდგა. დერეფანში ვიღაცეები მიდი-მოდიოდნენ. იქნებ ლამაზი ქალი დამემგზავროსო, ფიქრობდა ელგუჯა და თვალი კარისაკენ ეჭირა.

ელგუჯას არც ისე ბევრჯერ უმგზავრია შორ გზაზე მატარებლით. მხოლოდ შარშან, როცა მამამ მოსკოვი, ლენინგრადი და ბალტიისპირეთი მოატარა, იგემა მოგზაურობის სიამე და სივგლეხე. არც ერთხელ მამა-შვილის კუპეში ქალს არც ლამაზს და არც ულამაზოს, არ შემოუხედია. მხოლოდ ერთხელ, როცა ტალინდან პრუნდებოდნენ, გვერდით კუპეში ორი ქართველი დედაბერი დაბინავდა.

„სამაგიეროდ, ახლა გამიმართლებს... ხმაც რომ არ გაგცეს, ქალთან მგზავრობა მაინც სხვაა!“ — მსჯელობდა იგი გუნებაში.

მატარებლის გასვლას აღარაფერი უკლდა, როცა კუპის კარს ერთი უსაშველოდ მსუქანი კაცი მოადგა. კაცმა კარგა ხანს ათვალიერა კედელზე მიკრული ნომერი და მერე შიგ შემოვიდა. უკან მებარგე მოჰყვებოდა თურმე. გრძელულვაშიანი მებარგეც ძალე შემოვიდა და უამრავი ჩემოდნები და ჩანთები შემოათრია. იქაურობა სულ ბარგით გაიავსო. ელგუჯამ თვალს არ დაუჯერა; ამდენ რაღაცას ეს დალეული კაცი როგორ შემოიტანდაო.

— გამარჯობა! — თქვა მსუქანმა.

— გგიმარჯოთ.

— თქვენი ადგილია ეს?

— დიახ.

— მაშინ ეს ჩემი იქნება! — მიხვდა მსუქანი. ხვნეშით დაჯდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახე და მოტიტლეტებული თავ-კისერი შეიმშრალა.

გულშემოყრილი ელგუჯა დერეფანში გავიდა და ღია ფანჯარასთან გაჩერდა. ბაქანზე გამცილებლები იდგნენ. მგზავრები ფანჯრებიდან იხედებოდნენ. ელგუჯა ელულ-დამრჩენს სალაპარაკო [illegible] ლეოდათ. უკვე დამდგარიყო ის უაზრო წუთი, როცა მატარებელი არ მიდის და სათქმელი და სალაპარაკოც აღარაფერია. ელგუჯას ესმოდა, როგორ ეკაჭრებოდა მსუქანი კაცი მებარგეს. უკვე ხმამაღლა ყაყანებდნენ. ულვაშა დამტვრეული ქართულით ლაპარაკობდა. მსუქანი აბაზ-აბაზ უმატებდა გასამრჯელოს. მუშა ჯერჯერობით ადგილიდან არ იძროდა.

— ჯერ ერთი, ნომერი გაქვს შენ? — იკითხა ბოლოს მსუქანმა.

— აბა ეს რა არის, კაცო, აბა ეს ნომერი არ არის!

— კაი, კაი თავი დამანებე!

ეტყობოდა კაცმა ფული გადაიხადა, რადგან მუშა გაჩუმდა და მსუქანმაც ერთი მაღიანად ამოოიხრა. ულვაშა მალე გარეთ გამოვიდა. ნელა მიდიოდა და გაკვირვებული თვალებით ითვლიდა ფულს. სულ არ ეტყობოდა, ერთი წუთის წინ რომ ჩხუბობდა.

მატარებელი წავიდა. ელგუჯამ გულგრილად შეათვალიერა ბაქანზე დარჩენილი ხალხი და კუპეში შევიდა.

— ღლეტგზეზე არიან პირდაპირ გადასული! — უთხრა მსუქანმა და ყურებამდე გაიღიმა. ეს კაცი მთელი გზა ასე იღიმებოდა და ელგუჯას ლუდზე და სპეშელზე ეპატიჟებოდა. სულ არ აღმოჩნდა ისეთი უცმური და ხელმოჭერილი. ელგუჯას რომ პირველად მოეჩვენა.

როცა კაცმა ტანსაცმელის გამოცვლა დაიპირა, ელგუჯა ისევ დერეფანში გავიდა და ღრიჭოდ დარჩენილ კარს ბეჭით მიაწეა. ფანჯარასთან ორი გოგო დამდგარიყო.

„ესენი აქ საიდან გაჩნდნენ“? — გაუკვირდა ელგუჯას.

ტანსრულმა, სათვალიანმა გოგომ, ხმამაღლა რომ ლაპარაკობდა, რამდენჯერმე შეავლო ელგუჯას თვალი. ბიჭს სათვალიანი გოგო მოეწონა და ეს ფარული მზერაც გაითვალისწინა ყოველშემთხვევისათვის, მაგრამ ქერათმიანი ადამიანი, რომელიც მისგან ზურგით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდგა, ეცნაურა და თვალი გაუშტერდა.

„დალი შელიაა“ — გაიფიქრა მან.

რაც მეტად და მეტად ეპარებოდა ამ ვარაუდის სისწორეში ეჭვი, დალის აქ რა უნდაო, ფიქრობდა, მით უფროდაუფრო აშკარა და ცხადი ხდებოდა, რომ ეს ქალი დალი შელია იყო და სხვა არაკინ.

ქალიშვილები მალე გვერდით კუპეში შევიდნენ. შესვლისას დალიმ ელგუჯას გადმოხედა. ბიჭი ისე დაიბნა, რომ ვერ მიხვდა, შეამჩნია თუ არა ქალმა. მეზობელი კუპიდან უკვე ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი ისმოდა. ელგუჯამ დალის ხმა გამოარჩია, რატომღაც აღელდა; გაიარ-გამოიარა და ისევ თავის კუპის კართან გაჩერდა. გვერდიდან ახლა სულ სხვა ქალის ხმა ისმოდა. ეტყობოდათ, ქალიშვილებს კიდევ ახლდათ ვიღაც. ელგუჯა დამშვიდდა. ღმერთს მადლობაც კი უთხრა და ეს შეხვედრა ბედისწერას მიაწერა.

„მეტი რა გინდა, ამაზე უკეთეს შემოხვევას სადღა ნახავ... ახლა უნდა ივარგო!“ — გაიფიქრა მან.

ვაგონში მეზავრები იოლად უახლოვდებიან ხოლმე ერთმანეთს, რათა მოსაწყენი გზა როგორმე მალე მოკლან და გალიონ. ბუნებრივია, ელგუჯასაც ამ მოსალოდნელი სიტუაციის იმედი ჰქონდა.

დაღამებამდე დალი მხოლოდ ერთხელ გამოვიდა გარეთ. ელგუჯა კვლავ ფანჯარასთან იდგა, მაგრამ ქალს გვერდზეც არ გამოუხედია. კონდუქტორმა მალე ჩაი ჩამოარეკა. ქალებმა ივახშმეს, შემდეგ ჩაიკეტნენ და მათი ხმა გარეთ აღარ გამოსულა, თუმცა გვიანობამდე არ დაძინებიათ.

მესამე მეზავრი თეთრთმიანი, ჯერ კიდევ საკმაოდ ლამაზი, ხნიერი ქალი, რომელმაც კეთილი, მაგრამ ჩერჩეტი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა, ერთი ცნობილი მეცნიერის დედა აღმოჩნდა. ქალმა ეს ბოლოს გაამხილა და სათვალიან გოგოზე დიდი ეფექტი მოახდინა. დალიმ ამხანაგის სიხარული გაიზიარა, თუმცა კარგად ვერ გაიგო თეთრთმიანი ქალის ნათქვამი და ვინ ვისი ბიძაშვილი იყო ისიც ვერ გაარკვია.

დალი მოსკოვში თავის საკანდიდატო თემის ხელმძღვანელი პროფესორის სანახავად და საკონსულტაციოდ მიდიოდა. ამხანაგიც ამავე საქმეზე მიემგზავრებოდა. ქალიშვილები სამეცნიერო მუშაობის გარდა ბევრი სასიამოვნო და საინტერესო რამის ნახვასაც აპირებდნენ და მატარებელშიც ვერ მალავდნენ სიხარულს. დალი ხანდახან მაინც მოიწყენდა, ბავშვმა უჩემობა არ იჯავროსო, ეშინოდა.

— რა ხნისაა თქვენი ბავშვი? — ჰკითხა ქალმა.

— ხუთის გახდება მალე.

— საოცარია პირდაპირ, ალბათ აღრე გათხოვდით?

— საკმაოდ.

ქალმა გაიღიმა და დალის მიაჩერდა. ეს დედაკაცი თანამედროვე ქალებს, მისი შვილივით, ცუდი თვალით უყურებდა და ახლა გული მოუბრუნდა. „რა იქნებოდა, ასეთი რძალი ჩემს ოჯახშიც შემოსულიყო!“ — სინანულით ფიქრობდა იგი.

— ალბათ ქმარი ხელს ვიწყობთ, ბავშვის მოვლაში გეხმარებათ?

— ქმარი არა და და კი მშველის, გაუთხოვარია და ჩემ ბიჭს სანახეროდ ის ზრდის.

— რა მოხელეა?

— და?

— არა, ქმარი. — მაინც ქმარს მიაცივდა თეთრთმიანი ქალი.

— მხატვარია. — ხმადაბლა თქვა დალიმ და ოდნავ გაწითლდა. ქმარზე ლაპარაკს ყოველთვის ერიდებოდა. მითუმეტეს, როცა თვლიდა, რომ მეუღლე ისეთივე მხატვარი იყო, როგორც ბედუინი, თუმცა ქმრის ნიშში და უნარში არასოდეს ეჭვი არ შეპპარვია.

— ჩემი ქმარი დირიჟორი იყო, მაგრამ დაურუვდა! — თქვა მოულოდნელად ქალმა.

— რას ბრძანებთ? — შეწუხდა საოთალიანი ქალიშვილი.

— დიდი მომავალი ჰქონდა, მაგრამ დაყრუდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ოპერაში დადიხართ?

ქალიშვილები თურმე ოპერაშიც დადიოდნენ და სიმღერასთანაც არ ყოფილან მწყრალად; ერთი მომღერალი კაციც გიხსენეს, რომელიც თბილისში ჩამოსვლას აპირებდა და სათვალიან გოგოს ერთი თვით წინ პირადად ენახა სოჭში.

ელგუჯას კუპეში მსუქანი კაცის გარდა აღარავინ შემოსულა. მატარებელში საერთოდაც ხალვათობა იყო. მსუქან კაცს ერთი თვის სამყოფი საგზალი ჰქონდა წამოღებული. იგი მერამდენედ ეპატიჟებოდა თანამგზავრს სუფრასთან. ნაუბრი ვარ, ამტკიცებდა ბიჭი.

— როდის ჭამე თუ კაცი ხარ, გამაგებინე?

— ცოტას თავსაც ვიკავებ, შეჯიბრზე მივდივარ და წონას ვიცავ! — თქვა ელგუჯამ.

— ეს სხვა საქმეა. — უთხრა კაცმა.

ელგუჯა კარგახანი ეპირებოდა საიდუმლოს გამხელას, მაგრამ არავინ არაფერს ეკითხებოდა. მსუქანი არც ახლა გაოცებულა. ელგუჯას ეგონა, ვერ გაეგონეო და ცოტა ხნის შემდეგ ვითომ სხვათაშორის ჩაილაპარაკა:

— ხარკოვში საკაფშირო პირველობა იწყება თავისუფალ ჭიდაობაში და იქ მივდივარ... წონა რომ მოვიმატო, შეჯიბრებაზე ვერ გამოვალ...

— ფაქტიურად მეც დიეტაზე ვარ! — თქვა მსუქანმა.

ელგუჯა წამოდგა და რესტორანში წავიდა.

მატარებელი თავაწყვეტილი მიდიოდა. ბუფერებიდან, როცა ელგუჯა გაგონიდან ეაგონში გადადიოდა, საშინელი დგრიალი ისმოდა. რესტორანში ცარიელი ბოთლები და ერთმანეთზე დაწყობილი თეფშები რაწკუნებდა. კუთხეში ორი თბილისელი ბიჭი იჯდა. ბიჭები კონიაკს სვამდნენ. ელგუჯა ერთს უნივერსიტეტიდან იცნობდა, მაგრამ არ ესალმებოდა. ბიჭებს ახლაც თვალი ეჭირა რიდა და ცარიელ მაგიდასთან დაჯდა. თეთრხალათიანმა მომტანმა მოგვეანებით მოაკითხა. ელგუჯამ ლიმონათი მოითხოვა. ახალგაზრდა გოგომ, საკმაოდ უხეშად, ოთხჯერ გააქერეინა ნათქვამი. ელგუჯამ იფიქრა, ალბათ ცუდად მაცვია და არიფი ვგონიერო. თასაც თბილისელი ბიჭები ირონიულად ილიმებოდნენ და ალბათ ყველაფერი ესმოდათ. ელგუჯა ანერვიულდა და სახეზე წამოწოთლდა.

„ადრე იქნება თუ გვიან ჩემი ამინდიც დადგებაო!.. — ფიქრობდა იგი დაძინების წინ და მატარებლის რახრახს უგდებდა ყურს. მალე ჩაეძინა და გათენებამდე გვერდი არ უცვლია.

საქმეს უკეთესობა არც მეორე დღეს დასტყობია. ქალები მშვენივრად ატარებდნენ დროს. ნასაუზმევს საიდანღაც ერთი მაღალი ლეტტორი მოვიდა. ჭოკვით ჩამომხმარმა კაცმა პირდაპირ კოლეგებს მიაკითხა: ნაცნობის დანახვაზე ქალები კიდევ უფრო გამხიარულდნენ და ელგუჯამ დალის გაცნობის ყოველგვარი იმედი დაკარგა. უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, როცა დალი გამოვიდა და გვერდით დაუდგა. დალის შარვალი ეცვა. ღია ფანჯარაში იხედებოდა და გაწეწილ თმას ხელით იმაგრებდა. ელგუჯამ გადაწყვიტა, გამოვეცნაურებინა და აღელდა. რამდენჯერმე დააპირა რაღაცის თქმა, ვერ გაბედა.

დერეფანში მოულოდნელად დაბალი ტანის ბიჭი გამოჩნდა. ბიჭს დიდი კეკი ეხურა. ელგუჯამ უცნობის ჩაცმას დაუცადა, მაგრამ ახლადგამოჩენილი ადამიანი ეტყობოდა, მაინცდამაინც არსად იჩქაროდა. იგი შეჩერდა. შარვლიან ქალს ფეხებიდან თავამდე ასედა, ქუდი გაისწორა და უკაცრავად, რომელი საათიაო, იკითხა საშინელი რუსულით. დალის საათი არ ჰქონდა და ამხანაგს დაუძახა, რა დროოო. კუპიდან ლეტტორმა უპასუხა.

— ქართველი ხართ? — გაიჭყანა ბიჭი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ. — უთხრა დალიმ.

ბიჭი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა. ძალიან აინტერესებდა, სად მიდიოდა დალი; — რატომ? — რისთვის? რა ხანს დაჰყოფდა მოსკოვში. დალი უხალისოდ, მაგრამ მაინც თავაზიანად პასუხობდა. როცა ბიჭს შეკითხვები გაუთავდა, ბოდიში მოიხადა და კუპეში შევიდა. ბიჭმა გაკვირვებული მზერა გააყოლა, ქუდი კიდევ უფრო ჩამოიწია, პიჯაკი რაღაცნაირად გადაიქაჩა, ცალი ბეჭი მოიღლიტა და ნელა წავიდა. კუპედან ისევ მხიარული ლაპარაკი და სიცილი მოისმა. დალი იცინოდა წყნარად, გაბმულად. ამ ხმამ ელგუჯას გული გაუწვრილა, მოთმინება დაულია; სად წასულიყო, რას სწვოდა, არ იცოდა.

ნაშუადღევს ლექტორი წავიდა. გოგონები მარტო დარჩნენ.

სულ მალე ისევ დიდქუდიანი ბიჭი გამოვიდა არენაზე. იგი ქალებს მიადგა და იკითხა, კარტი ხომ არ გვეთამაშო. მეზავრებმა ერთმანეთს გადახედეს. ბიჭს ხელში ახალი კარტი ეჭირა, ბეჭით კარს მოსწოლილიყო და ეშმაკივით იხედებოდა. სათვალიანმა გოგომ კაბა გაისწორა, მსუქანი მუხლისთავები დამალა. ხნიერმა ქალმა მაგიდაზე დაყრილი ნივთები მისწი-მოსწია. სტუმარი მოიპატიჟეს.

— თუ შეიძლება, ქუდს მოვიხდი! — ითხოვა ბიჭმა.

დალის გაეცინა. ბიჭმა მოუხედა და გაიკრიჭა.

— აკერ ჩამოჰკიდეთ. — ურჩია ხნიერმა ქალმა, რომელსაც მოსული ძალიან მოეწონა.

— მადლობთ, ქალბატონო! — უთხრა ბიჭმა.

თამაში დაიწყეს. ცოტა ხნის მერე ელგუჯამ ცალი თვალით შეიხედა კუპეში. ბიჭი შინაურულად მოკალათებულიყო კიბეზე და საოცარი სისწრაფით არიგებდა კარტს.

ელგუჯა ისევ რესტორანში წავიდა, კარგახანი იქ დარჩა და მხოლოდ შებინდებისას შემობრუნდა უკან. ვაგონში უკვე სინათლე ენთო, თუმცა გარეთ არც ისე ბნელოდა.

დალი მოწყენილი იდგა ფანჯარასთან. ბეჭებზე თეთრი ღაზები ჰქონდა მოხურული. ეტყობოდა, დიდქუდიანი ბიჭი წასულიყო. ელგუჯა გვერდით ფანჯარასთან გაჩერდა და იდაყვებით რაფას დაეყრდნო. თბილი ჰაერი გვერდიდან ეცა და თმა აუწეწა.

გარეთ ტრიალი მინდვრები იყო. შორს ტყის კონტურები ილანდებოდა. შიგადაშიგ ხუტორები, კირით შეფთქილი სახლები, ალუბლის ბაღები და დიდი გუბურები ჩანდა, ერთ ადგილას გზის მუშები იდგნენ. ქალს და კაცს ერთნაირად ეცვათ; ხელში წერაქვები და ნიჩბები ეჭირათ და მატარებელს მისჩერებოდნენ.

თანდათან ბინდდებოდა, არემარეს მწუხრი ეფინებოდა. მზე სადღაც გადახნული, თვალუწვდენელი მინდვრის იქით იმალებოდა. უკანასკნელი სხივები ტოვებდა მიწას. ჩიტი ბუდისაკენ მიფრინავდა. დალი მოტრიალდა, ელგუჯას გადახედა და მოწყენილი სახით შევიდა ვაგონში. ელგუჯამ საგანგებოდ ნაყიდი, პაპიროსის ბრჭყვიალა კოლოფი ამოიღო, გახსნა, პაპიროსი აირჩია და ზერელედ გაბოლა.

„... შეიძლება შეჯიბრზეც მომიწოს გამოსვლა, — ფიქრობდა იგი. — ვინ იცის, რა მოხდება?.. იქნება პირველი ადგილიც კი ამეღო, ყველაფერი მოსალოდნელია... რატომ არ გავუღე დალის კუპის კარი? როგორ წვალობდა... არ ღირდა მაგრამ შეიძლება უზრდელიც კი ვეგონე. ისე ჭიდაობას ბედი უნდა, ბევრი რამე კენჭისყრაზეა დამოკიდებული... იმ ქალს ჩემ სიცოცხლეში არ დაველაპარაკები, ბოლოსდაბოლოს, რა ჩემი ტოლია, ისე გლახაკი რომ ვარ, ლაპარაკი არ უნდა. ნეტავი ვიცოდე, ხომ არ გაიგონა, დეიდაჩემი რომ მეძახოდა, ფული არ მოგპარონო. რა ქალია, სადა მაქვს მე მოსაპარავი ფული,

ანდა ვისაა ახლა ფულებს რომ პარავენ?..“

ელგუჯამ უნებურად სტვენა დაიწყო. კარგა გვარიანად რომ აუწია, მერე ღა მიხვდა რას ჩადიოდა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მისმენსო. დერეფანში არც არავინ იყო, მხოლოდ სულ ბოლოში, სადაც ჩაის ადუღებენ ხოლმე, ერთი ოფიცერი პაპიროსს ეწეოდა.

მატარებელი ხარკოვში ნაშუაღამევს ჩავიდა. როცა ელგუჯამ დერეფანში ჩაიარა, გაიფიქრა, ახლა დალის ძინავსო. ნამდვილად ამის გარკვევას მარჩიელობა არ სჭირდებოდა, თუმცა ძალგატეხილიც ბევრი იყო მატარებელში. თავქვეშ ხელამოდებულ დალის მართლაც გემრიელად ეძინა. ელგუჯამ წარმოიდგინა, როგორ უდარდელად იწვა ქალი და შეცივდა. ღია კარიდან უკვე დილის სუსხი შემოდიოდა. რა მინდა აქ, სად მივდივარ ამ უცხო ქვეყანაში, ფიქრობდა ბიჭი, როცა კიბეზე ჩადიოდა.

სადგურში ბნელოდა, მაგრამ ეტყობოდა, გათენებასაც ბევრი აღარაფერი აკლდა. მგზავრმა სადგურში შემოიარა, ბა გადაწყვიტა; ყავისფერ სკამლოგინზე დაჯდა და მაღალ ჭერს და მწვანე კედლებს დაუწყო ყურება. უკან და გვერდზე, ცოტა მოშორებით სხვა მგზავრებიც ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. ახალგაზრდა კაცი, რომელიც ხის ჩემოდანზე იყო გადამჯდარი, რაღაცას ჰყვებოდა და რამდენიმე ფხიზლად დარჩენილ მგზავრს გულიანად აცინებდა.

ელგუჯამ თვალები დახუჭა, ჩანთა ახლოს მოიწია და საზურგეს მიაწვა, მოხერხებულად მოკალთდა. გუნებაში ანგარიშობდა, როგორ რა გზით, ვისთან მისულიყო ამ უთენია. უცბათ დალი შელიას სიცილი მოესმა, შეკრთა და თვალი გაახილა; თურმე ჩაძინებოდა და თავი ისევ მატარებელში ეგონა.

„მაინც რა უცნაური სიცილი იცის იმ ქალმა?!“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

სადგურში ზრიალით ჩამოდგა რომელიღაც მატარებელი. ფანჯრებმა სულ რაწკა-რუწკი დაიწყო. ელგუჯას შეეშინდა, ისევ არ დამეძინოსო და ბაქანზე გავიდა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დღეც გათენდა: მთვარეს ფეხი დაადგა კაცმა...
აქ კი,
ცოდვებით დამძიმებულ დედამიწაზე,
სამნახევარი მილიარდი კაცობრიობის
თვალწინ,
ეს უკვე მერამდენე წელიწადია,
ნელა,
მზესავით იძირება ოკეანეში
ათასხუთასი წლის ხომალდი —
ვენეცია.

ყოველთვის, როცა ვხედავ ცარიელ
აკვანს, პედესტალს და მატარებელს,
ჩემი თავისთვის აღარ მცალია,
თავის ნებაზე დამატარებენ
ფიქრები,
და მე გრძელი ფიქრების
ვეებერთელა ტაძარს ვაშენებ,
ირგვლივ დიადი რკალი იკვრება:
საძირკვლისათვის ჭრიან ტრანშეებს.
ორივე ფეხით ვდგავარ მიწაზე
და აგურებად ვაწყობ იმედებს, —
მაგრამ ნახელავს ნუ შემიფასებთ,
ვიდრე ხარაჩოს მოვაცილებდე.

აცალეთ,
კარგად გაბრაზრდეს კაცი...
ნუ შეკრავთ სინდის-ნამუსის ბაწრით,
და ნუ იქნებით ზედმეტად მკაცრი,
აცალეთ,
კარგად გაბრაზდეს კაცი.
აცალეთ,
თვითონ მოწყდება ფუძეს,
ვერ მოერევა საკუთარ სურვილს, —
ჩამოვარდება ნიღაბი უცებ
და გამოჩნდება შიშველი სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე შევეჩვიე მთებში ხეტიალს
და ზღვისკენ ჯერ არ გამიხედია.
ვერ მოვიცალე დიდხანს საძილედ
და მიწას თვალი ვერ მოვაცილე.
ხარაჩოებთან ვიდექ ომამდე,
ომში იარაღს ავიტაცებდი,
და ღამით მაინც ჰგავდნენ ხომალდებს
დღისით ნაგები ციხე-ტაძრები.
მე შევეჩვიე მთებში ხეტიალს
და ზღვისკენ ჯერ არ გამიხედია.
ზღვა კი ყოველთვის მიხმობს და მიწვევს
და ხელებივით მიქნევს ნარგავებს,
მაგრამ მე ჩემი ლამაზი მიწის
მიზიდულობის ძალა მაკავებს.

●

ნუ დავპირდებით ბავშვებს სამოთხეს,
ნუ დავუმალავთ მიწიერ ცოდვებს,
ვინც დაეცემა,
თვითონ წამოდგეს,
ყველას თავისი იმედი ჰქონდეს.
წაიღოს თავის წილი იმედი
და მიიტანოს აღსავლის კართან,
გზას ნუ გაიკვლევს სხვა რაიმეთი,
თავისი წილი იმედის გარდა.
უკვე დაიწყო ზაფხული ცხელი
და უშორესი გზაა წყარომდე...
წავიდა,
ფრთხილად გავუშვი ხელი, —
თუ დაეცემა,
თვითონ წამოდგეს.

●

გამოწვდილ ხელებს შეიძლება დაუგდო ხურდა,
გამოწვდილ ხელებს შეიძლება დაადო ხუნდი,
გამოწვდილ ხელებს შეიძლება ეამბორო და
გამოწვდილ ხელებს შეიძლება ენდო ბოლომდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კარგად მახსოვს,
ყველაფერი მოხდა თანდათან:
პირველმა ჭიქამ შარშანდელი ეჭვი გაფანტა
მეორემ მტერთან შემარიგა,
ხოლო მესამე
ჭიქით მტკივნეულ მოგონებებს გამოვესალმე.
მეხუთემ ჩემი საიდუმლო გაიზიარა
და შეუმჩნევლად მომიშუშა ძველი იარა.
მეშვიდემ სევდა დამავიწყა გუშინწინდელი,
ფერები გათბა,
მოერია წითელს წითელი.
საგნები ნელა გამომჟღავნდნენ ნეგატივივით.
მერვემ დააცხრო გუშინდელი გულისტკივილი.
მეცხრემ ეჭვების უმნიშვნელო კვალიც წაშალა,
გადაეფარა კენჭებივით გამორიყულებს.
...ახლა სარკეში შევცქერი და ვხედავ აშკარად:
სარკიდან ჩემზე ბედნიერი კაცი მიყურებს.

ᲖᲘᲕᲘ ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

საუბარი სიყვარულზე ჩამოვარდა.

კაიუტაში ოთხნი ვართ. ის-ისაა ვიცავსშმეთ, მთელი დღე ავტობუსით ვიმოგზაურეთ, მოვიქანცეთ. გემმა ერთი საათია, რაც ნავსადგური დასტოვა და ახლა შხუილით მიაპობს მშვიდ ზღვას.

კაიუტაში რომ შევედით, ვახტანგმა „გრემი“ გახსნა, ოთხად გაანაწილა და სათითაოდ ჩამოგვირიგა. კონიაკმა ძვალრბილში დაგვიარა, აღგვაგზნო და, თუმცა დაღლილები ვიყავით, ლაპარაკის საღერღელი აგვიშალა.

წამოვწექით, მაგრამ ძილი დაგვიფრთხა, ხან რა ვთქვით და ხან რა. როდესაც ოთხი მეგობარი მამაკაცი თავს ერთად იყრის, იშვიათად რომ საუბარი სიყვარულზე არ ჩამოვარდეს.

ერთმა თავისი პირველი, უმანკო სიყვარული მოიგონა, როდესაც მიჯნურს ვერაფერს უბედავ და დადიხარ ამ ქვეყნად გამოლენჩებული. მეორემ შემთხვევით გაცნობილი ქალის ტრფიალის დეტალები გაიხსენა და კარგ გუნებაზე დაგვაყენა. მეც რაღაცა ვთქვი, ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი...

ვახტანგის ჯერიც დადგა.

— მე ერთ ამბავს გიამბობთ, — დაიწყო მან, — ეგებ სიყვარულთან მას არცკი ჰქონდეს რაიმე კავშირი, არ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი... ეგებ იგი ამქვეყნიური სიყვარულის ყველაზე ღრმა და ძლიერი გამოხატულება იყოს, ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია...

ჩემი სოფელი ლანჩხუთის რაიონშია, სერზე შეფენილი. მამაჩემი მასწავლებელია, დედაც მშრომელი და მუყაითი, პატარა ოდა-სახლი გვიდგას, ზოგიერთიკეთ თვალში არ გეჩხირება, მაგრამ არც თითითი საჩვენებელია, ეს რა ხუხული წამოუჭიმავთო...

როგორც ყველა სახლში, ჩვენთანაც ჰქონდა მერცხალს ბუდე გაკეთებული. დაზრდიდნენ ბარტყებს, დააფრენდნენ, შემდეგ თბილი ქვეყნებისკენ გასწევდნენ. გაზაფხულზე ბრუნდებოდნენ, ბუდეს შეაკეთებდნენ და იწყებოდა თავიდან ყველაფერი. ბუდე ახლაც აქვთ მერცხლებს. იცვლებიან თაობები, კერა კი უცვლელი რჩება.

ჩვენი სოფლის მერცხლებმა ჩვენ სახლთან იცოდნენ ხოლმე თბილ ქვეყნებისკენ გაფრენის წინ თავშეყრა. სოფლის განაპირას ვიდექით და, ალბათ, ამიტომ. რამდენი მერცხალი მოგროვდებოდა, შესკუბდებოდნენ მავთულებზე, ჭქონდათ ერთი ყივილ-ხივილი. გამგზავრების წინ თავიანთ ენაზე თადარიგს იუბრნდნენ. იყივყივებდნენ ასე, დიდხანს იყივყივებდნენ, შემდეგ ერთბაშად აიბარგებდნენ, ერთხანს ცას შავად დაფარავდნენ და ბოლოს შემოდგომის ლაჟვარდში გაუჩინარდებოდნენ.

პატარა რომ ხარ, არც არის გასაკვირი, რომ გარემო სამყარო გაოცებდეს. ახლა დიდი ვარ, ცხოვრების საკმაო გზა გამოვიარე, როგორც იტყვიან, ქოციც ენახე და ქიცმაკურიც, მაგრამ მაინც ბავშვივით მოიცეს ფრინველთა თუ ცხოველთა სამყარო. არა მგონია, მხოლოდ ინსტიქტები ამოძრავებდნენ მათ. ხომ გამოირკვა, რომ დელფინი გონებრივად მაღალ საფეხურზე მდგარა. გავა დრო, ადამიანი სამყაროს ბევრ საიდუმლოებას ამოხსნის და მაშინ, დარწმუნებული ვარ, გამოირკვევა, რომ ყველა სულიერს თავისი ენა ჰქონია, თავისი ჭკუა, თავისი სამყარო, თავისი გული. ყველაფერი ამის თქმა იმისათვის დამჭირდა, რომ ის, რაც ახლა მინდა გიამბოთ, ცივი გონებით არ იახსნება.

იმ შემოდგომაზე შვიდი წლისა შევსრულელი, კარგად მახსოვს, რადგან პირველად წავედი სკოლაში. ჰოდა იმ შემოდგომაზე, როდესაც მერცხლები გასაფრენად მოემზადნენ, ჩვენი ბუდიდან ერთი მერცხალი ვეღარ აფრინდა. გვერდით ამოუდგნენ, რა არ იღონეს, მაინც ვერაფერი უშველეს.

დედას შეეცოდა მერცხალი, დაიჭირა. თურმე ფრთა მოსტეხოდა საბრალოს. დედალი მერცხალი აღმოჩნდა. შორიდან დედალ-მამალს ვერ გაარჩევთ, ახლოდან კი დედალი ცოტათი ბაცი ფერისაა და თავზე სოკოებივით პაწაწკინტელა ხალები ამჩნევია.

ჩვენი კატა მსუნაგი თვალებით შესცქეროდა მერცხალს... დედამ პატარა გალიაში ჩასვა და აივანზე დაჰკიდა.

უნდა გენახათ რა ყივილ-ხივილით ეხვეოდნენ დატყვევებულ მერცხალს მისიანები. რა ამბავში იყვნენ. ყველაზე გვიან ისინი გაფრინდნენ, განსაკუთრებით ერთი, მისი მეუღლე თუ იყო. დანარჩენი მერცხლები ცის ტატნობს მიეფარნენ, ის კი თავის ტოლს არ შორდებოდა. მათ შემხედვარეს, გული მოგიკვდებოდა. რაღას იზამდა, ბოლოს და ბოლოს უკანასკნელად რაღაც შეუყივყივა და შორს წასულ თანატოლებს დაედევნა.

პირველ ხანებში დასკვდიანებული იყო ჩვენი მერცხალი, საკენკს არ ეკარებოდა, ხმას არ იღებდა, ფრთებჩამოყრილი იჯდა და გაქვავებული არც ინძრეოდა. შემდეგ თანდათან შეგვეჩვია, განსაკუთრებით დედაჩემს ცნობდა, გალიას რომ მიუახლოვდებოდა, ერთ ყივილ-ხივილს ატეხავდა.

იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა.

გივი გოგიჩაიშვილი
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარში უმთავრესად სამზადში ვიცით ხოლმე ყოფნა. გარეთ მორბენალებს რომ შეგეცვიდებოდა. ყინვისაგან დამზრალ ხელ-ფეხს შუაცეცხლს ვუშვერდით ხოლმე. საღამოობით თუდა ავიდოდით ოდაში და სანამ გავთბებოდით, საბნის ქვეშ ვცახცახებდით.

იმ ზამთარს დედამ ოდაში თუნუქის ღუმელი დაგვადგმევინა. და დღე და ღამე ანთებდა. მამა ბუზღუნებდა, ამ მერცხლის გადამკიდე წელს შეშის ორმაგი ხარჯი მაქვსო, მაგრამ არც თავად თაკილობდა ღუმელში ცეცხლის გაჩაღებას.

გამორჩა თანდათან ჩვენი მერცხალი. ფრთები გაუსწორდა.

ასე გავიდა ზამთარი, მარტიც და როდესაც გაზაფხულის სურნელება დატრიალდა, ჩვენს მერცხალსაც მოუსვენრობა დაეტყო; დედამ მანამდე არ გაუშვა, სანამ შორი მხრიდან დაბრუნებულმა პირველმა მერცხალმა შეუდუღლივით არ ჩაუქროლა სოფლის შუკას.

მაშინ დედამ ღალია გაუღო ჩვენს მერცხალს, გამოსაცნობად ფეხზე წითელი ძაფი შეაბა, ბავშვებს სამჯერ თავზე შემოგვავლო და გაუშვა. ძაფი კი იმისათვის გაატანა, რომ რაც არ უნდა იყოს, ჩვენი გაზრდილი იყო და დასაკარგავად არ გვემეტებოდა.

პირველად ჩვენი მერცხალი შორს ვერც გაფრინდა. ერთხანს გალიას გარს უვლიდა, შემდეგ ფრთა გაშალა, ლაღად გაინავარდა და გაუჩინარდა.

ჩვენ სახლშიც გაჩნდნენ მერცხლები. საკვირველი იყო, ისინი ხან ორად გვეჩვენებოდნენ, ხან სამად, დაჰქროდნენ, ბუდე განაახლეს.

ერთ დღეს ჩვენს აივანზე გაბმულ თოკზე ორი მერცხალი განმარტოდა. თავიანთ მერცხლურ ენაზე რაღაც იღღურტღულს, დიდხანს იღღურტღულეს. შემდეგ ერთი გაფრინდა, მეორეკ ბუდეს მიაშურა. ბუდეში მესამე მერცხალს გამოეყო თავი. როგორ არ უარა მეორემ, მაგრამ ბუდიდან ვერ ააგდო, ის კი არა, ბუდეში მყოფი ჩაუნისკარტებდა ხოლმე და იშორებდა. შემდეგ მეორე მერცხალი შეურდულივით დაეშვა. ბუდის ქვემოთ კედელს მიახლა თავი და მოცელილი იატაკზე დაეცა. დედამ განწირული ხმით იყვირა და როდესაც ხელში აიყვანა, მართალია, მერცხალი ჯერ კიდევ თბილი იყო, მაგრამ უკვე სასიკვდილოდ გაშეშებულიყო. ფეხზე მკვდარ მერცხალს წითელი ძაფი ჰქონდა გამობმული.

დედამ რატომღაც იქვე მდგარ მამაჩემს შეუბღვირა და გაბრაზებით უთხრა:

— ჰო, თქვენი სინისლა კი გაწყდა, თქვე დაუნდობლებო!

— დედიკო, — მივმართე ზლუქუნით დედას, — რა დაემართა ჩვენს მერცხალს? დედამ ბაბუასკენ მიმითითა, ის გეტყვისო.

— აბა რა ვიცი, — ხელი ამიქნია ბაბუამ, რომელმაც ამ ქვეყანაზე ყველაფერი იცოდა, — ალბათ, კედელი ვერ დაინახა და თავი დაარტყა.

რომ არ მოვეშვი, დამიტატანა, ჭკუით იყავი, თორემ ამ წკეპლას გითავაზებო!..

ტირილს უფრო მოვუმატე, მაშინ დედამ მამასაკენ მიაშვირა ხელი:

— მაგ თუ გეტყვის, — და რატომღაც ერთხელ კიდევ მიაწყეცლა, — წკეპლა მაგათ უნდათ, მაგ გულქვებსა და უსულგულოებს!..

ვერავინ ამიხსნა ჩვენი მერცხლის საქციელი და მხოლოდ გვიან, როდესაც ჩემს თავზე გამოვცადე ღალატი, მიეხვდი, თუ რად მიეხალა იმ დღეს ის საწყალი ჩვენს კედელს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგუს ცოლი არ უნდა

„დინამოს“ გაჩერებასთან უყვარდა გიგას ტროლეიბუსში ჩაჯდომა, ლენინის მოედნამდე გაჰვებოდა, იმავე ტროლეიბუსს უკან გამოჰყვებოდა, გზაზე აკიდებულ ბიჭებს გამოედევნებოდა. ბიჭებიც გუნდგუნდად დასდევდნენ და იყო ერთი სიცილი და ხარხარაობა:

— გუგუ ბიჭო, შე ძველო!

— როგორა ხარ, გუგუ ბიჭო?

— ცოლი არ გინდა, გუგუ ბიჭო?

— აბა, იცეკვე, გუგუ ბიჭო!

— იმღერე, გუგუ ბიჭო?

და გუგუც ცეკვავდა, მღეროდა, სხვებს ახარხარებდა, თავადაც სიცილით იფხრიწებოდა. ცეკვისაგან რომ დაიღლებოდა, ხელებს ზეცისკენ აიშვერდა და გამკივანნი ხმით ჰყვიროდა:

— ცოლი მინდა, ცოლი მინდა�ა!...

მსუქანი ბიჭი იყო გუგუ, ძონძროხა და მოუქნელი. კუნთები ჩერებივით ეკიდა. დაბალ შუბლს ქვემოთ ვიწრო, ჭროღა თვალები გულუბრყვილო მიამიტობით გიცქერდნენ. ბავშვივით დამყოლი იყო, საბრალო: ყველას უცინოდა, გოშია ძაღლივით ელაქუცებოდა, გულმინდობილი მიჰყვებოდა. ბიჭებიც აწვალებდნენ, აცეკვებდნენ, ახტუნაებდნენ, არბენინებდნენ. მსუქანი რომ იყო, თავს ვერ ერეოდა, ხტუნვა-თამაშისას ქოშინობდა და სულს ძლივს ითქვამდა, მაინც არ ეშვებოდნენ და სანამ არაქათი მთლად არ გამოელეოდა, თავს არ ანებებდნენ.

გუგუს მუდამ წესიერად და სუფთად ეცვა, თეთრი, ქათქათა ხალათი, გაუთო

წუნებდა გუგუ, — დარბის და იღლება გუგუ.

— შენც რა ძალა გადგია.

— რომ მარბენინებენ... — მაინც ვერ იგებდა გუგუ.

ერთხანს გუგუც დაიკარგა და დედამისიც.

გუგუ მხოლოდ მეორე თვის ბოლოს გამოჩნდა. კვლავ წესიერად და სუფთად ეცვა, მაგრამ წინანდებურად ბიჭებს არ აჰყოლია, არც გაუცინა, არც გულმოწყობილი გაეკიდა, მიდიოდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

ბიჭები ირგვლივ შემოეხვივნენ:

— გამარჯობა, გუგუ ბიჭო!

— სად დაიკარგე, გუგუ ბიჭო?

— თავი რად მოგვანატრე, გუგუ ბიჭო?

— ცოლი არ გინდა, გუგუ ბიჭო?

— აბა, იცეკვე, გუგუ ბიჭო!

— იმღერე, გუგუ ბიჭო!

გუგუმ არავის ხმა არ გასცა, მიდიოდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. აბეზრები რომ არ მოეშვნენ, ვიღაც ნაცნობი დაინახა და მას აეკიდა.

შემდეგ რამოდენიმეჯერ ვიდაცეებთან ერთად ლუდის ჯიხურთან იდგა და ლუდს სვამდა. სახედამანჭული სასმელს ძლიერებით სვამდა, ბიჭები აძალებდნენ.

იმ დღეს გუგუ ბიჭი ლენინის მოედნიდან მოჰყვებოდა ტროლეიბუსს. მარტოდ იჯდა, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, წრიალებდა, ოხრავდა, ქშინავდა. პირიდან სასმელის სუნი ამოსდიოდა.

გუგუ მაშინვე იცნეს, ახალგაზრდები აქეთ-იქიდან შეეხუმრნენ:

— გუგუ ბიჭს გაუმარჯოს!

— როგორა ხარ, გუგუ, შე ძველო?

— სად იყავი?

გუგუ არავის ხმას არა სცემდა. ადრე უპასუხოდ ორი წლის ბავშვის შეკითხვასაც არ დასტოვებდა, ახლა თითქოს არ ესმისო, ჩუმად იყო. მხოლოდ ქშინავდა, სწუხდა, წამდაუწუმ ხელს გულზე იდებდა და პირღია სუნთქავდა.

— ცოლი არ გინდა, გუგუ ბიჭო? — შეეკითხა ვიღაცა.

— არ მინდა!.. — ჩაიბურტყუნა გუგუმ, გვერდი მოინაცვლა და შემდეგ დაუმატა, — არც სამი მინდა და არც ერთი!..

— საბრალო გუგუ ბიჭი, — წაიდუდუნა გვერდით მდგომმა ქალიშვილმა, — ორი თვეა გუგუს დედა მოუკვდა და ნახეთ როგორ წუხს...

— ვიღაც უსინდისოებმა ღვინის სმას შეაჩვიეს, — დაუმატა მეორე ქალიშვილმა, — არა და დალევს თუ არა ეს საცოდავი, გული უწუხს და შფოთავს.

საოცარია, ახალი ამბები პირველად ქალებმა უნდა გაიგონ.

გუგუს გვერდით თავისუფალი ადგილი იყო. იქ შუახნის მამაკაცი დაჯდა.

— ოჰო, — გაიოცა მამაკაცმა, — გუგუც აქ ყოფილა. გუგუ ბიჭს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — ჩაიბურტყუნა გუგუმ. სჩანდა, რომ მოსაუბრე იცნო, ამიტომ დანახვისთანავე შესჩივლა — ბიჭებმა წამიყვანეს, ღვინო მასვეს... გული მტკივა...

— მერე, — გაუჯავრდა მამაკაცი, — ათასჯერ გითხრეს, ნუ სვამო, რადა სვამ?

— დედა მიწაშია, — ამოიხრიალა გუგუმ, — მე არ მინდა მიწაში იყოს... რა ექნა...

— უბედურებას ენა არ ამოუდგმევინებია ამ საცოდავისათვის! — შენიშნა ბოლო სკამზე მჯდომმა მანდილოსანმა, — წინათ ორ სიტყვასაც ვერ გადაბამდა ერთმანეთს.

— ამიტომ სვამ? — შეეკითხა მამაკაცი.

— მასმევენ და ვსვამ... მერე გული მტკივა...

— არ უნდა დალიო და მაშინ გული არ გეტკინება.

— გული რომ მტკივა, ლალი ნემსს მიკეთებს... — შეაჯრჯოლა გუგუს, — არ მინდა ნემსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომ სვამ, გულიც გტკივა, არ უნდა დალიო.

— დედა რომ მიწაშია! — აკვნესდა გუგუ, — მე კი აქ მინდა იყოს.

— რას იზამ, — დაუყვავა მამაკაცმა, — რას იზამ, გუგუ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. შენ მაინც არ უნდა დალიო.

— ლალიც ასე მეუბნება, — თქვა გუგუმ, — არ დალიიო.

— ლალი გიგას დაა, — თქვა ახალგაზრდა ქალმა, — ექიმია.

— მერე ლალის რატომ არ უჯერებ! — დატუქსა მამაკაცმა.

— ლალი დედა ხომ არაა... დედა მიწაშია... რა ვქნა... — ხმა აუკანკალდა გუგუს.

— ჯერ ერთი, — უთხრა მამაკაცმა, — ხალათი შეიკარი.

— ჰო, — უცბად დაეთანხმა გუგუ, — დედას არ უყვარდა, ასე რომ დავდიოდი... ლალისაც არ უყვარს...

გუგუმ ხალათი შეიკრა, შარვლის ამოჩაჩული ქამარი შეისწორა.

— ახლა მადლი არ იქნება, კაცმა ამას რაიმე სამუშაო რომ უშოვნოს! — თქვა მამაკაცმა.

— განა გუგუ რაიმის გაკეთებას შესძლებს? — გაიკვირვა ახალგაზრდა ქალმა.

— ვერ ხედავ ენა ამოუდგამს, — შეეკამათა მამაკაცი, — ეგებ დიდმა უბედურებამ ტვინის რაღაც უჯრედი შეუნჯრია. სხვა რომ გამოსავალი ვერ ნახა, სმას შეეჩვია.

გუგუს ღვინო მორეოდა და პირღიას ეძინა. ძილშიაც წუხდა და ქოშინებდა. საღამო ხანი იყო, ამიტომ ტროლეიბუსში ხალათობა იყო. გაჩერებასაც თითქმის არავინ ჩადიოდა და არც ამოდიოდა.

— თქვენის აზრით, გუგუს რა შეიძლება კაცმა რომ ანდოს? — პირველ რიგიდან გასძახა გუგუს გვერდში მჯდომს თმათეთრა მამაკაცმა.

— აბა, რა ვიცი, ისე კი დიდი მადლი იქნება.

ტროლეიბუსი უკანასკნელ გაჩერებაზე დადგა.

— დედა! — ამოიკვნესა ძილში გუგუმ.

— გუგუ ბიჭო, გაიღვიძე, შინ წავიდეთ, — გააღვიძა მამაკაცმა გუგუ, — მოვედით.

გუგუმ თვალები მოიფშვნიტა, გაიზმორა უაზროდ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, შემდეგ მოიწყინა და ჩაილუღლუღა:

— დედა ვნახე...

რომ ჩამოვიდნენ, ჭაღარათმიანი მამაკაცი გუგუს გვერდით მდგარს მიუბრუნდა და უთხრა:

— თქვენ გუგუს მეზობელი ხართ?

— დიახ.

— მაშინ იცით რა, — ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, რაღაც ჩაწერა, ამოხია, და გაუწოდა, — აქ ჩემი მისამართი და ტელეფონია. მე ფეხსაცმლის ფაბრიკაში ვმუშაობ. მოიყვანეთ ჩემთან, ვნახოთ, ეგებ სადმე ივარგოს...

— გმადლობთ, — გაეხარდა მამაკაცს, როგორ მოგაგნოთ?

— ჩემი გვარი იკითხეთ, ყველა მოგასწავლით. ქაღალდზე სწერია.

გუგუ ბიჭო, წავიდეთ! — შეეხმაურა გუგუს მეზობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

მე ალბათ დიდხანს ვიქნები ბავშვი —
ანგელოსების და ღმერთის ჯიში...
და ჰონოლულუ, ტაიტი, ბაში —
ითრთოლებს ჩემი ხომალდის შიშით.

მე ადრეც დიდხანს ვიყავი ბავშვი:
ჯარი და ტახტი, ხმალი და სკიპტრა...
რაინდის ზუჩით... მათხოვრის ჩაჩით...
რამდენჯერ იყო... რამდენჯერ გითხრა...

მე ალბათ მუდამ ვიქნები ბავშვი,
რომ მზით და წვიმით გალუმპულ ბავშვებს
ჩავუჯდე ფიქრით დატვირთულ ნავში,
რასაც მათ გარდა ვერავინ ამჩნევს.

მე ვიცი, მუდამ ვიქნები ბავშვი:
მივწვდები ღრუბლის მეწამულ კარბას,
ვიფრენ სიზმრებით მოქარგულ ცაში
და... უკვდავებაც ეს არის ალბათ...

გვიანი შემოდგომა

რამ გამახსენა რკინიგზის პირი,
რკინიგზის პირას — გამხმარი წყავი...
რატომ წვიმს ასე ძლიერ და ხშირად,
საით მიფრინავს ამდენი ყვავი...

აწვიმს და აწვიმს ხეებს და ხეებს,
ნისლი და ნისლი გროვდება მთაში,
და შემოდგომის ნაცრისფერ დღეებს
გამოვრია ფოთლები თმაში.

მალე ეს ღელე წაიღებს ბოგირს,
გაფრინდებიან მერცხლები მალე,
მაგრამ წვიმაში ჩარჩება ზოგი
და მოუმატებს საზრუნავს ქალებს.

მარტოა ღამით... და დედაჩემთან
რემა შელიას ობოლი დადის,
და გაუთხოვარ გოგოს დასჩემდა
გადაუფრენელ მერცხლების დარდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ი ლ ა

სამზარეულო. ორთქლი ჩაიდნის,
თეას ღიმილი — ჰანგი ჰაიდნის..

და რაც კი სხივი გარეშემოა,
ყოველი სარკმლით და ჭუჭრუტანით,
„დაო, შემოვალ, დაო, შემოვალ!“ —
მუხლზე ეხვევა თეას მუდარით.

სავსეა დილა ციურ სიმშვიდით,
ღმერთით,
სიჩუმით,
პურით,
შიმშილით...

შემოდგომა

ზღვიდან ამოსულ საწვიმარ ღრუბელს
გააფერადებს საღამო ტუშით,
და ცისარტყელა, დამსკდარი ტუჩით,
გაქრება სოფლის მთავარი ქუჩით...

და შემოდგომის ფეშხუმის შხეფით,
კაკლების ბერტყვით,
ძაღლების ყეფით
ეანდება ღამე... და ირმის ნახტომს
საბნიდან უჩანს ქათქათა ფეფი...

და სადაც სუფსას შეერთვის შუთი,
მეზობლის ზვართან ვყოვნდები წუთით:
ციაქვს ბერიკაცს კვახების აცმა
და ყრმობის სევდა — ათასი ფუთი...

უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა

დამეხუჭება ერთხელ თვალები
სიკვდილ-სიცოცხლის განხეთქილებით...
ჭალა, ჭალები,
ჩემი ჭალები...
კორდი. კორდები,
წნული თხილები...

მაგრამ მე ვიცი ბრძნული და ძველი
გზა უკვდავების და გადარჩენის:
მანიშნე ოღონდ!.. შემახე ხელი! —
სამარადისოდ შენთან დავრჩები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაშვის ჩიჩახვი სავსეა სტვენით,
გალობს და გალობს ბაჯაღლო სთველი.
თქვენი ღიმილი მე ისე მომწონს...
მე ისე მინდა გაცნობა თქვენი...

მე ისე მიყვარს ზვრები და ზვრები...
მაგრამ ვაი რომ იოლად ვთვრები...
მე ახლა ვიცი,
მე უკვე ვიცი,
რატომ ჰყავს ქართველს ამდენი მტრები.

მე ვლოცავ ქართვლის დიდებულ მარანს
და ვიმეორებ მარად და მარად:
—უკვდავებისთვის აქ ჩამოსვლა და
სიღნაღის კართან სიკვდილიც კმარა!

ბარისახო — 68

ვიგი ხორნაულს

გაცუდდა ჟამი — საუფლო საკლავს
ელამ ბეწიკა უღელში აბამს.
ატირებს ძილა დაღვრემილ საკრავს,
ამღერებს ლელა დაკოდილ ამბავს.

ზანტი ზმორებით ხვდებიან დილას
ძაღლიკა, თორღვა და ბაღათერა.
...ეხსნი ხანჯლის წვერით კონსერვის ქილას
და სულ ამაოდ ველი ფათერაკს...

ფრანსუა ვიიონი: ჩივილი სასაფლაოდან

მე დავიღალე საფლავში წოლით —
რა მომიშუშებს ამდენ ნაწოლებს!..
დღეს აქ ყასაბი მოვიდა ცოლით:
ვიცანი ჩემი სათნო საცოლე!..
ნემს თმაში მწვანედ ბიბინებს მოლი
და შიგ გოგონა თიკნებს აძოვებს,
მე ვარ ბალახი ხელმწიფის ტოლი,
(მე ვალამაზებ გზებს და გაზონებს.).

მოკვდი, ბიჭებო, ამდენი წოლით —
რა მომიშუშებს ამდენ ნაწოლებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საავადმყოფო „ხროტე სხიური“.
რაინდი — მონა ესკულაპის.
დიდება ოდნავ გროტესკული:

— მოდი, გავცვალოთ ეს გულები...
— მოარგეთ სულებს სხვისი სხეული...
— ვისი სული სურს — სხეულს ჰკითხეთ!..
...გააღებს ფანჯრებს „ხროტე სხიური“:

— რა დიდი ცაა!
— რა კარგი დღე!..

მთვარის მოტაცება

მთვარეზე მთვარეს აგროვებს ორი
და გარეთ იცდის მესამე ბიჭი.
ყვითელი დედა ხელს იქნევს შორით,
განათებული ობლების ფიჩხით.
ეძინა დაღლილს... და ორმა ბიჭმა
ღმერთს კიდევ ერთხელ მოჰპარა ცეცხლი.
იხდიან ძმები უცნაურ პიჯაკს,
მოაქვთ დედასთან მაღალი ცეცხლი:
— სულზე მსუბუქი იყოო ტანი;
— და მხოლოდ ღმერთებს არ აქვთო
ჩრდილი...
...და მზის მაგიერ ახალი მთვარით
გათენდა იმ დღეს ცისფერი დილა!...

თუთარჩელა

ნოდარ წულეისკირს

ჩამოუყრია კნაჭა ფეხები
და აქანავებს ნამგალა მთვარეს
პატარა ბიჭი. პატარა ბიჭი
ტოტივით არხევს ნამგალა მთვარეს,
და ბიჭის გრძელი ფეხების ჩრდილი
ეცემა მიწას. რეკავენ ზარებს
სიხარულისგან, სიხარულისგან
უფრო და უფრო ოვსება მთვარე —

ახალი მთვარე...
ახალი მთვარე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე რომ ვიცოდე: ეს ღამე დამრჩა,
მხოლოდ ზაფხულის
ეს ერთი ღამე!..
ამ ერთ ღამეში
წამსვლელმა კაცმა
როგორ მოვასწრო
ამდენი რამე!..
გამოთხოვება!
შეხვედრა!
კოცნა!
შურისძიება!
ანდერძი!
ჭამა! —
ათასი ფიქრით და საზრუნავით
ამავსებს ალბათ ეს ერთი ღამე!..

მე რომ ვიცოდე: ეს ღამე დამრჩა,
ცხელი ივლისის ეს ერთი ღამე, —
დამწდარ ღელეში ჩავაწყობ ფეხებს,
ვუმზერ დილამდე ჩარგელას პანტებს
და კმაყოფილი მოკვდები ამით!...

●

..და ცისარტყელის
შვიდივე სიმით
არმაზი უკრავს,
და ზედაზენი —
მღერის!

და ცისარტყელის
მეოთხე სიმი
გამორჩეულად
და უცნაურად —
მღერის!

და ქარი ღრუბელს
უსწორებს ბალიშს,
და
მტკვარში
ფეხებ —
ჩაკიდებული
მღერის ბიჭუნა.
მღერის!

საღამო. შუქი. შერიგება

ცამ ვერ მოასწრო
ღამის გადაცმა.
სხივმა და სხივმა —
ასმა,
ათასმა —
დასალიერი,
დასალიერი
მოოქროვილი
თასმით გათასმა.

მიჭირს შეხედვა,
მიჭირს დანახვა:
დასალიერი
შუქმა დანაღმა.
— იყოს სიცოცხლე!
— იყოს სიკვდილი! —
გული ყველაფრის
არის თანახმა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხური

სოსო ჯაიჭაძე

მეთევზე

— აჰ, სასეირნოდ გამოიპრანჭეთ?— თინა აივნის მოაჯირს გადმოყრდნობოდა, თავი, ჩვეულებისამებრ, დიდი პირსახოცით წაეკრა და შეფოთლილი ხალთის ჩახსნილი გულისპირიდან სავსე, დედაკაცური მკერდი გამოემზეურებინა. მარიამ მორცხვად გაიღიმა და ქმარს გადახედა.

— კარგია, კარგი — საზეიმოდ გამოაცხადა თინამ და ეზოში მიიხედ-მოიხედა, თითქოს ამოწმებდა, ყველამ გაიგონა თუ არაო.

„სულელია ეს ქალი“, — გაიფიქრა მარიამ და ჯიშკარი გააღო...

●

...ქმარი რაღაცის თქმას აპირებდა,— მკერდში ებჯინებოდა ეს სათქმელი, ყელში მოძვრებოდა და სწორედ მაშინ, როცა ის-ის იყო უნდა დასცდენოდა კიდეც, ბაგე უხეედებოდა, ენის წვერიდან ეკარგებოდა სიტყვა... მარიას ესმოდა, როგორ შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე კაცი და თვითონაც ერთბაშად დუნდებოდა. თითქოს ქმრის ამ თავისუფალ ამოსუნთქას მიჰქონდა აქამდე შეუმჩნეველი სიმძიმე, ლოდივით რომ აწვა გულზე; დაძაბული სხეული ეთენთბოდა და მხოლოდ ამ წამიერი დაშოშმინებისას ისევ ახსენდებოდა კანტი-კუნტი ფარნების მბეჟუტავი ნათურები, მდვრიე, ბრმა შუქით რომ ანათებდნენ ღამეული ნისლით შედედებულ ბინდში, რბილად ფეთქავდნენ და მათი ოქროსბუსუსებიანი ფაფუკი სიგლუვე ხელისგულებზე ელამუნებოდა მარიას, იდუმალ გადაუდიოდა ტანში რაღაც აზრმიუწვდომი ვნება სიმწიფისა და ათბობდა. შორს კი, მაღალი სახლებით მოზღუდული ქუჩის შუქდაფენილი დასალიერიდან კრიალა ასფალტი ნელი მდინარის გადასავარდნივით იქცეოდა სანაპირო ზოლის სიმრუმეში, ყოველივეს აჩქარებდა, მიათრევდა და მარიასაც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც გარდაუვალობას მიჰყავდა ამ ვიწრო ჩიხში, ძალით იყო შემოგდებული, არც უკან დაბრუნება შეიძლებოდა, არც გადახვევა და ერთადერთი გზა მხოლოდ წინ იყო, ჯერ უხილავი, ხალხმრავალი მოედნისაკენ.

კარგა ხანია მუნჯებივით მიდიოდნენ, ალბათ პირნერთა პარკის შუადეგ, და კაცი მთელ გზაზე ამ სათქმელის ამოღერღვას ცდილობდა. ერთხელ შეშველებაც გადაწყვიტა მარიამ, უნდოდა ეთქვა, ხვალ კვირაა და იქნებ „სასაფ-

ლაზე ავსულიყავითო, მაგრამ ვაი თუ ეგრძნო კაცს, მიმხვდარიყო, რომ მარიამ ამოიცნო მისი გასაჭირი... წამოწია, თითქოსდა გასამხნევებლად, ხელი გამოსდო, მხარზე მიეკრა და უცებ ისეთი თავკერძული კმაყოფილება წამოეძალა, რომლის მსგავსი ალბათ არასოდეს განუცდია, მაშინაც კი არა, ერთად ცხოვრება რომ გადაწყვიტეს და კაცმა, როგორც იქნა, გაბედა. ხელი მოჰხვია, ალერსით მოუჭირა მკლავზე და სასაცილო თავდაჯერებით უთხრა: „მარია, ჩვენ...“ მარია! ქალმა რატომღაც იფიქრა, რომ ქმარს ახლაც მისი სახელის ხსენება უნდოდა. წარმოიდგინა, როგორ იტყოდა კაცი ამ „მარიას“, მაგრამ წვრილი, სადღაც ყელს ზემოთ გაჩენილი სივილით აშლილი ბგერები სლიპი კურკებივით უსხლტებოდა გონებას და ვერა და ვერ მოუყარა თავი ამ ერთ, უკვე გადავიწყებულ ხმიანობად...

და ისევე დაიძრა რაღაც მდორე და ძმიმე ნისლივით, ძალიან შორიდან წამოვიდა. უკვე იცოდა რა იყო ეს და შეეშინდა, კვლავ არ ჩაძირულიყო მასში, მხოლოდ მსუბუქად მიჰყვებოდა, მაგრამ დამაოსებელი ბურუსი მაინც ეუფლებოდა გონებას და ნელ-ნელა აცოცხლებდა რაღაც ისეთს, რისი დაძლევაც უკვე შეუძლებელი იყო...

...ისინი ექვსნი იყვნენ. ოთხი წიგნების კარადას ეჯაჯგურებოდა, ცდილობდნენ როგორმე გაეტიათ ვიწრო გასასვლელში და ოთახში შეეტანათ. ორი ოთახის კარებთან იდგა. მარია კუთხეში კედელს მიყრდნობოდა და ბიჭების ჯახირს უყურებდა.

— არ გაეტევა, — თქვა დაბალმა ბიჭმა, — ტყუილად იკლავთ თავს.

— აბა რა ვუყოთ, აქ ხომ არ დავტოვებთ. — თქვა იმან, რომელიც მდგმურად უნდა გადმოსულიყო ამ ოთახში.

— არ გაეტევა. — ისევ თქვა დაბალმა, კარადას თავი მიანება და ოფლი მოიწმინდა. ყველამ მარიას გადახედა.

— არ დაიშლება? — იკითხა მაგიერად ერთმა, ყველაზე ჩაფსკვნილმა, ზოგ-მელსაც ძველი, ხაკისფერი ხალათი ეცვა, კარადა შეათვალიერა და მუშტი დაუკაკუნა.

— არ დაიშლება, — თქვა დარწმუნებით.

— ერთი კიდევ დაუკაკუნე და დაიშლება კი არა... — უთხრა დაბალმა ბიჭმა სერიოზულად. მარიას გაეცინა. ხაკისფერხალათიანმა ბიჭმა ჯერ მარიას შეხედა, მერე დაბალს.

— დაგიკაკუნებ ახლა...

ყველას სიცილი აუტყდა. თან შიგადაშიგ მარიას გადახედავდნენ ხოლმე. მარიასაც გაეცინა, უაზრო სიცილმა აიტანა. თავს იკავებდა, რომ ხმამაღლა ხარხარი არ აეტეხა და ეს დაუოკებელი ჟინი მტკივნეულად აწვებოდა მკერდში. მხოლოდ იმას უკვირდებოდა, როგორ უცახცახებდა სიცილის ჟინით შეპყობილი სხეული, და ყოველი ნაკვთის შეტოკვებას უცნაური სიცხადით გრძნობდა და საოცარ მხნეობას მატებდა.

დაბალი ბიჭი ისევ მიუბრუნდა მარიას:

— ნაჯახი არა გაქვთ?

— დავაპოთ? — იყვირა მდგმურმა.

ღია კარებში ქმარი გამოჩნდა და გაკვირვებით მოავლო თვალი ჯერ ბიჭებს, მერე მარიას.

— კარადა ვერ შეიქვთ.

— არ დაიშლება? — იკითხა კაცმა. ბიჭები მოურიდებლად ახორხოცდნენ. მარიას მხოლოდ გაელიმა და მხრები აიჩეჩა. კაცი კარადასთან მივიდა და სამი მხრიდან დაკვირვებით შეათვალიერა.

— რას იტყვით? — საქმიანი ტონით ჰკითხა მდგმურმა. მარიას ისევ გაეცინა.

— ეს თქვენი მდგმურია, — უთხრა დაბალმა ბიჭმა კაცს — ჩვენ ამ კარადას დავაპობთ და წავალთ. ნაჯახი არა გაქვთ?

კაცმა დაბნეულად შეხედა მარიას. მარიამ რატომღაც თვალი აარიდა და კედელს მოსცილდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გავყიდოთ! — წამოიძახა გამხდარმა, ქერა ბიჭმა, რომელიც აქამდე ოთახის კარებთან იდგა და იქიდან უყურებდა ყველაფერს.

— ჭკუა ხარ! — გაუხარდა დაბალს და მარიას შეხედა:

— არ იყიდით?

— არა, არ გვჭირდება, — გაეცინა მარიას.

— იაფად!

— არ გვჭირდება, არა.

მარია კარებისაკენ წავიდა.

— ნაჯანი სადა გვაქვს, არ იცი? — დაადევნა ქმარმა. მარია წამით შეყოვნდა, მაგრამ არ მობრუნებულა და ეზოში გავიდა.

თბილი საღამო იდგა. ეზოში სინესტისა და დამპალი ფიცრების სუნი ტრიალებდა. მარია კიბის ქვეშ მიფოხილ ფიცრულთან მივიდა და შეიხედა. არაფერი არ ჩანდა სიბნელეში, ერთხანს კიდევ იხსენებდა, სად დაინახა ნაჯახი უკანასკნელად. მერე ხელი შეჰყო და გალიპულ, ხავსიან ფიცრებზე მოაფათურა. უსიამოდ გაჟერყოლა. სახლიდან ბიჭების ხმამაღალი სიცილი მოისმა. მარია ბავშვივით დაიჭყანა. ჭიშკრისაკენ წავიდა. ქუჩაში გადაიხედა და ერთბამად მოეფინა თბილი ორპირი ბორიო. ცარიელი ქუჩის შესახვევში ნელა ირწეოდა მავთულზე ჩამოკიდებული ქუდიანი ფარანი. დიდი მკრთალი ლაქა ხან სკოლის თეთრ კედელზე აცოცდებოდა, ხანაც ქვაფენილზე დაცურდებოდა და ქანაობდა. ამ მოქანავე ნათელს გაუშტერა თვალი, რაღაც აწუხებდა, რაღაც უნდა გაეგო მაშინ... ერთხანს ასე თვალგაშტერებული იდგა. თანდათან ცხრებოდა ნელი თრთოლვა და უკვე უსიამოდ უვლიდა სხეულში. სახლისკენ შებრუნდა, ყური მიუგდო და მიხვდა, რომ ქმრის დაძახებას ელოდა. არც კი იცოდა რატომ, მაგრამ ელოდა, როდის დაუძახებდა კაცი, უნდოდა ყველას გაეგონა მისი ხმა: „მარია!“ ან „სად დაიკარგე, მარია!“. გაფაციცებული ელოდა, ელოდა....

ეს იყო გუშინ, დღეს დილით კიბეზე სეირნოდ წასვლა გადაწყვიტეს და წარია სალამომდე მოუთმენლად წრიალებდა სახლში...

სველი წინწკლების უსიამო სიცივე იგრძნო. მაღლა აიხედა. მეორე სართულის აივანზე პიჟამოიანი კაცი ქოთნის ყვავილებს რწყავდა. წყალი აივნის კიდეებიდან მოწურწურებდა, ნესტით აფორეჯებულ კედლებს მოჰყვებოდა და ორიოდე ნაბიჯზე ვროვდებოდა მომცრო გუბედ. მარიამ ქმარს წაუბიძგა და გზა გაამრუდებინა. კაცმა გოიცებით მოხედა, ვერ მიხვდა, რა უნდოდა ქალს.

— გუბე იყო... — უხალისოდ აუხსნა მარიამ. კაცმა უკან მიიხედა, მერე აივანი შეათვალიერა და იცვე უხმოდ განაგრძო გზა. უეცარმა სინანულმა გაჭკენწლა მარიას — ქმრის ფეხებისაკენ გაუპარა თვალი, — კაცს საზაფხულო, უჭვინტო ფეხსაცმელი ეცვა და როცა გადაჯვარადინებულ ტყავის ზოლებში ჭრელი წინდები დაუნახა, მარია მიხვდა, რა შეცდომაც დაუშვა ახლა ამ ცოლური მზრუნველობისა და სიფრთხილის გამოჩენით. ეს ხელკავიც... უხეშად გამოაძრო ხელი, მკლავი გაუთავისუფლა და უშნოდ შეუქედილ ღობეზე აკრულ აფიშებს გაეხანჯნა. ქმარი ორიოდე ნაბიჯით დაწინაურდა და ეს მანძილი ქალმა ხელშესახებ, ბლანტ სიცარიელედ შეიგრძნო, თითქოს ჰაერი კი არა, უხილავი სითხე ჩაღვრილიყო მათ შორის. ქმრისაკენ მიქცეულ თვალზე იგრძნო ეს სიბლანტე.

გულისდამწურავ სიმძიმედ დაწვა მეტისმეტად უამური გრძნობა, რომელიც ძალიან შორეული, მივიწყებული ტკივილის ექოდ წამოიშალა და შურისძიების ბოლმად მოაწვა მკერდში. კვლავ ძლივსღა ჩაიბრუნა უკანვე ის, რაც უცებ ასე მძლავრად გახმიანდა მთელ მის არსებაში: „გახსოვს, რომ გამარტყი!“... თვითონვე შეაკრთო ამ მოულოდნელმა გახსენებამ. აქამდე არც მოჰგონებია ის შორეული საღამო, როცა კაცი სარკესთან იდგა, წვერს იპარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავდა, უცებ სამართებელი მიაგდო და გაარტყა. მარიანა თაოოს მიეხეთქა. „შენ რა კაცი ხარ, — უყვირა მაშინ მარიამ, — შენ ლოგინში წოლაც არ შეგიძლია!“ კაცმა სამართებელი მიაგდო და გაარტყა.

მარიამ ქმარს შეხედა. იგი, თითქოს ცოლის ფიქრები ესმისო, დამნაშავესავით გარიყულიყო ტროტუარის კიდეზე, ხელები ჯიბეებში ჩაეყო და ფეხათრევით მიაბიჯებდა. ქალი ჯიბრიანი გულმოდგინებით აკვირდებოდა მის თითოეულ მოძრაობას. თანდათან მოძალებული ზიზღი ეუფლებოდა, მთელ ტანში უგუბდებოდა და ჯიუტი გადაწყვეტილებით ავსებდა. დამცინავი სიხარულიც კი წამოაწვა, როცა საგანგებო ცნობისმოყვარეობით აათვალიერა მისი სხეული, მოკლე მკლავები, ძველმოდურად გადასლექილი თმა და საგულდაგულოდ გატკეცილი შარვალი. რაღაც ისეთის თქმა დააპირა, რაც მთლად მოუთავებდა ხელს, საბოლოოდ წაახდენდა და მაშინ, როცა ენაზე მოადგა ეს სათქმელი, კაცმა, თითქოს განზრახვას მიუხვდაო, გაუბედავად თქვა:

— მარია, შეხედე ერთი....

ქალს სიტყვა ენაზე შეაცივდა. ყურებში გაეხირა ქმრის ხმა, ნელ-ნელა გაიზარდა და მთელი გონება ამოუვსო. არც კი გაუხედავს იქითკენ, თითქოს იცოდა, რომ საინტერესო არაფერი იქნებოდა. შაშით ახედა ქმარს. კაცი ნაძალადევად იღიმებოდა და ხელს წინ იშვერდა.

— წეღან ენდა გენახა, ახლა გაჩერდა. — ხელი გადასლექილ თმაზე გადაისვა, მერე მოწყვეტით ჩამოაგდო და საათის ქანქარასავით დაარწია.

— რა იყო? — საგანგებო ცნობისმოყვარეობით ჰკითხა მარიამ... და ერთხელ, როცა მშობიარობამ უწია და ჯოჯოხეთური ტკივილებით გათანგულმა მისმა გონებამ ნელ-ნელა დაიწყო საკუთარი ყოფისა და ირგვლივ არსებული სამყაროს გაცნობიერება, თვალი მოჰკრა გასასველელში ატუზულ ქმარს. ახლა აღარ ახსოვს, რა ამოიკითხა მის სახეზე ისეთი, რაიც ყოველთვის, მაშინაც, საკაცით რომ გაჰქონდათ სახლიდან და მერეც, ბიჭის გაჩენის შემდეგ, სინდისის ქენჯნა თუ ულმობელი განაჩენის სირცხვილად ახსენებდა თავის განყენებულ არსებობას... ეს კი ახლაც კარგად ახსოვს: ქმარმა ხელი ასწია, თმაზე გადაისვა, შემდეგ მოწყვეტით ჩამოაგდო და საათის ქანქარასავით დაარწია, ზუსტად ისევე, როგორც წეღან. მარიამ უტყუარი, წლობით გამახვილებული ალღოთი ინიშნა რაღაც ავისაღმომქმელი მსგავსება გასასველელში დანაშავის იერით ატუზულ კაცსა და იმას შორის, ახლა რომ გვერდით მიჰყვებოდა. უცებ დაუფრთხა რის ვაივაგლახით მოხმობილი სიმშვიდე, გაახსენდა, ქმარი რომ რაღაცაზე ანიშნებდა, დაბნეულად გახედა ქუჩას და, თითქოს ესაო ამ ახალი განცდის მიზეზი, კვლავ ჯიქურ შემოიპრა თვალებში დაბინდული გარემო, მაღალი სახლების გაყოლებაზე ჩამწკრივებული უღიმღამო რეკლამები, ფარნების მბეუტავი ნათურები და მთელი ეს სუფთა, იდუმალებით გამსჭვალული სამყარო. გაფაციცებით იუურებოდა აქეთ-იქით, იქნებ ისეთი რამ შეენიშნა, რაც კიდევ მისცემდა ხმის ამოღების საბაბს, მაგრამ ამ მიუწვდომელი სიშორით გაუცხოვებულ ქალაქში ყველაფერი ცალკე იდო, თითქოს მათ არც ეხებოდა და არც იმის უფლებას აძლევდა, თავიანთი ჩარევით რომ შეერთებოდნენ იქაურობას.. და ამ უსახურ, მანათობელი ლაქებით დაკენილ სიშავეზე კვლავ გამოიკვეთა ვიწრო კარის ღიობი და მასში ატუზული ქმრის მრუდე სილუეტი, რომელსაც ჰქონდა მომნანიებელი, მომბოდიშებელი რაღაც და მარიას მაშინდელი სიცხადით გაუმეორდა ყველა ტკივილის გამანელებელი გრძნობა, გრძნობა, რომელიც მოგებული თამაშის სიხარულს წააგავდა. მაშინ პირველად იგრძნო ასე ცხადად, რომ უყვარდა ქმარი, მაგრამ ეს ცოლ-ქმრული სიყვარული

კი არა, რაღაც სხვა გრძნობა იყო, ისეთივე, როგორიც აკავშირებდა მარიას იმასთან, მის წიაღში რომ იძვროდა, ასე ჯოჯოხეთური ტკივილებით სტანჯავდა, ერთდროულად სძულდა და უყვარდა კიდეც, უფრო კი სძულდა, უნდოდა გაესრისა, გაენადგურებინა და გათავისუფლებულიყო ამ ყოფისაგან. მაგრამ ამ სიძულვილში იყო რაღაც ბედისწერული, აზრმიუწვდომი და უსახელო სიამაყის მატარებელი, სიამაყისა, რომ მხოლოდ მას, მარიას შეეძლო აგრერიგად სძულებოდა ის, ჯერ უჩინარი და არარსებული, ყველას რომ სიყვარულსა და სასოებას ავალებდა. და მარიაც სწორედ ამ სიძულვილით სჯაბნიდა ქმარს, უნდოდა შეეშინებინა, დაემცირებინა იგი, მისი უსუსურობის შეგნებით ეზიმა და ამით ყველაფრის სამაგიერო მიეზღო. და როცა საკაცით გაჰქონდათ, კიდევ ერთხელ მოჰკრა თვალი გასასვლელში დამნაშავის იერით ატუზულ კაცს და ახლა არ ახსოვს, რა ამოიკითხა მის სახეზე ისეთი, რაიც ყოველთვის, მაშინაც და მერეც, ბიჭი რომ გაუჩნდა სინდისის ქენჯნად თუ ულმობელი განაჩენის სირცხვილად ახსენებდა თავის განყენებულ არსებობას. ეს კი ჯერაც არ დავიწყებია: კაცმა ხელი ასწია, თმაზე გადაისვა, შემდეგ მოწყვეტით ჩამოაგდო და საათის ქანქარასავით დაარწია, ზუსტად ისევე, როგორც წეღან. და მაშინ, ხელაწა შემოფრენილ მკრუნჩხავ ტკივილში, თითქოს ამ ტკივილს ამოჰყვაო, ჩაიკარგა წამით გამომკრთალი სანეტარო გრძნობა ახლობლობისა, მშობლიურობისა, და მარიამ თვალი დახუჭა და მეტი ალარაფერი ახსოვს, შემორჩა მხოლოდ თეთრხალათიანი ექიმის ლანდი, რომელიც მუქ კედელს მოსცილდა და თითქოს ჰაერად იქცა, ისე გაქრა კარის კაშკაშა ღიობში....

უცებ მარჯვნივ, თეთრი სახლის ბნელ სარკმელში სინათლე აინთო, შუქი მარჯვედ ნასროო ბადესავით გადმოვარდა, ქალიცა და კაციც მოიყოლია და აქამდე ჩაბნელებულ ქვაფენილზეც, ადგილი სხეულები გაამქღალნა. მარია შუქზე, მაშინვე ისიც იგრძნო, როგორ აერია ქმარს ნაბიჯი და ორივემ შეთქმულებივით აუჩქარა ფეხს. მარია ძარს გაფენილი სინათლის მიჯნას მიაჩერდა და როცა იმ მიჯნას გადააბიჯეს და ისევ დაბინდულ ქუჩას შეერივნენ, გულზე მოეშვა, — თითქოს სახლის ზღურბლი იყო ეს მიჯნა; თავისი ეზოს ვიწრო შესასვლელის გასწვრივ წაფერდებულ ღობეზე აცოცებული ლილიფარები და მათი მოსალბუნე სიგრილე გაახსენდა.

ის-ის იყო წამოიწყო ლაპარაკი, უნდოდა ამ ყვავილებზე ეთქვა რაიმე, მიუბრუნდა კიდეც კაცს, მაგრამ მისი გაფაციცებული სახე დაინახა და, უნებურად, თვითონაც მიიხედა იქით, საითაც ქმარი იყურებოდა: ნისლივით ჩამოწვა განთეთრებული მოედანი. თანდათან მოცურდა, გაჩახჩახდა, შადრევნის შხეულიც ამ გაძლიერებული სინათლის ჩქამივით შორიდან მოისმა, მოახლოვდა და უცებ, როცა ჰაერში ატყორცნილი წყლის უზარმაზარი სვეტიც დაინახა, მარიას მოეჩვენა, რომ ცისკენ დაძრული წყალთან ერთად ხალხით სავსე მოედანიც შეტოკდა... (რა იყო ის, ანაზადად რომ გაჰკრა გულზე? — დიდი ხნის წინ დაკარგული საყვარელი ნივთის ტკივილანი გახსენება თუ გაუცნობიერებელი სინანული მაღალი სახლებით მოზღუდული ქუჩის სიმყუდროვისა, მთელ გზაზე რომ იდუმალად მოჰყვებოდა თურმე და მხოლოდ ახლა, ამ მოედნის პირისპირ დარჩენილს გაუსაცნაურდა მისი მანუგეშებელი არსებობა?..) ანგარიშმიუცემლად მიეტმასნა ქმარს, — დაუდგგარი ნაკადის ფუძეს შხეულით ემსხვრევოდა გრანიტის ოვალიდან ამოჭრილი რკალური ჭავლები, ნისლეული თქორით ბურავდა იქაურობას და ფარნების შუქზე აციმციმებული წყალი, გაჩახჩახებული მოედანი და ცადაცყორცნილი ბრჭყვიალა სვეტი უზარმაზარი თეატრალური ჭაღივით ეკიდა სივრცეში. წამით ყველაფერი ამ ჭაღმა აავსო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მბრძანებლურ შიშად შემოიჭრა გულში, რაღაც უჩვეულო განცდის წინასწარი გუმანით შეაკრთო და უცებ, როცა შადრევნის მეყსეული გაქვავებისას გაწყვეტილ შხეილს სასულე ორკესტრის დახშული ხმა შეენაცვლა, მარიას გული გაეყინა. ქმარს ფერდით მიეკრა და მკლავზე ძუძუ მიაჭყლიტა:

— შეხედე, რა ლამაზია!

ქმარმა თავი დაუქნია. იგი მონუსხულივით იყურებოდა წინ, შეცბუნებულს ღიმილი შეციებოდა სახეზე და მარიამ ამ ღიმილში რაღაც ისეთი იცნო, რამაც უკანასკნელ წამს ჩაუხშო ენაზე მომდგარი სათქმელი და მხოლოდ თავისთვის გაიფიქრა: „რას ჩავჯდები ხოლმე შინ, კრუხივით“... და მაშინვე, კიდევ ერთხელ რომ შეაპარა ქმარს თვალი, ნათლად იაზრა ის, რაც წედან მხოლოდ ქალურმა ალღომ ანიშნა: ქმარი ეშვინობდა! ეშვინობდა ამ შადრევანზეც. ამ მოსეირნეებზეც, ამ საზეიმოდ გაჩახჩახებულ მოედანზეც და ყველაფერზე, რაც ასე უცხო სამყაროდ იცარბოდა ირგვლივ. მხოლოდ დროდადრო ირიბად გადახედავდა ცოლს. მარია გრძნობდა ამ გაუბედავ და გამომცდელ მზერას. რაც უფრო უახლოვდებოდნენ მოედანს, მით უფრო ნერვიულდებოდა ეს შემმოწმებელი მზერა და ამატომ, როცა მათ შესახვედრად მომავალი მაღალი კაცი დაინახა, მარია დაიძაბა... სწორედ მაშინ, კაცი ორიოდე ნაბიჯზე რომ მოახლოდა და თითქოსდა ჯიბიზე გიფაციცებულ თვალებს მაინც შემოეპარა უცნობის ვაქკაცური სხეული, შნოიანი სახე, კარგად მორგებული ტანსაცმელი და თავისუფალი ნაბიჯი, მარია ქმარს მიუბრუნდა და გულგრილად უთხრა:

— უფრო ლამაზი უნდა იყოს. ეს ერთი პარკი გვაქვს და იმასაც ვერ მოაწყობენ ხეირიანად... — წამით შეყოვნდა, თითქოს სათქმელს სწონისო და მერე ხმამაღლა ჰკითხა: — ლენინგრადში ლამაზი პარკებია, არა?

— უჰ, რა შედარებაა. — თქვა კაცმა,

— იქ რომ პარკებია...

— ბევრი ხომ?

— არაფერი არაა პარკების და შადრევნების მეტი, ეს სად მოეხედოო, იფიქრებ. — კაცმა მკლავი გაითავისუფლა და პერანგი შეისწორა.

— ქვეყნის ხალხი იქნება. არიან ალბათ ერთ სეირნობაში. შვილი არ აწუხებთ და ძირი.

— ისე — მხრები აიჩეჩა კაცმა, — იმათ კინო და თეატრი უფრო უყვართ.

— მოვახერხოთ ერთი იქ წასელა. აბა ამ ქალაქში ხომ არ უნდა დავიხრჩოთ, — კინაღამ წამოსცდა, ჯარში რომ არ წაეყვანეთ, ვერც შენ ნახავდიო.

— წავალთ, — თქვა კაცმა.

ეს „წავალთ!“ გადაულახავი კედელივით აღიმართა და საათქმელი გაუწყვიტა. მიხვდა, რომ ქმარმა გაუგო თვალთმაქცობა და მუხანათური თამაშის აღსაკვეთად გაჯავრებით გამოსცრა: „წავალთ!“ მარია უკვე იმაზე აღარ ფიქრობდა, კიდევ რა მოჰყვებოდა მის საქციელს, კაცს მკლავზე მოქაჩა, უხეშად შეანჯღრია და თითქმის დაუყვირა:

— მოიცა, რას მიალაჯებ, დამელრიცა ფეხები! — და წყნარად, ისე რომ სიბრაზისა და მობეზრების დაფარვა არც უცდია, დაუმატა — ჩამოვჯდეთ ცოტა ხნით, მერე შინ წავიდეთ, — ქმარი მორჩილად მიჰყვა და იმ კმაყოფილებაში, ასე იოლად მოთვინიერებული ქმრის შეხედვისას რომ დაეუფლა მარიას, იყო რაღაც დამამცირებელი, მისი ქალური სიამაყის ჩამწიხლავი. ამ გრძნობის მიზეზი ქმარი არ იყო, რაღაც სხვა, სხვაგან არსებული რამ, იქნება ეს მოედანიც, ეს უცხო სამყაროც, ასე გამეტყველტ სიმძიმედ რომ დაეწვა იმ უკანასკნელ მორყეულ ბოძს, შვილის სიკვდილის შემდეგ რომ ეყრდნობოდა მარია. ეს ბოძი მამაკაცი იყო, არა ქმარი, — მამაკაცი, რომლის საკუთარ ქმარში აღზევება ერთადერთ იმედადღა შერჩენოდა მას უკან, რაც ნათლად შეიგნო იმისი დაბრუნების შეუძლებლობა, ამ ქმარს რომ შესწორა. იცოდა, ეს

ჯიბრი იყო, ჯიბრი მის ქალურ პატივმოყვარეობასა და ომას შორის, რაც, მისი აზრით, ამ ცხოვრებისაგან ეკუთვნოდა, რაიც უკვე დაკარგულ, მიუწვდომელ სიშორეად ეგულებოდა სადღაც სხვაგან და მაგიერად იყო გაიდუმალებული ამ გაჩახჩახებულ მოედანში, შადრევანში, ორკესტრის თითოეულ ბგერაში, ნაირფერად გამოწყობილ ხალხში და ყველაფერში, რასაც ირგვლივ ხედავდა. „შენ რა კაცი ხარ, — იყვირა მაშინ მარიამ, — შენ ლოგინში წოლაც არ შეგიძლია!“ კაცმა სამართველი ია-ადგო და გაარტყა. გაარტყა!.. რას არ დასთმობდა ახლა, ამ ხალხმაც რომ იცოდეს ეს ამბავი!...

მოედნის განაპირას ჩამწკრივებულ სკამებზე ერთი თავისუფალი ადგილიც არ ჩანდა. მარიამ ასფალტიდან გადმოაბიჯა, ხალხს გამოეყო და სკამების წინ ვიწრო ზოლად გაყოლებულ მოხრეშილ ბილიკზე გადავიდა. ქრისტეფენ არც იხედებოდა, ისე მიდიოდა, ნელ-ნელა, და თავისუფალ ადგილს ეძებდა. სკამებზე მოკალთებული ხალხის მზერას გრძნობდა და თვითონაც თითქოს ამ უამრავი თვალის დათრგუნვა უნდაო, ჯიუტად აჩერდებოდა მშვიდ, ირონიადაფენილ სახეებს. უცნაურ სიამოვნებას გვრიდა თანდათან მოძალებული ჯიბრისა და თავხედური მეტოქეობის სურვილი. საგანგებო სითამამით გაჰყვა ბილიკს, მაგრამ ისიც იგრძნო, როგორ დაღალა ამ თვალთმაქცურმა სიმშვიდემ იმ რამდენიმე წამში, როცა ასფალტზე მოსეირნე ხალხს გამოეყო და, თითქოს მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე გამოეკანონი მანეკენი იყო, ისე თამაშითა და ნაძალადევი კეკლუცობით ჩაუარა სკამებს.

ქმარი ჩამორჩა. მაგრამ მარიას არც ახლა მიუხედავს უკან, ოღონდ ზურგით იგრძნო მისი მზერა, რომელიც, თანდათან, ირტახებიედთ შემოეკვნა სხეულს... უფრო აუჩქარა ფეხს, სკამებამდე მთლად მისული არც იყო, გადაიწია, საზურგეს ხელები შეაშველა, უჩვეულოდ სხარტად მოტრიალდა და დაჯდა.

თითქოს სულ სხვა გარემოში მოექცა, გული საგულეს ჩაუდგა. მოხერხებულად მოეწყო სკამზე, მუხლებზე კაბა წაიფარა, საზურგეს გადაეწვა და რაღაც სასიამოვნო მოლოდინით ელოდა ამ ბრაზით მოავლო თვალი მოსეირნეებს, ნიშნისმოგების ღიმილიც კი გაუკრთა სახეზე და ის იყო სრულ განცხრომას უნდა მისცემოდა, რომ ბრბოში უმწეოდ ჩარჩენილ ქმარს მოჰკრა თვალი. უცაბედად შეაკრთო ამისმა შეგნებამ, რომ ამ რამდენიმე წამის მანძილზე, იქიდან მოკიდებული, რაც სკამის საზურგეს შეახო ხელი და მისი ვერცხლისფერი, ცივი ხე მყარ საყრდენად შეეშველა წონასწორობადაკარგულ სხეულს, ქმარი გადავიწყებოდა... სულ არ ახსოვდა...

...და კაცი პატარა სამფეხა სკამზე იჯდა თუნუქის ღუმელთან, დაღლილი და მოტეხილი და ქამეიამ, როცა ღუმელის ჭუჭრუტანაში აფართქალებული ცეცხლის ალინათი გაუკრთებოდა სახეზე, მარიამ გულისდამწერავი განგაშით აღიქვამდა ამ სახეზე აღბეჭდილი შიშისა თუ სასოწარკვეთის დაღს და ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღქმული იერი დიდი უბედურების მინიშნებად ეპეტდებოდა გაქვავებულ გულში, მთელი კვირის აურზაურით გაბრუებულ გონებაში უფეთქავდა, მაგრამ მაშინვე ქრებოდა, ოთახის კედლებზე დაცემული სინათლის ძგერას ერწყმოდა და ასე ეჩვენებოდა, ეს, ბნელ ოთახში მოფართხალე სინათლის ზღაპრული იდუმალება იყო იმ შიშისა თუ ქამეიამ გამკენწლავი ტკივილის დამბადებელი, წამიერი გამოთიშვისას რომ ამცნობდა თავის გაუცნობიერებელ არსებობას. მარია ადგა, ჩამრთველი გადაატრიალა და მეორე ოთახში გავიდა. ოთახი ცივი და ცარიელი იყო, ყველაფერი ძველებურად იდგა: ჭრელი, დარეცხული დივანი — კედელთან, ოთახის შუაგულში — ძველი მაგიდა და ექვსი სკამი, ღაბალი, განჯი-

ნა — ფანჯარასთან და პატარა, აწწ-ილფეხებიან მაგიდაზე დადგმული ძველებური რადიომიმღები, რომლიდანაც გამოდიოდა ეს, თითქოსდა ხელშესახები, გულისგამწვრილებელი სიჩუმე. მარია შეცბა, ამ საგნების ჩვეულ განლაგებას რომ შეხედა. თითქოს არასოდეს არაფერი შეცვლილა ამ ოთახში, ყველაფერი ოდითვე ასე იყო და მხოლოდ ბუნდოვნად, უცნო ადგილას ნანახივით ან სიზმარივით თვლემდა გონებაში შავხავერდჩამოფარებული კედლები და შუაგულ ოთახში ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე დადგმული პატარა კუბო, რომელსაც დიდ ყუთში ჩარგული, მარაოსავით გადაშლილი პალმა საჩრდილობელივით ეფარა ზემოდან და რომელიც მერე სულ აგონებდა ბავშვობისას ზღაპრების წიგნში ნანახ ნახატს: მზიან მინდორსა და ტოტებგადაშლილი ხის ჩრდილში დადგმულ აკვანს... შიშნეული სიფრთხილით შემოუარა მაგიდას, განჯინის კარი გამოაღო, ფიფიფურის ლარნაკიდან ქაღალდების შეკვრა ამოაძრო და გამობრუნდა.. კაცი ისევ ისე იჯდა და ღუმელს უკეთებდა. მარია ტახტზე ჩამოჯდა, შეკვრა გახსნა, საგულდაგულოდ შემოხვეული, გვარებით აჭრელებული ქაღალდები შემოაძრო და ფული კალთაში ჩაიყარა. ერთხანს უაზროდ დაჰყურებდა ფერად ქაღალდებს, რაღაც ინსტინქტით ცდილობდა ჩასწვდომოდა მათ არსს, მაგრამ კალთაში ჩაყრილი ქაღალდები ყოვლად უმაქნისი, უშნაარსო რამ იყო და მხოლოდ წარსული, მეტისმეტად შორეული და ბუნდოვანი, ანიშნებდა მათ უჩვეულობას, შინაგანი, წლობით შესისხლხორცებული გუმანი ებრძოდა გაყინულ გონებას და ამ უაზრო გროვას ჯერ გაუცნობიერებელ, ბგრამ საოცრად მაგიერ, შიშისმომგვრელ ძალას აძლევდა. მარიამ თვლა დაიწყო. დიდხანს და გულმოდგინედ ითვლიდა, საგულდაგულოდ აწყობებდა რბილ, გაცრეცილ ქაღალდებს; უცნო ნეტარებით იყნოსავდა მათ სულისშემხუთავ სურნელს, რომელიც ცხოველის სუნს რომ აგონებდა, მაგრამ [illegible] ვერ უკვირდებოდა, მაინც რომელ ცხოველს უნდა ჰქონოდა ასეთი სუნი. დრო და დრო ცალ თვალს კალთაში დარჩენილი გროვისაკენ აპარებდა და თუმცა ჯერაც ვერ ჩასწვდომოდა ამ გროვის აზრს, მისი სიდიდისა და სიუხვის შეგნება ჯერგანუცდელი სიამით უჩქროლებდა გულს და სხეულსაც ყრუ ექიდ ედებოდა გონებაში საზეიმოდ გახმიანებული ყოველი ციფრი. და მარიას ახლაც თვალწინ დაუდგა ის, რამაც მაშინ უეცრად გამოარკვია და გაუსაცნაურა ყოველი: ხელები, საკუთარი ხელები, პატარა, თეთრი თაგვებივით რომ დახტოდნენ კალთაში, ცქაფად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ცქაფადვე სცილდებოდნენ, მერე ისევ უახლოვდებოდნენ და ასე დაუსრულებლად: უახლოვდებოდნენ და სცილდებოდნენ, უახლოვდებოდნენ და სცილდებოდნენ... პირველად ვერც ჩასწვდა ამ გაფაციცებული მოძრაობის აზრს, ვერ მიხვდა, რომ ეს მისი ხელები იყო თანდათან, როცა სრულიად გამოთიშული გონება უკვე აღარც ითვლიდა და მხოლოდ მექანიკურად გადაჰქონდა ფული ხელიდან ხელში, ნელ-ნელა, გამაოგნებელი რეალობით დაიწყო გაცხადება ყოველივემ, რაიც იმ კვირის განმავლობაში სიცხიანის სამყაროსავით იცარებოდა მის ირგვლივ: ყვავილებით შემკული მომცრო კუბო შავადშესუდრული ოთახის შუაგულში და დაბინდულ მზერაში მოზოზინე ხალხი, სამგლოვიარო მუსიკის სუსტი ხმა, დროდადრო რომ მიაყურადებდა მარიამ, ცდილობდა გაეგო სად იყო დამაგრებული რეპროდუქტორი და თვითონაც ვერ ამჩნევდა, ისე აპყვებოდა ხოლმე ხანდახან მოსალუნე მელოდიას; სასაფლაოს გზა და ტაატით მიმავალი მოფარდაგული მანქანა... თითქოს ახლაღა მისწვდა მის შეგნებას ის, რასაც აქამდე სიზმარეულ სამყაროდ აღიქვამდა, დაუოკებელი ჟინი მოაწვა მკერდში და

წამით, სანამ ტირილი წასკდებოდა, გონსგადასული გააფთრებით ასწია თავი!.. კაცს, — ეს არასოდეს დაავიწყდება მარიას! — კაცს რაღაც შიშისა თუ აღტაცების გამაერთიანებელი გრძნობისაგან უცნაურად დაღმეჭოდა სახე, ხელებში მისჩერებოდა და მთელი მისი არსებობა იმ წუთას იქ ისე უახლოვდა, ამავე დროს, შიშისმომგვრელად მეტყველი იყო, რომ მარიას ერთბაშად ენიშნა რაღაც ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი საუნჯის დაკარგვა, უფრო მნიშვნელოვანისა, ვიდრე შვილი იყო. ზიზღით შეხედა ქმარს, უნდოდა ეთქვა, რომ ყველაფერში ის იყო დამნაშავე. მისი ბრალი იყო ეს ცხოვრებაც, ეს დაბადებაც, ეს სიკვდილიც, ეს სახეც და ყველაფერი და უკვე თავის შეკავება აღარ უცდია, ერთი ხელისმოსმით ჩამოიბერტყა კალთა, ფული ტახტზე მიყარა და ატირდა; არც ხელები აუფარებია სახეზე, არც თავი დაუხრია, იჯდა და ასე გაჭიმული, თითქოს სურათის გადაღებისას, ხელისგულები კალთაში ეწყო და ზლუქუნებდა....

— დავღლილვარ, — თქვა კაცმა, — შენ?

— მეც... — მარიამ დაბნეულად შეხედა. გაახსენდა, როგორ მოდიოდა წუთის წინ კაცი: თითქოს როღაც ძალამ მიიზიდაო, ნაბიჯს აუჩქარა, ქალისაკენ წამოვიდა, ისევე, როგორც მან, ჯერ საზრდეს შეაშველა ხელი, მერე შემბარუნდა და დაჯდა; და მარია მიხვდა, რომ ქმარმა მას კი არა, სკამს მიაშურა, როგორც საშველს... და დედაკაცურმა ალღომ მაშინვე საცნაურჰყო ქმარში დაბრუნებული თავდაჯერების ნიშანი. რაღაც იყო საერთო მოედნის კიდეზე ჩამწკრივებული სკამების საიმედო გარიყულობასა და ოჯახს შორის, და მამაკაცის ნირმა თავისდაუნებურად იყნოსა ეს მსგავსება. მარია გაინახა, მთლად გაფაციცდა. უცებ წამოეძალა სურვილი დასაწყისშივე ჩაეხშო ეს ქმრული თუ მამაკაცური აღზევება, გადაწყვიტა ამდგარიყო, მოშორებოდა ამ სკამებს და ისევ მოსეირნეებს შერეულიყო. მთლად დაძაბული, ოდნავ წინგადახრილი იჯდა, მაგრამ ვერასდიდებით ვერ დაეძლია რაღაც უცხო მოლოდინის გრძნობა, რომელიც მსუბუქ თრთოლვით ჩაუდგა სხეულში და ილაჯი წაართვა.

— მიიწიე, — უთხრა კაცმა და გვერდზე მიაწვა. მარიამ თვალები დახუჭა, მოეშვა, მოითენთა და უღონოდ მიესვენა საზურგეს — მან იგრძნო ქმრის სხეული!. ეს არ იყო ჩვეულებრივი განცდა, ყოველთვის რომ ეუფლებოდა მისი სიახლოვისას. ქმრის სურვილისაღმძრელი, უცხო სიგრილე მოებურა ტანს, სულგანაბული აკვირდებოდა კაცს და მაშინვე მის გამოხედვაში დაიჭირა ის, რისი დაჭერაც უნდოდა: ქმარი მიუხვდა, წამით შეცბა, დაბნეულად შეიმშუშნა და როცა მარიამ ადგილი დაუთმო, დარღიმანდულად გადაწყო ხელები საზურგეს, ფეხი ფეხზე შემოიდო და მღელვარებისაგან მოვუდეული ხმით სხაპასხაპით უთხრა:

— კოლია ხომ გახსოვს! ჩვენთანაც იყო ერთხელ...

— ჰო...

— გახსოვს?

— მახსოვს-მეთქი.

— დაიჭირეს.

— არ მიკვირს. ეტყობოდა, რა სულისაც იყო. სად დაიძაკაცე ნეტავი...

— დავიძაკაცე არა...

— მოიპარავდა რამეს. — დარწმუნებით თქვა მარიამ.

— აპა, სად ჰქონდა მაგისი თავი. მეზობლის ქალი გაულახავს.

მარია უკვე აღარ უსმენდა.. აღტაცებით შეჰყურებდა ნათურების მქრქალ ნათელს — მოყვითალო ბურუსი სიფრიფანა ქსოვილივით შეჰფენოდა ჩაშავებულ ცისკიდურს და ახლოს, სულ ახლოს ხედავდა ქალი ამ ქსოვილს — ნათელისა და ბნელის მიჯნას. იგი ჭერივით ეხურა სივრცეს. რაც უფრო უკვირდებოდა, მით უფრო იკვეთებოდა ეს ჭერი და ყველაფერი, რასაც ახლა მო-

ედანზე ხედავდა, თანდათან ახლოვდებოდა, პატარავდებოდა და ჩვეულებრივის ეერით იმოსებოდა. ნაირფერ ტანისამოსში გამოწყობილ მოსეირნეთა მდორე ნაკადი, შადრევნის აქაბედე უცხო შხეილი და ამ შხეილის წამიერი მილევისას გამომსხლტარი მუსიკა თითქოს დროებით მივიწყებული, სიზმრად ნახული სამყაროს გახსენება იყო და ეს სამყარო აეხსნელი სიხარულით ავსებდა ქალს, უფრო და უფრო იზიდავდა და თანდათან უუცხოვებდა რაღაც მეტისმეტად შეჩვეულსა და საკუთარს, რომლის გახსენებასაც სუსტი გულისტკივილით ეწინააღმდეგებოდა ახლა მთელი მისი არსება, მაგრამ რომლის თანხლებასაც, თუმცა გაუცნობიერებლად, მაინც გულისდამწურავ სიმძიმედ გრძნობდა... და ალბათ იმიტომ, რომ ეშინოდა უფრო არ ცხადქმნილაყო ეს გარდასული, მოუნდა ამდგარიყო, შერეოდა ხალხს, უფრო ახლოს ეგრძნო შადრევნის ერუანტელი, სასულე ორკესტრის უცნაურად ხელშესახები ნივთიერი ხმაური... კაცს მიუბრუნდა და მაშინ, როცა კინაღამ დაადნა ამ სურვილმა, ქმარმა წყნარად, ისე რომ ცოლისთვის არც შეუხედავს, თქვა:

— წამო, გავიაროთ...

მარია შეცბა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ქმარს შეხედა. კაცი წამოდგა, სიგარეტს მოუკიდა და ცოლისაკენ მიბრუნდა:

— ზღვისპირზე გავიდეთ.

ეს იყო მამაკაცურად თავდაჯერებული ტონი, ისეთივე, როგორითაც იტყოდა ხოლმე სამუშაოდან დაბრუნებული კაცი — „შშია“. მარია მონუსხულივით ადგა. უხმოდ მიდიოდნენ, თითქოს მისი განცდების შეცნობა უნდაო, მალულად გადახედავდა ხოლმე ქმარს და ხანდახან, როცა ვინმეს გვერდს ვერ აუქცევდა და წამით ადგილზე შეყოვნდებოდა, ხედავდა მშვიდად მიმავალი კაცის ჩია სხეული, ძველმოდურ ფართო შარვალს, დადასლექილ თმას, ყოოსეს პერანგის სახელოებიდან ჩამოკონწიალებულ მკლავებს და ეს სხეული კარა, მისი სიახლოვის შეგნება წამიერ სიმშვიდით ავსებდა და გულში ათრთოლებული სიხარულით შემოჰქონდა რაღაც საკუთარის, მარტოოდენ მისი კუთვნილი და მშობლიური გრძნობის გაუცნობიერებელი ლანდი...

...გაახსენდა, როგორ ისაუზმეს ამ დილით. მერე ისადილეს. ნასადილევს კაცი ქარხანაში წავიდა ხელფასის ასაღებად; როცა დაბრუნდა, მარიას უთხრა, საგარეო შარვალი გამიუთოვეო და დიდხანს აუთოებდა მარია ამ საგარეო შარვალს. კაცი ჯავრობდა, რომ ვერ იქნა და ვერ იპოვეს მთელი წინდები, კარადის ყველა კუნჭული გადაქექეს და საწოლქვეშაც კი ძვრებოდნენ ამ წინდების საპოვნელად. ბოლოს კი, როცა ეზოდან გამოდიოდნენ, მეზობლის თინამ საზეიმო ხალისით ჰკითხა: „სასეირნოდ გამოიპრანჭეთ?“ მარიამ მორცხვად გაიღიმა და თინამ ქვეყნის კასაგონად გამოაცხადა „კარგია, კარგიო“ და მთელმა უბანმა შეიტყო, რომ ისინი სასეირნოდ მიდიოდნენ. როცა ჭიშკარი გაალო და ქუჩაში გადაადგა, მარიამ მაშინვე იგრძნო, როგორ ჩაეღვარა გულში მსუბუქი, მაგრამ უბოლოო ნაღვერი თუ შიში იმის გამო; რომ იქ, ზურგსუკან რჩებოდა შეჩვეული და მყუდრო სამყარო, რომელიც უხილავი ძაფით გამობმოდა მხრებზე, უსუსურად ეწვოდა, ეწინააღმდეგებოდა ამ წასვლას და თავისი გაწყვეტის მუქარით აშინებდა... ეს ძაფი ჯერ კიდევ მთელი იყო, მაგრამ ის, რაც მის მეორე ბოლოზე იყო გამობმული, წინანდებურად აღარ ახსენებდა თავის არსებობას, ისე აღარ აშინებდა ამ გაწყვეტის მუქარით. პირიქით, რაღაც ჯერარგანცდილი სიამაყით ავსებდა, ამხნევებდა და მხოლოდ ის; წინანდელი შიშისა თუ ნაღვერის ხსოვნა აწვა გულზე დანაშაულის გრძნობად, დანაშაულისა. ქმრის წინაშე, ახლა რომ ასე მხნედ, მამაკაცურად მიარღვევდა ბრბოს და მარტოოდენ მისი, სხეისთვის შეუცნობელი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩინარი განცდების უბოლოო ნაკადით უვსებდა სამყაროს. ეს კაცი იყო ერთადერთი ამ ზღვა ხალხში, ვისთანაც ყოველ ღამით წვებოდა მარია, ვისი სხეულის ყოველი წერტილიც საკუთარივით იცოდა, ისევე, როგორც მან, ქმარმა — მარიასი. მარია იყო ერთადერთი, ვინაც უწყოდა, თუ რა გულისდამწყვარავი უთქმელი ეჭვები ღრღნიდა კაცს, როცა ღამით, ლოგიწში, ჩვეულებრივი საქმის აღსრულების შემდეგ დანნაშავესავით გაყუჩებული ქმარი თითებით მოძებნიდა მარიას თვალებს, ფრთხილად შეეხებოდა ქუთუთოებზე, უნდოდა გაეგო, ეძინა ცოლს თუ ჩვეულებისამებრ სიბნელისათვის გაეშტერებინა თვალი. მარია წინასწარვე გუმანით გრძნობდა ამ წუთს, თვალს დაამჭუტდა და როცა ქმრის ხელი შეეხებოდა, ისე შეტტებოდა, თითქოს მაშინღა გამოერკვა ღრმა ფიქრებისაგან. ჯალათის სიამოვნებას ვგრიდა ეს თამაში, თითქოს რაღაც დიდი მსხვერპლის საზღაურს იღებდა. კაცმა რომ თქვას, კიდეც უნდოდა ამ საზღაურის მიღება. ამდენხანს არც დაფიქრებული ამაზე, ამდენხანს არც შეუნიშნავს, როგორ გაწელებია ამ საზღაურის მიღების სურვილი. ეგ კი არა და, ახლაღა გაახსენდა, რომ ოღესღაც ეს სურვილი აოკებდა და ასულდგმულებდა. „მიშა, — უთხრა ერთხელ, დიდიხნის წინათ ქმარს, — სამსახური უნდა მოვძებნო“. ახლა აღარ ესმოდა ამ სიტყვების აზრი და მხოლოდ გრძნობდა, უკვე მიუწვდომელი და უცხო, ამ გახსენებისას რომ გაუელვა, ანიშნებდა რაღაც დიდისა და მთავარის დაკარგვას, რომლის დაბრუნებისათვის აღარც ძალა შესწევდა უკვე, აღარც სურვილი.

ღია ესტრადაზე სამხედრო ორკესტრი უკრავდა. მისი დახშული ხმა ხან მისუსტდებოდა, თითქოს ესტრადის გუმბათი, რუპორივით რომ ისროდა ზანზარა ბგერებს, უეცრად შორდებოდა იქაურობას და სადღაც შორს მიფრინავდა, ხანაც ზღვასავით მოიქცეოდა, ზათქით გამოვარდებოდა, თავის ყოვლისმომცველ ტალღებში ხვევდა მარიას და ყოველი ძალუმი მოქცევით უფრო და უფრო უძლიერებდა ჯერ გაურკვეველ, მაგრამ მაინც მბრძანებლური მეუფებით აშლილ ენის, რომელიც თანდათან ერთ, გასაგებ შინაარსს იძენდა. ნელინელ საცნაურდებოდა ის, რაიც უკვე დიდიხანია გადავიწყებული სათქმელივით თვლემდა მასში და ახალ, დამამშვიდებელ განცდებს ჰპირდებოდა. ამიტომ, როცა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ნაძვის ტოტებში სათამაშოებივით აციაგებულ მრგვალ ლამპიონებს და გირლიანდებად აცმულ ფერად ნათურებს, ამ ნათურების ნათელ ბურუსში გაქნილ თქორს შადრევნისას, დაბლა, გრანტის ვიწრო და გრძელ კიბეზე გამწკრივებულ ხალხს თავუჩინარ ზოლს, საკარნავალო ქაღალდის გველივით რომ იკლაკნებოდა და შორს, ჩაღამებულ ხეივანთან ასირსალებდა ფერად კუდს, კაკლის ვეება ნაშუშვივით წამიმზობილ ესტრადას, მის სიღრმეში სათამაშო ჯარისკაცებივით ჩაწყობილ მუსიკოსებს და ირგვლივ მოჯარულ ბრბოს. რომელშიაც ქმრიც დალანდა, მარია მიხვდა, რომ ეს უკანასკნელი წლები საკუთარი თავის გამართლება იყო მხოლოდ, საკუთარი თავის ჯიბრი და რაღაც სხვა შემაშინებელი სურვილი—ერთგულებისა და სიყვარულის თვითჩაგონებით დაეთრგუნა საკუთარი მარცხისა და უმუსურობის შეგნება, რომელიც ქმართან ცხოვრების მთელ მანძილზე არ შორდებოდა, მაშინაც კი არა, გარყვნილი, კახპა ქალის ყალბი ვნებით რომ ეძლეოდა ქმრის გაუბედავ, თავშეკავებულ სურვილს. ეს შურისძიება იყო, შურისძიება ქმარზე და ყველაფერზე, რაიც უცხო, უკვე მიუწვდომელ ცხოვრებად ეგულებოდა. სადღაც სხვაგან. და შვილიც, ძალიან გვიან რომ გაუჩნდათ, ამ შურისძიების საყრდენად ესახებოდა. სამუშაოდან დაბრუნებული ქმრის ფეხის ხმას რომ გაიგონებდა, უცნაური გაბოროტებით და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არწევდა ხოლმე აკვანს, სიმღერას წამოიწყებდა და... ღმერთო! რაოდენ ავ სიამოვნებას გვრიდა ამ ხმაში წამოძალებული ჯიბრის, ზიზღის, დედური სიყვარულისა და სიამაყის გამაერთიანებელი ენი. და მერე, შვილის სიკვდილის შემდეგ, ყველაზე მეტად ეს ჩვეულებრივ სიმღერა აკლდა მარიას, მტკივნეულ სიცარიელედ ბუდობდა მის არსებაში და მედამ ანიშნებდა რაღაც უფრო დიდისა და აუნაზღაურებელის დაკარგვას, ვიდრე შვილი იყო...

ყველაფერი ეს ახლა შორ, სხვისეულ სამყაროდ თვლემდა და მხოლოდ ზოგჯერ გაჰკენწლავდა მისი ლანდური გაელვება დანაშაულად თუ სინდისის ქენჯნად.

გუშინ კი... რა იყო ის უცნაური სურვილი? რატომ უნდოდა ყველას გაეგონა, თუ როგორ დაუძახებდა ქმარი მაშინ, როცა იმ ხალისიანი ბიჭების მომეტებული ყურადღება ჯერ განუცდელ კმაყოფილებას გვრიდა და სირცხვილნარევი სიამით უღვიძებდა რაღაც ისეთს, რისთვისაც სახელის დარქმევა მაშინ ასე ძლიერ აშინებდა. რატომ ვერ მიხვდა იმ წუთსვე, რომ ყველაფერი, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, ერთსა და იმავეს ანიშნებდა, ყველაფერი უპირისპირდებოდა ჯერ უცნობს, მაგრამ გუმანით მისაწვდომს... გაახსენდა ქერათმიანის მზერა, დაბალი ბიჭის ბავშვური სახე, რომელსაც ყველაზე უფრო აკვირდებოდა გუშინ და მუდამ ამჩნევდა ერთ სურვილს — რაიმე ეხუმრა და ამ ხუმრობით მიეპყრო ქალის ყურადღება. გაახსენდა ბიჭების უდარდელი სიხალისე და ქმრის უეცარი შეცბუნება... ახლა ნელ-ნელა ყველაფერი იბინდებოდა გონებაში და მის არსებას ეუფლებოდა ერთი სასოწარმკვეთელი აზრი: გუშინ მამაკაცები კი არ ეთამაშებოდნენ, — რაღაც სხვა, უსქესო და უსხეულო არსება აწონებდა თავს! რაღაც უხილავი უსირცხვილოდ ეჯიბრებოდა იმას, რაც ამ ერთსართულიანი სახლის კედლებში ეგულებოდა!.. მარია არ იყო ქალი, არც სახლის პატრონი (ბიჭები არც ამ უპირატესობას უტოვებდნენ!) იგი მხოლოდ და მხოლოდ მგრძნობიარე არსება იყო, რომელსაც უნდა გასცინებოდა, გაოცებულიყო, დამახსოვრებოდა ეს უცხო ბიჭები. ამ დამახსოვრებით უნდა მიეცა მათთვის ის, რაც თვითონ მას ყველაზე უფრო სჭირდებოდა. მარიამ არ იცოდა, რა იყო ეს „ის", მაგრამ იგრძნო, რომ იგი არსებობდა, როგორც ძვირფასი და ჰაერივით საჭირო ნივთი, ნივთი კი არა, ნამსხვრევები მისი, უხილავი, ყველგან გაბნეული და საეჭვო. და მან იგრძნო შური და სიძულვილი, და კიდევ უცხო ბორიტი სურვილი, რომლის აზრი მხოლოდ ახლა შიშით გაასაცნაურა:

იგი ანადგურებდა იმ. უხილავს!

რატომ არ დაუძახა ქმარმა, თორემ მარია წავიდოდა, შევიდოდა სახლში, მორჩილად გაჩერდებოდა მის წინაშე და ბიჭების თვალწინ ეტყოდა... რას ეტყოდა?...

და რაღაც დაიძრა მდორე, მძიმე ნისლივით, ძალიან შორიდან წამოვიდა. ეს მისი ცხოვრება მოედინებოდა, მისი წარსული და აწმყო...

—წავიდეთ! — დაუძახა ქმარს. ახლაღა დაინახა, რომ მასთან მაღალი კაცი იდგა და თავაზიანი ღიმილით თხოვდა რაღაცას. მერე თავი დაუკრა და დაიხარა. ხელში მოუკიდებელი სიგარეტი ეჭირა. მარიამ ქმარს შეხედა, მისი მზერაც დაიჭირა და მაშინვე, თითქოს ამ მზერის შერცხვაო, ქმარმა თვალი მოარიდა და უკვე დახრილ კაცს ანთებული სიგარეტი შეაგება. სასიამოვნო წინაურძნობამ გაჭკა მარიას, ქმრისაკენ წავიდა, წამით შეყოვნდა მასთან, მერე გასცდა და შორიახლო გაჩერდა. ქმარი განგებ აჭიანურებდა, სიგარეტს აწვალებდა, ერთხელ მოაცილა კიდეც. ღრმად მოქაჩა, ფერფლს სული შეუბერა და ნელა მიაწოდა მაღალ კაცს, თან მარიასაკენ გამოიხედა. მარია საგანგებო ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა, მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე უკმაყოფილოდ შეიშმუხნა სახე, მოუთმენლად აცმუკდა ადგილზე, უნდოდა მზერით აათვალიერა მაღალი კაცი და ქმარს გაუღიმა. ქმარმა მხარი აიჩეჩა, რა ჩემი ბრალიაო, და ისევ მაღალ კაცს შეხედა.

— გმადლობთ — თავი დაუკრა მაღალმა კაცმა.

ქმარმა სიგარეტი პირში გაიჩარა და მარიისაკენ მობრუნდა. მაღალი კაცი ჩქარი ნაბიჯებით წავიდა და ნელა მიმავალ ორ მამაკაცს წამოეწია.

— რა ამბავია, — უთხრა მარიამ ქმარს.

— რას იზამ, უნდა მოუკიდო.

— აუცილებლად უნდა მოუკიდო!

— აუცილებლად.

— თუკი გეჩქარება?

— სად გეჩქარება?

— არა, ისე, იქნებ გეჩქარება.

— მაინც უნდა მოუკიდო, ასეთია წესი.

— ოჰ, ეს კაცები, — ამოიოხრა მარიამ და ქმარს ხელკავი გაუკეთა.

— ხანდახან არც მე მაქვს ასანთი და ასე. ვუკიდებ ხოლმე. იქნებ ეჩქარებათ კიდეც, მაგრამ ჩერდებიან. სხვანაირად არ შეიძლება.

— რა არ შეიძლება, რომ არ მოსწეოთ?

კაცმა ხმამაღლა გაიცინა და მარიამ იგრძნო, როგორ ჩაედვარა მკერდში თბილი, სევდანარევი ტალღა.

— იცინე, იცინე, სულს ამოგხდის და ნახავ მერე. კარგად გაიცინებ.

— გაჩერდი ახლა.

— გაჩერებული არა ვარ: მაგ პაპიროსსა დაახრჩო ტიტე. შენი თვალით მაინც არ გენახა.

— რასაც ტიტე ეწეოდა...

— ოჰ, ეს კაცები. — ისევ ამოიოხრა მარიამ.

— ნაყინს ხომ არ მიირთმევ?

— არ მინდა შენი ნაყინი!

კაცმა ისევ ხმამაღლა გაიცინა. მარია შკლავზე მიეხუტა.

— რაც გინდა ის ქენი, მე რა მენაღვლება.

ჩაბნელებულ ხეივანში შევიდნენ. აქ ძლივსღა სწვდებოდა ორკესტრის ხმა და შადრევნის შხუილიც ფოთლების ჩუმი შრიალივით ისმოდა.

— მართლა ზღვისპირზე მიგდივართ?

— არ გავიდეთ?

— პორტში გავიდეთ.

— ოღონდ ზღვისპირს გავუყვეთ. — თქვა კაცმა.

...შორეული ფანრების შუქით განათებული ნაპირი ფარდასავით აეფარა მიღმეულ არეს და ამიტომ ჯერ სხეულმა იგრძნო ღამეული ზღვის სიახლოვე — ბუმბულივით ამსუბუქდა, შექანდა და წონასწორობა დაკარგა. მარია ქმარს მიეკრო...

— თბილა — თქვა წყნარად და თვითონვე შენიშნა, როგორ გამოქონა ათრთოლებულ ხმაში უცნაური ძალით მოჭარბებულმა ვნებამ. მაშინვე ისიც გაიგონა, როგორ გადაყლაპა ქმარმა ყელში მობჯენილი გორგალი და უჩვეულოდ მოგუდული ხმით თქვა:

— შემოდგომაზე იცის ასე.

— გაწვიმდება, თბილი ქარი უბერავს.

— სადაა ქარი...

— რას ამბობს ეს კაცი, უჰ! — ...მარიას ქარისაგან თუ ხელახლა მოძალებული უცხო სურვილისაგან გააყრიელა.

— ეგ რა ქარია, — თქვა კაცმა.

უკვე ალაგ-ალაგ ბნელში მოლიცლიცე ზღვასაც ხედავდნენ და წყლის წყნარი ტლაშუნიც ესმოდათ სულ ახლოს.

რაღაც ატკაცუნდა, ჩაბნელებულ გარემოს ფერი გაუკრთა და პროჟექტორის თვალისმომჭრელმა მკვდარმა სინათლემ გაჰკვეთა ჩაღამებული სივრცე. კაშკაშა სეეტი წამით ჩალუსკუმებულ ცას შეეყუდა, ელვისუმალ მოხაზა იგი, გზადაგზა საავდრო ღრუბლების ნაფლეთები გაამეღვანა და ისე ახლოს ჩამოიტანა, ქალს მოეჩვენა, ხელის გაწვდენაღა აშორებდა იმ ღრუბლებამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე წყლის ზედაპირს განერთხო ეს სვეტი და ტკაცანითა და ბზუილით აკანკალდა. ერთბაშად დავიწროვდა იქაურობა, კაშკაშა სინათლის მეტი აღარაფერი აღარ არსებობდა და ყველაფერი რაც ამ სინათლეს გაამქღავნა: ნაპირზე კანტიკუნტად გაბნეული წყვილება, საჩრდილობლები და გასახდელები, აკრძალული ზონის აღმნიშვნელი ტიტეგები და მაშველის კოშკი, თითქოს შუშის მყიფე საგნები იყო და ხელის ოდნავ მიკარებაზეც დაიმსხვრეოდნენ.

აუარებელი მწერი დაფრინავდა წყალზე, უაზრო ზიგზაგებს ხაზავდნენ ჰაერში, დახტოდნენ და წყალში ცვივოდნენ. წამიწამ ბრჭყვიალა წინწკლები კრთებოდა ზღვის დახორკლილ ზედაპირზე, ვერცხლისფერი ლიფსიტებივით ციმციმებდნენ და მარიამ ტიტველ სხეულზე იგრძნო იმ ლიფსიტების ცივი ჟრუანტელი. თითქოს გარეთ, იმ დახორკლილ ზედაპირზე დაიბადა სიცილის დაუოკებელი ჟინი. იმისმა უცაბედმა შეგნებამ, რომ თვითონ და მისი ქმარიც ასევე საჩინონი გახდნენ სხვებისათვის, ჯერარგანცდილი სიხარულით აღავსო, ყელში რაღაც მოებჯინა და კინაღამ იყვირა: „მიშა, მიშა!“ ....უკვე იმას აღარ უკვირდებოდა, რა ძალა იყო, ასე რომ აღაგზნო, მთელი არსებით რომ აიტაცა და ადგილზე აღარ, დააყენა! — თითქოს რაღაც დაინახო, წინ გავარდა, თმილი, სულისშემხუთავი ქარი მოეხვია ტანზე, კაბის კალთები აუფათქუნა, ბარძაყებზე შეუღიტინა... მარიამ ნაბიჯს აუჩქარა, თითქმის მირბოდა სილიან ნაპირზე და მოეჩვენა, რომ ქმარიც მისდევდა — სუნთქვა შეიკრა და მთლად გაფაციცდა იმ წამის მოლოდინში, როცა ქმრის ხელები შეეხებოდა, უნებლიეთ აიწურა მხრები, — თითქოს უკვე შეეხო ის ხელები, შედგა და სხარტად მოტრიალდა. კაცი ისევ ისე იდგა, ზურგი ზღვისაკენ მიეშვირა, სიგარეტს უკიდებდა... და რაღაც მოსწყდა მარიას აღტყინებას, რაღაც მძიმე და ცივ ბურთულასავით ჩაუგორდა გულში, როცა ყვითელი ალით აციმციმებული ქმრის სახე დაინახა, აქანრწანად ნაცნობი და შეჩვეული სახე. მყესეულად გადაუქანდა გონებაში ძალიან შორიდან მომავალი სულარსებული სინანულის ლანდი, მაგრამ მაშინვე გადაიკარგა და მარია ვერ მიხვდა, რამ მოუდუნა სახსრები ასე მომთენთავი ნეტარებით, ამ გაელვებულმა გრძნობამ, თმილმა ქარმა, რაღაც დაუოკებელმა სურვილმა თუ ყველაფერმა ერთად, თავის შეკავება აღარც უცდია, ნელნელა ჩაიკეცა, სილაში ჩაჯდა და სახე თმილ ქარს მიუშვირა. ერთხანს ასე იჯდა და თმილ სილას ეფერებოდა თითებით. — „ღმერთო!“ — მთელი შინაგანი ხმით ამოტანა მარიამ და მერე, თითქოს ამ ხმის გაგონება უნდაო, ძალდატანებით ხმამაღლა გაიმეორა — „ღმერთო ჩემო!“... მუხლები მოხარა და სილაზე გადაწვა. ქარი შემოეხვია და უბეში შეუღიტინა. თვალები დახუჭა. თმილი ნაპირი ჰამაკივით დაეკიდა სიერცეში და ნელა დაირწა. კარგახანს ირწეოდა ასე. და სწორედ მაშინ, როცა ნეტარებისმომგვრელი მოლოდინით გაბრუებული არსება მისი ჯერარგანცდილ გრძნობად იცსდებდა ქმრის სხეულს სიახლოვეს და რაღაც სხვა, ახალი ცხოვრების აღმქმი ივსებოდა, სხეული უცაბედად დამძიმდა და ჩამოვარდა. მარიამ თავი წამოსწია და თვალი შეასწრო, როგორ შეიწოვა შორეულმა კონცხმა სინათლის უკანასკნელი ნაფლეთი. ზღვაზე ჩამობნელდა.

ადგა, კაბის კალთა ჩამოიფერთხა. ქმარი ორიოდე ნაბიჯზე იდგა. — ადექი? — კაცს სიტყვა ყელში გაეჩხირა, ძლივსღა ამოისუნთქა, ჩაახველა და უკვე მეტისმეტად ხმამაღლა მოუვიდა — ადექი?

მარიას გაეცინა.

— გაცივდები. — უთხრა კაცმა და ქალი მიხვდა, რომ ქმარს თვითონვე ეუხერხულა თავისი ნათქვამი, ოდნავი სიბრალულისა თუ დანაშაულის შეგნებამ გაჭკნწლა, მერე უფრო ცხადად

იგრძხო ეს დანაშაული და კინაღამ წამოსცდა: „მაპატიე!“, მაგრამ უხმოდ შებრუნდა და წავიდა.

მოშორებით, ზღვაში შეჭრილი ხიმინჯის კიდეზე ადამიანის მრუდე სილუეტი ილანდებოდა. უცნაურად სწევდა ხელს, თითებსწვერებზე დგებოდა.

— რას შვრება ის კაცი... — თქვა მარიამ და მაშინვე მეორე სილუეტიც დაინახა.

— რომელი?

— ეეე....

— მეთევზე იქნება, — ქმარი ერთხანს იდგა და სილუეტებს აკვირდებოდა, მერე, თითქოს ამ ალმოჩენამ გაახარო, ხმამაღლა დაადასტურა — მეთევზეა, თევზს იჭერს!

მარიამ გაოცებით მოხედა ქმარს, მერე ისე სილუეტებს დაუკვირდა და მაშინვე, სრულიად უმიზეზოდ, მიხვდა, რომ ის, რაიც ახლაც გახსენებისა და გაცნობიერების სურვილით აწვალებდა და რასაც მის საკუთარ ცხოვრებაში ეძებდა დაძაბული გონება, სადღაც სხვაგან, გარე სამყაროში იდო. შემკრთალი ისევ ქმრისაკენ მიბრუნდა, მოაგონდა, კაცმა რაღაც რომ თქვა და ეს უკანასკნელი ხელმოსაჭიდიც რომ არ გამოსცლოდა, სწრაფად ჰკითხა:

— რა თქვი?

ქმარი უკვე ხიმინჯებისაკენ მიდიოდა და მარიას შეკითხვა არ გაუგონია. მარია ერთხანს უძრავად იდგა. ყოყმანობდა და მერე ქმარს მიჰყვა. კაცი ხიმინჯზე ახტა, გადმოიხარა და ხელი გამოუწოდა. მარია არ განძრეულა.

— ამოდი. — მოსწია კაცმა. მარია ისევ გაჯიქებული იდგა.

— ამოდი ახლა! — ვითომ გაჯავრდა კაცი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოსწია მკლავზე. მარიას გაეცინა.

— მოიცა, ჰო, მომძვრა ხელი. — ცალი ფეხი შედგა, კაცის ხელს დაეკონწიალა და ძლივს ავიდა.

— რა გუნებაზე ხარ... — თქვა კაცმა თავისთვის.

ჩაღამებული ცა და ზღვა ერთიმეორეში იყო ათქვეფილი და ჰორიზონტის მკვეთრი ზოლი თოკივით ეკიდა ბნელ სივრცეში. მეთევზე უშველებელ ქანდაკებასავით გაშეშებულიყო ხიმინჯის კიდეზე, ხელი წინ გაეშვირა, თითქოს იმ, ზედ ცხვირწინ გაჭიმული თოკს ჩაფრენოდა, რომ უძირო სიმრუმეში არ დანთქმულიყო და ამ იდუმალი აზრით გაყინული სურათის ხილვისას მარიას გაშეშდა! მუდარით შეხედა ქმარს, თითქოს მას სთხოვდა იმ დამამცირებელი ეშვის გაფანტვას, რომელმაც ასე შტკივნეული სირცხვილის გრძნობით გაამხილა თავისი არსებობა, წინაღმდეგობის უნარი წაართვა და დააოსა. თითქოს უკანასკნელი ცდის უფლებას უთმობდა კაცს, კიდევ ერთხელ აძლევდა საშუალებას როგორმე მას გადაერჩინა ის, რაცა გადარჩენისათვის ბრძოლის უნარი თვითონ საბოლოოდ დაჰკარგა. მიხვდა, რომ ეს თავისმართლება იყო, თავის დაზღვევის დამამცირებელი სურვილი, საკუთარ სინდისთან კოტაობა და უფრო უარესი — ერთდროული შიშიც და მუხანათური სიხარულიც იმ დედაკაცისა, რომლის ქმარიც მისი მიზეზით დუელში გაიწვიეს. მარია გრძნობდა ახლა ამ უჩინარი მეტოქის ცხადლივ არსებობას და ეს უჩინარობა, უფრო მეტი განგაშით ავსებდა, სინანულით ახსენებდა ყოველივეს, რაც მთელ გზაზე მოჰყვებოდა — სახლიდან ამ მეთევზემდე, ისევ გაუნძრევლად რომ იჯდა ჰორიზონტის შავ თოკზე ჩამოკიდებული. და ამიტომ:

— ანკესი სადა აქვს? — ჰკითხა ქმარს.

— ხელში უჭირავს.

— ჯოხი?

— რად უნდა ჯოხი, მაინც ვერ დაინახავს ამ სიბნელეში.

— ჯოხს?

— ტივტივას. ღამე ასე უნდა თევზაობა.

— შენ რა იცი?

— მეც მითევზავია ოდესღაც, ახალგაზრდობაში. — მარიას გაეცინა და

მკლავზე მიეხუტა. ქმარი მეთევზესთან მივიდა.

— გაუმარჯოს! — შეეხმიანა ძმაკაცურად.

მეთევზე არც შეტოკებულა და არც ხმა ამოუღია.

— როგორაა საქმე? — ისევ ხალისიანად ჰკითხა კაცმა, — მოდის?... მეთევზე უჩუმრად იჯდა.

კაცი ერთხანს ადგილს ტკეპნიდა, მერე გადაიწია და წყალს გადახედა.

— არ ჩანს. — უთხრა მარიას.

— ჰო...

ქმარი ჩაცუცქდა, პატარა თეთრი თევზი აიღო და მარიას გაუწოდა.

— დაუჭერია, ხომ იცი!

— გაუშვი! — უთხრა ბიჭმა. მეთევზემ თავი მოაბრუნა, მერე ისევ ზღვას გახედა და ხმაურით გადააპურჭყა. კაცმა თევზი შეათამაშა, თითქოს წრეებზე და ისევ ადგილზე დადო.

— რით იჭერთ? — ჰკითხა ბიჭს. ბიჭი მიბრუნდა და წყალში გადააპურჭყა. მერე დაიხარა და რაღაც მოსინჯა ხიმინჯის კიდეზე. მეთევზემ ხელი შეატოკა და ისევ გაქვავდა.

— წავიდეთ სახლში, — უთხრა მარიამ ქმარს, — დავიღალე. — ქმარი წამოდგა.

— ძველო! — გაეხუმრა ბიჭს და ხელი გასწია, უნდოდა თავზე გადაესვა. მარიას გული გაეყინა!

— იი — შეუღრინა ბიჭმა, თავი მოაბრუნა და მარიას შეხედა. ქალმა გაუღიმა. გული დასწყდა, რომ ბიჭი ვერ დაინახავდა ამ ღიმილს სიბნელეში...

— წავიდეთ — ისევ უთხრა ქმარს და მიბრუნდა. გაიგონა, როგორ გადაპურჭყა მეთევზემ.

ნანა ჯანელიძე

შვიდფერი ცისარტყელა

მარტი იდგა. წვრილად ცრიდა. სუსხიანი ქარი ძალ-რბილში ატანდა. მაიკო ტროლეიბუსის გაჩერებაზე იცდიდა. საშინელ გუნებაზე იყო. ვერავის ვერ იტანდა. ვერ იტანდა საკუთარ თავს, ამ ხალხს, წვიმისაგან და სიცივისაგან აბუზულები რომ იდგნენ, ვერ იტანდა ტროლეიბუსებს, ამდენს რომ აგვიანებდნენ... და გიასაც ვერ იტანდა. ეხლა უნდოდა მტკვარში გადამხტარიყო. იქ სიგრილე, სიჩუმე და სიწყნარეა. არა, თავის დახრჩობა კი არ უნდოდა. უბრალოდ დაღლილი იყო, საოცრად დაღლილი. უნდოდა ცოტახანს დაესვენა ბნელ, ყუდრო წიაღში.

სახლში წასვლა ეზარებოდა. შევიდოდა თუ არა, დაიწყებოდა იმწამსვე: სად იყავი? გარეთ რა ამბავია? რატომ ხარ ცუდ ხასიათზე? ასეთი გულჩათხრობილი ბავშვის მნახველი არა ვარ, და ასე შემდეგ.

ნუთუ კაცს უფლება არა აქვს ცუდ ხასიათზე იყოს? თუ ეს მარტო დიდებს ეხებათ? რატომღაც მშობლებს ჰგონიათ, რომ ბავშვებს არაფერი არ აწუხებთ და თუ რამდენჯერმე დაფიქრებული გნახეს, გთავდა: ეს რა საუკუნეში ვცხოვრობთ, ბავშვები ადრე მწიფდებიან, გულჩათხრობილნი არიან. მშობლებს არაფერს არ ეუბნებიან, დიდებს არ უჯერებენ... დიდებს ავიწყდებათ თავიანთი ბავშვობა, ისე იქცევიან, თითქოს პირდაპირ დიდებად დაიბადნენ.

...ამ ბოლო დროს მაიკო ხშირად იყო მოწყენილი. ამას ალბათ ამინდიც უწყობდა ხელს, ნაცრისფერი, წვიმიანი დღეები უშნოდ მიიზლაზნებოდნენ. ასეთ დღეებში მაიკო სკოლიდან უმოკლესი გზით ბრუნდებოდა შინ, არ უყვარდა ამ დროს ქუჩაში გამოსვლა. რუსთაველზე სეირნობას ხომ სულ ვერ იტანდა. თავი მახინჯად მიაჩნდა; ადამიანებსაც ამრეზილად უყურებდა. ასეთი რამ ადრეც დამართნია.

ერთხელ ვიღაცამ უთხრა, თუ შხაპუნა წვიმის დროს შვიდფერა ცისარტყელას დაინახავ, ბედნიერებას და სიხარულს მოგიტანსო. მაიკომ მაშინ ამის მთქმელს არ დაუჯერა, მერე კი ნატრობდა ენახა ეს ბედნიერი ცისარტყელა, მაგრამ იგი არა და არ ჩანდა.

ახლა კი მაიკო დაღლილი იყო, არავის არ უყურებდა. ფიქრობდა, მახინჯი ვარო. ტროლეიბუსი გაჩერდა. იქიდან ვიღაც მოღიმარე გოგონებთან ერთად გია გადმოვიდა.

მაიკომ გია რომ დაინახა, მიტრიალდა და წავიდა.

მზე ზენიტში იდგა. ყვითელი, მცხუნვარე სხივები ირგვლივ ყველაფერს ხრეკავდა და გიგანტურ გვიმრებს დაკორძილი ტოტები ზევით მზისკენ აღემართოთ, თითქოს რაღაცას ევედრებიანო მნათობს. ხეები ერთმანეთში გადაკვანძულიყვნენ და გაუვალ ტევრს ქმნიდნენ. ერთ ძირფესვიანად ამოთხრილ ხესთან, დინოზავრი კვდებოდა. მეტოქესთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი ვეება ცხოველი ხროტინით ღაფავდა სულს. შორს, ჰორიზონტისკენ დინოზავრების ქარავანი მიიწევდა. დინოზავრები ტოვებდნენ ამ ადგილებს. დაჭრილმა ერთხელ კიდევ წამოიწია, თითქმის ჰორიზონტს მოფარებულ, ამ ვეება ცხოველებს შეხედა, რომელნიც ნელა მიიწევდნენ წინ, უცნობი მხარეებისაკენ, შემდეგ მზეს მიაპყრო თვალები და გაქვავებული დაეცა...

...მაიკოს გამოეღვიძა. ღამის 3 საათი იქნებოდა. ყველას ეძინა. ლოგინზე წამოჯდა. სიზმარი იმდენად ცხადლივ ნახა, რომ იგრძნო მცხუნვარე მზის სხივების სიმწვავე. დინოზავრებიც სიცოცხლისთვის იბრძოდნენ და ამოწყდნენ... უცებ უსაზღვრო ბედნიერება იგრძნო. ფანჯარაში გაიხედა. მტკვრის ტალღები ქუჩის ფარნებს ირეკლავდა. ფარნების მოქანავე შუქზე რაღაც შავი ლაქები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. თითქოს ადამიანები ჩუმად მიეცურავდნენ და წყლიდან დროდადრო ჰყოფენო თავს.

მაიკომ თავის საყვარელ ქუჩას გახედა, მტკვრის მოპირდაპირე მხარეს. ქუჩაც ირეკლავდა ფანრებს და ამიტომ სულ გადათეთრებული იყო. ფანრები ზაფხულობით ხეების ფოთლებსაც ანათებდნენ და ეს ქუჩა უფრო ლამაზდებოდა. თეთრი გზა, მწვანე ფოთლები და მანქანების მორიალე წითელი შუქნიშნები. ზღაპრულ სამყაროში მიმავალ გზას გავდა ეს ქუჩა. დღისით კი ქუჩა საოცრად უბრალო იყო. მაიკომ იცოდა, რომ ღამის იდუმალებაში ყველაფერი გაცილებით ლამაზი ჩანდა.

ცა მოწმენდილი და ნათელი იყო. დიდი, ფერმკრთალი მთვარე ნაზად იყურებოდა. მაიკოს უსაზღვრო, თოვლივით დაფარული მინდორი წარმოუდგა თვალწინ...

...ყინავდა. ირგვლივ ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. ცა მოწმენდილი და ნათელი იყო. დიდი, ფერმკრთალი მთვარე თოვლით დაფარულ მინდორს ანათებდა. თოვლი მთვარის სხივებში თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. მინდორზე სამი მგელი შირბოდა: ერთი ძუ და ორი ხვადი. მგლები კარგა ხანი იყო, სულმოუთქმელად მიძუნ-ძულებდნენ. შიმშილს გაურბოდნენ. შუაში ძუ მგელი იყო. იმ ორზე ზორაა, ყურებდაცქვეტილი. იგი ისე მირბოდა, თითქოს დაღლა არ იცის რა არიო. გვერდით ხვადები მოსდევდნენ. ბებერი და ახალგაზრდა. ბებერს უქირდა, ძლივს სუნთქავდა, ფეხები ეკეცებოდა. ბოლოს დავარდა, წამოიწია, მაგრამ ახალგაზრდა დაახტა, ყელში ჩააფრინა და და უსულოდ დასცა. ძუძ ძირბიხა

ლეშთან, დაყნოსა, შემდეგ ჩაჯდა. თოვლით დფფარულ მინდორზე მგლების ბილის ამაზრზენნი, ველური სიმღერა გაისმა...

ისევ მირბოდნენ... უკვე ორნი...

ცა მოწმენდილი და ნათელი იყო. დიდი, ფერმკრთალი მთვარე ნაზად იყურებოდა. მაიკოს გია გაახსენდა. ნეტა რას აკეთებს, ძინავს? ან შეიძლება ჩემსავით ფანჯარაში იყურება და იმ გოგონაზე ფიქრობს?

გია მაიკოზე ბევრად უფროსი იყო. მას ერთი გოგონა უყვარდა. იმ გოგონასაც უყვარდა გია, მაგრამ ამას მაიკოსთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

მაიკოს ამხანაგები არ ჰყავდა. მას ჰქონდა თავისი პატარა სამყარო, რომელსაც სათუთად მალავდა, არავის არ ახედებდა შიგ, სულ პატარა ჭუჭრუტანაშიც კი, გიასთვის კი შეიძლება ჩაეხედებინა, მაგრამ...

გია მაიკოს ქუჩაში ორ თვეში ერთხელ თუ შეხვდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ მაიკოს გარეთ გამოსვლა არ უყვარდა. შეხვდებოდა გია და მაიკოს ისევე ექცეოდა, როგორც სხვა გოგონებს, თუმცა არა, მაიკო ხომ გიაზე ბევრად უმცროსი იყო. გია კი მას უფროსსავით ელაპარაკებოდა. სრულიად უმნიშვნელო რამეებზე ლაპარაკობდნენ, მაიკოს კი იმდენი უნდოდა ეამბნა გიასთვის, მაგრამ თავმოყვარეობა უფლებას არ აძლევდა, ამიტომ დუმდა. გიასთან შეხვედრა მაიკოსთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. დანარჩენი ორი თვე სულ იმ შეხვედრას იხსენებდა.

მაიკო ხშირად ოცნებობდა, საღამოს, დაწვებოდა თუ არა, გიას უყვებოდა ვითომ ყველაფერს. გია მაიკოს პატარა სამყაროში უახლოესი მეგობარი იყო. მაგრამ ეს მაიკოს ოცნებაში. სინამდვილეში არა. ხანდახან პირიქით, ვერ იტანდა გიას. თუ გოგონებთან დაინახავდა, ისე გაივლიდა, ვითომ ვერ ხედავდა.

გიამ კი იცოდა, რომ მაიკო ბავშვი იყო...

— გია, დინოზავრები დაგსაზრეულია?

გია გაკვირვებული შემოტრიალდა. მაიკო ოდნავ ფერმკრთალი იყო. ისევაც მუქი თვალები უფრო გამუქებოდა. გიამ ჩახედა მაიკოს ამ თვალებში და ყველაფერს მიხვდა. ცა მოღრუბლული იყო. მაიკოს წვიმის პირველი წვეთი დაეცა სახეზე. ცრემლის თუ წვიმის წვეთი ნელა მოცოცავდა მაიკოს ლოყაზე. გიამ ფრთხილად, თითქოს ეშინოდა ამ ნაზ არსებას რამე არ მოსვლოდა, თითით მოაშორა წვეთი. მაიკო კი იდგა და გიას თვალებში უყურებდა, გიას დიდი, ლურჯი თვალები ჰქონდა. ამ თვალებში კი პატარა მაიკო იდგა, ოდნავ ფერმკრთალი და უსუსური...

გიას გაეღიმა

— კი მაიკო, დინოზავრები დამსიზმრებია. შენ კი პატარა, კარგი სულელი მაკაო ხარ...

მაიკომ გაიღიმა, მიტრიალდა და წავიდა

შხაპუნა წვიმა წამოვიდა.

მაიკო კი მიდიოდა და უნდოდა ეცეკვა, ემღერა, ყველა ძალიან უყვარდა...

მაღაზიებში და სადარბაზოებში შეყუჟული ხალხი გაკვირვებული უყურებდა მაღალ, ლამაზ, თხელ გოგონას, რომელიც შუა ქუჩაში მოდიოდა. გოგონას პალტო გაეხსნა, ენით წვიმის წვეთებს იშერდა და მღეროდა. მაიკო მღეროდა დინოზავრზე, რომელიც კვდებოდა, თოვლიან მინდორზე და პირველყოფილ გოგონაზე, რომელიც აი ასე წვიმაში მიდიოდა და ენით უმარილო წყლის წვეთებს იშერდა...

აბუზული, გაბრაზებული გამელელები თვალს აყოლებდნენ მაიკოს და იღიმებოდნენ.

მაიკომ გაიცინა...

შორს, მტკვარს, რკალად შეიღფერი ცისარტყელა გადაჭდობოდა.

ლადო კოკაია

რგოლები აკაციის გადანაჭერზე

ჩვენი ეზოს მიღმა, ტროტუარის გაყოლებაზე, გზის პირას სამი აკაცია იდგა. ერთი ხნისანი იყვნენ და ერთმანეთისაგან სიმსხო-სიმაღლით განსხვავდებოდნენ, ერთი პატარა იყო, მეორე ცოტა დიდი, მესამე, ჭიშკართან რომ იდგა, მაღალი და ტანშსხვილი, აქა-იქ გამხმარი ტოტებიც ერია, ყვავილებსაც ცოტას ისხამდა და ფუტკრებიც არ ეტანებოდნენ.

პატარა აკაციის ავტომანქანა დაეჯახა, გადატეხა და გახმა. მეორის ადგილი ელექტრონის ბოძმა დაიკავა, არც მესამეს ადგა კარგი დღე, მის თავზე ელექტრონის, რადიოსა და ტელეფონის ხაზები გადიოდა, ამიტომ საქმეს უშირებდა ელექტრომეურნეობის მუშაკებს. ქარში ხაზებს აზიანებდა.

— მოსჭერით, რა ოხრად გინდათ ეს აკაცია! — ამბობდნენ ისინი.

ბებია სასტიკი წინააღმდეგი იყო:

— ბაბუაშვილის დარგულია, შვილო — მეტყოდა ხოლმე.

გაზაფხულზე ბებია სოფელში წავიდა, აკაციამ კი აპრილში გადაჭრილი ტოტები აიყარა და ერთ ქარიან დღეს მავთულები ისევ დაწყვიტა.

მამამ აკაცია მოჭრა.

ბებია შემოდგომაზე ჩამოვიდა. მანქანიდან გადმოსვლისთანავე წამოიძახა:

— ვინ მოჭრა აკაცია?!

ბებიას თვალებზე ცრემლი შევნიშნე, შემეცოდა.

იმ მოჭრილი აკაციის პირდაპირ, ეზოში, მესრის ძირში, მაღე აკაციის ტყემ ამოხეთქა, ბებიამ ყველაზე ტანმაღალი შეარჩია და სხვები აჩეხა. აკაციას ძირი დაუბარა და სარზე მიაბა. პატარა აკაციამ მალე აიყარა ტანი.

მამამ მხერხავები მოიყვანა და აკაციის გადახერხვა დაავალა. ერთ-ერთ გადანახერხზე ოცდათერთმეტი რგოლი დავთვალე და ბებიას ვკითხე:

— როდის დარგო ბაბუამ ეს აკაცია?

ბებიამ თითებზე დაიწყო თვლა. მე დავასწარი:

— ოცდათერთმეტი წლის წინათ.

— ჰო, შვილო, იმ ავადმოსაგონარ წელს.

— მაშინ რამდენი წლის იყო მამაჩემი?

ბებიამ კვლავ თითები მოიშველია და მე ისევ დავასწარი:

— ჩემი ხნისა ყოფილა, ოცდათერთმეტი წლის მერე მეც მამისტოლა ვიქნები? როდის იქნება ეს?

— ეს პატარა აკაცია იმ დიდი აკაციის ტოლი რომ იქნება.

— მაგას არ გეუბნები, ბებია. ეგ ორიათას წელს იქნება. მეც ბაბუა ვიქნები მაშინ, ბებია?

— ჰო, შვილო.

— ორიათას წელს, — გავიმეორე ჩემთვის. — რა იქნება მაშინ?

ცას ავსედე, თითქოს ცისფრად მოქათქათე უსასრულობაში ვეძებდი პასუხს.

მართლაც როგორი იქნება ორი ათასი წლის პირველი იანვარი?

პატარა აკაციას გადავხედე. ის კი თითქოს არაფერი, გაზაფხულსა და ფუტკრებს ელოდა.

ჯაუნიკი

ნაილი ნეკერიშვილი

●

ეს გაუმარჯოს იმ გაზაფხულებს,
    რომელნიც ვნახეთ!
ეს გაუმარჯოს იმ გაზაფხულებს,
    რომელთაც ვნახავთ!
გადავფრინდები წლების უკან
    და წლების შემდეგ,
რომ მოწეული პური ჩემი,
შიმშილი ჩემი,
მჯეზე დავაგდო, როგორც ზაფხულის
    ცხელ კალოზე
გასალეწი თაველი ყანის,
და ჩემი ორი, ნიკორა ხარი
    კეკრში შევაბა:
ერთი — თეთრი და გარდასული,
მეორე — მწვანე!

●

კვლავ, გაზაფხულზე, სიყვარული
    მეწვევა ალბათ
რბილი და მწვანე,
შემომეცლება ტკივილი ზამთრის,
და ალვის ხეთა თეთრი ტანის
    მოფერებას მოვისურვილებ.
    კვლავ გაზაფხულზე,
ჩამეღვენთება სიძაბუნე მუხლის
    თავებში
და სურნელებით ავივსები
    ნუშის და ფშატის,
მომეჩვენება, რომ ძახილი,
    ჩუმი ძახილი
დაბუდებულა ყოველ კაცში,
და უჩინარი თაფლი წვეთავს
    ყოველი ხიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თუ სიყვარული ძვირფას ჭურჭელს
დამსგავსება
ნაზსა და სათუთს,
მე მას დამალავ ჩემი სულის მღვიმეთა
შორის ყველაზე ბნელში
და გამოკეტავ,
რომ ვერ შეეხოს უდიერი და
ტლანქი ხელი.

●

მე დავიბადე, რომ ტკივილით
შევიცნო ფერთა სახესხვაობა
და შევამჩნიო უნაზესი ხაზები ფოთლის,
რომ ცოტა-ცოტა სინაზე ყველას
ვარგუნო წილად.
გაშლილი ვიყო, როგორც სუფრა
კეთილი კაცის
და ვიღვრებოდე, როგორც სინათლე.

●

მე გადავღვარე ოქროს ტაშტიდან
სხივი და სხივი ჩემი სულისა,
მე გადავღვარე და ქვეყანას
გაუნაწილე.
მე გადავღვარე უანგაროდ,
უანგარიშოდ.
და კვლავ ავივსე, კვლავ
ავივსე
და უძღებ პეშვით
შევსვი სიკეთე მობოძებული
დაუთვლელად, გაუზომველად.
მე დავცალე და სხვას მივაწოდე
პირამდე სავსე,
მე დავცალე და სხვამ მომაწოდა.

●

მინდა მოვუხმო მედგარ არწივებს
ღურჯი მთებიდან,
მინდა შევკაზმო როგორც რაშები,
შორს, შორს წავიდე, როგორც
თეთრი ნისლი დილისა.
მინდა ტკივილი განვიშორო ჩემი სხეულის,
ლაღად ვისუნთქო და ქვეყანა
არ შევაწუხო.

●

ათასი ფიქრით მინდა გაგშორდე,
მაგრამ ათასჯერ კიდევ ათასით
გიახლოვდები,
როგორც მზეს მისდევს ბალახის ღერი
როცა ამოდის და როცა ჩადის...
ჩემი ფიქრებიც ისე დაგდევენ —
წყნარად და ნაზად, ისე ფაქიზად —
რომ სიზმარშიაც ვერ შეგაკრთობენ.

●

შორს გამიფრინდა ჭრელი ხოხობი —
სიმღერა ჩემი,
შორს გამიფრინდა და მიმატოვა.
უცხო ზმანებანი, ცივი ზმანებანი
ჩამიდგა სულში
და ჩემი ძველი, მხნე სიმღერის
სანაცვლოდ შემრჩა...
შორს გამიფრინდა ჭრელი ხოხობი —
სიკეთე ჩემი,
შორს გამიფრინდა და მიმატოვა.
ჰოიდა, გავედევნე და მივწვდი თითქმის,
ჰოიდა, გავედევნე და გამიფრინდა.

ზურაბ ხასაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხელ მესიგმერა
ჩემი ბავშვობა

წუხელ მესიზმრა: მძიმედ და მდორედ
დაბაჯბაჯებდნენ გზებზე დათვები
და ჩემი სოფლის პატარა გორაკს
მდინარის პირას ეწყო თათები.

ცაში ისროდა ჩიტებს ჩინარი,
ნელა სტოვებდა მზე წითელ ხეებს,
წითელ კბოდეებს, წითელ მდინარეს,
წითელ ველ-მინდვრებს და წითელ ცხენებს.

წუხელ მესიზმრა: ჩვილი ირემი,
გაშეშებული, როგორც ფიტული
და მოთენთილი კვამლის ფთილები
ცაზე ჩვრებივით ჩამოკიდული.

●

ბუხრის ყელიდან, ვით შადრევანი,
მოჩუხჩუხებდა ფიორა კვამლი
და გაზაფხულის უსაზღვრო ცაზე
იფანტებოდა მისი ბუმბული.
გაფოთლილ ხეში ცინცხალი წვეთი
ტოტიდან ტოტზე მოგზაურობდა.
და სოფლის თავზე მოარულ ძერას
ცის პაეროვან მკლავზე ეძინა.

●

დაღმართში ჩარბის ხეების რიგი,
ქარი ატირებს მთვარისფერ ჩალას
და შეწუხებულ ტყეების იქით
გაფითრებული ქედები ჩანან.

...მოვედი ჩუმად, ვით თოვლის ფიფქი
და ნაოცნებარ ღიმილით მხვდები
და ვხედავთ — რუსი ტყეების იქით
შიშვლდება ზამთრის მაღალი მხრები.

ბ ი ბ ო ნ ე ბ...

და მაღლდებოდა ქუჩებში თოვლი,
და ჩვენ ვთბებოდით თოვლის სიცივით.
ნაზი სითეთრით გვავსებდა თოვლი
კრიალა, როგორც შენი სიცილი...
...დღეს, თითქოს მარტო ჩემთვის გაჩენილს
ბიბონებს ფაქიზს, ჩუმს და გამგონეს
და ალაე-ალაგ თოვლის ნარჩენი
შენს აქ დარჩენილ სიცილს მაგონებს.

ალუდა არაგული
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევსურეთი

1

ცხენებს ვხედნიდი...
და მცირე იყო სამყარო ერცელი
ჩემი სულისთვის.
მხოლოდ მთები იდგნენ გარშემო.
და ნაბდისხელა ცა დამყურებდა
თავზე და მიწა,
სადაც მედგა ქერის ყანები,
მილიონჯერ იყო ნაკლები
ცაზე, რომელსაც შევცქეროდი
ჩემი ბინიდან:
მე ვერ ვიკმარე ეგ ცა და მიწა...
და სივრცე სულის მოსათქმელი,
რადგან არ მქონდა, —
გადავიტანე
ჩემი სიცოცხლე
სატევარზე და ცხენის ზურგზე.
და ცხენის ფლოქვებს
ეკიდა მთელი ჩემი სამყარო.

2

ცხენებს ვხედნიდი...
და უსივრცობით თავბრუდასხმული
ჭიხვინებდნენ
ჩემი ცხენები
და თვითონ სული
ჭიხვინებდა ცხენების დარად...
დიდო ველებო,
სივრცეების უსაზღვროებავ,
მუდამ განტრობდით
მხოლოდ მთები იდგნენ გარშემო...
და მაწუხებდა ყველაზე მეტად,
სივრცის და სულის
დარდი მარადი.

3

მოდის ბდინარე,
მილიონი იქნება წელი
და მიაქეს ჩემი ძვლების მტვერი
დიდ სივრცეებში.
მოდის არაგვი,
ზილიონი იქნება წელი...
დამალვინე შენი წყალი,
ბუერას პეშვით
და წაიღე ჩემი თვალები...

4

ცხენებს ვხედნიდი,
ხვალს ვიქნებდი,
ვხნავდი, ვთესავდი,
დიდი მხედარი,
მეომარი
და გუთნისდედა
სამივე ერთად ვიყავი... მზეო,
მომაფინე თბილი ნათელი.
შენი სხივებით
მწიფდებოდა ჩემი სხეული,
ჩემი ყანები
შენს ამოსვლას იხვეწებოდნენ.
ხარებს ვკლავდი შენს სადიდებლად,
შენი სხივებით განათებულ და გამთბარ
ქვებზე
მოსჩქეფდა სისხლი
და ხელებზე ვივლებდი მშვიდად.
მომაფინე თბილი ნათელი...

5

ჩემში ბევრი რამ იყო კეთილი,
ჩემში ბევრი რამ
იყო წმინდა და ხელუსლები
და მეწეოდა სული ზუდამ
იმ ქვეყნისაკენ,
სადაც იყვნენ ჩემი მოძმენი.
მაგრამ მთები იდგნენ გარშემო
და ჭიხვინებდა სული ცხენივით...
ჩემი თეთრი ურა ცხენები, —
დიდი ველების
ქარებს მარად დანატრებულნი,
თავებს ჰკიდებდნენ
და ზანტად, ზანტად მიირთმევდნენ
მომწყანო თივას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

მხოლოდ მთები იდგნენ გარშემო,
დიდო ვეღებო,
სივრცეებო,
მუდამ განტრობდით.
მე ვიდექი დაუმსობელი
ჩემს მიწაზე, ჩემს სამყაროში, —
მოძმისაკენ ვიწვდიდი ხელებს
და ჩემი სისხლი
ეადადიოდა წლებში და ხალხში.
თანდათანობით
ნელ-ნელა იკრებდა ძალას,
მიიწვედა,
მიირწეოდა როგორც მდინარე, —
ვეღებისკენ,
სივრცეებისკენ
და იზრდებოდა სამყარო ვრცელი,
რომელიც ადრე
ცხენის ფლოქვებს ეკიდა მხოლოდ...

7

დიდო ვეღებო,
სივრცეებო, მუდამ განტრობდით.
და მოვედი ბოლოსდაბოლოს,
თქვენთან მოვედი, —
მოვიტანე სავსე ძარღვები
მილიონი წლების მდინარით.
და ჩემი თმენით დაღლილი სული
ისვენებს... მზეო,
მომაფინე თბილი ნათელი...

მ ო გ ო ნ ე ბ ა

1

მამაჩემო.
ერთხელ, ერთ დილას,
ჩვენი დიდი წითელი ხარი
ნახირს წაყვა და უკან აღარ დაბრუნებულა...
სოფლის ტყეებში
დატანტალებს პატარა ბალღი
და მუშტებით იმშრალებს თვალებს,—
ხმელ ნეშოში ყოველ ნაბიჯზე ხმაურია ჩასაფრებული...

2

მამაჩემო,
ჟუჟუნა წვიმა
ნახნავებში დაიარება
და გვალვას კენკავს ჩვენი ყანიდან.
და ფეხშიშველი
დატანტალებს პატარა ბალღი,
შენი ხელიდან გადაგდებულ მარცვალს დაეძებს...

3

გადაიარეს,
მამაჩემო, ნისლებმა უკვე
საჩაღეზე გადაიარეს.
სოფლის შარაზე,
ტალახში, მშვიდად მიდის ბალღი
და გუბეებში
მზეს აბიჯებს და უკვირს ძლიერ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ათბობს ამხელა მიწას
მზე, რომელიც ასე პატარა გუბეებში კარგად თავსდება
და ვერ გაუთბო ფეხისგულები.

4

მამაჩემო,
ღვივდება თესლი...
ლურჯ ჯეჯილებში დაეძებენ ბალღები ჭიმას.
მერე მიდიან
სახლებში და ყველა პოულობს, —
პოულობს მამის ხელისგულებზე
მარცვალივით დაყრილ ბებერებს...
ჩვენს ყანაში დადიან ერთად
ჭუჭუნა წვიმა
და ფეხშიშველი პატარა ბალღი,
რომელიც გვიან,
ძალიან გვიან ბრუნდება სახლში...

5

მამაჩემო,
შენი ნახვა როგორ მინდოდა...

ელიზბარ ჯაველიძე

გურჯი ხათუნის (დედოფალი თამარის) და ჯელალედ-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან

„ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს საფლავს მიწაში ნე ეძებთ, განათლებული ხალხის გულებში ნოიპოვეთ იგი“.

ჯელალედ-დინ რუმი

XIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურმა მდგომარეობამ და აუცმა ყამოა ეითარებამ, განაპირობა დიდი თამარის შვილიშვილი, რუსუდანის ასული, თამარი სელჩუკიანთა სასულთნოს დედოფალი გამხდარიყო. ქრისტიანი, ლადად აღზრდილი, ქართველი მეფის ასულისათვის ისლამის სამყაროში ცხოვრება და მოდგაწეობა ძმიმე და არასასურველი უნდა ყოფილიყო. მაგრამ „სიტურფით-აღმატებულსა“ და „ქნნულკეთილსა“, გონებაგამჭრიახს და „შორსმჭვრეტელსა“, მტკიცე და უდრეკი ხასიათის მქონე თამარ დედოფალს, „რომელსაც სულთანი სახელად უწოდებდა გურჯი-ხათუნად“, უფრესად ეიდი ავტორიტეტი მოუპოვებია სულთანის კარზე. საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე თვალსაჩინო ადგილი დაუკავებია თავის ქვეტლომქმედებით, „ხათონებითა და უბიწოებით“, დიდსულოვნობით, „ღაბაკთა მფარველობითა“ და „ღვთის მოშიშობით“ თამარ დედოფალს იმდენად შორს გაუგია სახელი, რომ იგი ლეგენდებსა თე „წმინდათა ცხოვრების“ აღმწერი წყაროების თხრობის ობიექტად ქცეულა. „ქეყნიერების დედოფალს გურჯი ხათუნს“ (ასე იხსენიება ის სპარსულ წყაროში) მეზიდრო მეგობრობა და სულიერი კავშირი დაუმყარებია აღმოსავლეთის უდიდეს პოეტთან ჯელალედ-დინ რუმთისთან, რომელიც ამ დროისათვის სელჩუკთა სატახტო ქალაქში კონიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ზეგარეულებელია ჯელალედ-დინ რუმის გავლენა აღმოსავლური ფილოსოფიური თუ პოეტური აზროვნების განვითარებაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ქნნის აღმოსავლური ფილოსოფიური აზროვნების წყალგამყარ ქედს, რომლისგანაც სათავეს იღებს ბეშმარიტად მოაზროვნე აღმოსავლელ პოეტთა მთელი პლეადა, არ დარჩენილა საშეალო საუკუნეების არც ერთი აღმოსავლელი პოეტი, რომელსაც ამ უდიდესი „წმინდანის“ მეტნაკლები გავლენა არ განეცადოს... მას იცნობდნენ და ითაყვანებდნენ დასავლეთშიც. ჰეგელ თავის „ესთეტიკაში“ არავრთგზის იმოწმებს ჯელალედ-დინ რუმის[1], ხოლო „სულის ფილოსოფიაში“ მას „მშვენიერსა და აღმატებულ“ უწოდებს და თავს ვერ იკავებს, რომ არ დაიმოწმოს პოეტის ლექსების რუკეერტისეული თარგმანის მთელი ციკლი[2]. გოეთეც გარკვეული ადგილი და ყურადღება დუთმო ჯელალედ-დინ რუმის შემოქმედებას. მან თავის „ფასაღურ-აღმოსავლურ დივანში“ ჯელალედ-დინ რუმის მშვენიერი ოთხმეწყვრედი მოტანა ორივენალური ინტერპრეტაციით[3], ხოლო თავისი ტრფობის ობიექტს მარიანა იუნგის, დივანში ზელეიქად წოდებულს, განაჯენვენა ბაგენი და რუმის ბრძნული ფე ბეითი ათქმევინა[4]. დასავლეთის ამ ორი დიდი მოაზროვნის ყურადღება ჯელალედ-დინ რუ-

[1] Гегель. Лекции по эстетике. М., 1938. зз. 376-377...

[2] Гегель. «Философия духа». 1956. зз. 359-361.

[3] გოეთეს თხზულებანი, ათ ტომად, ტ. IX, ეიმბარი, 1962, зз. 85.

[4] იქვე, зз. 86.

შისადმი თავისთავად ნათლად მეტყველებს იმ დიდ რეზონანსზე, რომელიც პოეტის შემოქმედებით ნააზრევს გააჩნია.

ჯულალედ-დინ რუმის და დედოფალი თამარის ურთიერთობის შესახებ უკვე გამოქვეყნდა: პროფ. აკ. გაწერელიას საყურადღებო წერილი „დედოფალი თამარი („გულრეხ-ხათუნი“) და პოეტი ჯელალედ-დინ რუმი“ (ლიტერატურული გაზეთი, 1960, № 41, 42). ამ წერილში, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა ე. ა. გორდლევსკის ისტორიულ ნაშრომს **«Государство Сельджукидов малой азии,** Избр. соч., М. 1960, აკ. გაწერელია წერდა — „ულამაზეს და სრულქმნილ“ თამარ დედოფლის სულიერ და ფიზიკურ სიდიადეს ნათლად მოწმობს მისი მეგობრობა მეცენატობისა ლიმოსალელთის უდიდეს პოეტთან ჯელალედ-დინ რუმისთან“. ჩვენი წერილი მიზნად ისახავს გაარკვიოს, რა განსაკობიდან ქართველი დედოფლისა და სუფიური იდეების ტრფობის რუმის სულიერ მეგობრობას და, კერძოდ, როგორი იყო ეს ურთიერთობა, მაგრამ ვიდრე საკითხის არსს გავარკვევდეთ, გავეცნაცნინ ისტორიის ზოგიერთი ფურცელი.

თამარ დედოფალი იყო ასული რუსუდანისა და არზრუმის გამგებლის ტოღრილის ძის მოღოლ-ედ-დინისა. როგორც ცნობილია, ლაშა გიორგის გარდაცვალების შემდგომ გამეფებული რუსუდანი მეორედ დაქორწინდა მოღოლ-ედ-დინზე. ქამთა ალმწერელი მოგვითხრობს: „ამათ ქამთა შინა მოეყვანა მეფეს რუსუდანს ტოღრილის შვილი ძმეკალდ ერთგულნისათვის, რომელ იყო ჭმნელ ყეთილი და სრული ასაკითა, შუენერი ვუეამითა, მზე და ძლიერი ძალითა... რუსუდანმა „ინება ქმარად მიეყვანა მისი, რომელი აღარეოცა. და იქორწილა ტოღრილის შვილი, რომლისგან იშვა ასული-სიტურფე-ალმატუბული და უწოდა სახელი სანაბრელისა დედისა მათისა თამარ. და კეკლად მიეგება და შეა ძე, და უწოდა სახელი დავით. და კუალად ზრდიდა ძმისწულსა მისსა, ძესა ლაშა-გიორგისსა დაკვილ“ 5. ზემდგომში უკვე მოწოდებული თამარი დაიბადებოდა 1236-1237 წწ. მიათხოვეს სელჩუკეთის სულთანს ყიასედინ ქაიხოსროე II-ს (1236-1249). „ხოლო ვითარ აღიზარდა ასული მათი თამარ, — მოგვითხრობს ქამთადმწერელი, — ესმა საბერძნეთისა სულტანსა, ძესა ნუქარდინისსა, ყიასედინს. ქნნელ-ყეთილობა მეფის ასულისა, ევფორა ბრავალთა ნიჭითა და ძღუენთა მიერ, მისცეს ცოლად ასული მისი თამარ. და აღუთქეა... ფიცეთ არა დატეგება სჯულისა ქრისტეანეთასა. რომელ ისმინა შეეფმან რუსუდან, და მისცა ასული მისი სულტანსა ყიასედინს, რომელი-ესე უჯერო იყო ქრისტიანეთა მიერ. ესეცა ლო დიდითა ღიდებითა მისცა ყუელი ზითვადი“.[5]

ალმისაღლური წყაროები ამ ფაქტს სხვაგვარად გადმოგვცემენ. მაგალითად, იბნ-ბიბის ცნობით, რუსუდან დედოფალმა თვითონ შესთავაზა თავის ქალიშვილი ცოლად სელჩუკების სულთანს, რომლის ლაშქრობაც საქართველოს სახლეკრნი გადალახა და ზაჰი ისურეა: „როდესაც ამბაზთა დედოფალმან რუსუდანმა შეიტყო, სულთნის ლაშქრის შემოსევისა და რუმის სახელმწიფოს მეპრძოლთა გამოჩენის ამბავი, სიშფრდე დაკარგა, მოითათბირა და მიზანშეწონილად მიიჩნია, შვილიდობისნობის გზას დადგომოდა. მან მიმოწერა გამართა ამირ ქალალადინთან... ჩვენი თხოვნა მალე ალ-მეოსთან ისაა, რომ ნუ დალაშქრავს დანარჩენ მხარეებს და უზენაეს კარს ხელმწიფისას აეცნობს. ჩვენი სურვილი ზავის შესახებ. და თუკი იგი გამოიჩენს მოწყალებას და მიიღებს მას, მაშინ გავმტკიცოთ იგი (ზავი, კეთილდამოკიდებულება) ქორწინებითა და ნათესაური კავშირით. მე მსურს, ჩემი უბიწო ბიბანთა, სელჩუკიანებისა და დავით მეფის შთამომავალი, დაქორწინდეს ისლამის ხელმწიფე ყიას-ედ-დინ ქაიხოსროზე, გახელმწიფდეს მეზობელ მხარეებზე, რომლებიც დაპურობილი აქვთ, მალე ალ-ეოსარა ქამალ-ედ-დინი, რადგან გამჭრიახი და ჭკვიანი იყო, კეთილგანწყობით შეეფრთდა დედოფლის თხოვნას და ლაშქარი უკან გამოიბრუნა“.[6]

სხვაგან კიდევ იბნ-ბიბი მოგვითხრობს, „ხემთ ვთქვთ, როდესაც ქამალ-ედ-დინმა ლაშქარი ქართველთა მხარეს დაძრა, ქართველთა დედოფალმა რუსუდანმა მასთან მოციქულები გაგზავნა და მოლაპარაკება გაუმართა დანაოსავებისა და ეროვნების თაობაზე და მალე ყიას-ედ-დინის სიძეობა მოისურვა[7] სულთანიც დათანხმებულა და ბრძანება გაუცია, რომ დიდი პატივით მიეღოთ ქვეყნის ქალბატონი და მისი ამალა. გაუმართავს დიდი ლხინი (ქორწილი) და შეუღლებია მას.[8]

ამგვაროვ არ შეუუდგებით იმის გარკვევას, თუ რომელი წყაროა უფრო ობიექტური სინამდვილის მომთხრობელი. ერთი შეხედვით, იბნ-ბიბი უფრო ახლოს არის ჭეშმარიტებასთან. მაგრამ მთავარი ის არის, რომ რუსუდა-

---

5 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 172.

6 იბნ-ბიბი. ჰაუსტმას გამოც., სპარსული ტექსტი. გვ. 184-185 ავრეთვე ჰერბერი ვ. ლუდას მიერ გერმანულად თარგმნილი. კოპენჰაგენი, 1959, გვ. 177.

7 იბნ-ბიბი, სპარს. გვ. 220. გერ. გვ. 210.

8 იქვე. გვ. 220, 211.

ელიზბარ ჯაველიძე

ბერჯი ხათუნის და ჯელალედ-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან

ნის ასული დიდი პატივით მიუღიათ სელჩუკიანთა სასულთნოში და სულთანსაც თავდადებულებით შეეყვარებია იგი. უმოკლეს ხანში თამარ დედოფალს უაღრესად დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია სულთანის კარზე. უზომოდ შეყვარებულმა სულთან ყიასედინ ქაიხოსრო II-მ გადაწყვიტა თავისი სატურფე აღმაფებული მეუღლის სახის ამოტეიფრა ფულზე. მაგრამ ისლამი ყოველგვარ გამომსახველობით ხელოვნებას კრძალავდა. სულთანის ამ სურვილის წინააღმდეგ გაიღაშქრეს და აიძულეს უარი ეთქვა თავის განზრახვაზე. მაშინ მან გადაწყვიტა სიმბოლურად წარმოედგინა თავისი დიდებული მეუღლის, გურჯი ხათუნის პიროვნება და ამოტეიფრა ფულზე მზე ლომის ზოდიაქოში. „ამოიჩინა ეს ემბლემად, — წერს თამარა თალმოთი რაისი, — რადგან მას სურდა სიმბოლურად ესახა თავისი ცოლის ბრწყინვალე პიროვნება, ანდა, უბრალოდ ეს იყო მისი ცოლის ჰოროსკოპი. ნახატში მან აგრეთვე ლომის ფიგურაც ამოძერწა, რათა თავის პიროვნება წარმოდგენილ“.[9] მართლაც, სულთან ყიასედინ ქაიხოსრო II-მ 1236 წელს მოჭრა ფული,[10] რომელზედაც ამოტეიფრულია ფაფარაყრილი ლომი და სხივოსანი მზე (იხ. სურათი 1). მაგრამ თთავრი ის არის, რომ ყიასედინმა მაინც დაარღვია ისლამში არსებული კანონი. მიუხედავად იმისა, რომ ისლამი კრძალავდა ყოველგვარი ადამიანის სახის გამოსახვას, მზის დისკოში ნატიფი და მშვენიერი ქალის სახე ამოტეიფრა. თითქოს უდავოა და ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ მზის დისკო და ზედ ამოტეიფრული სახე გურჯი ხათუნის პიროვნების განსახეულება არის. ასე შეიქმნა აღმოსავლეთში ცნობილი ემბლემა შარ-უ-ხურშიდ (მზე და ლომი), რომელიც შემდგომ სელჩუკების სხვა სულთნებმაც გამოიყენეს და მოგვიანებით სპარსელებმაც დიმკვიდრეს. სპარსულ სინამფოლეში პირველად მას ეხვდებით შამსედინ ქაშანის ხელნაწერში (მონღოლთა ისტორია ღეესით) არსებულ მინატურაზე, რომელიც თარიღდება 1421-1422 წ.წ.[11].

ამგვარად, დიდი თამარის შვილიშვილის გურჯი ხათუნის დიდებული და სხივოსანი პიროვნება გამხდარა მიზეზი აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ემბლემის შექმნისა.

პირველადვე სიტყვას რომ მოვიდეთ, სულთანი ყიასედინი საერთოდ გულგრილად ეკიდებოდა ისლამის რელიგიას. ამიტომ ღვთისმოშიშ[illegible] თამარ დედოფალი ქრისტიანად რჩებოდა და ყოველგვარ რელიგიურ ადათ-წესებს იცავდა განცხადებულად. მაგრამ გარკვეული მიზეზის გამო თამარ დედოფალი იძულებულია, დაუტეგოს სჯული ქრისტეანის და მუსულმანობა იქმნა. ამთა აღმწერელი ამის შესახებ მოგვითხრობს. შემდგომს: რუსუდანმა „ზოიგონნა საქმე ყოველთა მიერ განსაკრთომელი, რამეთუ ზემოხსენებული ძმისწული თავისი დავით, რომელი ძმისა მისისაგან, გიორგისაგან ანდერძობით შეეფიცებულ იყო და მას აღეზრდა, წარავლინა ფარულად ასულსა მისსა და სიძესა მისსა სულტანსა ყიასეფიდინს თანა, საბერძნეთს, რათა წარსწყმიდონ და იყოს დაუშფოთველად ძისა მისისა დავითისთვის არა განყოფად მეფობისა“[12].

მაგრამ სულთან ყიასედინს და სთონოებით აღვსილ გურჯი ხათუნს დიდი პატივით მიუღიათ ლაშას-ძე დავითი და ძალზე შეყვარებიათ იგი „და არა ისმინეს ბრძანება მკლველბრივი მეფისა რუსუდანისი. და ფრიად პატივ-სცემდეს დავითს“[13].

რუსუდან დედოფალი არ მოელოდა ამას. იგი სამეზობლოს ეცადა, სიძეს და ასულს მოეკლთ დავით ლაშას-ძე. მაგრამ „ივნინ არ ეერჩდეს“. „ამისგან განცვიფრებულმან და გულისწყრომითა აღესებულმან, დაიგიწყა ღმრთა ნთესიცთა, და თვით შვილისა სიყვარული დედოფრბრივი... დაწერა წიგნი სიძესა თვისსა სულტანსა ყიასედინს თანა, და ესრეთ მოუმცნო, ვითარმედ: „ამისათვის მენეშა მოკვლეცა ძმისწულისა ჩემისა დავითისი, რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა ძმისწული ჩემი დავითი თანა-ეყოფვეს, და ამისთვის არა ნებავს ასულსა ჩემსა ბოროტი მისი“ 14. ხოლო როცა სულთანმა ეს წიგნი მიიღო, „ფეხს აღშფოთდა და შეეიდა სახლსა სადედოფლოსსა, და უუტაღიდ ვინმერია ცოლი თვისი, მოფხურითია თმასა, და ფერხითა ძლეერად უხეთქნა პირსა მისსა შეენიერისა, და ტანი ფრიადისა ცეშისაგან სისხლის ფრად იყო, და ხატნი იგი, რომელნი სამარადისოდ აქუნდის საეფრფვნელად, წინაშე მათსა შეიგინნა და დამუსრნა, და ყოველნი მის წინაშე მყოფნი მსახურნი და მოხელენი ექსორია ყენა და რომელნიმე მოსწყვიტნა, და ცოლსა მისსა შეშინებით უთქმიდა უწყალოდ სიკუდილსა, უკეთუ არა დაუტეოს სჯული ქრისტესი და მუსულმან იქმნას. და მრავალნიცა ტანჯვანი შეამოხვიენა, რომლისა შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მიერ მომედგრებულმან უარ-ეყო სჯული ეშმაჩარტი, რამეთუ იქა-მომდე მტკიცედ ეპყრა სჯული ქრისტეისი, რამე-

9 თამარა თალმოთი რაისი, სელჩუკები მცირე აზიაში, ლონდონი, 1961 წ., გვ. 92.

10 ლუინ ფუულ, ბრიტანეთის მუზეუმის აღმოსავლური მონეტების კატალოგი, ტ. 8, 1877.

11 ალდალ ჰამიდ ნირარნერ, ბაირაღი შირო ხურშიდ, კრებ. ირან შაპრ, გვ. 951.

12 ქართლის ცხოვრება, ტ. II. გვ. 180.

13 იქვე, გვ. 180.

14 იქვე, გვ. 199.

ოუ ხუცესნი და ხატანი წინაშე მისსა აჰყენდეს, არა ფარულად, არამედ განცხადებულად“.[15]

აი, ამ მიზეზით თამარ დედოფალს დაუტეევია სჯული ქუმარიტი და „მუსულმანად“ მოქცეულა. თუმცა ივ. ჯავახიშვილს ქამთაალმწერლის ეს ცნობა საეჭვოდ მიაჩნია და ფიქრობს, რუსუდან დედოფლისადმი მიწერილ ამ სახიზღარ მორთმევიქმედებას „სვინდისზე სრულებით ხელაღებული ავაზაკიც კი ინვითად ჩაიდესს ხოლმე“.[16] მაგრამ ერთი უდავოა, რომ თამარ დედოფალმა დაუტეევა სჯული ქუმარიტი. თუკი მან ნებისმი მოიმოქმედა ეს ამბავი, მაშინ ქამთაალმწერალი ამახნყუს სინამდვილეს, ხოლო თუ კი მას სულთან ყილეიდინმა აიძულა სჯული უარყოფა, ასეთ ეთიორებაში ქამთაალმწერლის ზემოთ მოხმობილი ამბავი არაეითარ ეჭეს არ იწვევს, რადგანაც როგორც უკვე ვიღნიშნეთ, სულთანი ყილეიდინი რელიგიურ გრინობებს გეოგრილად ეკიდებოდა და მხოლოდ ეჭვითშეპარობილი თუ მიიღებდა ამ მხრივ რიმე გადამჭრელ ზომებს.

ახეა თუ ისე, გამოხდა ქამი და თამარ დედოფალი, გურჯი ხათუნად წოდებული, უკვე ისლამის სამყაროში წმინდანის შარავანდედით სხიეოსნდება და საყოველთაო ალიარებას პოეებს გარკვეულ რელიგიურ წრეებში. რა ხდება?! ნუთუ ასე ადვილია ქუმარიტად მორწმუნე ადამიანისათვის, რომელსაც ქამთაალმწერალი ლამის წამებულ წმინდანად რაცხს, დაამხოს თავისი სახატე, უეცადგილ სულში გამჯდარი ადათ-წესები, უარყოს ქრისტე და ალიაროს მუჰამედი, მისი რელიგიური დოგმები იწამოს ისე, რომ მისი მორწმუნეობა მუსლიმ წმინდანთ შორის სამგალითო და სალაპარაკო გახდეს?! საქმე ის არის, რომ თამარ დედოფალს ორთოდოქსალური ისლამი და მისი დოგმები არასოდეს არ მიეღია. მან იწამა ისლამში არსებული ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც შედარებით ახლოს იყო და ენათესავებოდა მის მორწმუნე ქრისტიანულ სულს. ეს იყო სუფიური მიმდინარეობა, ყერმდ. მეგლეკეობა, რომლის დამარსებელი და სულისჩამდგმელი იყო უდიდესი პოეტი და მოაზროვნე ჯელალედ-დინ რუმი-მეგლანა. სწორედ, ამ უკანასკნელის თავის დროისათვის უაღრესად პროგრესული აზროვნების წყალობით, თამარ დედოფალი მეგლანას იდეებს იწამებს და მას (რუმის) თავის სულიერ მამად და ფირად აღიარებს.

შეუძლებელია ამ პატარა წერილში რამდენადმე სრულად წარმოადგინო მეგლეკეობის და მისი დამარსებლის მსოფლმხედველობის ძირითადი მომენტებიც. გაკვრით შეეხებით იმ ზოგიერთ მხარეს, რომელსაც ჩვენი აზრით, უნდა განეპირობებინა ქართველი ფილოსოფოსის ესოდენ დიდი სწრაფვა და სიყვარული ჯელალედ-დინ რუმისადმი:

ა) მეგლეკეობა აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ფილოსოფიური მიმდინარეობის — სუფიზმის ერთ-ერთ განშტოებად შეიძლება მივიჩნიოთ, მისი დამარსებელია ჯელალედ-დინ რუმი, თუმცა თარეკეთის ოფიციალური ჩამოყალიბება მოგვიანებით, რუმის გარდაცვალების შემდგომ მოხდა. ეს მიმდინარეობა აღიარებს აბსოლუტური ჭეშმარიტების ერთადერთობას, რომელიც არის ყოველიეს საფუძვლადდებული. ერთადერთის ემანაციით არის შექმნილი ხილეადი სამყარო, ამიტომაც ნეგატიურად იგი „ყოველთა შორის ყოველ არს“. აბსოლუტურმა ჭეშმარიტებამ თავისი თავი კონკრეტულში მოაქცია ამიტომ, რომ შექმნა თავისივე „სხეა“, რომელიც მისი შეუნიერების სარკედ იქცეოდა. იქმნება პირობითი ორადობა — სუბიექტი და ობიექტი, რომელთა ურთიერთლტოლვა ქმნის მარადიულ კოსმოგონიურ მოძრაობას. ორადობა ღრეობითი მოვლენაა, უსასრულოს სასრულოში განეფთების ეტაპი — ღვთიური სულის სხეულში მოგზაურეეეეს ეტაპი. საბოლოო და მარადიული მიზანი სულისა არის დაუბრუნდეს თავის პირველად ყოფას, სადაც ერთადერთობაში წარმოჩინდება ყოველიეე. ყველა სულდამფლის, და კერძოდ ადამიანის, ძირითადი მიზანია, თავისივე თავის შესწავლისა და განწმენდის გზით ამაღლეეს სასრულ ენებაზე მაღლა, მიიღწიოს აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან რელიტიურ ერთობას და ამგვარად თავისი თავი მარადისობაში განაფინოს. ასეთი მოაზრებით სავსებით დამაჯერებლად ჩანს ჯელალედ-დინ რუმის სიტყვები: „ხალხი დიდ მკრეხელობად თვლის, თუ კაცი იტყვის „მე ღმერთი ვარ“. თუმცა „მე მისი მონა ვარ“ — ამის თქმა უფრო მეტი მკრეხელობაა. ხოლო „მე ღმერთი ვარ“ — ამის თქმა დიდი თავმდაბლობაა, რადგან, როცა კაცი ამბობს „ღმერთის მონა ვარ“, რო არსებობას ამტკიცებს — ერთი თავისისა და მეორე ღმერთისას. მაგრამ ის, ვინც ამბობს „მე ღმერთი ვარ“, თავის თავს ხაზს უსვამს... ამტკიცებს, მე არ ვარსებობ, მხოლოდ ის არის, ღმერთის გარდა ქუმარიტი არ არსებობს.“[17] ასეთ უკიდურესი პანთეიზმით ხასიათდება მეგლეკეეეეთა დოქტრინა. თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ იმდროინდელ ქართულ ფილოსო-

15 იქვე, გვ. 200.

16 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1966, გვ. 107.

17 მეგლანან ჯელალედ-დინ, ფიქი მა-ფიჰ, სტამბული, 1959, გვ. 37.

ელიზბარ ჯაველიძე
გურჯი ხათუნის და ჯელალედ-დინ
რუმის ფრთიერთობის ისტორიიდან

ფიერ აზროვნებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა ნეოპლატონურ პანთეისტურ მოსაზრებას, რომელიც უადრესად მეჩიორო კიეზრის ამყარებს ზემოხსენებული ალმასელურ ფილოსოფოსთან, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ნეოპლატონისტური ფილოსოფია იმ დროის საქართველოს აკადემიებში ისწავლებოდა (ნახ. მ. შენგელია, რუსთველი და გელათი, ცისკარი, 1968, № 12, გვ. 131) და თვით ქართული სინამდვილისათვის ალმასელური რაინდობის ინსტიტუტიც,[18] რომლის დოქტრინაც უკიდურესი პანთეიზმით ხასიათდება და სუფიური იდეები უცხო არ იყო,[19] მაშინ ადვილი დასაჯერებელი ჩანს, რომ ჯულაღდ-დინ რუმის პანთეისტური იდეები სავსებით ბუნებრივი და ბუსაკები იყო თამარ დეკანოზის სულიერი განწყობისათვის, რომლის რაფინირებაზე უდავოდ გავლენას მოახდენდა იმ ეპოქის საზოგადოებრივი ნაზრევი.

ბ). მეორე თეზა, რომელსაც, ჩვენი აზრით, უნდა განვიხილოთ თამარ დეკანოზის სწრაფვა მეცნიერებისადმი, არის სუფიურ მოაზრებაში ადამიანის ცნების უადრესად დიდი პატივდება დ. ადამიანის ცნების უმაღლეს რანგში წარმოდგენა. ჯულაღდ-დინ რუმის აზრით, ადამიანი არის სამყაროს დამაგვირგვინებელი ეტაპი. ის არის კოსმოგონიური უწყვეტი წრიული მოძრაობის ცენტრალური წერტილი, სადაც მთავრდება განსხვეულება და სრულყოფა ხილვადი სამყაროსი და საიდანაც იწყება სრულქმნა და ამაღლება ღვთიური სულისა. იგი ერთადერთი არსებაა, რომელსაც შესწევს უნარი თავისიგვე თავში არსებული „მთელეობაზე" ღვთიურობა აღიქვას და შეიმეცნოს. ანსოლუტური ჭეშმარიტება, რამეთუ „მსგავსი მსგავსს შეიცნობს", თვით ადამიანში განფენილი ჭეშმარიტება. მართალია, გარეგნობით ადამიანი უმნიშვნელოა, მაგრამ სინამდვილეში ყველაზე დიდი სამყარო ის არის.

ყოველივე არსებული ხილვად სამყაროში შექმნილია მისთვის, მეკლესნა ანუ მიმართავს ადამიანს: „ეარეგნონთან შენ პატარა სამყარო ხარ, მაგრამ სინამდვილეში ყველაზე დიდი სამყარო შენ ხარ. ერთი შეხედეთო. ტოტი ნაყოფის ძირია; მაგრამ სინამდვილეში ტოტი ხილოსათვის არის შექმნილი. ნაყოფის მოწევის სურვილი და მისი მოკრეფის იმედი რომ არ ჰქონოდა, არცერთი შებალე ხეს არ დარგავდა. ამგვარად, ნაყოფი, ერთი შეხედვით, ხისგან არის წარმოშობილი, მაგრამ სინამდვილეში ხე ნაყოფის გამოშექმნილი 20. მართალია, მეკლესნა მოაზროვნეებისეგანერთი ასპეტში ადამიანის ემპირიულნ „ეგო"-ზეა გარდაქმეული. მაგრამ ეს პოზიტიური აზროვნებაში სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ადამიანის ცნების ღმერთის ცნებასთან გაიგივებას და ადამიანის გაღმერთებას. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა გიგანდეს და თავადს სეეფდე ადამიანს, იგი უნდა ეთიხოლი სათაყვანებელ ეკრანად — ეი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი შენი არსებობისა. მეკლესნეთის გზა არის სიყვარულის გზა, სადაც ადამიანის პატივისცემა და სიყვარული ეკრიესდ წინა პლანზეა წარმოჩენილი. აქ მეორდი არ ადმერთებს ფიზს, აქ ურთიერთგამღერთებაა, „ზეა-მაშეყის ურთიერთ დიდი ლტო�sა, რიდი და სიყვარული. „ეიღრე მოეკვდებთ, — წერს რუმი, — უნდა გაკვიდო ურთიერთის ყიარი, ურთიერთი უნდა შეეფეყაროთ. ქუდ ეეზე და ქუდ ჰუვლაპი (ყურანის სურეზია) ურთიერთის შეეყარებისათვის და დაფუსტებისათვის უნდა წაეიკითხოთ".

გ). საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ძმიმე მდგომარეობაშია ისლამის სამყაროში ქალი. ისლამის რელიგიამ იგი განდეგილ სახოგადოებრივი ასპარეზიდან. წინასწარმეტყველი მუჰამედი თავისი ასალაზრდა და მოსიბამეელი ცოლის აიშეს საქციელმა დაეფიქრა. ეეკეანმის ნიადაგზე მან წარიქეა სუნა, რომელის შემდეგაც დაკანონდა, რომ ქალებს უნდა ეცხოვრით განცალკეებით — ჰარემში, სადაც არავის არ ჰქონდა ეფლება შესულიყო. ყოველივე უნდა ეტარებინათ ჩადრი და ეფლება არ ჰქონდათ, არა თუ მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ საქმიანობაში, არამედ საერთო თავყრილობებზე გამოჩენაც ეკრძალებოდათ. საერთოდ, ყურანი ოეგად ეხსენებს ქალს, რომელიც ზნრად ხელ ეშლის მამაკაცს. ზეასულის ალაპისათვის დაკანონებული მოკალეობა,[21] ქალები ეკუთვნიან ან კაეეგორიას, „რომელიც თავს ეჭიროს სამკაულებითა და ბრთოულობით და რომელიც მდგომ განუყოფელ ცილოსნობაზე".[22]

ჯულაღდ-დინ რუმი პირველი იყო, რომელმაც აღიარა ქალებისა და მამაკაცების თანასწორფულებიანობა. დიდი პოეტი სასლოზოდ ქადაგებდა ქალთა თავისუფლების ეეეილებას, ბრძოდა ჰარემულ ცხოვრებას. ფიქი მა--ფიქ-ში წერს: „ქალი რა არის, ეკეყანა რა არის? გინდა წართქვი, გინდა არა... მაგალითად, პერი აიღე და იფლიაში ამოიღე, დამალე, არავის არ მიეცემო თქვი. ამას თვი დავანებთ, არავის არც ეაჩვენებო, გაჯოტდი.

---

18 ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ყამთაარმწერელის ერთი ცნობის განმარტება), ნარკვევები მასლობელი ალმასყვეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 122.

19 გორდლეესკი, დასახ. ნაშრ. გვ. 209.

20 ჯელალედ-დინ რუმი, მესნეეი მანეეი, ტ. IV, ტუმბოლი, 1966, გვ. 43.

21 ყურანი, 64, 14.

22 ყურანი, 43, 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუნდაც პური ისე იაფი და ჭარბად იყოს, რომ მიწაზე ეყაროს და ძაღლებიც არ ეკარებოდეს, თუკი შენ მის გადამლაკვა ეცადი, მთელი ხალხი მას მიეტანება. დაგიწყებენ ხვეწნას, კიცხავს, გინებას, დამალული პური უეჭველად უნდა ენახოთო. და შენ თუ კვლავ შეეცადები მის გადამლაკვას, მაშინ მათი სურვილი ისე გაიზრდება, რომ იგი იგი ყოველგვარ ზღვარს გადავა. რადგანაც „ადამიანი ყარადღულ რამეს ეტანება"... როცა შენ ქალს უბრძანებ „დაიმალეო" მას უფრო უზრდი გამოჩენის სურვილს. ხოლო რაც უფრო გადამლაკავ ქალს, მისი ნახვის სურვილი ხალხში უფრო იზრდება. შენ ამგვარად ორივე მხარის ენებას აღელვებ და ა. გვონია, კარგი საქმე მოიმოქმედე, როცა საქმის წარყვნის მიზეზი თვითონვე ხარ..."[23]

მოაზროვნე პოეტმა ქალი ღვთის ხნიერ გამოაცხადა, მას დიდებული ჰიმნი უმღერა მესხეთში. თავისი უშუალობითა და ქალისადმი დიდი პუმანური ზრახვებით ხლბერელ მელოდიად ყოფილ ისლამის სამყაროში პოეტის სიტყვები: „ღმერთმა ქალი მამაკაცებთან სასიამოვნო ურთიერთობისათვის გაიჩინა. როგორ იქნება, რომ ადამი ევას განშორდეს? ადამიანი მამაკაცობაში თუნდაც ხაალის-ძე რუსტამი იყოს, თუნდა ჰამზასაც გადაეჭაბნოს, მაგრამ გამგებლობის თვალსაზრისით, ის თავის მეუღლის ტყეკეა... თითქოს გარეგნულად წყალი ცეცხლზე მაღლა დგას; მაგრამ (საქმე საქმეზე რომ მიდგება) ცეცხლი მას აღიღებს... ცეცხლი წყალს გაჭრიის (მაგრად აქცევს). გარეგნულად, როგორც წყალი ცეცხლზე მაღლაა, ასევე შენ ქალზე მაღლა ხარ, მაგრამ სინამდვილეში მას მორჩილებ, შენ იგი ეწყვალი. ეს ბანაკეთრეტენი თვისება ადამის შვილებს გაჩინათ. რადგანაც ადამიანში სიყვარული. ცხოველში სიყვარული არ არის და ესეც მისი არასრულფოლობიდან მოდის. წინასწარმეტყველმა თქვა: „ქალები გონიერ ხალხზე უმეტესად იმარჯვებენ. მაგრამ უეიცები ქალებს ამარცხებენ, რადგან ისინი მკაცრი და უხეში ხასიათისა და ქცევისა არიან. მთ სიბრალული, მოწყალება, სიყვარული ნაკლებად გაჩნიათ, რადგან მთ ბუნებაში და ინსანში ცხოველობა იმარჯვებს... სიყვარული და სიბრალული ადამიანური თვისებაა. განოსხება და ვინი ცხოველური თვისებაა. ქალი ღმერთის სხვეა, ტრფობის ობიექტი კი არა... თითქოს შემქმნელია და არა შექმნილი!" [24] თავის ფრიზე ჯელალედ-დინ რუმის ამ უაღრესად პროგრესულ მოაზროვნის დიდი რეზონანსი ჰქონდა. იგი სიყვარულთან და პატივისცემით სარგებლობდა ქალთა საზოგადოებაში. მრავალი მიმდევარი ქალი ჰყავდა ქრისტიანი თუ მუსლიმანი. მაღალი თუ დაბალი წრის წარმომადგენელი. ისინ ერთ-ერთ ადგილ-ადგილ ... ნი თავს ყიოდნენ მეელანსთან და სხვადასხვა რიტუალებში მონაწილეობდნენ.

დ). და ბოლოს, რაც მთავრია, სუფიზმი და, ეპრძოდ, მეელეთობა წარმოადგენს რელიგიის ეზოტერიულ გზას, რომელიც გულგრილად ეკიდება რელიგიის გარეგნულ დოგმატურ მხარეს. სუფიზმისათვის მთავარია ადამიანის შინაგანი სულიერი. სრულყოფა, რაც ინიციაციის გზით ხდება. ყოველგვარი საკულტო სამსახური, რელიგიური დოგმების შესრულება მეორეხარისხოვანია, არარიელია ხვედრია. მათი მოაზრებით, „ეკუმენიტეტი ერთია, სხვადასხვა ხალხი მას სხვადასხვა სახელს უწოდებს (რიგვედა). ამდენად, სარწმუნოებაც ქვეყნად ერთია, იგი განსხვავდება მხოლოდ ეზოტერიული თვისებებით, გარეგნული ფორმებით. რუმი წერს: „სხვაობა შესრულების წესების ფორმაშია და არა გზის ეუმენიტეტებში"[25]. რელიგიათა შორის არსებული წინააღმდეგობა მორწმენებთია, ყველა რელიგიას ერთი მიზანი აქვს: „ყველა წინასწარმეტყველს, ყველა წმინდანს ერთი საკითხი აქვს. განა ერთი არ არის, რომ ყველა მათგანი ეუმენიტეტას უთანხოვებს ხალხს."[26] მეელანა არ ცნობდა სარწმენოებრივ, რელიგიურ დაპირისპირებას; „რამეთუ სიყვარული (ეკუმენიტეტისა) მარადიული, მუსლიმანისა და ებრაელობა (არამუსლიმანობა) შემდგომ, გვიან გაჩნდა ქვეყანაზე", „ეს ქვეყანაც მუსლიმანობის გარეთ რჩება და ებრაელობის მიღმაც იქ არც მუსლიმანობის აქვს საქმე და არც არა მუსლიმანებს"[27] ამდენად, მთავარია, ადამიანს გულწრფელად ეყვარებდეს აბსოლუტური ეუმენიტეტი. შინაგანად სრულყოფოს თავისი მეობა და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იგი მუსლიმანი იქნება ქრისტიანი თუ ებრაელი. არც მის ეროვნებას აქვს რაიმე მნიშვნელობა: „როცა მოსლოცად მიეიხარ, — წერს მეელანა, — მოიძიე მეგობარი გინდ ინდოელი იყოს, გინდ თურქი, გინდა არაბი. მის გარეგნობას, ფერს ნუ შეხედავ, მის მიზანსა და მისწრაფებებს შეხედე"[28]. სხვგან კიდევ წერს: „სულს ცოდნასთან და გონებასთან აქვს მეგობრობა, სულ რა ხელი აქვს არაბულთან და თურქულთან"[29]. რუმი

23 ფიქი-მა-ფიქი, გვ. 75.

24 ჭელნეი, ტ. I, სტამბოლი, 1966, გვ. 195.

25 მესნეეი მანეეი, ტ. 1, გვ. 40.

26 იქვე, გვ. 248.

27 ჯელალედ-დინ რუმი, რიეეი რობაიები, სტამბოლი, 1945, გვ. 9.

28 მესნეეი, ტ. I, გვ. 232.

29 მესნეეი, ტ. II, სტამბოლი, 1963, გვ. 5.

ელიზბარ ჯაფელიძე
გურჯი ხალუნის და ჯელალედ-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან

მხოლოდ ერთ ხალხს ცნობს — ეს არის სიყვარულის ხალხი, რომლის „კანონებიც ყველა სარწმუნოებისაგან განსხვავდება“.[30] ამტარმაც პოეტი ამაყად აცხადება „მე სამოდაცამეტ ხალხთან (სარწმუნოების მიმდევრებთან) ერთად ვარ“. ჯელალედ-დინ რუმი მოუწოდებს მორწმუნეთ:

კვლავაც მოდი, კვლავაც,
ვინც გინდა იყავი,
გინდ ურჯულო იყავ, გინდ ცეცხლთაყვანისმცემელი,
გინდ კერპთთაყვანისმცემელი,
გინდა ახსენ მონანიე იყავი,
გინდა ახსენ დაარღვიე ის აღთქმა,
ეს არ არის უიმედობის კარი,
როგორაცა ხარ, ისეთივე მოდი.

ეს არის რელიგიის განვითარების უმაღლესი საფეხური, რომელიც ეგზოტიურ მიმართულებებში არსებულ დაპირისპირებებს ხსნის. ცხადია, იგი გარკვეული თვალსაზრისით უადრესად პროგრესულ თვალთახედვას მოიცავს. მეკლანს ჰყავდა მრავალი მიმდეკარი, სხვადასხვა ერისა და სარწმუნოების წარმომადგენელი. წყაროები გადმოგვცემს, რომ მის გარდაცვალება სახალხო გლოვად იქცა, მის ცხედარს დასტიროდნენ მუსლიმი შეიხები, ებრაელი ხახამები, ქრისტიანი მღვდლები, ბუდისტი ჭორუმები და სხვ.[31]

ამ მოვლენტა რომ გარკვეული და გადაწყვეტი გავლენა უნდა მოეხდინა თამარ დედოფლის რწმენაზე, ეფლაქის წყაროც გვარწმუნებს: „ერთ დღეს ბერი ხათუნმა ალამედდინ ქაესარს ჰკითხა: შენ მეკლანსა რა ისეთი საოცრება იხილე, რომ მას ესოდენ მიეკედლე, მისი მურიდი გახდი და ესოდენ შეიყვარეო. ალამედდინმა უპასუხა: „ჰეი, ქეეყნის გამგებელო, გაახარეშრძლივოს თქვენი სიცოცხლე (უფალმა), მეკლანას სასწაული და უნახავ საოცრებათაგან ერთი ის არის, რომ ყოველ წინასწარმეტყველს, ერთი ხალხი უყვარდა და ყველა (ამ ხალხთაგანი) მისი მტკიცე მიმდევარი და შეიხი იყო. მეკლანას კი ყველა სარწმუნოება და მით ბედნიერად არსებულნი უყვარს, მათი საიდუმლოების გაგებით მაღლდება და მით ამაყობს. ამაზე უფრო დიდი საოცრება იქნება განა? ქეეყნიერების მეუფეთა დედოფალს — გურჯი-ხათუნს ეს პასუხი მოსწონებია და იგი ძვირფასი ხალათით შეემოსავს, სხვა შერიდებსაც საჩუქარი მრავალი უწყალობა და მთ მსახურობდა პატივით“.[32] ამასთანავე მხედველობაში მისაღებია, ისიც, რომ მეკლეველი ... ქართველ ... ქაოში შესვლა. არ მოითხოვდა საკუთარი ... დატეგებას და განდგომის სენაკში ცხოვრებას. მეკლეველი მხოლოდ ფიქრითა და სულით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ჭეშმარიტებასთან და იმ ფირთან, ვინც მათ გონს უზეშთაესისაკენ წარმართავდა.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს, ადვილი დასაშვებია ის ფაქტი, რომ თამარ დედოფალი მეკლეველთა მიმდევარი გახდა. მას თავისეულად შეეძლო მეკლანას მურიდი ყოფილიყო და ოფიციალურად უარიც არ ეთქვა ქრისტიანობაზე. ყოველ შემთხვევაში, მეკლე

ქვიმა (საუბარია ქვიშაზე, რომელიც მეგელანს ლაბის საოცარი მოგზაურობის დროს ფეხებზე შემორჩა) ქალაღნში გაეგზავნე და დედოფალთა დედოფალს გურჯი ხათუნს, რომელიც მეგელანს მურიდი იყო, გაეგზავნე და ამ უცნაური მოგზაურობის და მაბანილის გადალახვის ამბავი მოეუყვა. გურჯი ხათუნს რწმენა გაუთავებდა და იმდენი საჩუქარი გვიწყალობა, რომ თითზე არ ჩამოიოვლება".[33] სხვაგან კიდევ ნათქვამია: „დროების დედოფალი, ქვეყნიერების ქალბატონი და სულთნის მეუღლე გურჯი ხათუნი მეგელანს შთამომავალთა მეგობარი და საყვთრიერ ნაღა (მეგელანს) უწმინდესი მურიდთაგანი იყო..."[34] (ხაზგასმა ჩემია. ე. ჯ.). ეს ეკუმენტანელი ცნობებიც რომ არ იყოს მოკავშული, ეფლეას წყაროში სხვა მოთხრობილი ამბებიც თავისთავად ნათლად მოწმობს, რომ გურჯი ხათუნი თავის სულიერ წინამძღვრად ჯალალდინ რუმის რაცხდა:

ჯერ ერთი, გურჯი ხათუნი დიდ ინტერესს იჩენდა ამ ნიკოზისადმი, რომლებიც ჯალალელი ნაშრებით დაკუშრიებული იყო მეგელანს წმინდანობასა და ჩადენილ სასწაულებთან და ამდენად შეიძლებოდა მათი რელიკვიად მიჩნეულ. ასე. მაგალითად, ცნობილ არქიტექტორს ბეთრედდინ თეპრიზს გურჯი ხათუნს აიგებუნის ნატეხში, რომელიც თითქოსდა მეგელანს უბრალო ქვიდან ძერიფას ქვად ექცია, რეალი ეთასი „სულთანის დრიპები მისცა (ტ. 1. გვ. 153-159). ასევე ჯალალდინ-დინ რუმის ჯერანში, რომელიც მას მიართვა რელიკვიის სახით, ალემდედინ კაისერმა ორმეთასი სულთანს, დიარბეკი გიოღო (ტ. 1, გვ. 530). დედოფალმა ეგრეთვე უამრავი საჩუქარი უწყალობა მეგელანს შეეღლეს. რომელმაც მას მიართვა მეგელანს ფეხებზე ღამის საოცარი მოგზაურობიდან შემორჩენილი ფერადი ქვიშა (ტ. 1, გვ. 287). მართალია, ყველა ამ ზემოთ მოხმობილ ამბავში ფანტაზიაკერი ელემენტი ჭარბობს, მაგრამ ეს ბუნებრივია კომპონენტია წმინდათა ცხოვრების აღმწერელი ჭაკოვისა. ჩვეულებრივ, ასეთი ლეგენდები იქმნება წმინდანისავე სიცოცხლეში (მეგელანს მიმდევრები ცდილობენ მისთვის სხვადასხვა სასწაულები მიეწერათ, და გაეკრეულებინათ ბალში, რათა მისი წმინდაური სასწაულებიმეგზეა ეწამა საზოგადოებას), — ანდა უმეტესად, მისი გარდაცვალების შემდეგ. ესა თუ ის ფაქტი ან ნიეთი, შემდგომ ზღაპრულ სამოსელში იბურება, რათა მისი რელიგიური და რელიკვიური ღირებულება ამაღლეს შთამომავალთა თვალში. ანდა, უარეს შემთხვევაში, ლეგენდა მომდევნო თაობამი მიერ არის გამოგონილი და შეთხზული. ასეა თუ ისე, სამივე ვთარეობა ერთერთ უეჭველ ფაქტთან გვაქვს საქმე: რადგან მოხმობილ ამბებში ფიგურირებს გურჯი ხათუნი, იგი უეჭველად მეგელანს მიმდევარია და მორწმუნეთა შორის დიდი აუტორიტეტია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არასგზით არ დაეკავშირებოდა ამბავი. უფრო მეტიც, იგი აპკურად ამ ლეგენდის ისტორიულ საყრდენს წარმოადგენს.

გარდა ამისა, წყაროში მოხმობილია, უკვე ყოველგვარი ზღაპრული ელემენტიდან დაცლილი, არაერთი ისტორიული ფაქტი: როგორც ირკვევა, ქვეყნიერების დედოფალს, გურჯი ხათუნს, ხნირად გიუწყვია შემწეობის ხელ ჯალალდინ-დინ რუმისათვის. დიდი პოეტიც ხშირად მიმართავდა მას დახმარებისათვის: მეგელანს ჩარაშში იზრდებოდა მისი სულიერი წინამძღვრის შეიხ სელჰედდინის ასული ჰედიე ხათუნი. როცა ქალს გათხოვების ჟამი დადგა, აღმოჩნდა, რომ მას არა ემადი რა, მაშინ მეგელანამ სულთანის ქალიშვილის მასწავლებელი უსტა ხათუნი იხმო და უთხრა: „ჩემი შვილო, გურჯი ხათუნთან ძიდი, ნეტი მოკითხვა მოახსენე, და ჰედიე ხათუნის ეს მდგომარეობა აუხსენი, სთხოვე დახმარება ალმოჩენის მას. სხვა ემირების ხათუნებმაც და ქალიშვილებმა ხელი გამოიღონ და მზითევი მოეშველონ..." როცა ეს ამბავი უსტა ხათუნმა დედოფალს მოახსენა, „ქვეყნიერების დედოფალმა გურჯი ხათუნმა მაშინვე თავის ხაზინადარს უხმო და უბრძანა, რამდენიმე ხელი ტანსაცმელი და ყველა სახის თეთრეული მოეშველებინა. ოცი ძეიფასთვლიანი საყურე, ოცი ძეიფასი სამაჯური, მარგალიტის ყელსაბამი, ოქროთი მოსირბილი ჭელაში (ქუდის სახეობაა), პირსაბერავები, ჭიანფასი ბეჭდები და სხვა სამკაულები მოატანინა. ქვიფასი ხალები და სეკუები (სალოცავი ხალები), ქარიული, შარაზული და აკასარის ფარაჯები, სანები, თეფშები, ქვაბები, სპილენძისა და ჩინური ფიალები, სანაყები და შანდლები შეაგროვა და თავი მოუყარა ფიდე მზითევს. გადმოგვეცემენ, რომ სამოცდათი ეთასი სულთნის დიპრემის (დიპრემი სულთანის) საფასურის ოქროს ნიეთი იყო: მეგელანს უწმინდესობას ეს ძალიან გაუხარდა. შეიხ სელჰედდინის ეულმაც ფრიად განიხარა და ღოცვა წართქვა მათთვის, ვინც საბოძარი გამოიღო..." (ტ. 11, გვ. 172-174).

თავის მხრივ, მეგელანც არ აკლებდა ლოცვას და ყურადღებას გურჯი ხათუნს. საოცარი გარდების ფურცლები, რომლებიც ინდოეთის

---

33 ეფლეკი, ტ. I, გვ. 287-288.

34 ეფლეკი, ტ. I, გვ. 458.

ელიზბარ ჯაფარიძე
გურჯი ხათუნის და ჯალალედ-დინ
რუმის ურთიერთობის ისტორიიდან

წმინდანებმა მიართვეს, გაუგზავნეს დედოფალს. „ისიც მეელანს ნებართვით, ყველას თვალით დაავადებულს, თვალზე ამ ვარდის ფურცელს უსვამდა და თვალებს უკურნავდა (ტ. 1, გვ. 98).

შეიძლებოდა კიდევ ფაქტების მოხსმა, რომლებიც აშკარად მეტყველებენ მეელანს და გურჯი ხათუნის სულიერ კავშირზე (იხ. ტ. 1, გვ. 496-497, ტ. 11, გვ. 207 და სხვ.). მაგრამ ჩვენ გვინდა ორ მნიშვნელოვან მომენტზე შეეხეროდეთ. ეს არის მეელანს სურათის შექმნისა და მისი თურბეს აშენების ისტორია. როგორც ეფლასს წყაროს მიხედვით **ირკვევა, ორივე ამ ხელოვნების ძეგლის** შექმნის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო გურჯი ხათუნი, რომელმაც თავისი ქველმოქმედებით შორს გაიგო სახელი და ფართო საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა. მეელანს სურათის შექმნის თაობაზე ეფლები მოგვითხრობს: დროების დადოფალი, ქვეყნიერების ქალბატონი და სულთანის მეუღლე გურჯი ხათუნი (ღმერთმა შეიწყალოს) მეელანს შთამომავალთა მგობართაგანი და საკუთრივ მისი უფმინდესი მურიდთაგანი იყო. მუდამ მეელანს მიერ შთაგონებული მისწრაფების ცეცხლი იწვოდა. მოისურვა კაისერიში წასვლა. სულთანმა ვერ აუკრძალა ეს, რადგან ის მანდილოსანი რჩეულთა შორის-რჩეული, მტკიცე ხასიათის და ავტორიტეტული ხმის პატრონი იყო. მაგრამ გურჯი ხათუნი მეელანს უწმინდესობასთან გაწმორების ცეცხლს ვერ გაუქრლებდა. იმ დროს ცხოვრობდა მხატვარი, მეორე მანდ აღიარებული. რომელიც თავისი ხელოვნების შესახებ ამბობდა: „მანი ჩემი ნახატების წინაშე უძლურია“. მისი სახელი იყო ინუდდეელი რუმი. სულთანმა მის სანუკვრები უწყალობა და უბრძანა მეელანს სურათის დახატვა. თანაც გაავრთხილა, რომ სურათი უაღრესად ნატიფი და ლამაზი ყოფილიყო, რადგან ეგი (მეელანს) გურჯი ხათუნის სულიერი მეგობარი იყო. ამის შემდგომ, ინუდდეელ რამდენიმე მსახურთან ერთად ამ ამბის სიუყვარულ მეელანსთან მიეიდა და თაყვანი სცა. ინუდდეელს ჯერ სიტყვა არ დაეძრა, რომ მეელანმ დაასწრო: „თუკი შეძლებდ დახატვას, რა სიდიადე იქნებოდა. მხატვარმა რამდენიმე ქაღალდი ამოიღო, ყალამი ხელში აიღო და მეელანს მიუბრუნდა. მეელანა ფეხზე იდგა. მხატვარმა შეხედა და მისი სახის ხატვას შეუდგა. ერთ ქაღალდზე მშვენიერი სურათი გამოსახა. მაგრამ მეელანს დაკვირდა და ისეთად ვერ შეიცნო, როგორადაც ადრე მიიჩნია. სხვა ქაღალდზე დაიწყო ხატვა. როცა მისი გარეგნობა გამოხატა, მიხედა, რომ იგი კიდევ უფრო სხვანირი იყო. ამის გამო, ოც ქაღალდზე მეელანს სხვადასხვა პორტრეტი დახატა. მაგრამ როგორც კი შეხედავდა მას, რწმუნდებოდა, რომ სხვაგვარი იყო. განცვიფრდა. ყვირილი მორთო, ყალამი გტეხა და საოცრებას თაყვანს სცა. მეელანმ კი ამ დროს ეს ყაზალი დაიწყო:

„ეჰ! მე არც უფერო ვარ და არც უჩინარი, თუკი შეძლებ დავინახო თავი ისეთად როგორიც ვარ. მეუბნები, სიიდეოლოგანნი გამოაშკარავეო. მაგრამ მე სადაც ვარ, ის ადგილი არ არის. როგორც ჩემი სული ცოცხლობს, მეც ასეთივე სულსა შიგან ვეფლობ. ჩემი ზღვა ჩაიძირა და საოცრებაა, ჩემს შიგან რა უსაზღვრო ზღვა არის!“.

ინუდდეელე ქვითინით გარეთ გავარდა, ქაღალდები გურჯი ხათუნს გაუგზავნა. გურჯი ხათუნმა ყველი ის ნახატი სკივრში ჩაალაგა. მოგზაურობის დროს თან ატარებდა. როცა მეელანს უწმინდესობის ცეცხლი შეიპყრო, მაშინვე მას (მეელანს სურათს) თვალნი დაიდებდა და ასე წუნარდებოდა. (ხაზგასმა ჩემია, ე. ჯ.)

მეელანს მინიატურა დღემდე შემონახულია. ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა ის პირველადი დედანი. მაგრამ მინიატურა რომ გურჯი ხათუნის დავალებით შექმნილ სურათთან ჭვიერი კავშირშია, საეჭვო არ უნდა იყოს.

მეელანს ცნობილი თურბეს (აკლდამის) აშენებაშიც გურჯი ხათუნს გადამწყვეტი როლი უთამაშია: ეფლაში მოგვითხრობს: „როცა მეელანა ამ ქვეყნიდან გადასახლდა, ალემედდინ კაისერს (ღმერთმა შეიწყალოს) სურდა, წმინდა თურბეს აშენება და ისეთი საფლავის გაკეთება, რომლის მსგავსიც ქვეყანაზე არ უნდა ყოფილიყო: ეს სურვილი მან აუწყა სულთან ვალედის (მეელანს ვაჟს), სულთან ვალედიმ ჰკითხა: მატერიალური ხარჯისათვის რა თანხა გაქვსო? ალემედდინ კაისერმა უპასუხა: ოცდაათი ათასი დირჰემიო. სულთან ვალედი განცვიფრდა და ჰკითხა: ამ თანხით როგორ შეძლებ აშენებასო, ალემედდინმა უპასუხა: სხვასაც, ჩემი უფალო, მალულ ქვეყნიდან გვიწყალობენენ. თუკი ეს ასეა, — უთხრა ვალედიმ — სამართლიანად გადაგიწყვეტია და წმინდა შენობის აშენება დაიწყეო“. ალემედდინ **იმ ღამეს სულთანის სასახლის** ბაღნე ავიდა და ისეთი ლოცვის მომცველი სიყვარულის და ვნების ალმძერელი ბეითები წაიკითხა, რომ სიტყვა ვერ იტყვის. ამ გარემოებით გურჯი ხათუნის უწმინდესობა და ფერვანე უაღრესად კმაყოფილნი დარჩნენ და უხვად ცრემლი ღვარეს. დილით მსახური გაგზავნეს და ალემედდინი იხმეს, საქციელი მოუწონეს და 80 ათასი დირჰემი სულთანისა მისცეს. მერე ხალათით შემოსეს და კაისერის შე-

მოსავლიდანაც 50 ათასი დირჰემი უწყალობეს. მანაც სრული კმაყოფილებით და გულწრფელობით სიწმინდით განსხეოსნებული თურაბეს (ღმერთმა მანში მწოლარე სული ჩვენ გაგვიხეოსნოსო) აშენება დიიწყო და წმინდა სულის მოწყალებით დაასრულა. თურბეში მცხოვრებნიც მოწყალებით ნებიერობდნენ. ექვსი ათასი დირჰემი ჩვენები ჰუსმედდინის უწმინდესობას მისცეს. ამ სასახლეის გამო იგი ყველას აღემატა და დიდად დასაჩიენრეს". (ტ.II, გვ. 243-245.).

ეს გრანდიოზული თურბე დღესაც კონიის არქიტექტურის მშვენებაა. მისი მნიშვნელობა უაღრესად დიდი იყო. იგი იქცა ფაქტიურად მეფეთვიფობის დადუნდების კერად და მის ცენტრად.35 ამ ორი ფაქტიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდ კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა ჩვენი თანამემამული სელჩუკიანთა სასახლის კარზე. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ექვს არ უნდა იწვევდეს ის აზრი, რომ გურჯი ხათუნი მეფეთეფილთა მიმდეარი იყო.

როცა თამარ დედოფლის მეუღლე სულთანი ყიასედინი ქიაბისსო II გარდაიცვალა (თუ მოკლეს) ქვეყნის გამგებლობა ხელთ იკდო სულთანის მრჩეველმა და ვეზიერმა მენინედინ სულეიმან ფერაანამ და სელჩუკიანთა ტრადიციების მიხედვით, სულთანის მეუღლეს — გურჯი ხათუნი ცოლად მოიყვანა: „აღსრულებულ იყო სულტანი დიდი სელჩუკიანი ყიასედინ, და მონასა მისსა ფარმანსნი მიეტაცა სულთნობა და ცოლიცა მისი, ასული რუსუდანისი. გურჯი ხათუნი მეეყვანა ცოლად"36. ჩანს, რომ დედოფალი მართლაც საოცარი სილამაზის პატრონი იყო და უჩვეულო ზემოქმედების ძალა გააჩნდა. მეორე მეუღლესაც, ფერეანას, თავდავიწყებით შეპყვარებია იგი და მის ყოველ ბრძანებას თუ თხოვნას უსიტყვოდ ასრულებდა. ამაზე მეტყველებს ეფლკის წყაროში მოთხრობილი ერთი ამბავი: „ქვეყნიერების დედოფალი გურჯი ხათუნი მუნინედდინ ფარეანაზე გაბრაზდა. სასახლის დიდებულები და დიდვილი ნაიბები ევედრებოდნენ, ფერეანას დანაშაული ანატე და შეუბრალდი. გურჯი ხათუნი არას გზით არ თანხმდებოდა. ბოლოს თქვა: მხოლოდ ერთი პირობით დავთანხმდებიო. ფერეანამ აღუთქვა, რომ რასაც ისურვებდა, ყველაფერს შეასრულებდა. და ამაზე აღთქმა დადო. გურჯი ხათუნმა უთხრა: ჩემი პირობა და სურვილი ესაა, შენ უნდა განშშორდეო. ფერეანა სიგონებელში ჩავარდა. არ იცოდა, რა მოემოქმედა. ამის გამო მეკანანს სთხოვა, რამიმე გამოსავალი მოეძებნა. მეკანანმაც უთხრა: მისი ეს სურვილი გაავიანურე და ყოველ-ფერს უთხარი გაგეყრები, გაგეყრებიო" (ტ. I, გვ. 467).

ეს პატარა მონაკვეთიც, რომელიც ისტორიულ ფაქტს უნდა გადმოგვცემდეს, კარგად ახასიათებს თამარ დედოფლის მტკიცე ხასიათსა და უაღრესად ნატიფ გონებამახვილობას. მართლაც ვამეშიეტანელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ იმ დროიდელი სელჩუკიანთა სასულთნოს საზოგადოებრივი აზრის წარმართველმა გურჯი ხათუნს გადაწყვეტა ხმა ეკუთვნოდა.

აღმოსავლთის ჩინებული პოეტი ჯელალედ-დინ რუმიც დიდი პატივითა და მოწიწებით ექცეოდა თავის მეარეკეს მურიდს გურჯი ხათუნს. ეს მზეურობება პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდანაც, რომელშაც ჩვენამდე მოაღწია და გამოცემულია როგორც სპარსულ, ასევე თურქულ ენებზე. ჯელალედ-დინ რუმის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში არის ორი წერილი, რომლის ადრესატიც გურჯი ხათუნი უნდა იყოს. მართალია, აქ პირდაპირ არ არის ნახსენები დედოფლის სახელი, მაგრამ მიმართვის ფორმა და შინაარსი მის გამომცემლებს და კომენტატორებს აფიქრებინებს,37 რომ იგი განკეთვნილია დედოფალ — გურჯი ხათუნისადმი.

მართლაც, ამ წერილების მიმართვის მანერა და შინაარსის ზოგიერთი მხარე ეშმეტანელს ხდის, რომ მისი ადრესატი გურჯი ხათუნია. როგორც ირკვევა, ერთი წერილის დაწერის მიზეზი დედოფლის ავადმყოფობა, ხოლო მეორისა — რაღაც უსიამოვნო ისტორიაა, რომელიც გურჯი ხათუნს გადახდომია თავს. დასასრულს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ წერილების გამოქვეყნება, რადგან მათში ნათლად ჩანს ის ღრმა პატივისცემა და მოკრძალება, რომელსაც ამყოფებენდა ლმობიერეთის უდიდესი პოეტი ჯელალედ-დინ რუმი გურჯი ხათუნისადმი და აგრეთვე ის სულიერი ნათესაობა, რაც მათ შორის არსებობდა. ისინი სინტეზერესოა მეეანას მსოფლმხედველობის გარკვეულ თვალსაზრისითაც.

მწყალობელი და ჯიდსულოვანი, საეკლესიაქმეთაგან განრიდებული, ჰეშმრიტი მონა (ღმერთისა), ქალაქსონია ღირსება, მათ შორის ყველაზე უმწიველო და ნამუსანი, ეთილმოწყენმოვანი და სათნომყოფელი, მომავლის მეკრეტელი, სიკეთის მთესველი, დიდად პატივდებუ-

35 ნახე მ. ინდერი, მეკანანა და მისი თურბე, სტამბ., 1957 წ.

36 ქართლ. ცხოვრ., ტ. II, გვ. 270.

37 მეკანანა ჯელალედ-დინ რუმი, წერილები, გამოსცა და კომენტარები დაურთო ა. გოლდენრლიმ, სტამბოლი, 1963, გვ. 237.

ელიზბარ ჯაველიძე

გურჯი ხათუნის და ჯელალედ-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან

ლი ფიდიშის ბუნებისა და ბატონთ-ბატონის შუამავალი ხათუნის მაღალი და ნეტარი ბეჭნიერება. კეთილსაბრძა და ეშმეკეულობა მარადიულ ჯოფს ალაშა, გაზარდოს მისი ბედკეთილობა, დღითიდღე განაშტაკოს და აღამაღლოს. ეკასხვეოსნოს მისი მეგობართა თვალნი, დაამხოს და მოაწესოს ასწოროს მტერი მისნი. ხარწმუნოებისა და ამა ქვეყნის საკიროებანი ტალეუნოფის და ორივ ქვეყნის ბედნიერებას ეუწოის, ბეჭამედისა და მის შუამავალთ ბულისათვის.

ამ ეროვული მონის სალამისა და ხოტბის შემდგომ. ეუწოდეთ, რომ თქვენნ ბედნიერებათ გასხვეოსნებული სახის ხილეა იმედნად ფწდან, რომ ჩემი სურვილი ზღვარფდებულია. მაღალნა ღმერთმა ეუწეს, არ არის არც ერთი ეჯი, რომ არ ეფეკრობდე ამ ერთადერთი ხათუნის მდგომარეობაზე. თქვენ მიერ ფალეტაული არც ერთი ფიდიშისეული მოწყალეა. არც ერთი თქვენი საუბარი, ქეელმოქმედება და დიდსულოვნება ბიეიწეებული არ არის. ღმერთს ეეეერებთ ან ელეოლეთან. მაგრამ თქვენთან მოსვლის ან წერილის მოწერის საშუალება არ მაქვს. თუმცა ეს ერთადერთის ხათუნის ნათელა ბულეა ფალიდთა ჭრდა სულმაც კარგად ეუწოს; და ამდენად ეხსენებეგმად არ ეოს. ღეთისადმი ბაანეფენილი სიყვარული ჩვენი სიკედილით და სიცოცხლით არ შეცარდება. მოწყენებით ეეეეოლეეთ, თუ რა გარდაგხდათ თავს. თქვენი მდგომარეობა მინტკერესებს. მაღლაბა მაღალ ღმერთო. ბოლო ხანებში თქვენი კარგადეოფნის, ეანმრთელობის და ბედ-კეთილობის ამმაგი შევრტეეე. ძალიან ძნაე და ძნელად ასატან ანბავს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ყოველივე ეს თქვენი ღირსების ამაღლების, კეთილ საეჭმის. ბეუნერებისა და შეების მოპოვების საბაბი და საფუძველეა. ერთადერთი ხათუნი მთელ არსებით ალაშს მინდობია, მით იმედფენენ: მაღალი ღმერთის მოწყალეს და შეშწეუობის შეძყერეა. დაბოლოს, ღმერთის, ეუნერტერი და ბარადიელი მოწყალეა მის ფარდეს ეამლად მოეგლინება, მის ეესიამოვნი ხელმოცარულთის თვითონეე გამოასწორებს (მის ეკრობოკრო ხრამს თვითონეე შეაეეთებს). ეკ. რომ ალაშის გზა — ეს არის მისი ეენარის და მეთოლობის გზა. ის, დაეუნაბაბეი და ეუწონარსის, ერთადერთი ღმერთი, ფონამეკრეტეელებს და ფონდანეებს. რომ შეფლთ ეახე მიეშეკრიათ ღმრთისეენ ნ მისწეალაბრ ამიმდგეი არიან, ბმიმე ეუბედურებეზეს ნიეზეგეს ხოლე, რათა ისინი გამოცდილ ეა გამოეეხეზნლია. იქამდისაც კ. რომ ეემეენ მდგომარეობაში ჩავარდნილებს ბეტერები ეტყეიან: თქვენ ღმერთის მოწყალებაზე ქედგეეეეთ, ამბობთ, რომ ღმრთის ღეენო შესცალოთ. ხლა კ. ეკეთი (ეუწეოა) თქვენი მდგომარეობა. თანალმბის ხელი არ გაშეგეეეწოდათო. — ნიშანს ეუგბენ მათ. ისინიც ეამეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის სამყაროში ღმერთს შესთხოვს და ეედრება. იგი თაყვანისცემაში ოდნავადაც ვერ იქნება დავიწყებული და დამცირებული. ის იოტისოდენ სიკეთეს მთად აქცევს. ნაკლის მთას „ი იოტისოდენად აქცევს. რადგანაც მე ვცდებ, და ხალხი არარსებობიდან სარნი ვყავ, მათ სიცოცხლე და ჭეშ მიეანიჭე. ვუწყალობე (არსებობის) საშუალებანი. მაგრამ ამ კეთილი საქმეების თუ ცუდი საქმეების თესვისას, ამ ალება-მომკის დროს, როდი ვფიქრობდი, რომ მათგან მესარგებლა და რაზე მომეგო. რადგანაც მე მოგებათაგან და სარგებლობათაგან გაწმენდილი ვარ. მათ ისარგებლონ ჩემგან, ბედნიერებას ეწიონ, მარადიული ბედნიერება ჰქონდეთო. აი, ამ მიზეზით შეექმენი ისინი. დიდება ალაჰს, და ეს მაღალი აზრები იმ ერთადერთი ხათუნისათვის განსხვავსნებულია, ყოველგვარი სიფარის გარეშე (ნათლად) თვალწინ უდგას. სიეიოს ბედნიერების შესახებ ამბები, რომლებიც სხვებისთვის საეჭვო და სათუოა, მისთვის უდავო ჭეშმარიტებაა, სრული სიცხადეა...

თუ რატომ არ გწერთ წერილს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ყოველივეს და ყველაფრის რაოდენობა და ხარისხი მის ხელთაა, მისი ნებითაა. მისი ნებართვის გარეშე ერთ წუთსაც ვერ გაატარებ, ერთ სუნთქვასაც ვერ ამოიღებ. ეს შეუძლებელია. ხალხი განგების ზღვაში, ხომალდებიანთ თავბრუდახვეული ჭარა ამყოლია და გაბნეულა. შენ, ეი, ხომალდო, ამ მხარეს გადმოცურო, უყვირე იმ ხომალდს. ხომალდი კი მინიშნებით ვაუწყებს დაკვასუბობს: ჩვენ ზღვით მობერილ ნიავს ერთ აყოლილი. მარცხნივ დაუბერავს თუ მარჯვნივ. ზურგიდან დაუბერავს თუ წინიდან. ვას მივყვებით. თუკი არ გკერა მისი უმწეობა იხილე. ასიათასობით საქმე შენი სურვილის წინააღმდეგ ხდება, ვითარდება. შენი უმწეობის სარკმლიდან გაიხედე, იხილე მთელი სამყაროს უძლურება, მოიაზრე. უმწეობის სარკმლიდან იწამე და იხილე შენი სურვილისამებრ ყველაფრის და ყოველივესთვის. ძალა რომ შესწევს, მისი ძალოვანება. რადგანაც ამხედრებული ფადიშაჰი ცხენს აღვირს მოჰკრავს და სასურველ მხარეს მიაბრუნებს, რათა გაიგოს, რომ მასზე ამხედრებულია ადამიანი, რომელმაც ლაგამი ამოსდო.

მარადიულად იყავ ჭეშმარიტების ალქმაში, გუმანისა და ჭვრეტის სიწმინდეს და სამართლიანობაში. (ყელაულდ-დინ რუმი, წერილები, გვ. 190).

1795—1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლარა ჭელუში

გრიბოედოვის კომედიის ქართული თარგმანების ისტორიისათვის

ქართველი ხალხი ყოველთვის დიდად აფასებდა ალ. გრიბოედოვს. მარტო ის გარემოება, რომ სახელმოხვეჭელი კომედიის გამოჩენისთანავე მისი ქართული თარგმანის შესაქმნელად არა ერთ ცნობილ მოღვაწეს მიუმართავს, მუტაყველებს იმაზე, რომ ეს უკვდავი ნაწარმოები ჩვენი ეროვნული შენაძენიც გამხდარიყო.

ჩვენამდე მოაღწია ალ. გრიბოედოვის კომედიის ხუთმა თარგმანმა.

არსებობს ცნობები, რომ პირველად „ვაი ჭკუისაგან“ ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურულ წრეში უთარგმნია 1832 წელს.

ამ ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი თეთონ ალექსანდრე ორბელიანი ყოფილა. მის ბინაზე თავს იყრიდნენ: გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე, ელიზბარ ერისთავი და სხვები.

წრის წევრები კითხულობდნენ და არჩევდნენ როგორც საკუთარ ნაწარმოებებს, ასევე ძველ და თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებს.

მას შემდეგ, რაც 1832 წლის 21 იანვარს რომან ბაგრატიონის სალონში რუსულად წარმოადგენენ ა. ს. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურულმა წრემ გადაწყვიტა, ეთარგმნა და დაედგა ეს კომედია თავის წრის ძალებით. ეს განზრახვა რომ ხულ მალე განხორციელდა, ამაზე მიუთითებს გიორგი ერისთავის ანონიმი მეგობრის გამოქვეყნებული მოგონება. აქ ვკითხულობთ „(1832 წელს) დაიწყეს ყმაწვილმა კაცებმა თარგმნა კომედიებისა და რაოდენმე კიდეც წარმოადგინეს ალექსანდრე ორბელიანის სახლში, სხვათა შორის, „გორე ოტ უმა“ გრიბოედოვისა“.[1]

აღნიშნული წრის მიერ თარგმნილი გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ დაკარგულა, ყოველ შემთხვევაში, ჯეჯეგრობით ნაპოვნი არ არის.

ამ თარგმანის დაკარგვის მიზეზი უთუოდ 1832 წლის „ფარული საზოგადოების“ აღმოჩენაში უნდა ვეძებოთ, რის შემდეგაც, როგორც ცნობილია, ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურული წრის წევრები დაპატიმრეს.

გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ პირველი თარგმანი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ეკუთვნის მოსკოვის უნივერსიტეტის კანდიდატს გიორგი ბეჟანის ძე წინამძღვაროს (წინამძღვრშვილს)[2]. თარგმანი ცალკე წიგნად გამოიცა 1853 წ. მაშინ გ. წინამძღვრიშვილი მსახურობდა სახაზინო პალატაში მაგიდის უფროსის თანამდებობაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე მიღებულია აზრი, თითქოს წინამძღვრიშვილის თარგმანის გავრცელებას ცენზურა აფერხებდა 26 წლის განმავლობაში. თარგმანი სტამბიდან გაშვებული იქნა მხოლოდ 1879 წელს.

ამის დასადასტურებლად გრიბოედოვის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილ მკვლევარებს მოჰყავთ ციტატი 1879 წლის გაზეთ „დროებიდან“:

„ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. გრ. ბეჟ. წინამძღვროვისაგან 1853 წელს ნათარგმნი გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“, მას შემდეგ თითქმის მთელი გამოცემა ნამსტნიკის ტიპოგრაფიაში წყობილა. ახლა, ამბობენ, უფ. წინამძღვროს ეს კომედია გამოაქვს ხსენებული სტამბიდან და გასასყიდად დაარიგებს წიგნის მაღაზიაშიო“[3].

თანამედროვე მკვლევარები იმ დასკვნამდეც კი მივიდნენ, რომ ცნობილ ქართველ დრამატურგს

---

[1] ანონიმი მოკვლეულია იაკობ ბალახაშვილის მიერ. ამის შესახებ იხილეთ ჟურნალ „ზნეობაში“ — 1945 წ. № 1, გვ. 108.

[2] Вано Шадури, «Грибоедов и грузинская культура», изд. «Заря Востока», Тбилиси, 1946 г., стр. 62.

[3] გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ერისთავს თვლიან გრიბოედოვის კომედიის პირველ თარგმნელად, ვინაიდან ქართველი საზოგადოება მის ნარგმანს უფრო ადრე გაეცნო (1863 წ.), ვიდრე გ. წინამძღვრიშვილისას (1879 წ.).4

სინამდვილეში გ. წინამძღვრიშვილის თარგმანს საზოგადოება გაეცნო 1853 წ. და ამდენად იგი კომედიის „ვაი ჭკუისაგან" პირველი მთარგმნელია.

ამის შესახებ 1853 წლის 16 სექტემბრის (№ 68) გაზეთი „კავკაზი" სათაურით «Библиографические известия» გვაუწყებს: «В Тифлисе появился в свет грузинский перевод комедии Грибоедова «Горе от ума» („ვაი ჭკუისაგან"). Книга эта напечатана с разрешения Его Светлости Князя Наместника Кавказского. Счастливая мысль познакомить грузин на родном им языке с одним из лучших произведений Русской литературы принадлежит г-ну Цинамдзгваровy, который в предисловии к своему говорит о главной идее комедии, о характере действующих лиц и присоединяет еще краткую биографию автора. Книга продается в Типографии Канцелярии Наместника Кавказского по 1 р. сер.; за пересылку прилагается 10 к.»5.

ანალოგიური შინაარსის ცნობებია მოცემული 1853 წლის გაზეთ „კავკაზში" № 83, 1854 წ. № 47, 1853 წ. გაზ. „ზაკავკაზსკი

სცენაზე დადგმის ცდები თბილისში ჯერ კიდევ 1853 და 1879 წლებში ყოფილა. შემდეგ 1884 წლის გაზაფხულზე წარმოდგენილათ ქუთაისში. ამის შესახებ „დროების“ ქუთაისელი კორესპონდენტი აკოფოშელი იტყობინებდა: „მოთამაშენი იყვნენ სცენისმოყვარენი. ხალხიც ბევრი დაესწრო წარმოდგენას; „ლაზათიანად ითამაშა ვ. მესაბა (ჩაცკი) და ან. ლორთკიფანიძემ (ფამფუსოო) კომედია ცუდად არის ნათარგმნი. ტაში კარა და „ბრავოს“ ყვირილი განუწყვეტელი იყო“ 8.

შემდეგ გიორგი წინამძღვრიშვილის თარგმანით კომედია ქართულ სცენაზე დაიდგა იანვ ქუთაისში 1886 წ. ხოლო თბილისში 1867 წ. ამის შესახებ გაზეთში „კავკაზმა“ 1887 წ. № 8 გამოაცხადა: „კვირას, 11 იანვარს ქართულ სცენაზე პირველად იქნება წარმოდგენილი ბ-ნ მესხის საბენეფციოდ გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“. თარგმანი შეასრულა თბილისის სალოქ ს სასამართლოს წევრმა გ. წინამძღვროვმა“.

წაიკითხა თუ არა გ. წინამძღვრიშვილმა ეს განცხადება, ძალიან შეშფოდა, ვინაიდან ისეთი პიესის თარგმნას როგორიც არის „ვაი ჭკუისაგან“ შეიძლებოდა მისთვის ზიანი მიეყენებინა, ამიტომ, შეშინებულმა, გაზეთ „კავკაზში“ შემდეგი შინაარსის წერილი მოთავსა:

„ბ-ნო რედაქტორო თქვენი გაზეთის „კავკაზის“ მერეკი ნომერში დაბეჭდილია „სტატეია“ იმის შესახებ, რომ კვირას, 11 იანვარს, ქართულ სცენაზე წარმოდგენილი იქნება გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“. სტატეიის ბოლოში ნათქვამია, რომ პიესის თარგმანი თბილისის სალოქ ს სასამართლოს წევრის ბ-ნ წინამძღვროვის მიერ არის შესრულებული: მაგრამ როდის ვთარგმნე მე ეს პიესა, ამის შესახებ სტატეიაში არაფერი ნათქვამი. ამის გამო, მოწყალენი ხელმწიფენ ჩემო, უნდა გაცნობოთო, რომ თარგმანი პიესისა შეასრულე 1853 წელს, ე. ი. როდესაც მე ვიყავი არა სალოქ ს სასამართლოს წევრი, არამედ ამიერკავკასიის სახაზინო პალატის „სტოლოხაჩალნიკი“. ოფით თარგმანი დაიბეჭდა 1853 წელს ხაზინის ხარჯზე, მისი ბრწყინვალების, აწ განსვენებულის კავკასიის ყოფილი ნამესტნიკის თავადის ვორონცოვის ნებითა და ბრძანებითა“.10

მართალია, გ. წინამძღვრიშვილმა მთარგმნის წინაშე თითქოს მოიმოდაში, მაგრამ საჭმე ამით არ დამთავრებულა. გაზეთ „ივერიაში“ რედაქტორნე „ორ-ანმა“ (ახნაზროვი) გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „სახელდახელო (ყბად-ასაღები-წყალ-წასაღები ამბები) ავტორი დასცინის და ჰკილავს გ. წინამძღვრიშვილს ასეთი ფრთხილი საქციელისათვის.

„განა ყველა დარწმუნებული არ არის, რომ გონიერებასა და ჭკუას ვაი მოაქვს და ესეა არა-რა?... „ვაი ჭკუისაგან“-ში განა ვაი არ ლაპარაკობს საბრალო გრიგორ ბეკანის-ძე წინამძღვრიშვილზ? ამას წინათ გაზეთში „კავკაზმა“ არც აიღო, არც დაიყო და პირდაპირ გამოაცხადა: „ვაი ჭკუისაგან, რომელიც ცეკრის ქართულნა დასმა უნდა წარმოადგინოს, გადმოთარგმნილია ქართულ ენაზედ ოლქის სასამართლოს წევრის გ. ბ. წინამძღვრიშვილის მიერო. ასეთი ცილისწამებაც გაგონილა! ეგი — კი არა. უეცებლოდ ცეცხლი ჩაგდეს ბ-ნი წინამძღვრიშვილი, თუმცა ბატ-ს წინამძღვრიშვილს მაშინ გადმოუთარგმნია ეგ მარილაც რომ „ვაი ჭკუისაგან“, როცა ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი კი არა, ამიერ-კავკასიის ხაზინის უსაფრუკა „სტოლის-უფროსი“ ყოფილა“.

ეს ცილისწამება ისშინლად იწყინა ბ-ს. წინამძღვრიშვილმა და თითქოს ტულისწყრომაზე გამოაცხადა იმავე გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე, ის წინამძღვრიშვილი მე არ ვიყავიო, ის ხაზინის „სტოლის-უფროსი“ იყო და მე კი ოლქის სასამართლოს წევრი ვარო. იმ საწყალმა „სტოლის-უფროსმა“ თუ გადმოთარგმნა ქართულ ენაზედ, ამიტომ გადმოთარგმნა რომ განსვენებულს უგანთლებულესს თავადის ვორონცოვის ნება იყო და ამის გარდა, ასლა — კი არა, 1853 წელსა, მას შემდეგ ოცდა-თოთხმეტი წელიწადიაო“.

ავტორი დაცინვის წერილს ასე ამთავრებს:

ვაი დრონი, დრონი
ნაქებნი მტკბარად,
წარილტვნენ, გაჰქრნენ,
სიზმრებრივ ჩქარად
მე იგი არა ვარ, არა და არა.
მოდი და ამის შემდეგ ჭკუა ინატრე!..11

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომედია „ვაი ჭკუისაგან“ მაინც დაიდგა თბილისის სცენაზე.

შემდეგი დადგმები იგივე გ. წინამძღვრიშვილს თარგმანით განეკუთვნება 1889, 1891 წლებს.

გ. წინამძღვრიშვილის თარგმანი შესრულებული ცენზორის მიერ შესწორებული და ნებადართული ეარიანტიდან. ასე რომ, თარგმანი სრული არ არის. მეორე მოკმედების მეორე გამოსელაში გამოტოვებულია ფამფუსოვის მონოლოგი, რომლის ოდესაც ლეგსი («Мы, например, или покойник дядя») და სხვა. ამოღებული იყო ცენზორის მიერ კომედიის პირველი გამოცემის დროს (1833 წ.).

8 ვანნ შადური. გრიბოედოვი და სქართველო, თბილისი, 1954 წ. გვ. 39.

9 „დროება“, 1884 წ. № 117.

10 გაზეთი „კავ კაზი“, 1887 წ. № 10.

11 გაზეთი „ივერია“, 1887 წ. № 9.

კომედია კი, როგორც ჩანს, თარგმნილია ამ გამოცემის მიხედვით.

გ. წინამძღვრიშვილს თარგმანი საკმაოდ სტატია, გაუმართავი ენით არის შესრულებული. მოკლებულია გრიბოედოვის ენის სიმდიდრეს, სიმახვილეს, მრავალფეროვნებას. ადგილები არასწორადაა აქეს თარგმნილი. თარგმანი აწკარედის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს. აკ არის არავითარი მისწრაფება ფრაზის გალამაზებისა, თარგმანი მეტად მშრალია, ცივი. ხალხური გამოთქმები, ცოცხალი იუმორი, რომელიც ასე რიგად ეხერხებოდა გრიბოედოვს, წინამძღვრიშვილს თარგმანში შესულტებული. თარგმანში ეხვდებით რუსიციზმებსაც. რუსიციზმების ხმარება წინამძღვრიშვილს ეზარით, გამოსულებული. აი, რას წერს იგი: „ამ კომედიაში შეგხვდებით რამდენიმე სიტყვა, რომელიც არ არის ქართული, მე კი ისე მიმბარია, როგორც ქართული, მაგალითად: „ბალი“, „ვეჩერი“, „უჩენია“, „სმოტრი“, „სკუჩნობა“, „ლამა“, „პადლეკი“, „ზლიაპა“ და სხვ. ეს სიტყვები შემეძლო გადამეთარგმნა, მაგრამ არ ექნებოდათ ის მნიშვნელობა, რასაც ალინაგინდენ რუსულად. ამის გარდა, ეს სიტყვები თითქმის ყოველ ქართველს ესმის, სოფლელების გარდა. ჩვენ თითქმის დავისაკუთრეთ ეს სიტყვები და ასე ეხმარობთ, როგორც ქართულ სიტყვებს.[12]

დამაბასიათებელია, რომ წინამძღვრიშვილი სრულიად სამართლიანად მიუთითებს ალ. ბრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ თარგმანის სირთულეზე და აღნიშნავს, რომ „...ზოგიერთი ჰაზრი, ზოგიერთი ტრიკენი არ არის ნათარგმნი სიტყვა სიტყვაზე. მიზეზი სხვა სიტყვებით თარგმნისა ის იყო, რომ იმ სიტყვებით, რომლითაც გამოუხატავს ავტორს თავისი ჰაზრები, არ შეიძლებოდა გადმოთარგმნილაყო ისე, რომ იმ ჰაზრებს შერჩენოდათ ისეკვ ის ძალა და გამოსულყოფნენ კიდეკვ წმინდად ქართულად...“[13]

მართლაც, გრიბოედოვის თარგმნა არამც თუ სხვა ენაზე, არამედ, უფრო მეტიც, მისი ახრი შეშალიერ ენაზეკვ ძნელად გადმოსაცემია ისე ლაკონიერად, როგორც ამას გრიბოედოვი ახერხებს. ყოველი სიტყვა, მახვილი, სასვენი ნიშანი და სხვ. პოეტს ზუსტად აქვს ნაფიქრებული. საკმარისია რაიმე გამოგვრჩეს, დაეუმატოთ ან გადავაადგილოთ და მაშინვე იცვლება გრიბოედოვის ენამახვილურად გამოთქმული ახრი.

როგორც ჩანს, თანამედროვენიც არ იყვნენ

[12] „ვაი ჭკუისაგან“. თარგმანი გრიგოლ წინამძღვარიოვის მიერ, თბილისი, 1853 წ., გვ. 115.

[13] იქვე, გვ. 114.

აღფრთოვანებულნი წინამძღვრიშვილის თარგმანით. ამაზე მიუთითებს რეცენზია, რომელიც მოთავსებულია 1887 წლის გაზეთ „კავკაზში“. რეცენზენტი უპირისპირებს ერთმანეთს გ. წინამძღვრიშვილისა და გ. ერისთავის თარგმანს და უპირატესობას აძლევს ერისთავისეულ თარგმანს.[14] გაზეთი „ნოვოე ობოზრენეიე“ ფურცლებზე კი მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ე. აბაშიძეს დაითხზნია ალაკი წერილი, რათა მან გადაგვიდოს წინამძღვრიშვილის თარგმანს, რომ ცოტა მაინც შეამსუბუქოს თარგმანის ნაკლი, ვინაიდან ქართული დრამატიკული ჯეუფი ეშზადება კომედიის ქართულ ენაზე დასადგმელად.[15]

ა.ა. წერეთელს ალბათ ვერ განუხორციელებია ე. აბაშიძის თხოვნა. ეს იქიდან ჩანს, რომ გ. წინამძღვრიშვილის თარგმანით დადგმულ გრიბოედოვის კომედიაში ადგილ-ადგილ ჩართული იყო ერისთავისეული თარგმანის ნიმუშები.[16]

როგორც ჩანს, გ. წინამძღვრიშვილი თვითონაც არ იყო კმაყოფილი თავისი თარგმანით. იგი დამატებაში მორიდებულად მიმართავს მკითხველს. „მოკლე მოთხრობის ბოლოს მოგახსენებთ, უპატიოსნესო წამკითხველნო, რომ ამ კომედიას არაფერი წესი არა აქვს რა... მე მოგახსენებთ დედაენაზე, არა თუ ჩემ თარგმანზე: ჩემ თარგმანს ექნება წესი იმათთვის, ვისაც კარგად ესმის ეს კომედია რუსულ ენაზე. ამიტომ ექნება წესი ქართულს ენაზე, რომ ძალიან ანელია ამ კომედიის სხვა ენაზე ისე შშვენიერად გადმოთარგმნა, როგორ რუსულს ენაზე არის დაწერილი. მაგრამ ამასაც მოგახსენებთ, რომ ვინც არ იცის რუსული ენა და წიგნი, იმისთვის ძალიან კარ საკითხავი წიგნია. მე მოთარგმნია საკითხავად, არა თუ თეატრში წარმოსადგენად: ამ კომედიას თვით რუსებიც ძლივ წარმოადგენენ ხოლმე პეტერბურღში და მოსკოვში, ადგილ მოყვანილი არიან გამოცდილნი ავტორნი“.

შემდეგ კი განაგრძობს — „იქნება წარიკითხეთ ეს კომედია და რომელიმე ტრიკენი, ანუ რომელიმე გვერდი, ანუ არ მოგეწონათ, ანუ ვერ გიგიგეთ და ამის გამო სოქვათ თუ: ეს მეტია, ეს რას ნიშნავს და სხვ. ნუ გეგონებათ, უპატიოსნესო წამკითხველნო, რომ გრიბოედოვს უბრალოდ დაეწეროს ამ კომედიაში რომელიმე

[14] გაზ. „კავკაზი“, 1887 წ., № 12.

[15] გაზ. „ნოვოე ობოზრენეიე“, 1891 წ., № 2449.

[16] გაზ. „ნოვოე ობოზრენეიე“, 1891 წ. № 2454.

სიტყვა. თითქმის ყოველ ტრიქონს, ყოველ სიტყვას, ამ კომედიაში დაწერილს, აქვს რომელიმე ჰაზრი, რომლითაც გრიბოედოვი ანიშნებს მოსკოვის საზოგადოებაში, ვისაც ნაკლულება ანუ წუნი სძეკს რაგა".17

ყოველივე ზემოაღნიშნული არაფრით არ „მცირდებაც" გ. წინამძღვრიშვილის ღვაწლს კომედიის „ვაი ჭკუისაგან" თარგმანის ისტორიაში.

ნუ გვავიწყდება, რომ ეს არის პირველი თარგმანი პროზად შესრულებული. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მისი დიდი დამსახურება კომედიის სათაურია „ვაი ჭკუისაგან" გამართულად თარგმნაა, სათაური შინაარსობრივად, ქართულ ენაზე ბრწყინვალედ გადმოგვცემს ალ. გრიბოედოვის ჩანაფიქრს და კარგადაც ყალრს.

კომედიის მეგრ მთარგმნელად გვეკლინება ცნობილი ქართველი კომედიოგრაფი, „ტერნალ „ცისკრის" რედაქტორ-გამომცემელი, ქართველი თეატრის ამშენებელი გიორგი ერისთავი (1813-1864 წ.). გ. ერისთავს ქართულ კომედიოგრაფიაში წინამორბედი არ ჰყავდა, გზის გაკაფვაში უდაოდ რეს მწერლებს, განსაკუთრებით ეკი ალ. გრიბოედოვის შემოქმედების გავლენა ეტყობა.

„ქართული კომედიოგრაფის პირველი დიდი წარმომადგენლის — გ. ერისთავის მასწავლებლები იყვნენ: გრიბოედოვი, გოგოლი და პუშკინი. მაგრამ გ. ერისთავი არის უალრესად ეროვნული მწერალი, რომელმაც თავის კომედიებში ორიგინალურად გაიაზრა მისი თანამედროვე ცხოვრების ჩამორჩენლობა და მოგვცა მისი მკაცრი კრიტიკა".18

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ერისთავს პირადი ნაცნობობა ჰქონდა ა. ს. გრიბოედოვთან. იგი დიდ რეს დრამატურგს ხედავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში. „იმ დროს, როდესაც გრიბოედოვი ქალაქში იყო, გ. ერისთავი წარმოდგენენს იმას, როგორც კომედიის მწერალი და შესანიშნავმა კაცმა განზრახვა უქო ჩვენს პოეტს".19

გ. ერისთავის თარგმანები აღსაქმ მის ორიგინალურ შემოქმედებას. ყოველი თარგმანი მის პოეტურ განწყობილებასა და მსოფლმხედველობასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული.

გ. ერისთავის მოღვაწეობის დროს მთარგმნელობით პრაქტიკაში დამკვიდრებული იყო ორი მეთოდი: ადეკვატური და თავისუფალი. ქართველმა დრამატურგმა გამოიყენა როგორც ერთი, ისე მეორე მეთოდი.

ლექსების თარგმნა დაიწყო ჯერ კიდევ პოლონეთში ყოფნის დროს. იგი გაიტაცა ადამ მიცკევიჩის შემოქმედებამ. გ. ერისთავს თარგმნილი აქვს ადამ მიცკევიჩის მთელი რიგი ლექსები, თარგმნა პუშკინის ლექსი „მარი", პეტრარკას „ეურთხეკა", „ვ. ჰიუგოს — „ერთი მინუტის სიბაბეკე", „ერთ ქალს", „ო. ნე კიცხავთ", „სიმღერა", ლერმონტოვის ლექსები და სხვათა ნაწარმოებები.

რაც შეეხება ალ. გრიბოედოვის კომედიას, გ. ერისთავმა მოსწერო გადაეთარგმნა კომედიის მხოლოდ ნაწყვეტები I და II მოქმედებიდან, რომელიც დაიბეჭდა 1863 წლის „ჟურნალ „საქართველოს მოამბის" დეკემბრის ნომერში სათაურით „უბედური ჭკუისაგან".

ერისთავისეული თარგმანი ბევრად უფრო კარგია, ვიდრე წინამძღვრიშვილისა. დასანანია, რომ გ. ერისთავს არ დაუმთავრებია კარგად დაწყებული საქმე.

თარგმანი გამართულია ათმარცვლიანი ლექსით, თითოეული ტირნი ერისთავის დამახასიათებელი თავისებურებანი შეძლებისდაგვარად არის გადმოტანილი.

ერისთავის თარგმანი გასაგებია, სხარტია. ლექსის ყურადობა თავისუფალი, ძალდაუტანებელია. ამის დამამტკიცებელია მის მიერ ფრაზეოლოგიზმების გამართულად და მოსწრებულად თარგმნა. ასე, მაგალითად.

«Нельзя ли для прогулок,
Подальше выбрать закоулок»
Минуй нас пуще всех печалей
И барский гнев, и барская любовь».

„სეირნობისათვის გიჯობს, სხვა კუთხე
გამოირჩიო შენ მოშორებით".
„დამიხსენ ორ საქმისაგან
ბატონის წყრომის და ტრფობისაგან".

კომედიის „ვაი ჭკუისაგან" ერისთავისეული თარგმანი საფუძვლად ანალიზს გვაძლევს პროფ. ეფრი ბოგომოლოვი.20

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ერისთავის, ისევე როგორც გრიბოედოვის კომედიის ლექსია და სინტაქსი, ჩვეულებრივ უაზოლოდ ხალხურ სასაუბრო მეტყველებას. ახალი სასაუბრო მეტყველების შემოტანასთან ერთად, მათ მოქმედ პირთა ლექსიკონში მოცემული ყოველი ფენის მეტყველების თავისებურება, რომელიც უდავოდ თავისებურ ელფერს აძლევს, როგორც გრიბოედოვის, ისე გ. ერისთავის პერსონაჟებს.

მართალია, ერისთავისეული თარგმანი დიდი

---

17 „ვაი ჭკუისაგან". თარგმანი გრიგოლ წინამძღვაროვისა. ქ. თბილისი, 1853 წ. გვ. 113.

18 დავით გამეზარდაშვილი, „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან". გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1961 წ. გვ. 85.

19 ი. მეუნარგია. „ქართველი მწერლები", საალბეგამი, თბილისი, 1944 წ. გვ. 59.

20 Богомолов И. «Из истории грузино-русских литературных взаимосвязей, Тбилиси, 1967 г., стр. 189 — 197.

შინდომებით და სიფრთხილით არის შესრულებული, მაგრამ თარგმანში არის ისეთი ადგილები, რომლებიც დაზუსტებას საჭიროებენ. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც კომედიის სათაური „უბედური ჭკუისაგან“ («Несчастный от ума»).

კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ ერისთავისეული თარგმანის საფუძველიან ანალიზს გვაძლევს პროფ. იგორ ბოგომოლოვი.

გიორგი ერისთავმა თავისი დიდი სიყვარული გრიბოედოვისადმი ჩაუნერგა თავის შვილს — დავით ერისთავს, რომელმაც 1879 წელს, გრიბოედოვის იუბილესთან დაკავშირებით, გამოსცა რუსულად ალ. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“.[21]

კომედიის მესამე თარგმნელად გვევლინება ცნობილი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1893). თარგმანი არ დაბეჭდილა. იგი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელაძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, მის ავტოგრაფიაში.[22] კომედიად ნათარგმნია პირველი მოქმედების მეტუთე გამოსვლამდე. თარგმანი შესრულებულია ლექსად და პროზად. ზოგან, მცირეოდენ ცვლილებებთან, კ. ერისთავის თარგმანის ნაწყვეტებია ჩართული. ეს უკვე იმაზე მეტყველება, რომ ერისთავისეული თარგმანი განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის.

რეცენზიებთან ერთად თარგმანში შენიშნებია აკ. ყაზბეგის მისწრაფება გადმოქართულებისაკენ, მაგალითად, მას უცდია გვარიანი ტეგოუროსესის გადათარგმნა — ყურმძმიძე. აგრეთვე მოქმედების გადმოტანა საქართველოში. ტვერის ნაცვლად გორს იხსენიებს, ეზოელ ხიდის (ერთ-ერთი საუკეთესო სავაჭრო იყო მოსკოვში, სახელგანძმელი ფრანგული მაღაზიებით) ნაცვლად ბლოტის დუქანს და ა. შ.

ფიქრობენ, რომ ალ. ყაზბეგის თარგმანი შესრულებულია სამოცდაათიან წლებში.

ალ. გრიბოედოვის კომედიის მეოთხე მთარგმნელად გვევლინება ნიჰილური პოეტი, ბელეტრისტი, თარგმნელი და საზოგადო მოღვაწე დომინიკა ერისთავი-მდივანი (1864-1929) „ქართული ლიტერატურაში იგი „განდგეველის“ ფსევდონიმით არის ცნობილი. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 90-იან წლებში და ქართული რეალიზმის კლასიკოსების ილიასა და აკაკის მიერ გაკაფული გზით მიდიოდა. შემოქმედების და განსაკუთრებით მისი პოეზიის უმთავრესი თემა ნაციონალური გაღმამთვისუფფლებელი მოძრაობა იყო.

განდგეველი თანამშრომლობდა „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „კალაში“, „სახალხო ფურცელში“ და სხვა პერიოდულ გაზეთებში, სადაც ზშირად ათავსებდა წერილებს თარგმნის შესაბამებლაზე. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა უცხო ენებიდან შუამავლურ ენაზე და შუამავლურიდან სხვა ენებზე თარგმნას; ხაზს უსვამდა თარგმნის როლს ხალხების ურთიერგაცნობისა და დაახლოვების საქმეში.

განდგეველი თარგმნიდა მოწინავე იდეებით გამსჭვალულ მწერალთა — რილეევის, ვრაპოვიდოვის, ტოლსტოის, გორკის, კუპრინის და სხვათა ნაწარმოებებს.

განდგეველის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. ეს პირველი მთელინი თარგმანია გრიბოედოვის კომედიისა ქართულ ენაზე ლექსად. ამ თარგმანმა დიდი გამოხმაურება პოვა როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკულ ლიტერატურაში კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ განდგეველისეულ თარგმანს მიაკუთვნებენ 1900-1902 წლებს, სინამდვილეში კი განდგეველმა კომედიის თარგმნა დაამთავრა 1898 წლის მიწურულს. ჯერ 1899 წლის 26 იანვრის გაზეთი „ივერია“ „ახალ ამბებში“ გვაცნობებს განდგეველის მიერ გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ თარგმნის დამთავრების ამბავს და მაღალ შეფასებას აძლევს მას.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა მოგვესმინა ახალი თარგმანი გრიბოედოვის „ნესანიშნავი კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“. ეს კომედიის ერთი თარგმანი გვაქვს ჩვენ, რომელიც რამდენჯერმე წარმოვადგინეთ კიდევ ქართულ სცენაზედ, მაგრამ იგი, ჯერ ერთი, პროზაა არის და მეორე, თვით თარგმანიც დაძველებულია. ეს ქვეყნ თარგმანი ეკუთვნის ბ-ნს წინამძღოლიშვილს. ახლად ეს პიესა უთარგმნია ჩვენ პოეტ ქალს ქ-ნს განდგეველს. პიესა ნათარგმნია მშვენიერის ქართულის ენით, ლამაზით ლექსით და დიდად დაახლოვებულია დედანთან. მეტადრე ლამაზად აქვს ქ-ნს განდგეველს გალექსილ-გადმოთარგმნილი მონოლოგები და ყველა ის შესანიშნავი ადგილები გრიბოედოვის პიესისა, რომლებიც რუსულს ლიტერატურაში ხელისხელ საგოგმანებელ ლათია-ანდაზებად არის გარდაქმნილი. სწორედ უნდა მოვულოცოთ ჩვენს ლიტერატურას და კერძოდ ჩვენს თეატრს ამ პიესის ახალის თარგმანის შეძენა“.

ალარა ტუღუში

გრიბოედოვის კომედიის ქართული თარგმანების ისტორიისათვის

[21] ი. ბოგომოლოვი. Из истории грузино-русских литературных взаимосвязей». Тбилиси, 1967, стр. 189-197.

[22] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელაძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი № 25 (s—3988) გვ. 14r-24v.

აქედან ნათლად ჩანს, რომ განდეგილს კომედიის თარგმნა დაუმთავრებია 1898 წლის მიწურულს.

თარგმანის ნაწყვეტები 1900 წ. იბეჭდებოდა „ცვალში“ (№ 43, 47), 1902 წელს კი „მოამბეში“ (№ 11, 3, 73-96) დაიბეჭდა კომედიის პირველი მოქმედება, რომელსაც წამძღვარებული აქვს ასეთი ეპიგრამა:

„ბედმა-ცუდლუტმა, დაუდგრომელმა,
ახე განაგო ომავ თავიდგან:
ბრიყვებს ბედი აქვთ თავის სიბრიყვეთ
და ჭკვიანებს კი — „ვაი ჭკუისაგან“.[23]

ამავე წლის „მოამბის“ № 12 (გვ. 1-60) მოთავსებულია გრიბოედოვის კომედიის მეორე და მესამე მოქმედების თარგმანი, 1903 წლის „მოამბის“ № 1 (გვ. 27-52) კი IV მოქმედებისა. ამრიგად, ალ. გრიბოედოვის კომედიის განდეგილისეული თარგმანი მთლიანად დაიბეჭდა „მოამბის“ 1902-1903 წლის ნომრებშ.

განდეგილის თარგმანი იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით, რომელმაც სამართლიანად დაამკვიდრა კომედიის სათაურის წინამდეგრიშვილისეული თარგმანი — „ვაი ჭკუისაგან“. განდეგილის თარგმანი ცალკე წიგნად გამოვიდა 1904 წელს.

ამ თარგმანს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ჩვენს დროში იგი სპეკერ იქნა გამოცემული: ერთხელ 1929 წელს თაედენ ალაძის შესავლით, მეორედ 1937 წელს და მესამედ 1945 წელს პროფ. სერგი დანელის რედაქტორობით და კომენტარებით.

ამ თარგმანს პატარა ისტორია აქვს: ეა მასზე უნდა შეეჩერდეთ.

განდეგილის თარგმანით კომედია „ვაი ჭუისაგან“ თბილისში წარმოდგინეს 1900 წლის 19 ოქტომბერს. ამ დადგმის ეკიელ ანგარიშს იძლევა ჟურნალი „ქვალი“ (№ 43) — სათაურით „ჩვენი სახეთა“.

როგორც რეცენზიიდან ირკვევა, კომედიის თარგმნელსს უფრო დიდი გამძაფრება ხედა წილად, ვიდრე დამდგმელ რეჟისორს (ვ. გუნია).

„ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს, თბილისის ქართულ თეატრში დაიწყო ქართული წარმოდგენების წლევანდელი სეზონი. წარმოდგენილ იქნა გრიბოედოვის ცნობილი კომედია „ვაი ჭკუისაგან“, პირველად ლექსათ ნათარგმნი ქ. განდეგილის მიერ, წინათაც გაგვეგია, კარგი ენით და კარგი ლექსოწყობით არის ნათარგმნი და ახლა შეძლება მოგვეცა შეგვეშოწებია ეს ხმები...

[23] „მოამბე“, 1902 წ. № 11, გვ. 96.

საზოგადოება ზლიმად დაეწერო. ქალბატონებ[illegible] მთარგმნელი ქალ. განდეგილი რამდენ[illegible] გამოიწვიეს და ტაშის ცემით დაჯილდოვეს.[24]

რეცენზიაში მოტანილია რამდენიმე ნაწყვეტი განდეგილის თარგმანისა; ჩაცკის ერთი მონოლოგის «...Куда деваться от княжен» თარგმანი გადმოცემულია დამახინჯებულად (ჩაცკის როლს ასრულებდა კ. მესხი). სწორედ ეს გახდა პოლემიკის საბაბი.

პირველად განდეგილის თარგმანს გამოეხმაურა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ხახანაშვილი (1864—1912).

განდეგილი და ხახანაშვილი უახლოესი მეგობრები იყვნენ. მათ ერთმანეთი ილია ჭავჭავაძის სახლში — საეურამოში გაიცნეს. ამ დღიდან ისინი განუწყვეტლივ მეგობრობდნენ.

მათი მეგობრობისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის დამადასტურებელია ის, რომ განდეგილი ხელს უწყობდა ალ. ხახანაშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რომელიც ასე მონდომებით აცნობდა ქართველ კულტურულ რუსეთს და, რომელმაც 1900 წელ ქართული ენის კათედრა დააარსა მოსკოვის უნივერსიტეტში. განდეგილი შორეულ რუსეთში ალ. ხახანაშვილის უგზავნდა ქართული ჟურნალ-გაზეთებს, ახალ წიგნებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მოღვაწე წლობით ვერ ხვდებოდა ერთმანეთს, ისინი სისტემატურ მიწერ-მოწერას აწარმოებდნენ. მათი მიმწერა ყოველთვის საქმითა და სერიოზული იყო. ზმრიად ის ჩვენი ოფიციალური პრესის ფურცლებზეც კი ქვეყნდებოდა.

სამშობლოს ეროვნულმა ინტერესებმა დააკავშირა ეს ორი ადამიანი. ქართული ერის სიხარული და მწუხარება, მისი გაჭირვება და დალხინება იყო მათი მთავარი საზრუნავი, მათი ცხოვრების ფაქტი და ოცნება. აქ, ამ ფრონტზე დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს, აქ გამოხსნეს მათ საერთო ენა და ამიტომ მათი სიახლოვე და მეგობრობა გადაიქცა საზოგადოებრივი ურთიერთობის საეკეთესო მაგალითად.[25]

მიუხედავად მათი ახლო მეგობრული ურთიერთობისა, ერთმანეთის მიმართ ძალიან მომთხოვნნი და პრინციპიალურნი იყვნენ, ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ის პოლემიკა, რომელიც გაიმართა ჟურნალ „ცვალში“ მოთავსებული ერთი სტატიის გამო.

ალ. ხახანაშვილმა, რომელმაც არა ერთი გამოკვლევა უძღვნა რუსეთი დრამატურგის სიამაყეს, ჟურნალ „ცვალში“ ამოიკითხა ზემოადნიშნული სტატია და მისი საშუალებით შეე-

[24] „ცვალი“, 1900 წ. № 43.

[25] დაწერილებით იხილეთ ნინო ჩხეიძე „დრამიტიკა ერისთავი“, თბილისი, გამიც. „საბჭოთა საქართველო“, 1960 წ. გვ. 76-88.

ქმნა არასწორი შეხედულება გრიბოედოვის კომედიის ქართულ თარგმანზე. თავისი აზრი თამამად გამოსთქვა გაზეთ „რუსკიე ვედომოსტის“ (1900 წ. № 308) ფურცელზე. სადაც მიუთითებდა თარგმანის უხარისხობაზე და მეგობარ ქალს უსაყვედურებდა ალ. გრიბოედოვის კომედიის თარგმნას სასკოლო გამოცემიდან.

ალეფოთებელმა მთარგმნელმა ასეთი შინაარსის წერილი მისწერა ალექსანდრე ხახანაშვილს:

„შენ რომ ლაზათიანად გამოსანდე — „რუსკიე ვედომოსტში“ — ძალიან მაწყენინე ამით, რომ არ იცოდი ჩემი თარგმანი და ისე უარგონით აკეკვი „ცვალს სისულელეს. „ცვალში“ ის დაიბეჭდა, რაც ჩვენმა უმეცრამ არტისტებმა წამოროშეს სცენაზე, ხოლო ნამდვილის გადასინჯვა, ვეღარ მოიფიქრეს. შენ აიღე და ამით ისარგებელ. მე, რასაკვირველია, არც ერთი არ მიკიარს, რადგან ასეთი ბედი მაქვს...“

უდანაშაულო განდეგილის ხახანაშვილისგმი მიწერილი წერილით არ დამკმაყოფილდა. იგი ჟურნალ „ცვალში“ (№ 47) სათაურით „მერე შენშენა“, — ათავსებს წერილს ამავე ჟურნალის № 43-ში მოთავსებულ ჩაკეის მოხოლოგის მისი თარგმანის შეცვლაზე. ამით მთარგმნელმა სიმართლე უთხრა შეცდომაში შეყვანილ საზოგადოებას.

განდეგილის საპასუხოდ ამავე ნომერში მოთავსებულია რედაქტორის შენიშვნა, რომელიც ბოდიშს იხდის განდეგილის წინაშე.

„დიდად ვწუხვართ, რომ შეცდომაში შეგვიყვანეს, მაგრამ ეს სრულებით ჩვენი რეცენზენტის ბრალი არ არის. მას სურდა მეთხველისათვის წარმოედგინა რამდენიმე ალეგი თარგმანისა, როგორც ეს სცენრად გაიგონა და აბა სიდან მოიფიქრებდა, რომ ერთი ამ ადგილთაგანი ქ. განდეგილის თარგმანი არ იქნებოდა, შემდეგ დაბეჭდვისას გავიგეთ სინამდვილე, მაგრამ გვიან იყო, კარგი იქნებოდა, თვითონ ქ. განდეგილს წარმოდგენილი დროსაე ეოქვა გაზეთების წარმომადგენელთათვის, ეს და ეს მოხოლოგი ჩემი არ არისო. შაშინ არც ჩვენ შეეცდებოდით და არც სხვას შეეიყვანდით შეცდომაში. რედ“.26

განდეგილის თარგმანს ფართოდ გამოუხმაურა მაშინდელი მწერლობა.

აკაკი წერეთელი გაზეთ „ივერიაში“ სათაურით „მერე რაჰ“ მაღალ შეფასებას აძლევს ბრიბოდოვის კომედიის განდეგილისეულ თარგმანს:

„... მარგალიტად მიგვაჩნია ჩვენ გრიბოედოვის კომედია — „ვაი ჭკუისაგან“. ქ-ნ. განდეგილის ნათარგნი და დრამატულ საზოგადოების ეაშოეცემული, რომ ეთქვათ, თარგმანი ორიგინალურზე უკეთესია, ეს ნამტანი იქნება, მაგრამ უხდა აღვნიშნოთ ეს: „ამაზე უკეთესი თარგმანი არა თუ ქართულ, არც სხვა რომელიმე ენაზე მოხერხდებოდა. მთარგმნელის ენის ეროვნულ და მეცდინეობას უძლეავა ყოველფერი და შემოუტანია ქართულ სალიტერატურო სალარშია ღირსეული განძი. აქ მთარგმნელის ნიჭი ორიგინალის დამწერის ნიჭს კვეხვეთ მოჰხვდრია და ამიტომაც არ ჰგავს ეს უკანასკნელი სხვა ნათარგმნებს“.27

გრიბოედოვის კომედიის განდეგილისეული თარგმანი, ისევე, როგორც ერისთავისეული, გამართულია ითმარცვლიანი ლექსით. თარგმანი სხარტად, ნათლად, გასაგებად მხატვრულად არის შესრულებული. თვითეული გმირის ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ზეკლებისდაგარად არის გადმოტანილი. ძირითადად შენარჩუნებულია დედნის შინაგანი არსი, ლაკონურობა და ემოციურობა. განდეგილის თარგმანი დღესაც მოწონებით სარგებლობს. მარტო ის გარემოება, რომ იგი ხუთჯერ გამოიცა (აქედან სამჯერ საბჭოთა პერიოდში) მეტყველებს თარგმანს მაღალ ღირსებაზე.

გრიბოედოვის კომედიის ერთ-ერთ მორგმნელად გვევლინება ცნობილი ქართველი პოეტი სიკო ფაშალიშვილი.

სიკო ფაშალიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1905 წლის რევოლუციის მოძღვნო წლებში. მისი ლექსები ჯერ კიდევ გაზეთ „დროებაში“ და განახლებულ ილიასეულ „ივერიაში“ იბეჭდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სიკო ფაშალიშვილს ნაცნობობა ჰქონდა ვაჟასთან, ილიასთან, აკაკისთან. ისინი მონაწილეობასაც კი ღებულობდნენ სიკო ფაშალიშვილისადმი მიძღვნილ საღამოებზე.28

მრავალმრივი და ფართოა ს. ფაშალიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა. მას გამოქვეყნებული აქვს ლექსთა კრებულები, სატიროულ-იუმორისტული ფელეტონები, მეძეარული ხასიათის ნარკვევები და მოგონებები. ეატაკებული იყო კინოდრამატურგიით.

მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა და რედაქტორობდა ჟურნალ „ნიანსს“ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი ვამოდიოდა „ტარტაროზის“ სახელწოდებით. ს.

---

26 „ცვალი“, 1900 წ., № 47.

21 „ივერია“, 1904 წ., № 20.

28. დაწერილებით იხილეთ ა) „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., 13 დეკემბერი, ბ) სიკო ფაშალიშვილი „შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან“, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1961 წ.

ალარა ტუღუში

გრიბოედოვის კომედიის ქართული თარგმანების ისტორიისათვის

ფაშალიშვილი კი იბეჭდებოდა ფარსადანის ფსევდონიმით.

მთარგმნელობით საქმიანობას ს. ფაშალიშვილი თვლის თავის საპატიო მოვალეობად, თავისი ორიგინალური შემოქმედების განუყოფელ ნაწილად. ამ მუშაობის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს მისი თარგმანები როგორც უცხოური, ისე რუსული ლიტერატურიდან. მან თარგმნა ემილ ეეროპარნის რეალუციური პიესა „რიერაკი“, შექსპირის „ვირ-ვეული ცოლის მორჯულება“, „მეთორმეტე ღამე“, დიუმანუა და დენერის „დონ სეზარ დე ბაზანი“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, ეს პიესები ს. ფაშალიშვილის თარგმანით იდგმებოდა როგორც მარჯანიშვილის ისე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრებში. მას თარგმნილი აქვს პუშკინის, ლერმონტოვის, ტურგენევის, ჩეხოვის, კორნეიხუკის ნაწარმოებები. თარგმნა აგრეთვე „ოსური ეპოსი“. პროლეტარიატის საბრძოლო ჰიმნი „ინტერნაციონალი“ კი დღესაც მისი თარგმანით სრულდება. ამრიგად, ს. ფაშალიშვილი წარმოგვიდგება როგორც გამოცდილი მთარგმნელი.

1945 წელს სოკო ფაშალიშვილი გამოხმაურა ალ. გრიბოედოვის დაბადებიდან 150 წლისთავს და პოეტს ლექსი უძღვნა.

ჯერ კიდევ დიდი სამამული ომის წლებში კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურმა თეატრმა და საქართველოს ხელოვნების მთავარმა სამმართველომ დაავალა ს. ფაშალიშვილს თარგმნა გრიბოედოვის კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“. რაც დაეთხვა მთარგმნელის დიდი ხნის სურვილს, ეს უკვდავი ნაწარმოები აექცევინებინა შშობლიურ ენაზე.

ს. ფაშალიშვილს კარგად ესმოდა „ვაი ჭკუისაგან“ თარგმნის დიდი ამოცანა და ისიც იმ პირობებში, როცა საჭირო იყო არსებული თარგმანებისა და, კერძოდ, დიდი ილიას მიერ რედაქტირებული განდეგილისეული თარგმანისათვის კონკურენციის გაწევა.

ს. ფაშალიშვილის მიერ გრიბოედოვის კომედიის თარგმნა წარმოადგენს ხანგრძლივ მუშაობის შედეგს. თარგმანის ნაწილებები 1945 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.29 ხოლო 1960 წელს თარგმანი ცალკე წიგნად გამოიცა სათაურით „ვაი ჭკუისაგან“.

ს. ფაშალიშვილის თარგმანი უფრო მეტად მიახლოვებულია ორიგინალთან, ვიდრე სხვა თარგმანები.

თუ ალ. გრიბოედოვის ამ კომედიის მთელ ღირსებას ხედავენ მის ხალხურობაში, ს

ო ფაშალიშვილმაც, შეძლებისდაგვარად, დაიცვა კომედიის ეს თავისებურება და გრიბოედოვის ენისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიზმებით გადმოთარგმნა იგი.

ს. ფაშალიშვილს დიდი მუშაობა გაუწევია, რომ ქართულ ენაზე სათანადოდ აექცევინებინა გრიბოედოვის კომედია. ლექსების უმეტესობის თარგმანი ტექსტალურად ახლოს დგას ორიგინალთან. მთარგმნელის ენა დარბაისლურია და სახოვანი. დაუხვეწავი გამოთქმები თითქმის არ გვხვდება. შესანიშნავად არის თარგმნილი ფამუსოვისა და ჩაცკის დიალოგი I მოქმედების IX გამოსვლიდან.

ასეთივე სიძლიერით არის ნათარგმნი ჩაცკის ბრწყინვალე მონოლოგი IV მოქმედებიდან, როდესაც ჩაცკი პროტესტს უცხადებს მის თანამედროვე საზოგადოებას და სამუდამოდ ტოვებს მოსკოვს.

როგორც ვხედავთ, ალ. გრიბოედოვის კომედიას არ თარგმნიდნენ შემთხვევითი ადამიანები,

ა. გრიბოედოვის გენიალური კომედიის ქართულად თარგმნის ისტორია რუსული და ქართული კულტურების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთი პატარა, მაგრამ უსათუოდ საინტერესო ფურცელია.

---

29 იხილეთ: ა) ჟურნალი „მნათობი“, 1945 წ. № 1 გვ 35-36. ბ) გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ. 12 იანვარი. № 1. გ) ჟურნალი „ცისკარი“, 1959, № 2, გვ. 15-16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ ასათიანი

საყურადღებო გამოკვლევა „სვანეთი“*

სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, ისტორიულადაც დიდად საინტერესო კუთხეა. მის შორეულ თუ ახლო წარსულს უძველესი დროიდან დღემდე მრავალი მეცნიერი, მწერალი, მოგზაური და მოხელე შეხებია. შეიქმნა მოცულობით ვრცელი და ხასიათით შედარებით მრავალფეროვანი საისტორიო ლიტერატურა. ამასთანავე სვანეთის წარსულისადმი მიძღვნილ გამოკვლევათა, მიმოხილვათა და სხვა, ხასიათის მეტ-ნაკლებად საყურადღებო ნაშრომთა დიდი ნაწილი XIX საუკუნეში და XX საუკუნის რევოლუციამდელ და მეტადრე საბჭოურ ხანაში დაიწერა. ამ ნაშრომთა მნიშვნელოვანი ნაწილი სვანეთის ახალ ისტორიას შეეხება. აღნშნულის მიუხედავად, ახალი პერიოდის სვანეთის ისტორია, სამწუხაროდ, კვლავ ჯერ-ჯეროვნი მეცნიერული სიღრმით შესწავლილი. მით უფრო მისასალმებელია ა. ჩარკვიანის ნაშრომის — „სვანეთი (XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი)“ — გამოცემა. გამოკვლევა, როგორც ვხედავთ, საქართველოს დასახლებული კუთხის ისტორიის ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს შეეხება, სახელდობრ, ის „ეხება გვიანფეოდალური ხანის ბატონყმობის ინსტიტუტებს სვანეთში, იქ გატარებულ საგლეხო რეფორმას და მის თავისებურებას; ნაშრომში დახასიათებული ე. წ. „სვანური თემი“, მიწისმფლობელობის ფორმები და აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგების მნიშვნელობა და გარე სამუშაოზე გასვლის როლი სვანთა ცხოვრებაში, აგრეთვე სვანეთის 1875-1876 წლების აჯანყების მსვლელობა და მისი შედეგები“.

წიგნში გათვალისწინებულია თემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. ამასთანავე ის არსებითად ემყარება პირველადი, ძნიშვნელოვანწყნოდ ავტორის მიერ გამოელინებული, საარქივო და სხვა წყაროების მონაცემების შესწავლასა და კრიტიკულ განხილვას. საგანგებოდაა აგრეთვე ამოკვლეული ალანიშნული ავტორის მიერ სვანეთში ჩაწერილი ზეპირი გადმოცემების (მოხუც მთხრობელთა ნამბობი) ფართოდ გამოყენება და მართებულად გაანრება.

წინდაწინვე გვსურს შევნიშნოთ, რომ ჩვენ არ ვისახავთ და ვერც დავისახავდით, სარეცენზიო გამოკვლევის ყველა ასპექტის თუნდაც ზოგად მიმოხილვას. ჩვენ გვსურდა ყურადღება გაგვემახვილებია უმთავრესად მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელიც განსახილველი ნაშრომის მთავარ ღირსებად მიგვიჩნია. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, მოწონებას იმსახურებს გამოკვლევის შესავალი, სადაც ‹ხასიათებულია ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძვლები, მისი მიზანდასახულობა, შედარებით ვრცლად და კრიტიკულადაა განხილული თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურა, მიმოხილულია წყაროები.

აქ დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი, ერთი მხრივ, საკითხის რევოლუციამდელი რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფია, ხოლო მეორე მხრივ რევოლუციამდელი ქართული ისტორიოგრაფია. მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფია სვანეთის წარსულსა და აწმყოს განიხილავდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის თვალსაზრისით, ცდილობდა უკიდურესად ჩამორჩენილ და „ველურ“ კუთხედ წარმოედგინა სვანეთი. სამამისოდ ის შაი ფერებით ხატავდა სვანეთის ისტორიულ-

* ა. ჩარკვიანი, „სვანეთი (XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი“). რედაქტორი გ. მარგიანი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1967 წ. გვერდი 1—268.

წარსულს, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, სარწმუნოებას, ოფიციალური ისტორიოგრაფის ყველზე რეაქციული წარმომადგენლები ისე ზორს მიდიოდნენ, რომ სვანს საზოგადოდ ფეზიტურად მახინჯ და გონებრივად ჩლუნგ, თითქმის სრულიად უსაჭმენტ არსებად აცხადებდნენ. კოლონიზატორები, როგორც ეს სარეკვნენი ნაშრომში სწერიდა ახსნილი, ამგვარ სიყალბეს ჩადიოდნენ იმისათვის, რომ ვაუზეადებინათ ცარიზმის ე. წ. „საკანონმდებლო მისია“ ამ „ბნელ კეთილეში“. რეკოლონიზაციამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენთვის საინტერესო საკითხი არი მიმართულება თანაარსებობდა: ერთს განსაზღვრულად გამოჩენილი მეცნიერი და ოფიციაზე ბაკრაძე, რომლის აზრით ბალსაზემო სვანეთში თავის დროზე არსებობდა ფეოდალური ურთიერთობა. მეცნიერი კარგად ხედავს სვანთა ისტორიულ ერთობას ძირძირეს საქართველოსთან, ამათიოლეს ყალბ მოსაზრებას მათი ე. წ. „კარჩაკეტილობაზე“ შესახებ, მეორე თვალსაზრისის მომგვარნი (ი. ტყეშელაშვილი, ნ. ჩიმაკაძე), შეგნებულად ოუ ბრმად, იზიარებდნენ ცარიზმის ოფიციალური ისტორიოგრაფიის შეხედულებებს სვანეთზე. კოლონიზატორული მისწრაფებანი გამსჭვალულ რეკოლონიზამდელ ავტორთა ყალბს, თვალსაზრისსა თავი ირინა ზოგიერთი საბჭოთა ავტორის ნაშრომში, ამ საბუნ ხარ ოეკიდვის გამოსაჩარავებლად ა. ჩარკვიანი განიხილავს ზოგიერთ ავტორის ნაშრომს, მათ ზორის ს. ანისიმოვის წიგნს: «Сванетия» გამოცემულს 1940 წელს მოსკოვში. ა. ი. რას წერს ის: «Все то, что пережили культурные народы в среднее и новое время, очень мало коснулось Верхней Сванетии. Тогда, как кругом в Грузии, Имеретии и Мингрелии... развился феодальный строй, в основе которого лежала кропостная зависимость крестьян, в Верхней Сванетии оставался родовой строй» (С. Анисимов, Сванетия, Москва, 1940, стр. 17).

ეფეკრობთ, ამ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ ამის ეფექტი ისე ეფექტიანია სწორი, რომ აქვეა რეციდეები სხვადასხვა ფორმით, მათ ზორის ე. წ. „გაჯდომნაშთებრივ-ელემენტების“ თავისებური ინტერპრეტაციით, ზოგ შემთხვევაში შეინიშნება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც.

ა. ჩარკვიანი კრიტიკულად განიხილავს საკითხის ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიას, მიუთითებს მის მიღწევებზე და ნაკლოვანებებზე. ავტორის აზრით, საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ დასძლია ცარიზმის ოფიციალური ისტორიოგრაფიის ცალმხრივობა და ჩაბარნენ სვანეთის ისტორიის შესწავლაში. ამასთანავე, ა. ჩარკვიანი აღნიშნავს სვანეთის სოციალ-ეკონომიური განვითარების დონის [illegible] ბრიგადირი ფეოფსეზლობის ფაქტებს ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რაზეც თავის დროზე გაამახვილა ყურადღება აკად. ნ. ბერძენიშვილმა. ჩვენს ავტორს მოაქვს გამოჩენილი მეცნიერის მიერ 1964 წელს გამოქვეყნებული წერილის ის ადგილი, სადაც ვეთხულობთ: „...მეტისმეტად დიდი და თვალსაჩინოა ის შეუთანხმებლობა, რომელიც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენი ცოდნის სისწორეს სვანეთის ცხოვრების ოიგი არსებითი მხარის შესახებ. ერთი მხრივ სვანეთის სამეფერნეო და სულიერი კულტურის ნაშთები, როგორიცაა: მსოფლიოში ფრაანთქეტელი „მითი“ სვანეთის („კოლხეთის“) სიმღიდრის შესახებ, მის სამეფერნეო-მეტალურგიულ მიღწევათა შესახებ და ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაპოვრები, მაღალი ხელოვნებისთვის შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო წესები..., ხით-ხურთბის განსაკეთებელი ნიმუშები, ქვით-ხურთბის საერო და საკულტო ნაგებობათა მაღალგანვითარებულობა, სამეფერნეო და საომარი იარაღის მეუფლობა და სამკაულთა ოქროსმეკეთლობა, უადრესად განვითარებული ფეოწერა, ხოლო მეორე მხრივ ჩვენი ეთნომეცნიერ ცნობა-ეოფნანი სვანთა სამეურნეო კარჩაკეტილობასა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ, სვანეთის „პირველ-ყოფიერობის“ შესახებ. (ნ. ა. ბერძენიშვილი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხ. იხ. გაზ. „ფეზრძოლი“, № 155, 1964 წლის 29 დეკემბერი). აკად. ნ. ბერძენიშვილის ეს მოსაზრება საფუძვლად უდევს ა. ჩარკვიანის მიდგომას საკითხის ისტორიოგრაფიისაკენ.

ინტერესით ოეითხეს ნაშრომის პირველი თავი, სადაც მოცემულია სვანეთის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება და ისტორიული წარსულის მიმოხილვა. სიახლის თვალსაზრისით ამ საკანონეეი ყურადღებას იქცევს, ერ ერთი, სვანეთის სამიმოსვლო ეზეზის ავტორისეული დახასიათება. ამ ის ცდილობს გადასინჯოს მოსაზრება სვანეთის ე. წ. კარჩაკეტილობაზე. ნაშრომის ამ ნაწილს საფუძველად უდევს აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ ოსანეთი დიდი მნიშვნელობის მოსაფულის როლს ასრულებდა ამიერ და აქიერ კავკასიის ხალხთა ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის საქმეში. საკითხის ასე დასმისას მრავალ მოვლენას სინათლის ახალი შუქი ეფინება, საფუძველი ეცემა ნაკეთნეეს, არაგულაყარელ ხანაში შეჭმული შეხედულებას სვანთა „კარჩაკეტილობის“ შესახებ, ისახება ახალი ისტორიული სურათი სვანთა ცხოვეელი ურთიერთობისა კავკასიის სამხრეთთან და ჩრდილოეთთან“ (ნ. ბერძენიშვილის დასახ. სტატ.).

მეორეც, ავტორი ახლებურად აფასებს კ.

დადეშქელიანის მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, გაგარინის, მოკვლის ფაქტს. მისი აზრით, კ. დადეშქელიანი ანტიკრასტული, გამთავრებულებელი მოძრაობის წარმომადგენელია.

მესამეე ავტორი არ ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც ხელოვნურად, მეტისმეტად გაზვიადებული სახით წარმოგვიდგენენ სვანეთში ადგილობრივი („საზოგადოებრივი“) თვითმმართველობის საქმიანობის მასშტაბს, მუდმივ მოქმედ ორგანიზაციად მიიჩნევენ „ხევის ყრილობას“ და სხვა.

მეოთხეც, ნაშრომში საინტერესო ცნობებია **მოტანილი სვანეთში სწავლა-განათლების** ფდგომარეობის დასახასიათებლად, ნაჩვენებია სკოლებიდან ქართული ენის განდევნის საწინააღმეგო გამოსვლების ხასიათი და მნიშვნელობა.

ჩვენი აზრით, ასევე საყურადღებოა სვანეთის მოსახლეობის რიცხვის ზრდის მაჩვენებლები და პარაგრაფები: ისტორიული წარსულის მოკლე მიმოხილვა, სვანეთის შესვლა რუსეთის მფლობელობაში, რუსული მმართველობის შემოღება სვანეთში.

გამოკვლევის განხილული (ქრონოლოგიური და თემატური) ნაწილის ლოგიკური გაგრძელებაა **ნაშრომის** მეორე თავი: „საგლეხო რეფორმის გატარება და აგრარულ-სოციალური ურთიერთობათა ევოლუცია 1870-1914 წლებში“.

იქ განხილულია საგლეხო რეფორმის გატარება სვანეთში. ავტორი, ჩვენი აზრით, მოხდენილად აშველებს გამორჩენილ მეცნიერების დიმიტრი ბაქრაძისა და ნიკო ბერძენიშვილის თვალსაზრისს რეფორმამდელი სვანეთის სოციალ-ეკონომიური განვითარების დონის განსაზღვრისას, არ ეთანხმება იმ, მათ შორის საბჭოთა მკვლევრებს, **რომლებიც უარყოფენ** საშუალო საუკუნეების ბალსზემო სვანეთში ფეოდალური ურთიერთობის არსებობას და მიიჩნევენ, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში ეს კუთხე „წარმოადგენდა ვვაროვნულ-თემური წყობილებისა და სამხედრო დემოკრატიის სტიროიული გადმონაშთების შემცველ პოლიტიკურ ერთეულს“. ავტორი არ იზიარებს იმ მოსაზრებასაც, რომ თითქოსდა „XIX საუკუნის პირველ ნახევარში და ამ საუკუნის დამლეგამდე თავისუფალ სვანეთში... შემორჩენილია თემური წყობილების მნიშვნელოვანი ნიმუშები, მაგრამ ამ საუკუნის პირველ ნახევარში თავისუფალი სვანეთის ცხოვრებაში უკვე იჭრებოდა და გზას იკაფავდა ფეოდალური ურთიერთობა“. მისი აზრით, „თუ ობიექტურად შევაფასებთ ფაქტებსა და მოვლენებს... იმ დასკვნებამდე მივალთ, რომ შუა საუკუნეებში ბალსზემო სვანეთი თავის სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების დონით არაფრით განსხვავდებოდა ბალსქვემო სვანეთის, ანუ ზოგიერთ ზოგი რამით წინაც კი უსწრებდა“. (გვ. 83).

რაც შეეხება საკუთრივ ბალსქვემო სვანეთს, იქ ბატონყმური ურთიერთობის არსებობაზე დავა თითქმის შეუძლებელია. ეროი სიტყვით, ჩვენი ავტორის შეხედულებით „სვანეთმა, მათ შორის ე. წ. თავისუფალმა სვანეთმა, გაიარა ფეოდალურ-ბატონყმური ფორმაცია. თავისუფალ სვანთა თავისუფლება მათი კლასობრივი ბრძოლის წარმატებით დაგვიგენენ ბის შედეგი უნდა იყოს და არა ამ კუთხის პატრიარქალური ყოფის გამოხატულება, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია“ (გვ. 81).

XIX საუკუნის 60-იან წლებში სვანეთის უმეტესი ნაწილი ბატონყმურ მხარეს წარმოადგენს. ამიტომ, ბუნებრივია, მეფის მთავრობის სოგლური რეფორმის დებულებები ამ მხარეზე უნდა გავრცელებულყოფ: ნაშრომიდან ჩანს, რომ 1867 წელს ქვემო სვანეთზე ავტომატურად გავრცელდა სამეგრელოსთვის შედგენილი დებულება. იქ დაწესდა დროებითი ვალდებულების ინსტიტუტი და გლეხობა მატისმეტად გაძარცული აღმოჩნდა. მთავრობას ანგარიში ვაუწევია საუდადეშქელიანი სვანეთში არსებული საადგილმამფლო ურთიერთობის თავისებურებისთვის, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ დაბალი კლასის ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველს მაღალი კლასის მიმართ წარმოადგენდა არა მიწა, არამედ სხვა ხასიათის პირადი ვალდებულება, იქ არ შემოღებია დროებითი ვალდებულების ინსტიტუტი და ბატონყმობისაგან გლეხებისათვის ნადელები (ეზო, სახნავი და სათიბი მიწები) გამოსყიდვის გარეშე საკუთრებად დაუმტკიცებია. ბალსზემო სვანეთში არსებითად საჭირო არ გამხდარა საგლეხო რეფორმის გატარება. ცვლილება მხოლოდ იმაში გამოხატულა, რომ გაუქმებულია გლეხთა ზოგიერთი, მეტწილად სიმბოლური, ვალდებულებანი აზნაურთა წინაშე და აკრძალულა შინა ყმების ყიდვა-გაყიდვა, რაც ადრე ხდებოდა მეზობელი ბატონყმური რაიონების გაყენით.

ნაშრომში დიდძალი მასალაა მობილიზებული აგრარულ-სოციალურ ურთიერთობათა ევოლუციის, პროგრესის საჩვენებლად. ირკვევა, რომ რეფორმის შემდეგ სვანეთის აგრარულ წყობასა და სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებები ხდებოდა, თანდათან ფეოდალობდა აგრარული ურთიერთობის არქაული, კაბალური რეფორმები, ფართოვდებოდა თავისუფალი საიჯარო ურთიერთობის მასშტაბი, შრომითი და პროდუქ-

ანზორ ასათიანი
საუნივერსიტეტო გამოკვლევა „სვანეთი“

ტული რენტის ადგილს თანდათან იკავებდა ფეოდალი რენტა, მიმდინარეობდა პრიველე

საბუთიანობით არაა ბოლამდე დგომბილი თანამედროვე საბჭოურ ისტორიოგრაფიაში (გვ. 173). საკითხის ისტორიოგრაფიაში დღემდე არავის უცდია მოცემული შეიარაღებული აჯანყების ეტაპების დადგენა ანუ პერიოდიზაცია.

ა. ჩარკვიანმა პირველმა სცადა ამ ამოცანის გადაწყვეტა. მის აზრით, შეიარაღებულმა აჯანყებამ ორი ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებული ეტაპი განვლო: პირველი იწყება 1875 წლის მაისიდან, როცა ბალსზემი სვანეთში ახალი გადასახადების შემოღების მიზნით, ბოქაულის მიერ მიწების აზომვა-აღწერის ხმა დაირხა, რის საწინააღმდეგოდ წამოწყებული მღელვარება იმთავითვე შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. ეს აჯანყება გრძელდება იმავე წლის ზაფხულის დამლევამდე, როცა სვანეთში გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ჩაქრობის მიზნით, გუბერნიის იმპერატორის წარმომადგენელს თანხლებით ჩამოსულა ჯარმა შეძლო აჯანყებულთა დაწყნარება. აჯანყების დროებით აღკვეთა და მის მთავავეთა შეპყრობა. მეორე ეტაპი კი იწყება 1876 წლის ივლისიდან, როცა ლეჩხუმის მაზრის უფროსის თანხლებით სოფელ ხალდეში ბერის გარნიზონსა და სოფლის მოსახლეობას შორის სისხლიანი შეტაკება მოხდა, ის მთავრდება იმავე წლის აგვისტოში, სვანეთში გენერალ ციტოვიჩის მეთაურობით დამსჯელი ჯარის ხელმეორედ მისვლით და ხალდეს განადგურებით.

შესასწავლი მოვლენის აეტორისეული პერიოდიზაცია, ჩვენი აზრით, დამაჯერებელია. შეიარაღებული აჯანყების ორივე ეტაპი ნაშრომში საფუძვლიანადაა გაშუქებული. კარგადა ნაჩვენები შეიარაღებული აჯანყების დაწყების საბაბი და ობიექტური მიზეზები, მკაფიოდა და მიმზიდველადაა გადმოცემული მთელი მისი მსვლელობა, დახასიათებულია მის დამარცხების მიზეზები. აეტორი საარქივო წყაროებისა და ზეპირი გადმოცემების განხილვის საფუძველზე გვიჩვენებს დადუშქელიანების, ბარდაფხაღეებისა და ლეჩხუმის მაზრის თავადაზნაურობის ზოგიერთ წარმომადგენელთა ჯალათურ „მისიის“ აჯანყების ჩასაქრობად. სწორადაა შეფასებული მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თვალსაზრისო წარმომადგენელთა ზრუნვა შეიარაღებული აჯანყების მთავავეთა დასაცავად. ვეცნობით იმას, თუ როგორ დააჯილდოვა მთავრობამ აჯანყების ჩამბშობი ჯალათები, როგორ დასაჯა მან აჯანყების მთავავები და სხვ.

ამ ეტაპი ზოგად ხაზებში, ა. ჩარკვიანის გამოკვლევის სიახლე და მისი თავკერი ღირსება. ამასთანავე, აეტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წიგნს დაურთო შესანიშნავი დანართები, რომლებიც ეკვი არაა, დიდ სასსახურს გაუწევენ სვანეთის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს. აეტორს მეტად შრომატევადი სამუშაო შეუსრულებია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის სვანეთის თემებისა და სოფლების აღსაწერ-სვანეთში მცხოვრებთა გვარების სიის შესადგენად, ზომა-წონის, მიწის ფართობის, სიგრძისა და მოცულობის საზომი ერთეულების დასადგენად. ასევე მნიშვნელოვანია აქვე დართული დოკუმენტები: ნასყიდობის წერილები და დროებითი ბილეთები, აგრეთვე პრობლემის ირგვლივ არსებული ლიტერატურისა და წყაროების შედარებით ვრცელი სია (ბიბლიოგრაფია). წიგნს თან ერთვის „შინაარსის“ რუსული და ინგლისური თარგმნი.

ნაშრომის მიმართ გვაქვს შენიშვნებიც.

1. არაა გამოყენებული ზოგიერთი საპბუთა მკვლევარის გამოკვლევა. ასე მაგალითად, აეტორს შეეძლო გამოეჩინებინა პროფ. მ. ვეგეშიძის კაპიტალური გამოკვლევის (სარწყავი მეწყაროსმოქმედება საქართველოში, თბილისი, 1961 წ.).

მეოთხე თავი, სადაც განხილულია მორწყვის თავისებურებანი და ხალხური ხერხები ზემო სვანეთში... რითაც უფრო დამაჯერებელს გახდიდა თავის მოსაზრებას სვანეთში მიწათმოქმედების განვითარების შესახებ.

2. აეტორის ზოგიერთი განაგრძობება, მის მიერ მოტანილი ზოგიერთი ცხრილი უზუსტო და დაუხვეწელია. ასე მაგალითად: მის მიერ მოტანილი ცნობით (იხ. გვ. 126) სვანეთის მთელი ტერიტორიის ფართობა 906928 დესეტინაა. აქედან მიწათმოქმედებისათვის გამოსაყენებელია 2400 დესეტინა. აეტორის გაანგარიშებით ის შეადგენს მიწის მთელი ფონდის მხოლოდ 1%, სინამდვილეში კი ის შეადგენს 0,25%.

ასევე უზუსტოა ნაშრომის 114-ე გვერდზე მოყვანილი ცხრილის ბოლო ხაზის ზოგიერთი მაჩვენებელი.

3. ნაშრომში გვხვდება კორექტურული შეცდომებიც, რომელთაც აქ არ შევეხებით.

ჩვენი შენიშვნები ჩრდილს არ აყენებენ ნაშრომის მაღალ ღირსებას. ა. ჩარკვიანის წიგნი „სვანეთი (XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი)“ საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევაა და ჩვენი ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგი ჩარკვიანი,
რევაზ გაბრიაძე

ფეოლა

ინსტრუქტორ-პედაგოგმა ბონდო ვარლამის ძე დოლბერიძემ აგვისტოს იმ ცხელ დილას სამსახურში დაიგვიანა. ის სახლმმართველობა, სადაც ჩვენი გმირი მოღვაწეობდა, სარდაფში იყო მოთავსებული. შესვლისთანავე ბონდოს უჩვეულო სურათი წარმოუდგა თვალწინ: სახლმმართველი აბესალომ ხუსკივაძე მაგიდასთან იჯდა. იდაყვები ზედ შემოეწყო, თავი ხელისგულების მარწუხში მოექცია და სასოწარკვეთით უცქეროდა იატაკზე დაყრილ, გაბერილ ყვითელ ბურთებს.

— ეს შენი!.. — რუსულად შეიგინა აბესალომ ხუსკივაძემ, თადარიგში გასულმა პოლკოვნიმა.

— გამარჯობათ, პატივცემულო აბესალომ, — ჩვეულებრივ მოწიწებით მიესალმა უფროსს ბონდო, რომელმაც სხვათაშორის ნთქვამი გინება თავისი მისამართით მიიღო, მაგრამ ამგვარ მოქცევას შეჩვეულმა შეურაცყოფა ინუნშია არ ჩაიგდო.

— აა, გამოცხადდი, შე ქვეყნის გლახავ? — ღვარძლიანად თქვა აბესალომმა, — სად დაყიალობდი ამდენ ხანს?

— რობესპიერის ქუჩაზე სახურავის მიმდინარე რემონტს ვაწარმოებდი, პატივცემულო.

პოლკოვნიმა ამოიხვნეშა და ისევ შეიგინა:

— რამდენჯერ ითხოვა გითხრა, რომ რობესპიერის ქუჩა ჩვენ სახლმმართველობას არ ეკუთვნის.

— წინათ ხომ იყო ჩვენი...

— როდის იყო მერე, არ იცი? სამხედრო კომუნიზმის ეპოქაში. დედაშენი რომ მამაშენს აცდუნებდა — მაშინ.

— მერე ცუდად გამოუვიდა ეგ საქმე თუ?..

— უშნოდ იოხუნჯა ბონდომ და მლიქვნელურად ჩაიბუზღუნა.

— ენა ჩაიგდე, — ჩაიბურტყუნა პოლკოვნიკმა, რომელსაც ბონდოს მაგივრად შერცხვა მშობლების ასე უდიერად მოხსენიება, — მოდი აგერ, ახლო.

ბონდომ ბურთებს შორის ფრთხილად გაიარა და უფროსის მაგიდას მიუახლოდა.

— გისმენთ, პატივცემულო აბესალომ.

— რა დროს ზრდილობაა? შენ რა გიჭირს, დაეთრევი რობესპიერის ქუჩაზე, ამ დროს კი მთელ სახლმმართველობას სამარე ეთხრება.

— ვინ უთხრის? — ყალბად შეცბა ბონდო.

— შენ უთხრი! სხვა ვინ გვყავს მტერი, საათიანი აწყობილი ორგანიზაციის ქანგიანად მოედე!

— რატომ? — იკითხა ოდნავ შეშნიბულმა ბონდომ.

— რატომ და ხელფასს ხომ იღებ! ხოდა, აგერ ქაღალდი, აგერ ფანქარი და დამიწერე, რა გააკეთე დღეს შენ ჩვენი ორგანიზაციისათვის.

— არაფერი გამიფუჭებია, პატივცემულო აბესალომ.

— აბესალომი ვარ სამიკი წელიწადია და შენისთანა ტრელი კაცი მეორე არ მინახავს ქვეყანაზე! აგერაა, გეუბნები, ქაღალდი და დაწერე, რა გაკეთე დღეს!

— ახლა დაიწყო სამეშაო დღე და...

— კაი, — თქვა აბესალომმა და ეტყობოდა, თავში რაღაც ბოროტმა აზრმა გაუელვა, — გუშინ?

— რა გუშინ? — ბონდომ გამჭოლავი მზერის ქვეშ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ოროოდე ახალთახალი, ყვითელი ბურთი სტატიური მდგომარეობიდან გამოიყვანა.

— ვითომ არ გესმის, რას გეკითხები? გუშინ რა გაკეთე?

ბონდოს ერთი სული ქონდა, უფროსისთვის ეკითხა — შენ თითონ რა გაკეთე, შე უსატრონონო, მაგრამ ეს მკრეხელური აზრი მეისევე უკუაგდო და გაიტუნა.

— გუშინაო! გუშინწინ? იმის წინ, ამ ცვარ-ტალში? შარშან, შარშანწინ? ამ რეა წლის განმავლობაში? — ფიცხობდა აზარტში შესული აბესალომი — ერთი ამბელა, — (ნეკის წვერი უნეკნა) რამე თუ გიგიკეთებია, დამიწერე აგერ და ყველაფერს გაპატიებ!

— ნერგები რომ ჩავყარე... — ამოიღღღლა ბონდომ.

— სად ჩაყარე მერე გაჭირვებით ნაშოვნი ნერგები, შენი პირით თქვი!

— რობესპიერის ქუჩაზე, — გამოცრა უკვე სერიოზულად შეშინებულმა ბონდომ.

— მაგისთვის იყავი შენ პასუხისგებაში მისაცემი! ჩემს ავტორიტეტს უმადლოდ, ჯერჯერობით გარეთ რომ ხარ!

ბონდომ აბესალომის გაშმაგებულ მზერას ვერ გაუძლო, გვერდზე გიახედა და ნეიტრალური ფერით შედგა კედელ მიაშტერდა.

აბესალომი მიხვდა, რომ მისი თანაშრომელი უკვე მზად იყო ყოველგვარი დავალების შესასრულებლად, ოღონ შეიცადა და წყნარ კილოზე გადავიდა:

— მაშასადამე, ინსტრუქცია მოგვივიდა ზედიდან. დაუგდე ყური — აბესალომმა ქაღალდი გაშალა, რომელზედაც როტატორული წესით რაღაცა იყო დაბეჭდილი, და კითხვას შეუდგა, — „როგორც ცნობილია სსრკ-ს ფეხბურთელთა ნაკრებმა (მწვრთნელი აბს. ნ. მოროზოვი) ინგლისში მსოფლიოს პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავეთო...“ ეს ჩვენ არ გვეხება... აი აქედან — „ფეხბურთის კლასის მკვეთრი ამაღლების მიზნით საპროო...“

— არც მაგი გვეხება პატივცემულო.

— გვეხება, გვეხება, — დაიიმედა აბესალომმა, — „საპროო ყოველგვარი ზომების მიღება. როგორც ცნობილია, ფეხბურთის მომავალი იქიდგან საბავშვო ბუნებაშია“...

— ნამდვილად. — კვერი დაუკრა ბონდომ.

აბესალომმა ახედა ბონდოს და ისევ ქაღალდს მიუბრუნდა:

— „ამ მიზნით ეტაპებად ჩატარდეს ბავშვთა საკლაქმ, ზონალური და საკავშირო პირველობა. ყოველი სახლმმართველობა მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს, დაკომპლექტოს ეზოს გუნდები, შეიძინოს სათანადო სპორტინვენტარი (როგორიცაა კედები, მაისურები ტრუსები, ბურთები და ა. შ.), ჩაატაროს აღმზრდელობით-სპორტული მუშაობა“.

— მე რა შუაში ვარ? — ვერ მოითმინა ბონდომ.

— „შეჯიბრება პრიზზე „მრგვალი ბურთი“, — განაგრძო აბესალომმა, — დაიწყება 3 აგვისტოს და ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. მწვანე ქუჩა თქვენ, ბურთის ნორჩი თაყვანისმცემლებო, ჩვენი ფეხბურთის იმედოოوو

— ვინ? — ბონდომ.

— ... ბონდოს ერთ სული ქონდა, უფროსისთვის ეკითხა — შენ თითონ რა გაკეთე, შე უსატრონონო, მაგრამ ეს მკრეხელური აზრი მეისევე უკუაგდო და გაიტუნა.

— გუშინაო! გუშინწინ? იმის წინ, ამ ცვარ-ტალში? შარშან, შარშანწინ? ამ რეა წლის განმავლობაში? — ფიცხობდა აზარტში შესული აბესალომი — ერთი ამბელა, — (ნეკის წვერი უნეკნა) რამე თუ გიგიკეთებია, დამიწერე აგერ და ყველაფერს გაპატიებ!

— ნერგები რომ ჩავყარე... — ამოიღღღლა ბონდომ.

— სად ჩაყარე მერე გაჭირვებით ნაშოვნი ნერგები, შენი პირით თქვი!

— რობესპიერის ქუჩაზე, — გამოცრა უკვე სერიოზულად შეშინებულმა ბონდომ.

— მაგისთვის იყავი შენ პასუხისგებაში მისაცემი! ჩემს ავტორიტეტს უმადლოდ, ჯერჯერობით გარეთ რომ ხარ!

ბონდომ აბესალომის გაშმაგებულ მზერას ვერ გაუძლო, გვერდზე გიახედა და ნეიტრალური ფერით შედგა კედელ მიაშტერდა.

აბესალომი მიხვდა, რომ მისი თანაშრომელი უკვე მზად იყო ყოველგვარი დავალების შესასრულებლად, ოღონ შეიცადა და წყნარ კილოზე გადავიდა:

— მაშასადამე, ინსტრუქცია მოგვივიდა ზედიდან. დაუგდე ყური — აბესალომმა ქაღალდი გაშალა, რომელზედაც როტატორული წესით რაღაცა იყო დაბეჭდილი, და კითხვას შეუდგა, — „როგორც ცნობილია სსრკ-ს ფეხბურთელთა ნაკრებმა (მწვრთნელი აბს. ნ. მოროზოვი) ინგლისში მსოფლიოს პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავეთო...“ ეს ჩვენ არ გვეხება... აი აქედან — „ფეხბურთის კლასის მკვეთრი ამაღლების მიზნით საპროო...“

— არც მაგი გვეხება პატივცემულო.

— გვეხება, გვეხება, — დაიიმედა აბესალომმა, — „საპროო ყოველგვარი ზომების მიღება. როგორც ცნობილია, ფეხბურთის მომავალი იქიდგან საბავშვო ბუნებაშია“...

— ნამდვილად. — კვერი დაუკრა ბონდომ.

აბესალომმა ახედა ბონდოს და ისევ ქაღალდს მიუბრუნდა:

— „ამ მიზნით ეტაპებად ჩატარდეს ბავშვთა საკლაქმ, ზონალური და საკავშირო პირველობა. ყოველი სახლმმართველობა მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს, დაკომპლექტოს ეზოს გუნდები, შეიძინოს სათანადო სპორტინვენტარი (როგორიცაა კედები, მაისურები ტრუსები, ბურთები და ა. შ.), ჩაატაროს აღმზრდელობით-სპორტული მუშაობა“.

— მე რა შუაში ვარ? — ვერ მოითმინა ბონდომ.

— „შეჯიბრება პრიზზე „მრგვალი ბურთი“, — განაგრძო აბესალომმა, — დაიწყება 3 აგვისტოს და ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. მწვანე ქუჩა თქვენ, ბურთის ნორჩო თაყვანისმცემლებო, ჩვენი ფეხბურთის იმედოოوو

— მერე პატივცემულო?

— მერე რა რიცხვი დღეს?

— ორი.

— ხვალ რა რიცხვი იქნება, შენი აზრით?

— სამი, — მიუგო გონებგაახსნილმა ბონდომ.

— ხელად შეგამჩნიე, რა შეილიც ბრძანდები, სახეზე გაწერია დაცვითი ვარიანტი! ო. ელენო ერეარა, შენ არ გიიხარე ამ ქვეყანაზე, ეს რა ასწოვლე ამ მარუსიას!

— ეეშმარიტად, შვილო ჩემო, — თაფლივით სქელი, მეხუთეკეი და ტკბილი ჰაერი შეკრთა და შეირხა. მოსაუბრეებს უახლოდგებოდა შავ ანაფორაში გამოწყობილი ტანადი ფიგურა.

„შენ მოგეცეს ჩემი ცოდვა, აბესალომ ხუსკიკაძე, რა ეტიდერებაში გამხვიე და რა ხდება აქ?“ — გაიფიქრა ბონდომ და უკან-უკან დაიხია.

— ფიზკულტსალამი, მამაო ფლავიანე, — მხიარულად დაიძახა მეგოფოზნი ამერიმ, — შენი თხა არ მინახავს. შეკიბრება დავიწყეთ და დაფრთხა ალბათ.

— ისევ დაგძლიათ სატანამ? — გულგრილად იკითხა მამაო ფლავიანემ და ბონდოს მიუბრუნდა — ვინ ოგებს? მოსაწევი ხომ არა გაქვს?

ბონდომ „პრიმა“ გაუწოდა.

— ძმურად გავიყოთ, — თქვა მამაო ფლავიანემ და დარჩენილი ღერების ნახევარი ამოიღო.

მამაო ფლავიანე შავი ბერი გახლდათ და გამოქვაბულში ცხოვრობდა სტადიონ „პიშჩევიკიდან“ სამი კილომეტრის მოშორებით. აქ იგი ყოველთვის იცავდა მარხვას, მართალია იძულებითს. ამ რამოდენიმე წლის უკან მისი ღვთისსათნო ცხოვრება შეიარყა მდინარე ჯანგურზე ჰესის შშენებლობის გამო. საქმე ისაა, რომ ხელოვნური წყალსაცავის ფსკერზე მოყვა მამაო ფლავიანეს მოღვაწეობის ასპარეზი — ყველისაგან მოვიწყუბული ეკლესია. სხვადასხვა დაწესებულებებში სირბილია და უშედეგო ცოდვილობის შემდეგ მამაო ფლავიანემ ადგილსაცხოვრებლად წმინდა სამების გამოქვაბული აირჩია, სადაც ოდითვან სალოცავი იმყოფებოდა, და თავი შავ ბერად გამოცხადა, ესე იგი ძეხორციელად, რომელიც განუდგა ყოველთა ამქვეყნიურთა სიამეთა.

— ბიუროკრატები, — ამბობდა იგი, როდესაც ხელოვნურ წყალსაფეს გვერდს აუვლიდა. განსაკუთრებული გაბოროტებით ამ სიტყვებს მამაო ფლავიანე ზამთარში წყობილ ნაგებ, ოთახ წყლის ფონე დაბლა იწვეოდა ტბის შუაგულში ტალღებზე ძველი ეკლესიის ჯვარი ტიტრეკებდა.

მამაო ფლავიანეს პირადი მეურნეობა ეშოავოსად შესდგებოდა ოხისაგან, რომელიც ნეიულერივე სტადიონ „პიშჩევეეზე“ ბალაბობდა და წველადობის სეზონში ორ ლიტრამდე რძეს იძლეოდა. მოუსვენარი ამერის მიერ მოწყობილი ყოველი შეკიბრება მ. ფლავიანეს მეურნეობას აზარალებდა, რადგანაც ოხის ყოველ-დღიურ ჩამონაწველს ლიტრანახევრამდე სცვდება. იკარგებოდა ისეთი სანაკვარი, როგორიც იყო სტადიონი „პიშჩევეიი“. გასაგებია. მამაო ფლავიანე მაინცდამაინც არ სწყალობდა სპორტულ ღონისძიებებს.

უნდა ითქვას, რომ ბოლოხანებში მ. ფლავიანეს ოდნავ შეფუსფუნქდა მდგომარეობა. ტურისტული საბჭო დაინტერესდა წმინდა სამების გამოქვაბულით და ეს პუნქტი რამოდენიმე ტურისტულ მარშრუტში შეიტანა. ტურისტები, მოგეხსენებიათ, ისტორიულ ძეგლების წინ პუროს ჭამას არიან ჩვეულნი და მამაო ფლავიანესათვის ეს ძალიან ხელსაყრელი იყო. მართალია მარხვას ტეხავდა, მაგრამ ლოცვებით ისყიდიდა ცოდვებს. ღვინო კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ ზეთეულ პარასკევს არ შეიძლება დალოს ქრისტიანმა კაცმა.

...პირველი თამაში ბონდომ მოიგო ანგარიშით 3:2.

მეორე დღეს „უქმემერიონმა“ გაანადგურა „ზამბახი“ — 7:1. ბონდო, რა თქმა უნდა, ამ გამარჯვებამ სხვანაირად დაარტიანა, მაგრამ ერთი იმედი მაინც გაუჩინა. ბონდომ ჯაოკი. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის ორსაბობა. ბონდო ჯაოკეტენი უეცქროდა, როგორ გაიჩერეს თამაში, როგორ დადეს ბურთი კალის პირდაპირ და როგორ გიორგი გოლი ზამბახელებს მოთამაშემ „უქმემერიონის“ კარში.

— რატომ არავინ უშლის ხელს, რაშია საქმე? — იკითხა მამაო ფლავიანემ.

— ჰენალტი იყო და ვინ შეუშლიდა ხელს. — ამაყად თქვა კარლომ. — ჰენალტი ყველაზე სასტიკი ჯარიმაა ფეხბურთში.

— ვინ ნიშნავს მერე? — დაინტერესდა მამაო ფლავიანე.

— მსაჯი, — სპორტული ეკიცობა მუდამ აწვევდა კარლოს ზიზღს.

— ღმერთის ტოლი კაცი ყოფილა, — წარმოთქვა მამაო ფლავიანემ.

— ღმერთი სადაა?! — განერვიულდა კარლო. — შენ ვინახავს? ამის უნახავს? მე არ მინახავს. — დარწმუნებით დასაკვნა კარლომ.

— ღმერთი რომ არ გწამს, ისიტომ წაგაგ, — დაფესლა მამაო ფლავიანემ.

— ვინ წაგიგო?! მსაჯის ბრალია ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯი უნდა მოგაგებინებს, უნდა—წაგაგებინებს.

საუბარი კიდევ ცოტახანს გაგრძელდა და ბინდო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ათეთ დემტრიოს ხელშია მისი მომავალი.

„რა ჩემი ბიძაშვილია ახლა ეგ ამერია,— უიქრობდა ბინდო,— რომ სიკეთე გამიკეთოს და წამაგებინოს. ასეთ სასაეეთო საქმეს ტუალეტბარელი არავინ გაგიკეთებს. პატივი უნდა ვცე — სხვა გზა არ არის".

სწორედ მე დღეს დილით ბინდოს ნახეეარი თვის ხელფასი აიღო, ფული კი ენანებოდა, მაგრამ ბინდოს ისიც იცოდა, რომ ცხოერება ერთხელ ეძღეკა ადამიანს და მისი გატარება სტადიონ „პიშჩეკიკის" მცხუნვარე მზის ქვეშ მაინცდამაინც მიზანშეწონილი არ არის. მით უმეტეს, რომ ბინდოს ეჭვები აეშალა. „აქ რაღაც სხეანირადაა საქმე, მე რომ მგონია ისე არა. ისე ეატკინ, აქ ყეელი მამაძაღლობს. კი, დავუშვათ კარლოს უნდოდა მოგება, მაგრამ ეს კარლო გიეია. აბა დღეს რამ მოათრია აქ? ათი კილომეტრია ინბისაკენ! ალბა, რომ მე და ხუდელიძე დაგვინახოს? არა, არა, ნამდვილი გიჟია",—ირწმუნებდა თავისთავს ბინდო და შინით უეცერად სიქაზე გაწყეეტილ, ოფლშა გალეერილ კარლოს, რომელიც ავტომანქანის ტუმბოთი ბერავდა ყეეიელ ბურთებს, შეშდგა უზომავდა წნეპას და მიწაზე ანარცხებდა. ეიერში აფრენილ ბურთს გაყინულ მზერას არ აშორებდა, თავზე ღებულობდა, მკერდზე გადმოქონდა და ფეხზე უშვებდა.

„ასპროცენტიანი გიეია,—ანალიზს განაკრძობდა ბინდო.—მაგრამ მე რამდენადაც მესმის, გიეზე მეტი მაინც ჭკეანია ამ ქეეყანაზე. აი, ის, „ზამბახის" მწერნეელი... მომსე

ამაყად თქვა კარლომ, ჩართო წამზომი და სპორტული სიარულით გზა განაგრძო.

— სწორი ყოფილა, ყოჩაღ, — შურით თქვა მამაო ფლავიანემ.

კიდევ დალეს და ამერის თავის გუდის ნადების გამყოფნენი მოუნდა.

— თავს იკლავ აქ, — ჩივილით დაიწყო მან, — ამხელა სტადიონს პატრონობ და გიმაღლის ვინმე?! ჯამაგირი ხომ მაინც უნდა მოგაცენ და, იმასაც კი არ იძლევიან, სამი თვეა არ მიმიღია.

— ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, — თქვა გამოცდილმა ბონდომ.

— კი ხდება, მაგრამ რაღა მე უნდა გადამხდეს ყველაფერი. რაცხა უბედურებად ჩვენი სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკი“ შეუერთეს „განთიადს“, ხოდა, ახლა „განთიადი“ არ გვეკრთვებს, არ ეშინიანებთ. საკადრო არბიტრაჟი არრეკს ამ საკითხს და ალარ დაადგა საშველი, აქეთ კიდევ ჩემი ნაცოლარი ქალები დანთ ყელზე მომადგნენ — ალიმენტი გადაიხადეო. რა გადაუხადო? თუ მანდეცამანეც უნდათ უჩიენონ „განთიადს“.

— ერთი! — გაისმა მოსიარულე კარლოს ხმა, — სამარაანდი, 1949 წელი, ღია რინგი ბაზართან. წვიმა. ზედგიხიე — მოიკასი. პირველი რაუნდი. ნოკაუტი.

კარლომ გაიარა.

— წელანაკე ერთი არა თქვა? — გაუკვირდა ფლავანეს.

— რომ გაჩერდა, იმას არ თვლის, — უპასუხა ამერიმ, — გაუტეხრებელი უნდა იაროს. თუმცა, მოდი, ჩვენ შვილებს გაუმარჯოს, პირველ რიგში იმათ, თვრამეტ წელს რომ გადაეცნენ და ალიმენტს ალარ გვიხოვენ, — დარდიმანდული ღიმილით დაუმატა მან.

„ეს კაცი სანამ სულ არ წავიდა ხელიდან, — გაიფიქრა ბონდომ, — მანამდე უნდა მოვაგვაროო წაგების საკითხი“.

— ერთი რამე რომ გითხრა, ამერი, ხომ არ გეწყინება? — გაუმეფდაყად დაიწყო ბონდომ.

— სპორტსმენები ვართ ორივე და შენგან არაფერი მეწყინება.

— სწორედ მაგ სპორტის შესახებ უნდა გითხოო.

— მიდი. რა გინდა?

— პენალები.

— პენალები? — გაადგრძელა ამერიმ. — პენალები — ეგაგონებით, რამდენიც გაგეხარდება, მაგი მაინც შემიძლია ამ ქვეყანაზე. სხვა არაფერი მთხოვო და პენალები, ოფსაიდები, კორნერები, კაძეკვებები — ოხრად, ჭონჭად. მაგის სპეკი ვარ მე და ეგაა ჩემი „ლეკი“ საქონელი. თუ გინდა მსაჯად ფლავიანეს დაგინიშნავ. გამოცდილია, ერთხელ მოუწია შარშან. გახსოვს, ფლავიანე?

— არ მახსოვს, სატანის ნაშიერო.

— რა ემახსოვრება, მთვრალი იყო, გალეშილი. ბავშვები დამიფრთხო, გაიფანტნენ. ფლავიანეს მოედანზე მარტო მაგი დარჩობოდა. ბურთი ბურბოდა, სტვენდა და ბოლოს საჯარიმო მოედანზე დაეკინა.

ამერიმ ჯიბიდან სასტვენი ამოიღო და ფლავიანეს მიაწოდა:

— ჩაბერე, მამაო, ხვალაც იქნებ გიწოოს მსაჯობამ.

— არა, ამერი, შენ ეგება ვერ გამიგე. მე ჩემსკენ მინდა პენალი. — განმარტა ბონდომ, — სხვებს რომ უნდათ ისე არა.

— ოო, რამხელა სიაფანდი ხარ, — გაეცინა ამერის, — ყველაფერი გიყვიან, ყუში ხომ არ გგონია? სატყვა-სიტყვაა, მოვრჩეთ ახლა ამაზე ლაპარაკს!

— ორი! — კვლავ გაისმა მოახლოებული კარლოს ხმა, — ოთოსაბირსკი. 1950 წელი. იუპიტერული განთიადი, ზედგინიე — შოიკასი...

— გვჯერავს, გვჯერავს, — დაუყვირა ამერიმ. — მოდი ბიჭო აქ, ჭამე, თორემ მოკვდები უჭმელობით.

კარლომ წამზომი გაიჩერა, დახედა, უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და მაგიდას მიუჯდა. ბონდომ ლობიო გადაუღო და სალონური ლამპარაკის გაბმა დაიპირა, რადგანაც ამ ნერვიულ კაცთან შერიგება სურდა.

— როგორი მონატრება იცის ლობიომ, — თქვა მან. — ოჯახში სიდედრმა მომკლა პირდაპირ — სულ ხორცი, ხორცი! ხან ბატკანი, ხან — გოჭი, ხან — წიწილი, ხან — ხბო, თავზე მყვება, ლობიო და ჭადი სანატრელად გამიხდა. თქვენც ასე ალბათ, არა?

— გისსად ბდღვირს გაგადენ, უქმიერიონ, — ლობიოთი გამოგლესილი პირით დამეშუქრა სპორტსმენი ბონდოს.

„არა, ეს მართლა გიეიი“, — გაიფიქრა ბონდომ. მეტისმეტად ზრდილობიანად ჩამოსახა ღვინო და ჭიქა კარლოს მიაწოდა.

— მე არ ვსვამ, — გადაჭრით თქვა კარლომ.

— ხომ არაფერი გეშინა? — დაინტერესდა ფლავიანე.

— რა უნდა მეშინოდეს, რვა წლის ასაკიდან დაწყებული ყოველდიურად ვვარჯიშობ, — იდეალური ჯანმრთელობა მაქვს. მოქმედი სპორტსმენისათვის ღვინის სმა — საკვდილია ისევე, როგორც თუთუნი ანდა ქალები.

— შენ, ბიჭო, ცოლი თუ ყყავს? — იკითხა ფლავიანემ.

— რად მინდა ცოლი. ცოლი რომ მყავდეს, ასეთი მაგარი ფული კი არ მექნება.

— სად ცხოვრობ, აბა, ვინ გაგშვებს, ვინ გიერეცხავს? — არ ეშვებოდა ფლავიანე.

— თითონ ვუვლი ჩემს თავს. „დინამოს“ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ. მშვენიერი პირობები გვაქვს. საშშახათობით შხაპში ცხელი წყალი მოდის.

— ხელფასი რამდენი გაქვს? — თავისას მირეკავდა ფლავიანე.

— საერთოდ სამოცდაათი მანეთი, — თქვა კარლომ და აუღელვებლად დასძინა:—სამი თვეა არ მიმიღია.

— რატომ? გაცხარდა ფლავიანე.

— როგორ, თქვენ არ გაგგიგიათ? „პიშჩევიკი“ უნდა გადაბარონ „განთიადს“, მე „განთიადმა“ უფრო აღრე გასაძლიერებდა გადამშვა „პიშჩევიკში“, ახლა „განთიადი“ არ იერთებს „პიშჩევიკს“ და მე ახლა, უკვე რა თქმა უნდა, „პიშჩევიკი“ ვარ და ხელფასს ჯერეკერობით არ ვიღებ, მაგრამ ეს დროებითია,—ოპტიმისტურად დასძკვნა კარლომ და ლობიოს თეფში მოასუფთავა.

— რა გენაღვლება, სამოთხის კარი ღიაა შენთვის,—ამოოხრა ფლავიანემ,—პეტრე მოციქულის გასაღები ჯიბეში გიდგეს.

— რა შუაშია პეტრე მოციქული, — თქვა კარლომ, წამოდგა, წამმზომი ჩართო და ადგილიდან მოწყდა.

კიდევ დიდხანს სვეს ჩვენმა მეგობრებმა, კიდევ დიდხანს ვარჯიშობდა კარლო. ბოლოს ამერის უკვე სკამზე ეძინა. ბინდო კი ხვაშიადს უზიარებდა.

— მთელი კანალიზაცია, ჩემო ამერი, კისერზე მადვეს,—ტყაპუნებდა კეფაზე ხელს ბინდო.—ცალკე ნაგვის გიტანა და ბუზებთან ბრძოლა, ცალკე. წვიმასთან ბრძოლა დაზიანებული კრამიტების ხაზით, ესე იგი, გამოდის ღმერთთან ბრძოლა და ამ დროს, შენ წარმოიდგინე, ამერი, — უკვე კანცელარიულ სტილს მიმართა ბინდომ, — როგორც ცნობილია, ამხანაგი ნ. მოროზოვი ინგლისში „უემპლოის“ სტადიონზე **მეოთხე ადგილს ისაკუთრებს, რათა მე მეკეთ**ებინა ადამიანი ფეხბურთის კლასი...

მოსალამურებულიყო. მზე მთას მიფარებოდა. მ. ფლავიანე ალპათ უკვე მშვიდ ძილს მისცემოდა თავის გამოქვაბულში. სიჩუმე იდვა. ბუნებაში არაფერი მოძრაობდა, მხოლოდ კარლო გაფფრებით განაგრძობდა სირბილს.

— არ მინდა ეს კლასი, — ლუღლუღებდა ბინდო.—ერთი პენალი მოლად მირჩევნია ყველაფერს...

ამერის ეძინა.

„უქიმერიონის“ და „არწივის“ შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთი რჩებოდა. ბინდო კი ხასიათზე იყო.—„არწივი“ ოვებდა 1:0. ამერი ხანდახან ბინდოსკენ მალულ მზერას გაპარებდა და უკვე მოატრიალებდა თავს, რაცხვენოდა. ერთხელ მაინც შეხედნენ მისი თვალები ბინდოს მოზეიმე თვალებს და ამერი სულ**ფრ**ად **ახსნა.** „კიდევ აქვს ჩემი იმედი — ფიქრობდა მსაჯი.—რა ქენა! ასეთი რამ ჩემ დღეში არ მიქნია. რას ვბრიკებოდი, რომ ვბრიდებოდი!“

ამ დროს „არწივის“ საჯარიმო მოედნის ხაზთან „უქიმერიონის“ მარჯვენა გარემარბი კაპანაძე წააქციე. წესის დარღვევა საჯარიმო მოედნის გარეთ მოხდა, მაგრამ მოთამაშე გადაატა და ზღარბანი შიგ მოედინნა მოადინა. ამერიმ გამბეულად დაისტვინა ეკ თეთრმეტრიანის სანიშნისაკენ გაიშვირა ხელი. ამერის თავი არ აუწევია, სანამ ხვედელიმემ ბურთი ბადეში არ გაახვია. მაშინ ამერიმ ბინდოს გახედა და ამ უკანასკნელის უკმაყოფილო სახე დაინახა. „კიდევ უნდა ამ კვდრძალელს—გაიფიქრა ამერიმ და გული მოუვიდა,—თითო ბოთლში თითო პენალს მართმევს?! ღვინო თორემ ნატურალური იყო ისიც. თავი მისკედა! ოჰ რას მოესწარი, ამერია! შესულიყავი ინსტიტუტში, გესწავლა, კაცი გამოსულიყავი. რას ვტრაბახობდი, რომ ვტრაბახობდი. „ლეგი“ პენალებით გაგავსებო,.. რას არ გიფიქვენიეს ღვინო“.

ასე თუ ისე უკანასკნელ წამებზე ამერიმ გამონახა საშუალება პენალტის დასანიშნავად. დრო ამოიწურა, მაგრამ წესების თანახმად თერთმეტრიანი დარტყმა მაინც უნდა შესრულებულიყო.

„იქნება ააცდინოს!—ამიდებდა თავს „არწივის“ მწვრთნელი. „იქნება ააცდინოს!!“—ამიდებდა თავს ამერი დემეტრაძე. „იქნება ააცდინოს!!!—ამიდებდა თავს ბინდო დოლაბერიძე.

ხვედელიძე გამოქანდა, დარტყმა და ბურთი, როგორც გაზეთებში წერენ, ბადეში აფართხალდა.

რობესპიერის ქუჩაზე მამაკაცის დამწუხრებული ღაწი მიიწასწნებოდა. ეს გახლდათ ბინდოდ დოლაბერიძე. მეხუთე საათი იყო ასე დაყიალობდა ქუჩა-ქუჩა და სახლში მისულს ვერ ბედავდა. ჯამაგირი პენალტებმა შეუჭამეს, ნახევარი თვის შრომის საზღაური ამ თაფნარდაშემმა გამარჯვებამ წაიღო და ვენერის **რა გიდ**ურჩევდა. გუშინ რაღაცნაირად დაიძვრინა თავი, მაგრამ დღეს ვერაფერი უშველიდა— რამოდენიმეჯერ ჰკბინა ამგვარი შემთხვევა. საღამოხანს სიყვარულმა და შიმშილმა რობესპიერის ქუჩისაკენ წაიყვანეს.

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

რევაზ გვრიგოშვილი

სტუმრად მიხეილ მესხთან

ჩემს წინ ზის მასპინძელი: ოცდათორმეტ წლის, ჯანღონითა და ენერგიით სავსე, ოცდათორმეტი წლისა და... „მოხუცი“! რას იზამ, უნდა დაიკერო!...

ესაუბრობთ მის საყვარელ საქმეზე, როგორც ახალგაზრდობის სიყვეთესო წლები თავდაუზოგავად შეალია.

— მიშა, ახლა რომ იწყებდეთ ფეხბურთის თამაშს, შეიცვლებოდა თუ არა თქვენი დამოკიდებულება პარტნიორებისადმი, მოწინააღმდეგეებისადმი, გუნდის ხელმძღვანელობისადმი?

— მიხეილ მესხმა გაკვირვებით შემომხედა. ტუჩის კიბეებთან დამცინავი ღიმილი შეეპარა.

— უცნაური კითხვაა!...

— რატომ? მე მაინტერესებს, ახლა, როცა შორიდან უყურებთ განვლილ გზას, ამჩნევთ თუ არა შეცდომებს, შეგეცალათ თუ არა შეხედულებებში?

— არა, არ შემცალია. ახლა რომ ვიწყებდე თამაშს, ისევე ვითამაშებდი. ჩემი შეილ რომ ფეხბურთელი დადგეს, მასაც ვურჩევ — არასოდეს არ დათმოს თავისი პრინციპები, ყოველთვის ერთგული დარჩეს თავისი თავისა, თვითონ ეძიოს გზა ოსტატობისაკენ. სხვისი კარნახით თამაში სუსტი სპორტსმენის ხელდრეა.

— მაშ მწვრთნელის როლი, გუნდის ინტერესები?

— მე არ მითქვამს რომ მწვრთნელს არ დაუჯერო, გუნდის ინტერესებს უღალატოს. კარგ ფეხბურთელს უნდა შესწევდეს ძალა აჩვენოს, თუ რა შეუძლია მას და რა უჭირს. უნდა დაარწმუნოს მწვრთნელიც, კოლექტივიც, რომ მისი თამაშის მანერა სასარგებლოა. თუ ამას ვერ შეძლებს, დიდოსტატობაზე ნურც იფიქრებს.

— ბევრს წერდნენ მიხეილ მესხზე, ბევრს აქებდნენ მას, მტკვრისპირელი გარინჩა უწოდეს, მაგრამ აღნიშნავდნენ ზოგჯერ ნაკლსაც...

— კერძოდ?

— დაცვას არ ეხმარებაო, უბურთოდ თამაში არ უყვარსო, ადგილებს არ იცვლისო...

— მერე მართალი იყო?

— მე მაინტერესებს, თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— რით დაიწყო?

— ვთქვათ, დაცვის დახმარებით...

— ეს ახალი მოდაა: გარემარბები კარს იცავენ, მცველები კი უტეხენ. ასეთი რამ გაკვირვებიან იცის. როგორ შეეცალოდით მე და გურამ ცხოვრებიდან ერთმანეთს? მე ხომ სრულიად უნიჭო მცველი ვარ და გურამი... მას არ ეწყინება, — ცოტა ჩემზე უარესი თავდასმსაფალი რა სარგებლობას მოგვიტანდა ასეთი მანიერები? თუ თავდამსმელი კარგად თამაშობს, მისი მეორე თავდასმაში ვერ გადავა, ვერც კონტრშეტევას მოახერხებს. იძულებული იქნება მხოლოდ იმაზე იფიქროს, როგორმე ბერი აუტში ან კარის ხაზს უკან გადაგდოს, აკრძალული ილეთით მაინც შეაჩეროს მოწინააღმდეგე. ამით ის შეტევას ვერ ჩაშლის, ხოლო კონტრშეტევის კონსტრუქციისთვის აღარე დრო რჩება და აღარც ენერგია. გარეთ თავდასმსმელს ასეთი თამაშში ყველაზე უკეთესი დახმარება არ არის დაცვისათვის?

— მაგრამ ზოგჯერ ხომ მაინც საჭიროა უკან დახევა?

— ზოგჯერ? ეს ხომ ეპიზოდია და არა სისტემა! იშვიათად მეც ვიხევდი უკან, ძალზე იშვიათად.

— იმიტომ, რომ ძალზე იშვიათად ბედავდნენ თქვენი მეურვეები წინ გასვლას...

— მეორე ნაკლი რა იყო? — მკითხა მიშამ.

— უბურთოდ თამაში არ გიყვარდა.

— მე მიყვარდა ბურთით თამაში, რა თქმა

ტესა. მაგრამ ბურთი ზომ ყოველთვის ჩემთან არ იქნებოდა? უსაქმოდ ვიყავი, როცა ბურთი საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიტანია. მაგრამ ჩემი ძირითადი ამპლუა კარგმარბობა იყო.

— ახლა ხომ ზოგჯერ ორი თავდამსხმელით თამაშობენ?

— მარიგ უტაკენ ფლანგებიდან...

— ვინ?

— უტაკი გარეკარბები — მცველები! ამიტომაც ცუდად უტაკენ. ფეხბურთელი წლობით ეჩვევა თავის ამპლუას. იგი გრძნობს თავისი ადგილის ყოველ სანტიმეტრს, დისტანციას, გამოზომილი აქვს რეაქცია, მოძრაობა, ინტუიციით თამაშობს.

როგორ შეიძლება მცველი კარგი გარეკარბი იყოს და კარგ მცველადაც დარჩეს? აკიდოთ მ. ხურციელავას მაგალითი. **განა შეიძლება ამ ტიპიური ცენტრალური მცველის გარეკარბად გამოყენება?** კიდევ კარგი, „დინამომ" ამ ექსპერიმენტისგან მწარე გაკვეთილი იგემა, თორემ ეს ფეხბურთელი დაკარგავდა მცველის თვისებებსაც და ახალს უკარიერს შეიძენდა.

კიევის „დინამოს" წარმატება ორი თავდამსხმელით თამაშმა კი არ განაპირობა არამედ იმან, **რომ** ამ ჯუნდის ფეხბურთლებს ყველაზე კარგი ფიზიკური მომზადება და სათამაშო დისციპლინა აქვთ. ისინი გამდგმენლები დაწოლით, ძალით აიძულებენ მოწინააღმდეგეს დაუშვას შეცდომა. მათ კარგად აქვთ დამუშავებული ტიპიური კომბინაციები, საჯარიმო დარტყმები. სპობს, სერგეროვიჩოვის და მუტრიანის ჯარიმებმა მათ ბევრი ქულა შესძინა. წელს ფიზიკურად თუმცა დაკანონეს „სპარტაკი", მაგრამ ამ გუნდის ბოქნილი ტაქტიკის და მაღალ ტექნიკას ერთგულობენ თამაში დაუპირისპირეს: ბურთების ჩაკიდება საჯარიმოში, სადაც ტანმაღალი მცველები და კარგი მეკარე იდგა. არ დაუშვა „სპარტაკმა" უხეში შეღება და არც წაგო თამაში. ამითვე არის ემარწმუნეული კიეველთა წარმატებების საერთაშორისო ასპარეზზე. **თუ ასე გაგრძელდა, შორს არ არის კიეველთა კრიზისის დროც.**

— მიშა, წადან ანზორ კავაზაშვილის კარგი თამაშიც აღნიშნეთ...

— კავაზაშვილი მე საზონის საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია.

— ჩვენი საუბრიდან ირკვევა, რომ თქვენ არ გწამთ მოთამაშეთა უნივერსალიზაცია.

— ამაზე ერთი აღმოსავლური ანეკდოტი მაგონდება, ძალიან მომწონს: ირწიემა თანამებრძოლად კარ ანრჩია ბატი, რომელსაც ყველაფერი შეეძლო: ფრენაც, ცურვაც, სიარულიც. რატომღაც შეკრიფენ ამჯობინეს, რომელსაც ერთადერთი ტალანტები ჰქონდა — მაღალ ფრენა შეეძლო.

— გასაგებია...

— არა, მე ერთს კიდევ დავუმატებდი, ეს უნდა ითქვას. ჩემი აზრით, უნივერსალური ფეხბურთელები მხლოდ საშუალო კლასის ოსტატები არიან. ყველაფერი იციან ეტიკეტი. როცა უნივერსალიზმზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ იგი დიალაზონში ერევიან. დიდ დიალაზონს კი ფეხბურთელი თავის საყვარელ და ჩვეულ ამპლუაში ამყოვანებს.

— როცა უნივერსალიზმზე საუბარი ჩამოვარდება, ეტალონად ასახელებენ ბობი ჩარლტონს. მასზე ვერ ვიტყვით, რომ იგი დაბალი კლასის მოთამაშეა.

— რა ოქმა უნდა, ვერ ვიტყვით! საქმეც ეს არის, რომ ჩვენ ერთი რამ გვეშლება: ბობი ჩარლტონი არ არის უნივერსალური ფეხბურთელი. სხვებისგან იგი მხოლოდ ამით განსხვავდება, რომ მოქმედების უფრო დიდი არეა აქვს. თავის ზონაში იგი მუდამ ბრეგა ანტიკურ ნახევარმცველად, დისპეტჩერად. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, — შუამამაგდ, მოდერნიზებულ შუამამაგდ, ინსიდიდ. დღესვეს სისტემის დროს შუამამაგები ორივენი ფუნქციებსაც ასრულებდნენ, მაგრამ დაბალანსებულნი არ ყოფილან, განა ვინმეს ტოტკინს ა. ლოლობერიძეზე ან შ. იამანიძეზე — უნივერსალები იყვნენო? უბრალოდ ალინმნიგდნენ მათი მოქმედების დიდ დიალაზონს. სწორადაც იქცეოდნენ. ადრე ისინი თავდამსხმელები იყვნენ, ისევე როგორც ჩარლტონი, შემდეგ ნახევარდაცვაში გადავიდნენ. ეს გაბლეები სპეციალობის შეცვლა, მეტი არაფერი. თანაც ეს ამბავი უცებად არ ხდება. ახალ მოვალეობას შეჩვევა უნდა. ფრო სპეციალ. კარგი მოეცვალეთ შეიძლება კარგი მომეფიალიეს დადგას, მაგრამ ერთდროულად თუ ეცვალეთს და იმეტრებს, დიდ ხელოვნებას ვერ ანევნებს. ეს ისაა არ ნიშნავს, რომ უნივერსალება საერთოდ არ არსებობენ. ალბათ, გახსოვთ ასეთი თოთამაშე — კოვალიოფი.. მან რამდენიმე გუნდი ეამოიცვალა, რამდენიმე საფეხბურთო სპეციალობაც. დღეს რომ გარეკარბად თამაშობდა, ხვალ ნახევარმცველად მოგვეკონენებოდა. სწორედ ასეთები მყავს მხედველობაში, როცა ვამბობ, უნივერსალური დიდი ფეხბურთელები ვერ იქნებიანო. ჩვენ გვყავდნენ ასეთი ფეხბურთელები: ერთნაირად საშუალოდ თამაშობდნენ გარეკარბის, შუამპრის, ნახევარმცველის ადგილზე და ბოლოს სუტტ მცველად ამთავრებდნენ სპორტულ კარიერას.

— მიშა, მალე თქვენთვის დაიწყება ახალი სპორტული ცხოვრება, მწვრთნელად მუშაობა. რას მოითხოვთ მწვრთნელისგან, როგორი უნდა იყოს იგი?

— კარგი ფეხბურთელების გარეშე დიდი ფეხბურთი არ შეიძლება...

— ეს აქსიომაა.

— მაგრამ ამ აქსიომას მხოლოდ აღიარებენ და, სამწუხაროდ, საქმით არ ამტკიცებენ. მწვრთნელი, რომელიც ზრუნავს მაღალი კლასის ფეხბურთელების აღზრდაზე, ყოველმხრივ

ხელს უწყობს მათი ნიჭის, თავისებურებებისა და მიდრეკილებების განმტკიცებას და ამას თავის უბრალოს მოვალეობად თვლის, ჩემი აზრით, არის ყველაზე ეშმაკრიტი მწერალი. ასე მუშაობა ბევრად უფრო ძნელია და დიდმნიშვნელოვანი, ვიდრე ისეთ მწერთნელებთან, რომელნიც თავ მხედრობთავრებად თუ რეალისტობად წარმოიოდგენენ, თავიანთ მოგონილ ჩარჩოებში ამწყვდევენ ფეხბურთელებს და უნიკო სპეკტაკლებს გვთავაზობენ, სადაც არის ბრძოლა, მოხდომებაც და არ არის ფეხბურთი...

მწერთნელთა დიდი ნაწილი მთავარ ყურადღებას ფიზიკურ მომზადებას უთმობს და ივიწყებს ძირითადს, რაც ფეხბურთის წვრთნებას წარმოადგენს. ეს არის ტაქტიკური და ტექნიკური სრულყოფა. მწერთნელების მიერ არნაულმა ამ ილიმა გზამ ბევრი მანკიერი მხარე შესძინა ფეხბურთს. ამბობენ, ცუდი მაგალითი გადაეცემიანო. რა თქმა უნდა გაცილებით ლუწელია. ფიზიკურად ძლიერად მოამზადო გუნდი. მოგდის ყოველ წერტილში ხელს უშლიდ მოწინააღმდეგეს და შენ თვითონ არაფერს შემაწუხებენთან არ ქმნიდ. ასეთი მწერთნელები საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც კი ედგნენ სათავეში.

ფეხბურთის განვითარება პროგრესულად ჩანიელება მაშინ, თუ ბაბა ძირითადი კომპონენტები — ტექნიკური ოსტატობა, ტაქტიკური აზროვნება და ფიზიკური კონდიცია თანაბრად განვითარდება. რომელიმე მხარის ცალმხრივი განვითარება მას არაპრმონიულსა და ულაზათოს ეგზდის.

ჩემი აზრით, სანაბობათი მხარე არის ფეხბურთთის არსი, მისი მაცოცხლებელი და მამულოდგმიერელი. ფეხბურთი მაყურებლისთვის ინსპირბის. ზოგიერთი მწერთნელი ამას ანგარიშს არ უწევს. ეს პირველ რიგში თავდამსხმელების შემცირებით გამოიხატება. წინათ მოიოლიზე 22 ფეხბურთელს შორის 10 თავდამსხმელი იყო სანამდე მიაღიდან! — ახლა ორთი-ოროლელი შემოგვრჩა! თავდამსხმელთა თამაში ალამაზებს და ამდიდრებს ფეხბურთის. ბათი რიგების შემცირება ფეხბურთთის გაჩანგვებაა!

მე ეუსმენდი ბიჭიერ მეცხს და არ ვიწყვეტინებდი. არასდროს არ მინახავს, რომ ამდენი ელაპარაკოს ფეხბურთზე. იგი ყოველივის სიტყვაძუნწი იყო ასეთ დროს.

— **მიშა, ახლა, ეტყოთა, ბევრს ფიქრობთ ფეხბურთზე, შეხანლოა, ისეთ რამესაც ამჩნევთ, რასაც ადრე ვერ ხედავდით?**

— ფეხბურთელს რეკიმი ისეა აწყობილი, რომ მას ხშირად დრო ალარ რჩება იფიქროს თავის თამაშზე, ეცადოს გამოასწოროს ნაკლი. მე კი ეკითხებოდი მათ, ჯერ ჩემს სამ ნაკლზე მიეთითებდა, რაზედაც წყალ ვილაპარაკეთ. მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ უნაკლო არ ვყოფილვარ! მე ამჯობინა ნაკლი, შეიძლებოდა მისგან გამოსწორებაც. მაგრამ დრო არ ჰქონდა ამ ნაკლზე. ეს ერთ მიმეგნო, სხვასაც ჩემთვის არ ეცალა... პრესაში ხშირად ისეთ ცოდვას მომაწერდნენ, რასაც ვერ ვადაჯერებდი, ამკარად ბოქდავდი, რომ ცდებოდნენ და ამ დროს ზოგჯერ სამართლიანნი შენიშვნაც უყურადღებოდ გამეპარებოდა.

— **ხომ არ იგულისხმება აქ შედარებით ნაკლები შედეგიანობაზე?**

— ოუნდაც ეგ...

— **მაგრამ მე მახსოვს, იყო თამაშები, როცა ზედიზედ ოთხ-ოთხი გოლი გგიტანნათ, მაგალითად, როსტოველებთან, ერევნელებთან თამაშის დროს, შემდეგ კი მოდოოდა ზედიზედ სერია, სადაც ერთი საგოლე მომეტრეც არ შეკმნილა თქვენთვის.**

— გარეშმარის ძირითად მოვალეობად მიმაჩნია, საგოლე მომეტრეების შექმნა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გარეშმარი გოლების გატანას გადაეჩვიოს. იყო მომეტრები, რომა ვკარვადი გოლის გრძნობას. ეს ცენტრალურ თავდამსხმელებსაც ემართებათ, როგორც იტყვიან, დარტყმა არ წოუვთ... მით უმეტეს, გარეშმარებს ეშოქერებთან ასეთი საშიშროები. ისინი ყარიდან უფრო შორს და მოუხერხებელ ადგილს არიან. ნაკლებშეფეგანამის, მიზეზი ბევრი იყო, მათგან მხოლოდ მთავარს დავასახელებ. ნუ დაგვიგიდუდება, რომ ფეხბურთი თამაშია და არა სამუშაო. მე ასე ვფიქრობდი ოუდამ. ფეხბურთი ხელოვნებაა და არა ხელოსნობა. მე ასე ვფიქრობ ახლაც...

— **ალბათ ამიტომ გაკვეთ ამდენი მეგობარი ხელოვანთა შორის.**

— შეიძლება... ადრე გატაცებით მითამაშია ეიკეში, მხატვრების სახელოსნოს ეზოში, როცა სულ ახალგაზრდა ფეხბურთელი ვიყავი. ხან ჩემი მოწმანაღმდეგენი, ხან პარტნიორები იყვნენ მერმან სუპატაშელი, ელეფუჯა ამაშუელი, კოკა მახარაძე და სხვები. მაგრამ მე იმდენად მათი ფეხბურთი არ მომწონდა, რამდენადაც სხვა რამ: მათ ერთიოლუნა ხელოვნებისადმი. ის რომ ისინი სპორტს **უყურებდნენ, როგორც** ხელოვნებას. მაგრამ ხელოვნება უშთაგონებიდ ოა არ არსებობს. შეიძლება წინასწარ არ იყო გაწერუნილი სათამაშოდ, მაგრამ თამაშის პროცესში მოეიფეს განწყობა. ამისთვის საბაბად ჰატარა რამეც კმარა, ვთქვათ, მეგობრის კარგი პასი, შეგრძნება იმისა, რომ შენი იმედი აქვთ. შენ სხვას სჯერიენ. მაგრამ ყოველივეს **არ ხდება** ასე. **ეუნდის მეკანიზმში, პატარნორთა** ურთიერთობაში რაღაც ირღვევა. მე პირადად ძალ სიხარეოდ, ვანვიკდიდი, როცა ვოლს გავიტანდი, მაგრამ ასეთივე იყო ჩემი სიხარეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპაკ ვგრიტიშვილი
სტუმრად მიხეილ მესხთან

ლი, როცა ამბანაგს კარგ პასს მივცემდი. კარგი პასი გოლს მერჩიენინ. მაგრამ ორმაგი იყო სიხარული, თუ ჩემს პასს გოლი მოყვებოდა. მე ამ ორმაგი სიხარულისთვის ვთამაშობდი. მივიჩვიე ასე თამაშს, ვხედავდი, მას სარგებლობა მოჰქონდა გუნდისათვის. ზ. კალოევმა, შესანიშნავი სპორტსმენმა და მეგობარმა, ყველაზე მეტად განმაცდევინა ეს ორმაგი სიხარული. მე მისი დიდად მადელიერი ვარ.

აქამდე ჩემზე ელაპარაკობდი, ახლა კი ორიოდე სიტყვას ვიტყვი ზოგადად: გარემარბის ძირითადი მოვალეობა, როგორც ალენმნენ, არის საგოლე სიტუაციის შექმნა, შეტევის ფრონტის გაშლა და საჯარიმოს ცენტრში ერთ-ერთი ბაკუფის შექმნა, სადაც ცენტრალური ზონაში მოთამაშეებს გაუადვილდებათ გოლის გატანა. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ გარემარბს ჩაკეტავენ. ამ დროს საჭიროა მანევრირება. თუ გარემარბს ბურთი აქვს, მაშინ ცენტრალური ზონის მოთამაშეებმა (ფორვარდებმა და ნახევრმცველებმა) უნდა ითამაშონ უბერთოდ. უბერთოდ თამაში მარტო გარემარბის მოვალეობა როდია! თუ ისინი სტატიურად დგანან, სეირს უყურებენ და ელოდებიან, როდის მოატყუებს გარემარბი ორ-სამ მცველს და მათ მიაწოდებს ბურთს. ასეთი თამაში იშვიათად გამოიკეს შედეგს. ერთი ენახოთ, გარემარბმა ვერ მოატყუა სამი მოწინააღმდეგე? გარემარბის მაღალ ოსტატობასთან ერთად საჭიროა პარტნიორებმა შეუქმნან მას კორიდორი ცენტრისაკენ. თუ გარემარბი ჩეკულებრივ თავისი ფრთიდან ფეხლის დაცვას, თუ იგი მიაჩვევს მოწინააღმდეგეს ამ მანევრს, მეურვეები ხშირად სიფრთხილს აფუნებენ და მას ცენტრისაკენ გასასვლელ გზას უტოვებენ. ამ დროს თუ ოქ პარტნიორები მანევრირებით მოახერხებენ თავიანთი მცველების გვერდზე გაყვანას და შექმნან ხელოვნური კორიდორის გარემარბს შეუძლია უშიშარლად შეუტიოს კარს. როცა გოლები გამქრალა, ფსარგებლობი ასეთი ხელსაყრელი სიტუაციით, მაგრამ შეიძლება, ზოგჯერ ვერ ეკმაჩნევდი მას?

გარემარბის თამაშთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო ჩემი კამათი სპბჭოთა კავშირის ნაკრებს ერთ-ერთ ხელმძღვანელთან. იგი მიმტკიცებდა, რომ 1958 წელს ბრაზილიის ნაკრებში ზაგალო ასრულებდა მარცხენა გარემარბის მოვალეობას და მეც მისთვის უნდა მიმებაძა. მე კი ეეთანხმებოდი და გარემარბის ეტალონად გარინჩას მიგინიენდი. რა მნიშვნელობა აქვს, რომ ის მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა? კარგა ხანს ბრესაში გაბატონებული იყო აზრი, რომ ბრაზილიის ნაკრები თამაშობდა ოთხი თავდასმაზმელით, სადაც მარცხენა გარემარბი ზაგალო უმეტესწილად მოედნის სიღრმეში იყო დაწუელი. ამ ფაქტს კი აღიარებდნენ, მაგრამ არ სურდათ გაეგოთ, რომ თითქმის მუდმივად უკანდაწუელი ფორვარდი ეეღალ ნიჭიერ ფეხბურთელ თავდასმაზმელად. ეს ფაქტი ეფიელდა, რომ ზაგალო გარემარბი კი არა, მესამე ნახევარმცველი იყო დიდისა და ზიტოსთან ერთად. ბრაზილიური სისტემა სოსამდეველში იყო არა 4—2—4, არამედ 4—3—3. მხოლოდ ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დამეთანხმა მწერთნელი, რომ ეს მართალი ეიყავი და. თურმე იგი ჩემგან თხოვილნდა ნახევარდაცვაში მეთამაშა!

კაცკ მინდა დაეუბრუნდე დროის საკითხს... ფეხბურთელ არ რჩება დრო, ანალიზი გაეკეთოს თავის თამაშს, მწერთნელსაც არ სცალია ამისთვის. იგი ხომ ჩეეუღებრივ 1-2 სეზონით ბოდია გუნდში, მისგან ქულებს მოითხოვენ... ასე იეკლებიან მწერთნელები და ფეხბურთელი ჩრეს თავიანი თავის ანალიზა. ამას ისიც ერთვის, რომ ყოველ ახალ მწერთნელს თავის შეხედულება აქვს ფეხბურთზე. მწერთნელები არ ჩნდებენ ხელინდელ დღეზე. რა თქმა უნდა, იყო მეგნიერი გამოსაკლისი ჩვენს გუნდშიც— ანდრო ფორდანია. იგი ამბადიდა ხელოვნელი გუნდის რეზერვს. ალბათ, გახსოვთ, მის დროს ფუნდშემადგენლობაში თავი მოიყარეს ს. კოტრიკაძემ, ზ. იამანიძემ, გ. ჩოხელმა, ვ. ბარქანიმ, ბ. ფესხმა, შემდგომში — მ. ხერიცლავამ, გ. სიხინაეამ და სხეებმა. მათ სეო მალე ძირითად შემადგენლობაში უნდა ეთამაშათ.

მე მაინც მიმანია, რომ მწერთნელი უნდა იყოს თავისი საქმის ფანატიკოსი. ალსდროს არ დამეეეწუდება, როცა „დინამოში" მემიდეს, ბომბეს ახალი ფორმა. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გავიგე, რომ მე მაშინ გუნდში ჩარიცხული ეიყავი დამატებით და ფორმა ჩემი კი არა, საეთრიე მწერთნელისა ყოფილა. ასეთი უანგარო მწერთნელი მე სხეა არ მინახავს.

— ეს იყო ანდრო ფორდანია?

— რა თქმა უნდა. მე კიდეე ერთს დავუმატებ. მწერთნელს შეიელებეი უნდა უყვარდეს თავისი ფეხბურთელები. ჩვენ ხომ ვიენთნ ხოლმე ჩვენი ბავშვების ცელქობას? როგორ შეიძლება მწერთნელმა ამოიჩეოს ფეხბურთელი და არ დაივიწყოს მისი შეცდომა? მწერთნელს უნდა ესმოდეს თავისი ფსიზრდელების სულიერი მდგომარეობა, მომთხოვნი უნდა იყოს, მაგრამ დიდსულოვანნიც. ხალისით სავსე ახალგაზრდების მოძღვარს იემორის გრძნობაც არ უნდა დაკარგოს. მაგრამ ასეთი შემთხვევეი: სამეფოთა კავშირის ნაკრება გუნდის მწერთნელი ნ. მოროზოვი თვალყურს ადევნებდა ვეტმანოვის ვარჯიშს. მცველი ვერ ახერხებდა ბურთის ტექნიკურად დამორჩილებას და მიწაზე დაშვებას.

— Земля! Земля! — მიუთითებდა მას მწერთნელი, მაგრამ ფეხბურთელს „Земля"-დან შორს გაუგზავნა ბურთი. კომიკური სიტუაცია შეიქმნა. მე მაშინ რადისტიეეთ დავიძახე:

— Земля!.. Я сокол!.. Земля! — Я сокол, я сокол!.. Перехожу на прием!..

— მიშა, მე მაინტერესებს, თქვენ მრავალი მწერთნელი გინახავთ. რას ამბობდნენ ისინი თქვენს თამაშზე?

— როდესაც მიხეილ იაკუშინი ჩვენი მოწინააღმდეგე გუნდის მწერთნელი იყო, იგი სპეციალურ დიალოგებს აძლევდა მეცალეებს, თუ როგორ უნდა ეთამაშათ ჩემს წინააღმდეგ. მე მოამბობდნენ ამბახვავი — მისი გუნდის წევრები, რომ ზშირად საათობით ამბობენ უსაუბრია მის ამ საკითხზე. ხოლო როცა ჩვენს გუნდს წერთნიდა, მეუბნებოდა, რომ მე კარსწორად ვთამაშობ... ახლა თქვენ განსაკუთრებულად ფიქრობ, რა საბერო იყო ასეთი გულმოდგინე გეგმის შედგენა?

ფუბბერთის შესაძლებლობანი ამოიწურნენ. აქ ატარაცეული კომბინაცია, ტაქნიკური ილეთი და მოძრაობაა. ეს ოკეანეა, სადაც მარგალიტებია ჩაბარული, შენ უნდა იპოვო მარგალიტი. მაგრამ, ვიმეორებ, ამისთვის დრო არ რჩება არც მწერთნელს, არც მოთამაშეს.

— ეს ყველგან ასეა.

— მეც მარტო ჩვენს გუნდზე ვიდი ლაპარაკობ. სპორტული პრინციპი, შეკიბრება აუცილებელია ფუბბერთისათვის, მაგრამ მას აქვს რრდილოგანი მხარე — ბრძოლა ქულებისათვის. თავიანთავად ეს არ აროს ფეხბურთის ნაკლი. მაგრამ როცა ქულებს სილამაზე ეწირება, ეს უბედურებაა. ეს სწორედ ამის წინააღმდეგ უნდა გავილაშქრთ. რაციონალიზმი კარგია, მაგრამ შიშველ ანგარიშიანობას არ უნდა შეეწიროთ მაყურებელთა ინტერესები. დრო არაეის ეხა აქვს ამისათვის, რომ ინდივიდუალურად იმეშაონ ფეხბურთიელებთან. მაგალითად, მე და იაშანძეს ერთნაირად გვავარჯიშებდნენ როგორც გრძელ, ისე მოკლე დისტანციებზე სირბილში. გრძელ დისტანციებზე მე უმჯობესად ვიღებდით და სასარგებლოს ეურადღრს ვიძენდი. ვანა ეარჯიშის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ დაღლა? ამ დროს იაშანძე, შეიძლება ითქვას, ისეთებდა. მოკლე დისტანციებზე კი ჩვენი როლები იცვლებოდა. რას ვკეთებდა ასეთი ვარჯიშე? ბოლოს და ბოლოს, ის მთავ დრმა ფეხბურთში სტიეარად, მე კი — სპრინტერად. არაფერი არ შეცვლილა... არ შეცვლილა იმიტომ, რომ მ ვარჯიშებში არ იყო გათვალსწინებული ჩვენი ფეზიკური მონაცემები, კომპლექციი, კუნთების ავებულება. მწერთნელებს უნდათ ფეხბურთელებმა ყველაფერი იცოდნენ, იდეალს ესწრაფვიან. ავიწყებთ, რომ იდეალური ფეხბურთიელები არ არსებობენ. ბევრ ღრის ყარგვილებენ ფეხბურთიელს იმაზე, რასაც ვერ ისწავლის, ნაკლებ ღრის ანდომებენ მისი ძლიერი მხარის კიდევ ეფრო დახვეწას — ეს ხომ მაინც ეხერხებაო. საკითხის ასე გადაწყვეტა სწორი არ არის.

— მიშა, მე გამახსენდა ერთი ამბავი. იგი მიამბო ცნობილმა სპორტულმა ეურნალისტმა „ფუტბოლ-ხოკეის“ რედაქტორმა ლევ ფილატო

საუბრა. იგი მაქებდა, გაკვირვებული იყო, რომ ტუელუზაში კარგი თამაშის შემდეგ მე არ გამომიყვანეს. კ. ბესკოვმა რამდენჯერმე სცადა ვვერდით გიეყვანა ე. ფაბრი, მაგრამ იგი კვლავ მე მომიბარუნებდოდა ხოლმე. ბოლოს გბეზრებელმა ჩვეული იტალიური გაცხარებით უთხრა: მაცალეთ, სენორო, მე ამ კაცთან მინდა საუბარიო... რას იზამ, ასეთი არასასიამოვნო ფაქტები ხდებოდა ხოლმე.

— მიშა, რატომ არ ისურვა ფედერაციამ თქვენი მონაწილეობა იმ საიუბილეო მატჩში, რომელიც ინგლისში ჩატარდა?

— მე საერთაშორისო ფეხბურთის ფედერაციის მწყრთნელთა საბჭომ დამსახელი 22 ფეხბურთელის სიაში, შემდეგ ნაირების კანდიდატთა რიცხვი თექვსმეტამდე შემცირდა. მე დავრჩი ამ სიაშიც. ეს სასიამოვნო მიწეეკა „ფუტბოლის“ მაშინდელმა რედაქტორმა მარტინ მერჟანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ერ ეს ბიჯიდან

ამშუ

ძმეგი სმაზერსები დღევანდელ უმუშევრები არიან

პოპულარული ამერიკელი მსახიობები დეკი და ტომი სმაზერსები მას შემდეგ, რაც პოლიტიკური პროგრამით გამოვიდნენ ტელევიზიით, დღემდე უმუშევრები არიან.

აი, რას წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" ტომ სმაზერსი: „პარლის თვიდან არც ერთ სატელევიზიო კომპანიას არ გამოუთქვამს ჩვენთან სერიოზული საუბრის სურვილი. შუდამ მილიონობით მაყურებელი გვყავდა. ყოველ გამოსვლაში ვცდილობდით ხაზი გაგვესვა იმ შტაკოვნული მოვლენებისათვის, რომელიც მილიონობით ადამიანს აწუხებს... ვის არ მოგწონდით ჩვენ? ბნელი რასიზმის რამდენიმე ათას გამბორტყებულ წარმომადგენელს, რომელთაც დიდად არ სიამოვნებდათ ჩვენი გამოსვლები.

მას შემდეგ, რაც შეწყვიტეს ტელევიზიით ჩვენი პროგრამის გადაცემა, 5 ათასზე მეტი გამაძღვანებელი წერილი მივიღეთ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ყველგან და ყოველთვის შუდამ ჩვენთან არიან.

გარითმგა თუ აკოგლეკეგები?

სან-ფრანცისკოს მეცამეტე საერთაშორისო კინოფესტივალზე ნაჩვენები იყო 23 სრულმეტრაჟიანი, მრავალი მოკლემეტრაჟიანი და ექსპერიმენტული ფილმი. ფესტივალზე წამყვანი ადგილი ეკერა საბჭოთა ფილმებს. ნაჩვენები იყო ალექსანდრ დოვჟენკოსა და მისი ქვრივის იულია სოლნცევას 6 ფილმი, აგრეთვე ახალგაზრდა რეჟისორის კონჩალოვსკის ფილმი „აზნაურთა ბუდე".

საფესტივალო ფილმების ჩვენება გაიხსნა პოლონეთის ფილმით „სანტა-ვიტორიის საიდუმლობა", რომელიც კრიჩკონის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. ფილმის რეჟისორია სტენლი კრამერი. ფილმში მონაწილეობენ სახელგანოქმული მსახიობები ენტონი კუინი და ანა მანიანი. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ფილმი ზედაპირული და მხიარული ხასიათისაა, მასში არ არის დასმული რაიმე სერიოზული პრობლემა.

ფესტივალზე დიდი მოწონება ხვდა პოლონურ ფილმს „ყველაფერი გასაყიდად", რომელიც ეძღვნება პოპულარული პოლონელი მსახიობის ზბიგნეკ ციბულსკის ხსოვნას.

გულგარეთი

„ილიადას" ახალი თარგმანი

გამომცემლობა „ნაროდნა კულტურამ" ახლახან გამოსცა ჰომეროსის „ილიადას" ახალი ბულგარული თარგმანი. კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა ფილოლოგ ალექსანდრ მილევისა და პოეტი ქალის ბლაგა დიმიტროვას მრავალწლიანი შრომის ამ ბრწყინვალე ნაყოფს.

გაზეთ „ლიტერატურენ ფრონტის" რეცენზენტი ბოდდან ბოგდანოვი თარგმანის შესახებ წერდა: „ილიადას" ბულგარულ ენაზე გამოცემა სერიოზული და დიდმნიშვნელოვანი ნაციონალური მასშტაბის მოვლენაა. მთარგმნელებმა — მილევმა და დიმიტროვამ მრავალი წლის განმავლობაში დახარჯეს უზომო დრო და ენერგია, რომლის კომპენსაცია მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც თარგმანი ღირსეულ ადგილს დაიკერს ბულგარელი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში".

იაპონია

კომპოზიტორთა საერთაშორისო ტრიბუნის პრემია

პარიზში, იუნესკოს შენობაში მოეწყო კომპოზიტორთა საერთაშორისო ტრიბუნის XVI სხდომა, რომელიც შეიქმნა 1954 წელს. მასში შედის 31 სახელმწიფოს რადიომაუწყებლობის ორგანიზაციები, რომლებმაც მიზნად დაისახეს თანამედროვე კომპოზიტორები წაეკენონ ნაწარმოებთა გაცვლით და მათი პოპულარიზაციით.

კომპოზიტორთა საერთაშორისო ტრიბუნამ წლიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი პრემია მიანიჭა ავსტრიელ კომპოზიტორს დ. ლიგეტის. მისი ნაწარმოები „ლონქანო“ აარჩიეს თანამედროვე მუსიკის 80 ნაწარმოებს შორის.

ლიგეტი დაიბადა უნგრეთში, მუსიკალური განათლება მიიღო გერმანიაში, შემდეგ ავსტრიაში, სადაც იგი ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს.

ინგლისი

„ბრძოლა მუსიკისათვის“

ბი-ბი-სის რადიომაუწყებელმა კორპორაციამ განიზრახა საგრძნობლად შეეცვალინა რადიოთი სერიოზული მუსიკის გადაცემები და ამასთან დაკავშირებით დაეთხოვა ოთხი სიმფონიური ორკესტრი. ინგლისის გამოჩენილმა კომპოზიტორებმა და დირიჟორებმა ფართო ხაზოგადოებრიობასთან ერთად სახტიკად გაილაშქრეს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები: გადაარჩინეთ მუსიკა!“ „მუსიკა გასაჭირშია!“ „მოეშველეთ მუსიკას!“

მუსიკოსებისა და კომპოზიტორების სახელით გამოსულმა არტური ბლისსმა განაცხადა: „ბი-ბი-სი თავიანი მედგარი გადაწყვეტილებით უდიდეს ზიანს აყენებს მუსიკალური კულტურის განვითარებას. თუ ეს განზრახვა განხორციელდება, ბი-ბი-სის წამყვანი ორკესტრების 200 მუსიკოსი უმუშევარი აღმოჩნდება“. მუსიკოსთა კავშირის გენერალური მდივანი ჰარი რეტკლიფი წერდა: „მუსიკისათვის ბრძოლა გაცილებით ძვირი დაუჯდებათ ბი-ბი-სის წარმომადგენლებს. ვიდრე მათ ჰგონიათ“. ამ აზრს იზიარებენ მთელი რიგი გაზეთები, მათ შორის „ტაიმსი“, „სანდი ტაიმსი“, „ობზერვერი“ და სხვა.

ბრძოლის პირველი ეტაპი ჯერჯერობით იმით დამთავრდა, რომ ბი-ბი-სის ხელმძღვანელობა ზოგიერთ დათმობაზე წავიდა. 1970 წლის გაზაფხულზე 4 ორკესტრს ალარ დაითხოვენ და ხელახლა გადახედავენ შტატებისა და რეპერტუარის შემცირების გეგმებს. „მაგრამ ამაზე შეჩერება არ შეიძლება, — წერს გაზეთი „მორნინგ სტარი“ — საჭიროა შემდგომი ბრძოლა მუსიკალურ პრობლემათა გადასაწყვეტად“.

იუგოსლავია

ფილმი ნაციისტების დანაშაულზე

ქალაქ კრაგუევაცში დაიწყო ახალი ფილმის „სისხლიანი ზღვარის“ გადაღებები. ფილმის სცენარი დაწერილია იუგოსლაველი პოეტი ქალის დენანკა მაქსიმოვიჩის პოემის მიხედვით. ფილმი მოგვითხრობს იმ შემაძრწუნებელი ამბების შესახებ, რომელიც გერმანელმა ფაშისტებმა ჩაიდინეს ქალაქ კრაგუევაცში 1941 წლის გაზაფხულზე. გაზაფხულის ერთ ღამეს ნაციისტებმა დახვრიტეს ქალაქის 7 ათასი მამაკაცი.

პოლონეთი

ვიეტნამი ანჯეი სტრუმილოს ნამუშევრებში

სახალხო პოლონეთის 25 წლისთავთან დაკავშირებით პოლონეთის კულტურისა და ხელოვნების სამინისტროს პრემია მიენიჭა მხატვარ-გრაფიკოს ანჯეი სტრუმილოს. ვარშავის მუზეუმში გაიხსნა სტრუმილოს სპეციალური გამოფენა, ეძღვნილი ვიეტნამისადმი.

მხატვარმა რამდენიმე კვირაანი შემოქმედებითი შეგუბულება გაატარა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ ხნის განმავლობაში მან შექმნა მრავალი პორტრეტი, ნახატი და პეიზაჟი, რომლებიც ნათლად გადმოსცემენ ვიეტნამელი ხალხის ძმობა ცხოვრებას, ამერიკელ აგრესორთა ბარბაროსული მოქმედების შედეგებს. გარდა ნახატებისა, გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის მიერ გადალებული რამდენიმე ათეული ფოტოსურათი.

ზვიბნევ ზალუსკის წიგნები

„... მე ვეკუთვნი თაობას, რომელმაც დაწყეველა ომი. რადგანაც მან წაართვა ცხოვრების საუკეთესო წლები, — განაცხადა თავის ინტერვიუში მწერალმა ზბიგნევ ზალუსკიმ, — თაობას, რომელმაც თავი ისახელა იმით, რომ არ დაიშურა თავისი უკანასკნელი ენერგია“.

ზალუსკის პირველი წიგნი გამოვიდა 1960 წელს. ოთხი წიგნი მოყოლილნი მწერალმა იმ თაობის გზებისა და ბედის ალწერას, რომელსაც წილად ხვდა მეორე მსოფლიო ომის მწარე გამოცდა. მიმდინარე წლის პოლონეთის პრესაში გამოცხადდა კოკურსი 1968 წლის საუკეთესო წიგნზე. საზოგადოებრივ - პოლიტიკურ წიგნებს შორის საუკეთესოდ იქნა აღიარებული ზბიგნევ ზალუსკის რომანი „ორმოცდამეოთხე“.

ზალუსკი არის II ხარისხის სახელმწიფო პრემიის აგრეთვე ეროვნული თავდაცვის სამინისტროს ორი პრემიის ლაურეატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა — პრემიების სეზონი

საფრანგეთში გვიანი შემოდგომა პრემიების სეზონია. ამ დროისათვის გამომცემლები სასწრაფოდ გამოყრიან ხელმე წიგნებს, ხოლო კრიტიკოსები სასწრაფოდ ამზადებენ კრიტიკულ წერილებს და მათ მიერ არჩეულ ავტორში გოლკურის პრემიის მფლობელს ხედავენ.

1969 წლის გონკურის პრემია — განაცხადა ცნობილმა პროზაიკოსმა ფილიპ ერიამ, — III ტურში კენჭისყრის შედეგად მიენიჭა ფელისიენ მარსოს რომანისათვის „კრიზი". არჩევანს ხალხის გაკვირვება არ გამოუწვევია, რადგან მარსო (ნამდვილი სახელია „ლი კარტი") სახელმოხვეჭილი რომანისტია. კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა მარსოს რომანს, რომლითაც მწერალმა შესძინა ახალი სიტყვა ეთქვა ბურჟუაზიული ცივილიზაციის არაადამიანურობაზე.

პრემია მიენიჭა მწერალ მაკს ოლივე ლაკამპუს რომანისათვის „რისხვის ალი". ეს ისტორიული რომანი ეძღვნება **1702-1704** წლების ბლეხთა ომებს ლანგედოკში, საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში, რომელმაც ისტორიაში „კამიზარების აჯანყების" სახელი დაიმკვიდრა.

ჟერარ ფილიპის დაშნა და ღიმილი

ჟერარ ფილიპის გარდაცვალებიდან ათი წლისთავთან დაკავშირებით, პარიზის კვირეულის „კოსმტელასთვის" კორესპონდენტთან საუბარში მსახიობი დანიელ ივერნული, რომელიც წლების განმავლობაში ჟერართან ერთად თამაშობდა ცნობილი რეჟისორის ჟან ვილარის მიერ შექმნილ ნაციონალურ სახალხო თეატრში, იგონებს:

— „ყოველგვარი ილუზიების გარეშე თამამად შემიძლია განვაცხადო ყველა იმ მსახიობის სახელით, რომლებიც მასთან ერთად თამაშობდნენ, რომ ჟერარისთანა ადამიანები საუკუნეში მხოლოდ ერთხელ იბადებიან. თავისი სიკვდილით მან ადამიანების გულში, განუურჩევლად ასაკისა, ისეთი დაუვიწყარი კვალი დატოვა, რომელიც იცოცხლებს მანამ, ვიდრე ეს თაობა, ეს ადამიანები ცოცხლები იქნებიან, ხოლო როდესაც ისინი გაქრებიან, ჟერარს დავიწყებენ... მაგრამ დარჩება ლეგენდა, ისეთივე ლეგენდა, როგორიც არა ბერნარზე, მიუნე-სოულზე, დე მაკსზე შემოგვრჩა. ჟერარი იყო გამონაკლისი თეატრალური მოვლენა და პირადად მე ალბათ ვეღარასოდეს ვიხილავ მსგავს მსახიობს.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ჟერარს ჭეშჩაში მისი თამაშით მოხიბლული ზღვა მაყურებელი ელოდა ყოველთვის, ოვაციები ხომ საათობით გრძელდებოდა ხოლმე. მე არ მინდა ამით ვთქვა, თითქოს ჩვენს თეატრში არ იყვნენ ნიჭიერი მსახიობები. უდაოდ იყვნენ, მაგრამ მეც და ჩვენი თეატრის ყველა მსახიობს რაღაც გვაკლია, გვაკლია ის უდიდესი შინაგანი სითბო და სინათლე, რაც ასე ჯრბად ჰქონდა ჟერარს. იგი აჯადოდებდა მაყურებელს. ათი წელი გავდა ჟერარის გარდაცვალებიდან და მისმა შემცვლელმა ვერც ერთმა მსახიობმა ჯერჯერობით ვერ შეძლო გამოშუქებინა ჟერარისეული სხივი და სინათლე. დიდად აკლია იგი ჩვენს თეატრს. საგრძნობლად დაეცა ჩვენი თეატრის ხელოვნება და დარწმუნებული ვარ, ჟერარი რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო, კვლავ დაუბრუნებდა თეატრს დიდებას და კვლავ მოგვრიდა მაყურებელს უდიდეს სიამოვნებას. ხელოვნებაში ზოგჯერ სრულიად საკმარისია ერთი პიროვნება, რომ ყველაფერი მიძრაობაში მოიყვანოს. ამბობენ, მსახიობის მერე არაფერი რჩებოდა. ეს ეზამ, ასეთია მსახიობის ბედი... მაგრამ ჟერარი ცოცხლობს და კვლავ დღეხანს იცოცხლებს ადამიანთა გულებში".

„ქარი აღმოსავლეთიდან"

იტალიაში, რომის მახლობელ ერთ-ერთ სოფელში, ფრანგი კინორეჟისორი ჟან-ლიუკ გოდარი იღებს ახალ ფილმს „ქარი აღმოსავლეთიდან". ჟან გოდარის ფილმები არაერთხელ ყოფილა აკრძალული ფრანგ ხელისუფალთა მიერ. მთავარი მიზეზი აკრძალვისა ის იყო, რომ მისი ფილმები ყოველთვის აქტუალურ თემებზე და მწვავე პოლიტიკურ პრობლემებზე იყო შექმნილი. როგორც კრიტიკოსები ამბობენ, „გოდარს ბევრად უჭირავს საუკუნის მაჯა ხელში". რეჟისორის ახალი ფილმიც პოლიტიკურ პრობლემებზეა შექმნილი. ფილმს ყოველი პერსონაჟი განასახიერებს თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ პოლიტიკურ ან სოციალურ ძალას — პროლეტარიატს, ბურჟუაზიას, სოციალ-დემოკრატიას, იმპერიალიზმს.

ფილმში მონაწილეობენ ცნობილი კინომსახიობი ჯან მარია ვოლონტე, მსახიობები კრისტიანა ტულიო და

ალენ მიჭეტი. იტალიელი ჟურნალისტი პაოლო პო�ზი და ფრანგი სტუდენტების ის ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობდნენ 1968 წლის მაისის ახალგაზრდობის მოძრაობაში. ფილმის კონსულტანტად და თანაავტორად რეჟისორს მიწვეული ჰყავს სტუდენტთა მოძრაობის ლიდერი დანიელ კონ-ბენდიტი.

ჰოლანდია

ამსტერდამელი მხატვართა გამოფენა

როგორც ჰოლანდიის პრესა იტყობინებოდა, ამსტერდამელმა მხატვრებმა მოიწვიეს მჯდომარე გიფიცა ამსტერდამის სახელმწიფო მუზეუმის რემბრანტის დარბაზში ნახატთან „ღამის გუშაგი“. მათ იქ მთელი ღამე გაატარეს. გაფიცეს მოიწვიო იმ მიზნით, რომ იძულებული გიეხადათ მთავრობა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილებები, რომლებიც მოხსენებული იყო მხატვართა კავშირის სამოქმედო კომიტეტის პროგრამაში.

გაფიცვიდან ერთი თვის შემდეგ ამსტერდამელმა მხატვრებმა ყოველგვარი მოწვევის გარეშე თავიანთი წარმომადგენელები გააგზავნეს მუნიციპალიტეტში, შემსიადგენი კომისიის თათბირზე. მათ პროტესტი განაცხადეს ხელოვნებაში მსხვილი კაპიტალისტური ფირმების შეჭრის შესახებ, ყველი იმ სარეკლამო გამოფენის წინააღმდეგ, რომელიც უნდა მოეწყოთ გზების პირას, ტურისტებისათვის.

გაიხსნება ვან-გოგის მუზეუმი

1969 წლის სექტემბერში ჰოლანდიის დედაქალაქის ცენტრში საზეიმო ვითარებაში დაიწყო ვან-გოგის მუზეუმის მშენებლობა, რომელიც 1972 წლისათვის უნდა დამთავრდეს. ოთხსართულიანი შენობის ბოლო სართულს ექნება შუშის სახურავი, რომლის დარბაზებში გამოფენილი იქნება „საფრანგეთის პეიზაჟის“ ტილოები. ნახატები განლაგდება მესამე სართულზე. უფანჯრო დარბაზებში, სადაც ისინი დაცული იქნება დღის სინათლის საზიანო მოქმედებისაგან. მუზეუმის პირველ სართულზე მოთავსდება მხატვრის ზოგიერთი ნამუშევარი საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად.

გათვალისწინებულია გახსნისათვის გამოფენილ ექვსი მხატვრის 150 ტილოს, 400 ნახატი და 600 წერილი. მუზეუმის დირექცია იმედოვნებს კოლექციის შემდგომ გაზრდას. გამოიცემა სპეციალური ბუკლეტი, რომელიც სისტემატიურად გააშუქებს ყველა ახალ ცნობას მხატვრის მუშაობისა და ცხოვრების შესახებ.

რუბენსი აუქციონზე

ჰოლანდიის პრესა იტყობინებოდა, რომ ჰაგაში, აუქციონზე გაიყიდა პეტერ რუბენსის დღემდე უცნობი სურათი „მადონა ჩვილით“, რომელიც ათეული წლების განმავლობაში წარმოადგენდა ერთ-ერთი ვაჭრის, ვისარის საკუთრებას. ხუთათის მფლობელმა სრულიად შემთხვევით გიგიო, რომ უდიდესი განძის მფლობელი ხარ.

უკვე მეორე შემთხვევაა, რომ ჰოლანდიაში აუქციონზე მოულოდნელად გამოჩნდა სახელგანთქმული მხატვრის უცნობი სურათი. ასე მოხდა რამდენიმე თვის წინაც, როდესაც ამსტერდამის აუქციონზე გამოიტანეს ვინცენტ ვან-გოგის უცნობი სურათი „თეთრწინსაფრიანი გოგონა“.

ჟურნალი გაფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. ამდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. № 91.
ტელეფონები რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პიეზიის ,,რიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-35. პროზის, ესეისტიკისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 1/XI-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XII-69 წ. ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14.
შეკვ. № 3309. უე 02471. ტირაჟი 23.300.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236